

## ბორის სარალიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი  
პატენტმცოდნე

## პატენტმცოდნეობა

(ლექციათა კრებული)

თბილისი  
2011

UDC (უაპ) 347.771(075.8)

ს-28

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პატენტმცოდნე  
ბორის სარალიძე  
„პატენტმცოდნეობა“

წიგნში საქმის ცოდნითაა მოცემული პატენტმცოდნეობის  
ის აუცილებელი პოსტულატები, რაც საჭიროა ინტელექტუა-  
ლური საკუთრების, პატენტის, სასაქონლო ნიშნების დაცვის და  
სხვა საავტორო უფლებების გაფორმება, დაცვა, გაყიდვა, რაც  
სიკეთეს მოუტანს როგორც ქვეყანას, ასევე მის მფლობელს.

**რედაქტორი:** რუსეთის საბუნებისმეცყველო მეცნიერების  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფ.  
მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, გამომგონებელი, მრავალი  
ინტელექტუალური საკუთრების მფლობელი,  
**გიორგი ყუფარაძე**

**კორექტორი** ცაცა ნინუა

**დაკაბადონება** პაატა ქორქია

ISBN 978-9941-0-3580-7

© ბ. სარალიძე, 2011

## წინასიტყვაობა

წიგნში „პატენტმცოდნეობა”, თავმოყრილია საპატენტო საქმიანობის ძირითადი ტექნოლოგიური ციკლის ლექციათა კურსი. იგი განკუთვნილია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური განათლების სტუდენტებისათვის და არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ იგი მოიცავს საზოგადოების ფართო წრეს, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და დარგისა, ვისაც კი შეხება აქვს სიახლეების ძიებასთან, ანუ ახალ ტექნიკურ გადაწყვეტილებებთან. მოცემული ლექციათა კურსი პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად:

პირველ ეტაპს წარმოადგენს საქმიანობა, საქპატენტში სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე განაცხადის შეტანამდე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საპატენტო ინფორმაციას და მის მნიშვნელობას, ახალი ტექნიკური გადაწყვეტილების გამოვლენას, ძირითადი არა ძირითადი და დამატებითი ნიშნების მიმოხილვას და საპატენტო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განაცხადის სწორად გაფორმებას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია პრიორიტეტის დასაფიქსირებლად.

მეორე ეტაპს წარმოადგენს საქმიანობა, განაცხადის საქპატენტში შეტანის შემდეგ, რომელიც მოიცავს ექსპერტსა და განმცხადებელს შორის ურთიერთობის საკითხებს, საპატენტო ძიებას, ექსპერტიზას, სწორი დასკვნების გამოტანას, გამოქვეყნებას და პატენტის გაცემას. ამ ეტაპზე სპეციალურად არის გამახვილებული ყურადღება სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის სახელმწიფოში მისი ფუნქციონალური დანიშნულების მნიშვნელობაზე და მის გამოყენებაზე.

მესამე ეტაპს წარმოადგენს საქპატენტის მიერ სამართლებრივი დოკუმენტების გაცემის შემდეგ, შემდგომ საქმიანობას რომელიც შეეხება მენარმეების მიერ ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებების გამოყენებას, ახალი ინტელექტუალური პროდუქტების მიღების მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში და ბოლოს გამახვილებულია ყურადღება

კონტრაფაქციაზე, რომელიც წარმოშობს დავებს სასა-  
მართლოში.

წიგნში დამატებით განხილულია საზღვარგარეთ დაპატენტების, ლიცენზირების, საწარმოო კომერციული საიდუმლოების (ნოუ-ჰინგ) და არაკეთილსინდისიერი კოონკურენციის საკითხები. აგრეთვე გამახვილებულია ყურადღება საპატენტო სასა-  
მართლოს როლსა და მნიშვნელობაზე და გაანალიზებულია ამერიკის სასამართლო პრაქტიკა პატენტის დარღვევის განხილვის დროს.

წიგნში ბოლოს შემოთავაზებულია ავტორის მოსაზრებები ზოგიერთ საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირბით ვფიქრობ პატენტმცოდნეობის ლექციათა კურსი პრაქტიკულ მეგზურობას გაუწევს ინტე-  
ლექტუალურად მოაზროვნე ფართო წრეს, მენარმეებს და რაც  
მთავარია დაეხმარება ტექნიკური დარგის სპეციალისტებს  
ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებების გამოვლენასა და განა-  
ცხადის სწორად გაფორმებაში.

აქვე შეგვიძლია მოვიშველიოთ ეხლახანს მოსწავლეების  
მისამართით პრეზიდენტის მიერ გაუღერებული სიტყვები, რომ  
მომავალში ვინც გააგრძელებს სწავლას, ძირითადი ყურადღება  
და დაფინანსება გამახვილდება ტექნიკური დარგის სპეცია-  
ლისტების მომზადებაზე.

## §1. ინტელექტუალური საკუთრების ცხოვა, მოკლე ისტორიული მიმოხილვა და ევოლუცია

ინტელექტუალური საკუთრება ყველაზე ფართო გაგებით ნიშნავს სამართლებრივ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობიან ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად მრეწველობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დამფუძნებელი კონვენციის თანახმად, რომელიც მიღებული იქნა სტოკჰოლმში 1967 წლის 17 ივნისს, ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს:

(1) ლიტერატურის, ხელოვნების და სამეცნიერო წარმოებებს;

(2) მსახიობ შემსრულებელთა გამოსვლებს, ფონოგრამებს და საერთო მაუწყებლობის პროგრამებს;

(3) გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში;

(4) მეცნიერულ აღმოჩენებს;

(5) დიზაინს;

(6) სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს და საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს;

(7) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას და ყველა სხვა უფლებას, რომლებიც გამომდინარეობს ინტელექტუალური საქმიანობიდან მრეწველობის, მეცნიერების, ლიტერატურისა ან ხელოვნების სფეროში.

არსებული ტრადიციით ინტელექტუალური საკუთრება იყოფა ორ წარმოებად: საავტორო უფლების ობიექტებად და სამრეწველო საკუთრების ობიექტებად.

“საავტორო უფლება” ინტელექტუალურ წარმოებთა (ლიტერატურა, მუსიკა, ხელოვნება) ავტორებს და სხვა შემოქმედთ ანიჭებს გარკვეულ უფლებებს, რის საფუძველზეც მათ შეუძლიათ განსაზღვრული დროით ნება დართონ ან აუკრძალონ მათი წარმოების ამა თუ იმ სახით გამოყენება. ფართო გაგებით, საავტორო უფლება მოიცავს დებულებებს

საავტორო უფლების შესახებ და აგრეთვე “მომიჯნავე უფლებების” დაცვას.

ისმოს დამფუძნებელი კონვენციის ზემოთხსენებული ნუსხის (4) პუნქტის შესაბამისად, მეცნიერული აღმოჩენები არ მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ორი სფეროდან არც ერთს. არსებობს აზრი, რომ მეცნიერული აღმოჩენები საერთოდ არ უნდა იყოს მოხსენებული ინტელექტუალური საკუთრების ფორმათა შორის, ვინაიდან არც ერთი ეროვნული კანონი ან საერთაშორისო ხელშეკრულება არ ანიჭებს მეცნიერულ აღმოჩენებზე საკუთრების უფლებას: მეცნიერული აღმოჩენები არის ბუნებაში არსებული კანონზომიერებების დადგენა, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი და რომელთაც ცვლილებები შეაქვთ ადამიანის ცნობიერებაში. იგი ადამიანს არ შეუქმნია იგი ბუნებაში არსებობს, ადამიანი მხოლოდ აღმოაჩენს მას. მაგალითად: ადრე ადამიანის ცნობიერებაში გავრცელებული იყო აზრი, რომ სისხლი ადამიანის ორგანიზმში გულის მეშვეობით მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრაობდა, აღმოჩნდა, რომ არა ერთი მიმართულებით არამედ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით, რამაც ცვლილებები შეიტანა ადამიანის ცნობიერებაში.

რაც შეეხება ტერმინს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნილ საგნებს, შეიძლება ითქვას, რომ აღმოჩნილი საგნები როგორც ასეთი ინტელექტუალური შრომის შედეგია, მაგრამ თვითონ აღმოჩნილი საგანი საპატენტო ტერმინოლოგით აღმოჩნას არ განეკუთვნება, რადგან იგი ბუნებაში არსებული კანონზომიერების დადგენას არ წარმოადგენს და იგი თავის დროზე ადამიანის მიერ იყო შექმნილი.

საავტორო სამართალი კრიტერიუმებს გამოკვეთილად არ მოითხოვს, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ნაწარმოების დაცვისადმი საერთოდ არავითარი მოთხოვნები არ არის დაწესებული. პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოები ექვემდებარება დაცვას, თუ ის ინტელექტუალური შრომის შედეგად არის მიღწეული, დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი

ნაწარმოები, რომელიც შეიძლება კოპირების საგანი იყოს. იგი ინტელექტუალური შემოქმედების გამოსახულება უნდა იყოს ანუ ინტელექტუალური შრომის შედეგს უნდა წარმოადგენდეს, ე.ი. ინტელექტუალურ ქმნილებასთან უნდა გვქონდეს საქმე. მრავალ პრაქტიკულ მაგალითზე დაყრდნობით მიღებულია, რომ ნაწარმოები ორიგინალურ ქმნილებას უნდა წარმოადგენდეს, ანუ ის კონკრეტული პირის შემოქმედების შედეგი უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ — ნაწარმოები ”ახალი“ უნდა იყოს. საავტორო უფლებით პირველი (ორიგინალური) ნაწარმოები ისარგებლებს. ყოველივე აღნიშნულიდან მივდივართ დასკვნამდე, რომ ნაწარმოების დაცვისათვის დადგენილია კრიტერიუმები — ”ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი“ და ”ორიგინალობა“, რითაც შეიძლება გაიზომოს აღნიშნული შედეგი. დაცვას ექვემდებარება ნაწარმოების ცალკე ნაწილიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებითი ხელოვნების ობიექტი შეიძლება სამრეწველო საკუთრების ობიექტიც გახდეს და იქნეს დაცული, როგორც დიზაინი, ე.ი. ორმაგ დაცვას დაექვემდებაროს. სანამ ნაწარმოები მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი არ არის, ავტორმა თავად უნდა იზრუნოს საკუთარი ინტელექტუალური ქმნილების დაცვაზე. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა. დაცვა არ ვრცელდება: ოფიციალური დოკუმენტების შექმნაზე (კანონი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები) და მათ თარგმნაზე. სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდო, ფულის ნიშნები და სხვა სიმბოლოები). მოვლენებისა და ფაქტების შესახებ ინფორმაციები.

საავტორო სამართალი არ ითხოვს ნაწარმოების სავალდებულო რეგისტრაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორთა უფლებების დაცვა დაკავშირებული იქნებოდა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს წების გამოვლენაზე.

”მომიჯნავე უფლებები“ წინვას იმ უფლებებს, რომლებიც ემიჯნება ”საავტორო უფლებებს“. ავტორების მსგავსად,

მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს აქვთ პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები. შემსრულებელი, მისი საქმიანობის შემოქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, ახლოს დგას ავტორთან. საავტორო უფლებების მფლობელს შეუძლია ნებისმიერ მსურველ პირს მისცეს ნებართვა ნაწარმოების გამოყენებაზე. ასეთი ნებართვის გაცემას ლიცენზია ეწოდება, რაც ფორმდება წერილობით, საავტორო სალიცენზიონ ხელშეკრულებების სახით, რაზედაც ჩვენ შემდგომში ფართოდ გვექნება საუბარი.

მომიჯნავე უფლებები არ აბრკოლებს და არ დევნის საავტორო უფლებათა დაცვას. მომიჯნავე უფლებები ხორციელდება საავტორო უფლებების პატივისცემისა და დაცვის გზით. მომიჯნავე უფლებების სუბიექტებს წამოადგენენ შემსრულებლები, ფონოგრამის და ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაციები. შემსრულებელი ანხორციელებს აღნიშნულ უფლებებს შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებათა დაცვის პირობით. მომიჯნავე უფლების განხორციელებისათვის არ არის საჭირო რაიმე ფორმალობათა დაცვა.

საზოგადოდ ინტელექტუალური საკუთრების სამართალი თავის სუბიექტებს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს და ამით ფაქტობრივად, მონოპოლურ მდგომარეობაში აყენებს მათ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კანონის “მონოპოლური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”, მე-15 მუხლში წერია: “ეს კანონი არ ვრცელდება საავტორო და გამომგონებელთა უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე”.

დასაწყისშივე საავტორო უფლებებზე გაკვრით იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ საავტორო სამართლის ობიექტებიც ინტელექტუალური საკუთრების შრომის შედეგს წარმოადგენს და აუცილებელია თავშივე გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან საავტორო და სამრეწველო საკუთრების ობიექტები, რადგან ჩვენი შესწავლის საგანს მხოლოდ სამრეწველო საკუთრების ობიექტები წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავში-

რეპით ჩვენ აგრეთვე პარალელურად გაკვრით მაინც ვერ ავცდებით ისეთი საკითხებზე საუბარს, როგორიც არის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, საპატენტო ინფორმაცია, პატენტ-მცოდნეობის როლსა და მნიშვნელობაზე ეკონომიკის განვითარების საქმეში და საპატენტო სამართალს. ვფიქრობთ სწორედ ასეთი თანმიმდევრობა მოგვცემს საშუალებას უკეთ გავეცნოთ საერთოდ პატენტმცოდნეობას.

“სამრეწველო საკუთრება” ინტელექტუალური საკუთრების სახეობაა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის გონიერების ქმნილებასთან. როგორც წესი, ასეთ ქმნილებებს წარმოადგენენ გამოგონებები და დიზაინი. გარდა ამისა, სამრეწველო საკუთრებას მიეკუთვნება სასაქონლო ნიშნები, კომერციული სახელწოდებები და აღნიშვნები, საქონლის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმომობის დასახელებების ჩათვლით და აგრეთვე, დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან. ამ უკანასკნელის მიმართ ინტელექტუალური შემოქმედების ასპექტი, თუმცა იგი არსებობს, ნაკლებად თვალსაჩინოა.

გამოგონებლობა განსაკუთრებულ როლს თამაშობდა კაცობრიობის არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში. იგი ადრეულ ხანაშივე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანის ყოფასთან და მისი საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. რაც უფრო განვითარებული ხდებოდა კაცობრიობა, მით უფრო იზრდებოდა ინტერესი სიახლეთა შექმნისადმი და შესაბამისად, მათთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობათა მოწესრიგებისადმი.

გამოგონების დაცვის სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება ვლინდება საზოგადოებრიობის პროგრესთან ერთად, ადრინდელი შუა საუკუნეების პერიოდშივე სახელმწიფოებს შემოაქვთ ე.წ. "პრივილეგიების" ინსტიტუტი. პრივილეგია იძლეოდა გამოგონებაზე განსაკუთრებულ უფლებას დროის შემოფარგვლით ან განუსაზღვრელი ვადითაც კი, ხოლო ტერიტორიულად დაცვა ხორციელდებოდა მხოლოდ სახელმწიფოს საზღვრებში.

გამოგონება არის იდეა, რომელიც იძლევა სპეციალური პრობლემის სხვადასხვა მეთოდით პრაქტიკულად გადაწყვეტის საშუალებას. ყველა ქვეყანაში, რომელშიც გამოგონებას მინიჭებული აქვს სამართლებრივი დაცვა, ასეთი კი 140-ზე მეტია, ეს ხდება პატენტის მეშვეობით. თუმცა გარკვეულ ქვეყნებში დაცვის სხვა საშუალებებიც არსებობს.

იმისათვის, რომ ტექნიკური გადაწყვეტილება სამრეწველო საკუთრების ობიექტი გახდეს მან უნდა უპასუხოს გარკვეულ მოთხოვნებს-კრიტერიუმებს, საავტორო სამართლისაგან განსხვავებით სადაც კრიტერიუმებს გამოკვეთილად არ მოიხსენიებს, სამრეწველო საკუთრების სამართალი პირდაპირ ასახელებს დაცვითუნარიანობის კრიტერიუმებს.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, დადგენილია, რომ "პატენტით" შეიძლება დაცული იქნეს ისეთი გამოგონება, რომელიც პატენტუნარიანია და აკმაყოფილებს სიახლის, საგამომგონებლო დონისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. საქართველოს დიზაინის შესახებ კანონით, მოწმობით შეიძლება დაცული იქნეს დიზაინი, რომელიც წარმოადგენს ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციულ გარეგან სახეს და რომელიც აკმაყოფილებს სიახლისა და ინდივი-დუალობის კრიტერიუმებს.

საპატენტო-უფლებრივი ნორმების შინაარსი თითოეულ ცალკე ქვეყანაში განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული განვითარების თავისებურებიბითა და ეროვნული ტრადიციებით. დღეისათვის მსოფლიოში მოქმედებს ოთხი საპატენტო-უფლებრივი სისტემა: ინგლისური, ფრანგული, ამერიკული და გენმანული. მსოფლიოში არ არსებობს არცერთი განვითარებული და განუვითარებელი ქვეყანა, რომელსაც ამ უფლებრივ სისტემათაგან თუნდაც ერთის გავლენა მაინც არ განეცადოს.

არის ქვეყნები, სადაც ნედლეულის უამრავი ნაირსახეობა არსებობს და მისი გონივრული წარმოება და გამოყენებაა საჭირო და აუცილებელი, რათა ქვეყანამ არ იშიმშილოს. არის ქვეყნები, სადაც საერთოდ არ აქვთ ნედლეული. დღევანდელი

საუკუნე ეს არის საუკუნე, სადაც მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ინტელექტი. ამ მხრივ საქართველოს ძალიან დიდი შესაძლებლობები გააჩინა, როგორც ნედლეულის, ასევე ინტელექტის თვალსაზრისით. ტექნოლოგიები მუდმივად იცვლება და ჩვენც უნდა ვცვალოთ იგი თანამედროვე ეტაპზე. ინტელექტუალური ტექნოლოგიები ეს სიახლეებია და ჩვენ ამით სხვებს უნდა ვაჯობოთ. უნდა დავაგროვოთ ინტელექტუალური ტექნოლოგიები. დღეისათვის კომპიუტერი წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრება ეს არის პატენტის შექმნა, გაყიდვა და სარგებლის მიღება. ნუ გვერიდება იმის თქმა, რომ ყველაფერი ზემოთ აღნიშნული სარგებელთან არის დაკავშირებული. ამისათვის უნდა მოხდეს ამ ინტელექტის დაცვა. ეს არამატერიალური საკუთრებაა და კონკურენციის პირობებში მისი დუბლირება ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ აღარ უნდა გამოვიგონოთ ველოსიპედი. ის ხომ უკვე გამოგონილია. ამისათვის კვლევების ჩატარებაა აუცილებელი და წამახალისებელი სისტემებია შესაქმნელი. ცოდნა ყოველთვის უნდა ორმაგდებოდეს, სანამ მოვკვდებით ერთი და იგივე დონეზე არ უნდა დავრჩეთ, ჩვენ ნაკლები უნდა ვიძინოთ, ნაკლები უნდა ვჭამოთ და ბევრი ვაკეთოთ. 20 წლით დაცული გამოგონება ეს ხალხის საკუთრებაა. ერთი განაცხადი ისმოში (ი.ს.მ.ო. — ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია) ჩვენ გვაძლევს საშუალებას ნაკლები ფინანსური დანახარჯებით ავირჩიოთ რომელი ქვეყანაც გვინდა, სადაც დაცული იქნება ჩვენს მიერ შექმნილი ინტელექტუალური შრომის შედეგი. ორერთ უამისოდ იგი ძალზე ძვირი დაგვიჯდება. თუ არ იქნება კარგი დაცვა ჩვენ ვკარგავთ შემოსავლებსაც. ინდოეთში კინოფილმების გადაღება კარგადაა განვითარებული და დიდ მოგებასაც ნახულობენ. ბორჯომი კი საქართველოს სიმდიდრეა და იგი სასაქონლო ნიშნებით კარგად უნდა იყოს დაცული. სასაქონლო ნიშნებმა საქართველოს ღვინოები შეიძლება გახადოს მსოფლიოში კონკურენტუნარიანი. ნებისმიერი განვითარების პროგრამაში აუცილებლად უნდა იქნეს ჩადებული ინტელექტუალური

შემოქმედების შედეგები. ინტელექტუალური საქონელი ეს არის კატალიზატორი სახელმწიფოს განვითარებისა. ყოველთვის უნდა ვანგარიშობდეთ რა თანხები იკარგება ბიუჯეტში შესატანად. რა თქმა უნდა თუ საბიუჯეტო თანხა დიდია მით მეტია მოგებაც. ყველა ქვეყანას უნდა ქონდეს სამართლებრივი მექანიზმები, სადაც არც სხვისი უფლებები არ უნდა დაირღვეს და არც შენი უფლებები არ უნდა შეირყეს. საზოგადოება უნდა მომზადდეს ამ მიმართულებით. ინტელექტუალური საკუთრება ფართო სპექტრია, ეს არის კინო ხელოვნება, მეცნიერება, წარმოება და სხვა. სხვადასხვა ქვეყნის პატენტები ერთმანეთზე არ არის დამოკიდებული, ფსტ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე შეიძლება ერთ უწყებაში შესული განაცხადი დაცული იქნეს სხვა ქვეყნებშიც.

გენეტიკური რესურსები ყველა ქვეყანას გააჩნია, რასაც ეროვნული შემოქმედება ქვია. ტრადიციული ხელით ნაკეთობანი, ტრადიციული წამლები, და სხვა ტრადიციული ცოდნის მფლობელობა აუცილებლად უნდა დაპატენტდეს, რათა სხვა ქვეყანაში ნებართვის გარეშე არ იქნეს გამოყენებული. ერთი სიტყვით ტრადიციული ცოდნის დაცვა ქვეყნისათვის აუცილებელი პირობაა. იგი უნდა შევინარჩუნოთ და გავყიდოთ. გენეტიკური რესურსების დაპატენტებას და გაყიდვას დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია მფლობელთა ოჯახებისათვის. კულტურული მემკვიდრეობა ეს დიდი მასშტაბების პრობლემაა. საჭიროა ფაქტების მოძიება, ვინ არის ავტორი, როდის შეიქმნა, რაც ტრადიციულ ცოდნას საჭიროებს და სხვ. "ისმომ" განაცხადა, აღნიშნულ საკითხებში სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების მოძებნა, რათა შეინარჩუნონ ტრადიციული მემკვიდრეობის, გენეტიკური მემკვიდრეობის დაცვა. საჭიროა შეთანხმებული კანონების მიღება, რომელიც დაცავს ყველა ქვეყნის ინტერესებს. საჭიროა სპეციალური საერთაშორისო კომიტეტის შექმნა, რომელიც აღნიშნულ საკითხებზე იმუშავებდა, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი საკითხები პერსპექტივაშია და დღეისათვის გადაწყვეტილი არ არის.

რაც შეეხება კიბერსივრცეს, ასეთი საკითხები სპეციალისტებისათვის ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. ლაპარაკია ინტერნეტზე. ეს საზოგადოების შექმნის საშუალებაა. ელექტრონულ ბაზარს საზღვარი არა აქვს. ყველას შეუძლია ჩაებას ელექტრონულ ბიზნესში. ეს არის სივრცე ანუ კიბერსივრცე, რომელიც არ არის შემოფარგლული დროით და ტერიტორიით, როგორც სამრეწველო საკუთრების იპიქტები და სწორედ ამ თვალსაზრისით ინტერნეტი ქმნის დიდ პრობლემას. კიბერპირატობა ინტერნეტის საშუალებით თავისუფალი მოვლენაა და მთავრობა აქ უძლურია. სხვა ინტელექტუალურ შრომის შედეგებთან ერთად პირატობას უწევენ სასაქონლო ნიშნებსაც. ალნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შეიქმნა სხვადასხვა ცენტრები, რომელიც ასეთ დავებს განიხილავს. დომეინი ინტერნეტში არის ნომრების მითითება ამა თუ იმ საკითხზე, სასაქონლო ნიშანზე, დომეინის საშუალებით კიბერპირატმა შეიძლება ინტერნეტიდან კოპირებით გამოიყენოს აღიარებული სასაქონლო ნიშანი. ამიტომ მიდის დავები დომეინსა და სასაქონლო ნიშანს შორის. არსებობს დებულებები ინტერნეტის სასაქონლო ნიშნების შესახებ. ამერიკაში პროგრამები შეიძლება დაპატენტდეს თუ მას აქვს კავშირი ტექნიკურ ტექნოლოგიებთან, ბიზნესმეთოდებთან, ტექნიკურ მახასიათებლებთან, მაგრამ ცალკე ბიზნესმეთოდის დაპატენტება არ ხდება. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ნდობის პრინციპი. ერთი ამბობენ პასუხი უნდა აგოს იმ ქვეყანამ, სადაც სერვერებია განვითარებული, ასეთი ძირითადად ამერიკაა. მეორენი ამბობენ უნდა აგოს პასუხი, სადაც გამოიყენებენ მას, მესამენი ამბობენ საქმე უნდა განიხილოს ავტორის ქვეყანამ და სხვ.

დღეისათვის ლაპარაკია განაცხადების ელექტრონული გზით მიწოდებაზე, მსოფლიო პატენტის არსებობაზე, სადაც თავს იჩენს ხელისმონერების სამართლებრივი და ტექნიკური პრობლემები. იქნება თუ არა ერთიანი პატენტი ჯერ მსოფლიოში ფილოსოფიური მსჯელობა მიმდინარეობს და დღეისათვის ამაზე მსჯელობენ.

## **1.1. პატენტმცოდნეობის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარების საქმეში**

ცხოვრებამ დღის წესრიგში დაყენა ქვეყნის ეკონომიკის ინტელექტუალიზაციაზე გადასვლის ახლებურად გააზრებისა და საკუთარი სამრენველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის აუცილებლობის ამოცანა.

ვაჭრობის ობიექტის კონკურენტუნარიანობას დიდად განსაზღვრავს ამ ობიექტში გამოყენებული ტექნიკური და ტექნოლოგიური კვანძების მეცნიერულ-ტექნიკური და საპატენტო დაცვის დონე - პატენტუნარიანობა.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დონეზე შესრულებული სამრენველო პროდუქციის გამოშვებისას ან საზღვარგარეთ გატანისას, როგორც წესი, უნდა მოხდეს ამ პროდუქციაში გამოყენებული უახლესი ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტილების განმტკიცება იქ, სადაც სავარაუდოა მისი გაყიდვა ან სხვა მიზნით გატანა. ამით ყველა სხვას გარკვეული ვადით ეკრძალება უფლებრივად დაცული იმ სიახლეთა გამოყენება, რომლებიც ამ პროდუქციაში არის ჩართული. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ან რომელიმე სხვა ქვეყანაში გამოგონების მფლობელი იღებს მონოპოლიურ უფლებას და განამტკიცებს თავის მდგომარეობას ბაზარზე. ამით იქმნება კეთილნაყოფიერი პირობები პროდუქციის რეალიზაციისათვის.

პატენტმცოდნეობის ეკონომიკური როლი განპირობებულია იმით, რომ პროდუქციაში გამოყენებულ სიახლეზე ან სიახლეებზე გაცემული პატენტები დამატებითი მოვების მიღების მნიშვნელოვანი საშუალებაა. მოქმედი პატენტები გზას უღიბავენ კონკურენტ საწარმოს, კოოპერატივს, ფირმას თავისუფლად გამოიყენოს პროდუქციაში ჩართული დაპატენტებული გამოგონება ან მთლიანად პატენტუნარიანი ობიექტი. პატენტი ამ ფუნქციას მანამდე შეასრულებს, სანამ ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების მსვლელობაში კონკურენტები ვერ მოძებნიან და ფართოდ ვერ გამოიყენებენ თავიანთ ობიექტებში

ანალოგიურ და ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტით უფრო სრულყოფილ პატენტით განმტკიცებულ სხვა გადაწყვეტის.

პატენტის ხელშეკრულებითი თეორია წარმოიქმნა სამრეწველო საკუთრების თეორიის საფუძველზე და ხელი შეუწყო მათ შემდგომ განვითარებას. პატენტის ხელშეკრულებითი თეორიის არსი ასეთია: იდეა წარმოადგენს გამომგონებლის საკუთრებას, თუმცა გამომგონებლისათვის საკმარისი არ არის უბრალოდ ფლობდეს იდეას, მას სჭირდება, მისი გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ იდეა არ არის ნივთი. თუ მას "გავხსნით", იგი შეიძლება სხვადასხვა პირმა დამოუკიდებლად გამოიყენოს. იმისათვის, რომ გამომგონებელმა თავისი იდეის გამოყენება შეძლოს, მან ერთპიროვნულად უნდა მიიღოს უფლება ყველა სხვა პირს აუკრძალოს ამ იდეით სარგებლობა. ამისათვის იგი საზოგადოებასთან დებს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ვალდებულებას კისრულობს გახსნას თავისი საიდუმლო და სანაცვლოდ იღებს მონოპოლიური გამოყენების უფლებას. ამრიგად, ხელშეკრულებითი თეორიის თანახმად, პატენტი წარმოადგენს თავისებურ გარიგებას სახელმწიფოს სახით საზოგადოებასა და გამომგონებლებს შორის, რომლის მიხედვით, გამომგონებელს ეძლევა გამოგონების გარკვეული ვადით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რისთვისაც იგი ხსნის მის არსს. ეს ხელშეკრულება ორივე მხარისათვის სასარგებლოა.

თუ პოლიტიკური ეკონომიკის ფუძემდებელი ადამ სმითი მიიჩნევდა, რომ ერების სიმდიდრის საფუძველს კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები და სამუშაო ძალა შეადგენს, თანამედროვე მსოფლიოში გადამწყვეტ ფაქტორს უკვე ინტელექტი, ინტელექტუალური პროდუქცია წარმოადგენს. ინტელექტუალურ პოტენციალს უმთავრესი როლი ეკისრება ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში. იგი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია პოლიტიკური გავლენის მოპოვების თვალსაზრისითაც.

XIX საუკუნეში პრაქტიკულად ყველა მოწინავე ქვეყნის საკანონონმდებლო სისტემაში თავის ადგილს პოულობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული კანონები. სამრეწველო საკუთრების სფეროში 1883 წელს ხელი მოეწერა პარიზის კონვენციას, ხოლო 1886 წელს ბერნის კონვენციას ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა დაცვის თაობაზე.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერულმა და ტექნიკურმა მიღწევებმა განაპირობეს ინდუსტრიული ეპოქისათვის უცნობი, ისეთი ახალი ობიექტების დაცვის აუცილებლობა, როგორიცაა კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები. ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიები, ბიოტექნოლოგიური მიღწევები და სხვ. ამჟამად ამ სფეროში ახალ მიღწევას ინტერნეტი წარმოადგენს.

ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებადაა აღიარებული საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით, რომლის თანახმად: "ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია, ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუხებელია". სწორედ ეს კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენს ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარება საქართველოში.

1999 წელს მიღებული იქნა ამ სფეროს მარეგულირებელი კანონები, რომლებიც მომზადდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების ნორმებზე დაყრდნობით. კანონების მიღება გახდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინამდლვარი საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განევრიანებისათვის.

დღეისათვის საქართველო არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმების მონაწილეა. ესენია: სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, ბერნის კონვენცია, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დაფუძნების კონვენცია, საპატენტო კოოპერაციის ხელ-

**შეკრულება** (PCT), ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მაღრიდის შეთანხმების პროტოკოლი.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში 1991 წლის დამლევამდე ყველა სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგებს მხოლოდ ერთი მესაკუთრე ყავდა - სახელმწიფო.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეცნიერო-ტექნიკური მოღვაწეობის შედეგებზე უფლება აქვთ მათ მფლობელებს, მათ შეუძლიათ ეს შედეგები გამოიყენონ თავისივე შეხედულებისდა მიხედვით და მიიღონ მატერიალური სარგებელი. მიუხედავად ამისა თავდაპირველად მეცნიერული ტექნოლოგიების ათვისების პროცესი აწყდებოდა გარკვეულ სიძნელეებს, რაზედაც მეტყველებდა წარმოებათა კუთრი წონის შემცირება. მცირდებოდა აგრეთვე ახალი ტექნიკის გამოყენება, რომელიც შეიცავდა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებსა და სხვა.

თავდაპირველად სამეცნიერო-ტექნიკურ დაწესებულებებს არ ქონდათ საბაზრო რეფორმების პირობებში მუშაობის გამოცდილება, მათ არ შეეძლოთ წარმატებით გამოეყენებინა ინტელექტუალური კაპიტალი, რომელიც მათ ეკუთვნოდათ, არ იყვნენ მზად თავიანთი ნამუშევრების კომერციული რეალიზაციისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკურ და საკონსტრუქტორო სამუშაოთა შედეგები, რომელშიც ინტელექტუალური საკუთრებაა ჩადებული, კომერციული გამოყენების თვალსაზრისით სოლიდურ ფინანსებს მოითხოვს, ვინაიდან ფიზიკურად შესაქმნელია პროდუქტი (საქონელი), რომელიც შეძლებს გაუძლოს კონკურენციას არა მარტო შიდა, არამედ გარე ბაზარზეც. შეზღუდული დაფინანსების პირობებში აუცილებელია არჩევითი მიდგომა, რაც უზრუნველყოფდა ისეთი პრიორიტეტული ობიექტების რეალიზაციას, რომელთაც შეძლო უზრუნველეყო ხელსაყრელი შედეგები, როგორც ეკონომიკაში, ისე სოციალურ სფეროში.

ნორმალური კონკურენციის შესანარჩუნებლად საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელი შეიქმნა შემუშავებულიყო

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ერთიანი წესი, რაც აუცილებელია ყველა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. ამ უფლებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ეკონომიკური სანქციები.

ცნობილია, რომ მსხვილ საწარმოებს ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც ინერციის პროცესი აწუხებთ, მათ არ შეუძლიათ ახალი სამუშაოების აღქმა, გამოგონებების სწრაფად დანერგვა. სამაგიეროდ ამას სწრაფად აკეთებენ მცირე ფირმები. იქ შემოქმედებითად მოაზროვნე ხალხი კარგად გრძნობს თავს. ისინი დაინტერესებული არიან თავიანთი გამოგონების დანერგვითა და რეალიზაციით, ყოველმხრივ აუმჯობესებენ მას, ცდილობენ გაუქდონ საკონკურენტო ბრძოლას. მცირე საწარმოების შექმნა საშუალებას იძლევა საბაზრო პირობებში დაჩქარდეს ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებების სწრაფი დანერგვა.

დღევანდელ საბაზრო პირობებში საჭიროა ახლებური სახე მივცეთ ჩვენს ჩანათვიქრს, ჩვენს იდეებს, რომ ისინი ფუჭად არ დაიკარგოს, რომ სამამულო სიახლეების ათვისება არ დაგვასწრონ მასიური პრესის საშუალებით სხვა მოწინავე ქვეყნებმა. ესეც თავისებური ხელოვნებაა. ამიტომ მნიშვნელოვანია ვასწავლოთ სიახლეებზე მომუშავე ადამიანებს თავიანთი შემოქმედების შედეგების წარმოჩენა პუბლიკაციების საშუალებით.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაბალი დონე ჩვენს სახალხო მეურნეობას აყენებს დიდ ეკონომიკურსა და სოციალურ-პოლიტიკურ ზიანს. აი, რატომ არის შესაძლებელი ეს პრობლემა გადაწყდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მხოლოდ მაღალეფებური სისტემის შექმნით, რომლის უშუალო შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საგამომგონებლო და საპატენტო-სალიცენზიონ საქმიანობა.

ამ სისტემის ჩარჩოებში ფუნდამენტურ გამოკვლევებმა უნდა მიიღოს გამოყენებითი სახე. ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას გარე ბაზარზე უზრუნველყოფს მხატვ-

რულ-კონსტრუქციული გადაწყვეტილებები. ნაკეთობის მაღალი ხარისხი და მასზედ მოთხოვნილება განისაზღვრება არა მარტო პროგრესული ტექნიკური გადაწყვეტილებით, რომელიც შესრულებულია გამოგონების დონეზე, აგრეთვე ნაკეთობის გარეგნული შესახედაობის შესაბამისობით ესთეტიკურ მოთხოვნებთან, ერგონომიკის კანონებთან და სხვ.

იმისათვის, რომ მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების სისტემაში გათვალისწინებულ იქნეს მრეწველობისა და მთლიანად ეკონომიკის გაუმჯობესება, მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს პრობლემას, რომელიც ეხება სამეურნეო ბრუნვაში ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების მოზიდვას, მაღალეფექტური ტექნიკური გადაწყვეტილებების გამოვლენას და დანერგვას, რომელთაც შესწევთ უნარი განახორციელონ დადებითი გარდატეხა ეკონომიკაში.

საქართველოს მომავლის განსაჭვრეტად საჭიროა გავაცნობიეროთ ინტელექტუალური საკუთრების ფაქტორი ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ, ეკონომიკურსა და კულტურულ სფეროში.

პირველ რიგში აუცილებელია შეთანხმდეს და განისაზღვროს კონცეპტუალური საკითხები სახელმწიფო პოლიტიკაში, სამეურნეო ბრუნვაში პრობლემების მიხედვით იქნეს მოზიდული სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები.

სამეცნიერო პროდუქციის ექსპორტის კონკურნტუნარიანობის ასამაღლებლად საპრიორიტეტო ტექნოლოგიების შერჩევის დროს, საჭიროა განისაზღვროს შემდეგი მოთხოვნები: 1. პრიორიტეტული ტექნოლოგიების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ინტელექტუალური შემოქმედების შედეგების სამართლებრივი დაცვა. მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს შეუძლიათ საერთაშორისო ბაზარზე კარგი ტექნიკური მახასიათებლებისა და კონკურენტუნარიანი დამუშავებების უზრუნველყოფა, მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებით. 2. პრიორიტეტული ტექნოლოგია უნდა განისაზღვროს როგორც ყველაზე პრიორიტეტული, დღეისათვის ცნობილ ანალოგიურ ტექნიკურ გადაწყვეტილებებთან

შედარების საფუძველზე. ამისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და შეფასდეს მსოფლიოში ცნობილი ტექნიკის დონე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაღებული სახსრები დახარჯული იქნება არაკონკურენტუნარიანი ობიექტის შესაქმნელად. 3. პრიორიტეტულ ტექნოლოგიას უნდა გააჩნდეს მაღალი კო-მერციული პოტენციალი. აუცილებელია შეფასდეს და შედარ-დეს ტექნოლოგიის არა მარტო ტექნიკური მახასიათებლები, არამედ კომერციული მაჩვენებლებიც, კერძოდ, ეფექტური დონეც, იმის გათვალისწინებით თუ რა დროისათვის იქნება ამოღებული დახარჯული სახსრები. ამისათვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საბოლოო პროდუქტის გამოყენებისა და გაყიდვის შესაძლებლობები. ამ საქმესთან დაკავშირებით საჭიროა ძირულად შეიცვალოს საინფორმაციო მოღვაწეობა. აუცილებელია გაბედული გადასვლა პასიური საინფორმაციო მომსახურებიდან აქტიურ საინფორმაციო მომსახურებაზე ინვაციური ოპერაციების რეალიზებისათვის. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთი მოთხოვნების სპეცი-ფიკა წარმოადგენს ახალი პროდუქციის შექმნას, რომელზეც ბაზარზე რეალური მოთხოვნაა. საბაზრო ეკონომიკის მოძრაობის ძალას წარმოადგენს არა პრივატიზაცია, როგორც ასეთი, არამედ კონკურენცია და კიდევ კონკურენცია. ამის გამო ინფორმაციული მომსახურების ცენტრმა უკანასკნელ დროს მიზნად დაისახა კონკურენტების მოღვაწეობის ანალიზი, ხოლო სათანადო ინფორმაციულმა მოღვაწეობამ საზღვარგა-რეთ მიიღო სახელწოდება "კონკურენტული დაზვერვა". კონკურენტულ დაზვერვას უნდა ჰქონდეს მონაცემები ტექნიკის დონის, მისი დამუშავების, მისი სამართლებრივი დაცვის, გაყიდვის შესაძლებლობისა და სხვათა შესახებ. მეწარმე აგრეთვე სისტემატურად უნდა იმაღლებდეს ცოდნას, სრული ინფორმაცია ჰქონდეს მოსალოდნელი კონკურენტების შესახებ, რაც აინტერესებთ დარგის დამკვეთებს. ეს მიიღწევა ინფორმაციის შეგროვებისადმი მიზანმიმართული მიდგომით და კონკურენტიანი ფირმის საწყისი მონაცემების გაანალიზებით, რაც ხელმძღვანელობას მისცემს საშუალებას მოიფიქროს

სტრატეგიული მიმართულებები. აუცილებელია შეძლებისდა-გვარად დროზე გამოვლინდეს პოტენციური კონკურენტები, რომლებმაც ძირეული ცვლილებები შეიძლება გამოიწვიონ ეკონომიკაში. ასეთი შეფასებისათვის დიდ როლს თამაშობს საპატენტო ინფორმაცია.

საპატენტო ინფორმაციის გამოყენება საშუალებას იძლევა შესწავლით იქნეს კონკურენტების მოღვაწეობა ყოველგვარ ასპექტში, კერძოდ, საგამომგონებლო აქტიურობა, გააანალიზოს საბოლოო შედეგები, ტექნიკის დონე, აღირიცხოს ცნობილი ფირმები, პერსპექტიული მიმართულებები, ახლად შექმნილი ტექნიკის ობიექტის კონკურენტუნარიანობა, შესაძლებელია გაკეთდეს ბაზარზე ტექნიკის თაობათა ცვლის პროგნოზირება და სხვ.

აქედან გამომდინარე საინვესტიციო და საინოვაციო მოღვაწეობა ორიენტირებული უნდა იყოს მაღალეფექტურ კონკურენტუნარიან სამამულო ტექნოლოგიებზე, რომლებიც სოციალურ სფეროში გამოიყენება.

ამასთან ერთად, უნდა განისაზღვროს დარგი, სადაც თავს მოიყრის სახელმწიფო რესურსები, რომლებიც მიმართული იქნება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისაკენ იმ პერსპექტი-ვით, რომ შედეგები აუცილებლად რეალიზებული იქნება საქონლის სახით ან როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიის პროდუქტი.

სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში საბაზრო ურთიერთობების გავრცელების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის განხორციელება. არაფერს ნიშნავს სამრეწველო საკუთრების დაცვა, თუ არ არსებობს სასა-მართლო და ადმინისტრაციული დაცვის წესრიგი. დღეისათვის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის სამართლებრივ დაცვას სამრეწველო საკუთრების სფეროში უზრუნველყოფს საქართველოს საპატენტო კანონმდებლობა, კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის თაობაზე და კანონმდებლობა ავტორების უფლებების თაობაზე.

სამეცნიერო-ტექნიკური შედეგებისა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ როდესაც დადგენილი წესით გაფორმდება მასზედ განსაკუთრებული უფლება. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი დაცულ იქნეს მწარმოებლის პროდუქცია არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან და კომერციული ურთიერთობა უფლებების გადაცემის დროს სათანადო მატერიალური მოგების მისაღებად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონმდებლობით დაცული სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გამოყენების პრაქტიკა, წარმოების საიდუმლოების დაცვა, როგორიცაა ტექნოლოგიური პროცესის პარამეტრები, სხვადასხვა ოპერაციებისა და მეთოდების განხორციელების მონაცემები და მისთანები, წარმოადგენს საპატენტო სალიცენზიო მოღვაწეობის საფუძველს.

ახალი სამამულო ტექნოლოგიების სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ასპექტს სამეცნიერო-ტექნიკური მოღვაწეობის ტექნოლოგიების სახალხო მეურნეობის ბრუნვაში ჩასართავად, უნდა წარმოადგენდეს კანონშემოქმედებითი მხარდაჭერა, მათ შორის სამრეწველო საკუთრების ობიექტების საზღვარგარეთ დაპატენტებისთვის, რასაც მოიცავს აღნიშნული ტექნოლოგიები, მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული ავტორებისა და ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა უფლებები. მაქსიმალურად უნდა იყვნენ გამოვლენილნი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დამრღვევნი.

წინამდებარე ლექციათა კურსი შემდგომში მთლიანად ეთმობა სამრეწველო საკუთრების შესწავლასა და განხილვას, რაც ვფიქრობთ დაგვეხმარება პატენტმცოდნეობის საქმის ღრმად შესწავლაში.

## § 2. სამრეცველო საკუთრების ობიექტები და მათი ნიშაბის საერთო დახასიათება

### 2.1. გამოგონება

როგორც ცნობილია ინტელექტუალური შრომის შედეგს სამრეცველო საკუთრების სფეროში ძირითადად წარმოადგენს ისეთი ობიექტი როგორიცაა გამოგონება. საპატენტო სისტემისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს „გამოგონების“ ცნების განსაზღვრას. თავისთავად შემოქმედებითი შრომის შედეგი თავდაპირველად იდეის სახითაა წარმოდგენილი ადამიანის ცნობიერებაში და მისი განმარტება თავისებურ, ძნელად გადმოსაცემ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მონინავე კაპიტალისტური ქვეყნების კანონებში გამოგონება წარმოდგენილია ამჟამად უკვე უნიფიცირებული კრიტერიუმებით, რომლებიც საქართველოს საპატენტო კანონმდებლობაშიც არის მოცემული, ესენია: სიახლე, საგამომგონებლო დონე და სამრეცველო გამოყენებადობა. სხვადასხვა ქვეყნების მიერ გამოგონების განმარტებისას ფიგურირებს შემდეგი სახის ტერმინები; როგორიცაა: „მაღალპროგრესული ტექნიკური იდეა“. „საგამომგონებლო ან შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი“, „ნებისმიერი სიახლე ან გადაწყვეტა“, „წარმოების ნებისმიერი ან სამრეცველო ნაწარმის დამზადების ახალი სახეობა“, „განსახიერებადი ახალი იდეა“ და სხვა. თუ დავაკირდებით წარმოდგენილ ტერმინებს, დასკვნის გამოტანა არ გაგვიჭირდება, რადგან გამოგონება ანუ ტექნიკური გადაწყვეტილება ობიექტში ცვლილებების შეტანას გულისხმობს და პრაქტიკული მნიშვნელობისაა სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგისათვის. მე ხაზს უსვამ მის პრაქტიკულ მნიშვნელობას, რადგან წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია ერთ დროს შეიძლება ბაზარზე დიდი მოთხოვნილებითაც სარგებლობდა, მაგრამ გარკვეული დროის გავლის შემდეგ აუცილებელი ხდება მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ამისათვის წარმოება დგას დასმული ამოცანის გადაწყვეტის წინაშე. ეს ამოცანა დგას კერძო მეწარმის წინაშე

თორემ საერთოდ ამოცანა გადაწყვეტილია, რადგან იგივე სახის პროდუცია გამოშვებული სხვა კონკურენტი მეწარმის მიერ ბაზარზე შეიძლება დიდი მოთხოვნილებითაც სარგებლობდეს ე.ი. კონკურენტუნარიანია. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ პრობლემა გადაწყვეტილია, მაგრამ საქმე ის არის, რომ პროდუქციის კონკურენტუანარიანობის ამაღლებისათვის მწარმოებელს მოუხდება ახალი ტექნიკური გადაწყვეტილების ანუ გამოგონების, რომელმაც იგივე სახის პროდუქციას აუმაღლა კონკურენტუანარიანობა, ლიცენზიის სახით შეძენა, რაც ჩემის აზრით წარმოებას გაცილებით ძვირი დაუჯდება ვიდრე დასმული ამოცანის ახლებურად გადაწყვეტა. ეს იმას ნიშნავს, რომ გვერდი აუაროს სხვის პატენტს და უკვე გადაწყვეტილი პრობლემა ახლებურად გადაწყვიტოს. სავალდებულო არაა, რომ გამოგონების განხორციელების შედეგად მიღებული ტექნიკური შედეგი იყოს აუცილებლად ახალი. გამოგონება შეიძლება ხსნიდეს ახალ გზას ცნობილი შედეგის მისაღწევად და ამ შემთხვევაში იგი პატენტუნარიანიად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე ერთი და იგივე მიზანი შეიძლება მიღწეული იქნეს ახალ ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებებით ანუ გამოგონებებით. ჩვენი განმარტებით „გამოგონება არის დასმული ამოცანის ახლებურად გადაწყვეტა, რომელიც უნდა ხასიათდებოდეს სიახლით, საგამომგონებლო დონით და სამრეწველო გამოყენებადობით“. პრობლემა, რომ ახლებურად გადაწყვიტო ახალი ნიშნების მოფიქრება და შემოტანაა საჭირო. ამისათვის მოდით გავეცნოთ გამოგონების ობიექტების ნიშნების დახასიათებას.

საქართველოს საპატენტო კანონი ერთდროულად მოიცავს სამრეწველო საკუთრების ოთხ ობიექტს — გამოგონებას, სასარგებლო მოდელს, დიზაინს და სასაქონლო ნიშანს, რომელიც უშუალოდ ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს, რაც შეეხება სასაქონლო ნიშანს, ჩვენ ამას მოგვიანებით განვიხილავთ.

სანამ სამრეწველო საკუთრების ობიექტებისა და მისი ნიშნების შესწავლას შეუდგებოდეთ მიზანშენონილად მიგვაჩნია

გავერკვეთ თუ რა არ მიიჩნევა საპატენტო კანონის მიხედვით გამოგონებად და სასარგებლო მოდელად, რაც შესაბამისობაშია ევროპის საპატენტო კონვენციის მოთხოვნებთან. ესენია:

- აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური მეთოდი;
- მხატვრული კონსტრუირების შედეგი;
- ალგორითმები და პროგრამები გამოთვლითი ტექნიკისათვის;
- აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, აგრეთვე გონიერივი ოპერაციების შესრულების მეთოდი თამაშობების, გათამაშების ხერხები.
- მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდი;
- ნაგებობათა, შენობათა, ტერიტორიათა დაგეგმარების, პროექტი და სქემა;
- ინფორმაციის წარდგენა;
- სტრუქტურა, რომელიც ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს (მაგ. მანქანები რომელიც მუშობს ენერგოკვების გარეშე).

კანონი ადგენს აგრეთვე რიგ ფაქტორებს, როცა პატენტი არ გაიცემა. პატენტი არ გაიცემა გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე ან დიზაინზე, რომელიც იწვევს არაჰემიანურ, ამორალურსა და/ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებას. პატენტი არ გაიცემა ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მცურნალობის ქირურგიულ, თერაპიულსა და დიაგნოსტიკურ ხერხებზე. ეს აკრძალვა არ ვრცელდება აღნიშნულ ხერხებში გამოყენებულ მოწყობილობებსა და ნივთიერებებზე.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი მოქმედებს უცხოეთის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში. რეალურ მიზეზად აქ საკითხის მორალური და ეთიკურ მხარეს მიიჩნევენ. შესაძლებელია იყოს შემთხვევები, როცა ცოცხალი არსების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაპატენტებული ხერხის გამოყენებაზეა დამოკიდებული, ხოლო მისი გამოყენება კი შესაბამისი უფლების არქონის შემთხვევაში, არაკანონიერად იქნეს მიჩნეული. ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც საპატენტო სისტემა

თავისი კლასიკური გაგებით არ მოქმედებდა და გამოგონების მესაკუთრედ პრაქტიკულად სახელმწიფო გვევლინებოდა, რა თქმა უნდა, ზემოდალნიშნული პრობლემა აქტუალური არ იყო და საავტორო მონომობა სამედიცინო დანიშნულების ხერხზეც გაიცემოდა.

პატენტით დაცვას არ ექვემდებარება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, აგრეთვე მათი გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიური ხერხები.

სელექციის, შეჯვარების გზით მიღებულ ახალ ჯიშებს და სახეობებს არ მიაკუთვნებენ გამოგონების ობიექტებს, რადგან თავისი არსით ისინი იმ ბუნებრივი პროცესების შედეგს წარმოადგენენ, რომლებშიც უშუალოდ აქტიურ ჩართვასა და მართვას ადამიანი არ ახდენს.

ასეთი ობიექტების სამართლებრივი დაცვა საქართველოში, ისევე როგორც მრავალ ქვეყანაში, ხორციელდება კანონით სასელექციო მიღწევების შესახებ.

დიზაინის შემთხვევაში მონობა არ გაიცემა:

- შენობათა ან სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგან სახეზე;
- სხვადასხვა სახის არამდგრადი ფორმის მქონე ობიექტებზე;
- ნაკეთობებზე, რომელთა გარეგანი სახე განპირობებულია არსებითი ნიშნების მხოლოდ ტექნიკური ან ფუნქციური დანიშნულებით.
- უშუალოდ ნაბეჭდ პროდუქციაზე.

საპატენტო კანონი არ ითვალისინებს საიდუმლო გომოგონებასა და სასარგებლო მოდელზე პატენტის გაცემას. პატენტი შეიძლება გაიცეს მხოლოდ მათი გასაიდუმლოების შემდეგ.

ამ ნორმის შემოღება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ობიექტის საიდუმლოებიდან გამომოდინარე პატენტის მფლობელის ძირითადი უფლება — თავის შეხედულებისამებრ გამოიყენოს და განკარგოს გამოგონება, პრაქტიკულად დაუშვებელია.

რაც შეეხება სახელმწიფოსა და განმცხადებლის ურთიერთობებს და მათ შორის ფულადი კომპენსაციის საკითხს, გამოგონების განსაიდუმლოებამდე იგი წესრიგდება სპეციალური ნორმატიული აქტით.

ამ ჩამონათვალზე ჩვენ იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ დამუშავებულია ობიექტის მთელი რიგი ნიშნები, რომლის მიხედვითაც გამოგონების გამოვლენისა და გაფორმების დროს პირველ რიგში განსაზღვრავენ, ეხება თუ არა შემოთავაზებული გადაწყვეტილება გამოგონების დადგენილი ობიექტებიდან ერთ-ერთს. თუ იგი არ ეხება დადგენილი ობიექტებიდან არც ერთს და იგი ხვდება ისეთ ობიექტში რომელზედაც პატენტი არ გაიცემა, რა საკვირველია მასზე შესაბამისად აღარც განაცხადი გაფორმდება. მეორე, უნდა დადგინდეს სახელდობრ რომელ ობიექტს განეკუთვნება წინადადება და მესამე, ეს ნიშნები გვეხმარება შევადგინოთ სწორად, გამოგონების ფორმულა. ტექნიკური გადაწყვეტილების არსის სიტყვიერი დახასიათება ნიშნების ერთობლიობის სახით, აუცილებელია და საკმარისი გამოგონების რეალიზაციისათვის. იმისათვის, რომ სწორად შევადგინოთ გამოგონების ფორმულა, დავაკმაყოფილოთ მოთხოვნა გამოგონების ერთიანობაზე, გამოგონების საგანი ფორმულირდება მხოლოდ გამოგონების ობიექტის ნიშნებისაგან, რომელსაც განეკუთვნება წინადადება. ამისათვის გამოგონების ნიშნების ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია.

გამოგონების ობიექტის ნიშნებს უწოდებენ ყველაფერს, რომელიც მითითებულია გამოგონების ფორმულაში გამოგონების ობიექტის ელემენტების გამოსაყენებლად, კერძოდ; (კვანძები და დეტალები მოწყობილობაში, ოპერაციები მეთოდში, ინგრედიენტები ან კომპონენტები ნივთიერებაში) ელემენტების ყველანაირ ფორმას; ელემენტების ურთიერთგანლაგებას; ელემენტებს შორის ურთიერთკავშირების ყველანაირ ფორმას; ელემენტებს შორის ზომების ურთიერთშეფარდებას; პარამატრების ყველანაირ მითითებას რაც ახასიათებს ტემპერატურას, ელექტრონულ რეჟიმებს და სხვა.

გამოგონების ობიექტის დასახასიათებლად, გამოგონების ობიექტების ყველა ნიშნები შეიძლება დაიყოს თავისი მნიშვნელობების მიხედვით და ჯგუფებად, რომელიც ახასიათებს გამოგონების არსა.

გამოგონების ობიექტის ნიშნებს ყოფენ მთავარ (არსებით), დამატებით (არა არსებით) და შემთხვევით (ზედმეტ) ნიშნებად.

თითოეული გამოგონების ობიექტი, ისევე როგორც ნების-მიერი საგანი ჩვენს ცნობიერებაში აისახება მრავალგავრი ნიშნების სახით, ნიშნები ახასიათებს როგორც მთლიანად ობიექტს ასევე მის ნაწილს, მგალითად მათ შეიძლება დაახასიათონ კონსტრუქცია, ობიექტის ელემენტები, მისი ხარისხი, ზედაპირის სისუფთავე, გაკრასკულობა და ა.შ. ყველა ნიშნების ერთობლიობა განასხვავებს მოცემულ ობიექტს ყველა სხვა ობიექტებისაგან. არ არსებობს ორი ობიექტი, რომელიც აბსოლუტურად ერთნაირი იყოს და გავდეს ერთმანეთს. ყველა-თვის მოიძებნება ნიშანი, რომელიც განასხვავებს მათ ერთ-მანეთისაგან.

ნიშნების მრავალფეროვნება, რომელიც ახასიათებს ობიექტს, არის ნიშნები, რომელიც გამოხატავს გამოგონების არსა, ობიექტის ბუნებას და მის ძირფესვიან თვისებებს, ასეთ ნიშნებს უწოდებენ არსებით ნიშნებს (მთვარს). არსებითი ნიშნების თითოეული მათგანი აუცილებელია და ყველა ერთად საკმარისი გამოგონების ობიექტის დასახასიათებლად. ნიშნების ერთობლიობიდან ერთ-ერთი ნიშნის ამოვარდნაც კი უარყოფით გავლენას ახდენს იმ სასრულელ ტექნიკურ შედეგზე რისთვისაც გამიზნული იყო გამოგონება. თუ არ არსებობს არსებითი ნიშნები, მაშინ არ არსებობს დამატებითი ნიშნებიც. არა არსებითი ნიშნები ანუ დამატებითი ნიშნები ავსებენ არსებითი ნიშნების დახასიათებას ანდა აკონკრეტებენ მას.

არა არსებით ნიშნებში გამოგონება არ შეიძლება მოხდეს, რადგან არა არსებითი ნიშნები ისეთი ნიშნების ერთობლიობაა, რომლის ერთობლიობიდან ნიშნების ამოგდება და ისევ თავის ადგილზე ჩასმა არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს ტექნიკურ შედეგზე.

გამოგონების თითოეული ობიექტი იმისდა მიხედვით, თუ რა ამოცანის გადაწყვეტას ისახავს მიზნად, არსებითმა და დამატებითმა ნიშნებმა შეიძლება შეიცვალოს ადგილები და პირობითად მოგვევლინონ. ძირითადი ნიშნები შეიძლება გახდეს დამატებითი და პირიქით. მაგალითად: ავტომობილის შექმნა ტროპიკული კლიმატისათვის, დამატებითი ნიშანი ავტომობილის ქვედა ნაწილის დაფარვა ანტიკოროზიული საფარით, ხდება ძირითადი ნიშანი. ზოგიერთი ნიშნები კი საერთოდ ზედმეტი ხდება. მაგალითად ზოგიერთ თანამედროვე ავტომობილებზე საერთოდ არ არის დასაქოქი მოწყობილობა, რომელიც ძველი ავტომობილების ძირითად ნიშანს წარმოადგენდა და სხვა.

ფორმალური ლოგიკისთვის საკმარისია ძირითადი და დამატებითი ნიშნების ცნება, მაგრამ საპატენტო საქმეში, გამოგონების ობიექტის ნიშნების ანალიზის დროს ასეთი კლასიფიკაცია ნიშნებისა არასაკმრისია, ამისათვის იძულებული ვართ შევიტანოთ ნიშნების მესამე ტიპი, კერძოდ ზედმეტი ანუ შემთხვევითი ნიშნები.

თუ ძირითადი ნიშნები ახასიათებს ობიექტს და უშუალოდ კავშირშია ტექნიკურ შედეგთან ანუ როგორც ძველად იყო მიღებული მიზანთან, დამატებითი ნიშნები აკონკრეტებს გამოგონების ობიექტს, შემთხვევითი ნიშნები არც ახასიათებს და არც აკონკრეტებს გამოგონების ობიექტს. საქმე იმაშია, რომ, ყველანაირი კონკრეტული ტექნიკური სამუშაო ძირითად და დამატებით ნიშნებთან ერთად შეიცავს ბევრ შემთხვევით ნიშნებსაც, რომელიც ხასიათდება ადგილობრივი კონკრეტული პირობებისათვის და რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს გამოგონების იბიექტის ტექნიკურ შედეგთან. ეს შემთხვევითი ნიშნები ვერ დაახასიათებს გამოგონების ობიექტს, ამისათვის გამოგონების გამოვლენისათვის, კონკრეტული ტექნიკური გადაწყვეტილების დამუშავებისას, უნდა ფიქსირდებოდეს მხოლოდ ძირითადი და დამატებითი ნიშნები, რომელსაც კავშირი აქვს არა მარტო ერთ ობიექტთან არამედ სხვა მსგავს აბიექტთან ამავე კლასიდან.

რეალურად, ტექნიკური დამუშავების ობიექტი რომელზე-დაც გაცემულია პატენტი და გამოგონების ობიექტი, ცნობი-ერებით ერთმანეთს არ ემთხვევიან, რადგან გამოგონების ობი-ექტი არ შეიცავს შემთხვევით ნიშნებს, რომელბიც ძირათად (არსებითი) და დამატებითი (არა არსებით) ნიშნებთან ერთად ახასიათებს რეალურ ტექნიკურ გადაწყვეტილების (დამუშა-ვების) ობიექტს.

აქედან გამომოდინარე, ძირითადი ნიშნების ერთობლიობა აუცილებელია და საკმარისი მისი რეალიზაციისათვის რითაც ხასიათდება გამოგონების არსი. ძირითადი და დამატებითი ნიშნების ერთობლიობა აღნერს გამოგონების კონკრეტული ფორმით შესრულებას. ძირითადი, დამატებითი და შემთხვევითი ნიშნების ერთობლიობა აღნერს კონკრეტულად მანქანას, მოწყობილობას, მეთოდს ან ნივთიერებას რომელიც რეალი-ზებულია მრეწველობაში.

გამოგონების ობიექტის თითოეულ ჯგუფს ახასიათებს თავისი სპეციფიკური ნიშნები, რომელიც ემორჩილებიან საერთო კანონზომიერებას თავისი დანიშნულებით.

გამოგონების ობიექტის დახასიათებისათვის მნიშვნელო-ვანია არა მარტო მთავარი ნიშნების ჩამოთვლა, არამედ უნდა გამოვალინოთ კონკრეტული გამოგონებისათვის ამ ნიშნების ურთიერთკავშირი, რომელიც განსაზღვრავს გამოგონების ერთიანობას ე.ი. განაცხადი ერთ გამოგონებაზე. თუ ისინი არ ემსახურება ერთ მიზანს ერთი ტექნიკური შედეგისათვის ან ერთ საგამომგონებლო იდეით გაერთიანებულ გამოგონებათა ჯგუფს და არსებობს სხვანაირი ურთიერთკავშირი სხვა ტექნიკური შედეგებისათვის, მაშინ დარღვეულია გამოგონების ერთიანობა და საქმე გვაქვს რამოდენიმე გამოგონებასთან, რომელიც საპატენტო კანონის შესაბამისად ცალ-ცალკე განაცხადის გაფორმებას ითვალისწინებს, როგორც გამოცალ-კევებული განაცხადი.

ზოგჯერ ფიქრობენ, რომ გამოგონების ობიექტი ხასიათ-დება მხოლოდ ძირითადი ნიშნებით და დანარჩენს არა აქვს მნიშვნელობა, რადგან გამოყენების ფაქტის დადგენის დროს

იყენებენ გამოგონების ფორმულის მხოლოდ პირველ პუნქტს ანუ დამოუკიდებელ მუხლს, სადაც ჩამოთვლილია გამოგონების ობიექტის მხოლოდ ძირითადი ნიშნები და მათი ურთიერთ-კავშირი, რაზედაც ამბობენ, რომ მხოლოდ ისინი განსაზღვრავენ გამოგონების ძირითად არსს და არ განსაზღვრავენ კონკრეტულ ფორმებს და კერძო ამოცანას, რომელიც საჭიროა გამოგონების დასანერგად. ამისათვის ავტორი როდესაც ადგენს აღნერილობას და ფორმულას უნდა მითითებული იყოს ყველა ნიშნები, როგორც მთავარი ასევე დამატებითიც. რაც შეეხება გამოყენების ფაქტის დადგენას, რაც დღევანდელი ტერმინოლოგიით კონტრაფაქტის დადგენის ფაქტს შეეხება, ჩვენი მოსაზრებიდან გამომდინარე ამაზე ჩვენ ცალკე საუბარი გვექნება.

უამრავი ნიშნები, რომლითაც ხასიათდება გამოგონების ობიექტი (მანქანები, მექანიზმები, პროცესები, ნივთიერებები და ამდაგავარები) შეიძლება კლასიფიცირდეს რამოდენიმე ფორმის ან ჯგუფის მიხედვით. თითოეული გამოგონების ობიექტს (მოწყობილობა, წესი, ნივთიერება) გააჩნია მხოლოდ თავისი ჯგუფის ნიშნები, რომელზეც შემდგომ გვექნება საუბარი, მაგრამ სხვადასხვა სახის ობიექტების ნიშნების ჯგუფებს შორის მაინც შეიძლება გაივლოს პარალელი, რომელიც საერთოა გამოგონების ობიექტის ყველა სახისათვის. თითოეული სახის გამოგონების ობიექტისათვის განასხვავებენ ნიშნების ხუთ ჯგუფს. (იხილეთ დანართი №1).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა არსებობს მსგავსი ნიშნების ცნებაც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს პატენტუნარიანი თუ არა პატენტუნარიანი ობიექტის განსაზღვრის დროს. მსგავს ნიშნებს უწოდებენ იდენტურ და ექვივალენტურ ნიშნებს.

იდენტურ ნიშნებს უწოდებენ ისეთ ნიშნებს, რომელიც შესრულების ფუნქციით, შესრულების ფორმითა და მიღწეული შედეგით ე.ი. კონსტრუქციით, მასალებით, ტექნოლოგიებით და ა.შ. თანამთხვევადია განცხადებული ობიექტის ნიშნების ერთობლიობისა.

ნიშნების ექვივალენტურობის განსაზღვრისათვის მხედ-ველობაში მიიღება მათი ურთიერშენაცვლების უნარიანობა ე.ი. ნიშნები, რომელიც ასრულებს ერთი და იგივე ფუნქციას, რომელიც შეიძლება განსხვავებული იყოს შესრულების ფორმით (კონსტრუქციით, ტექნოლოგიით ანდა მასალით).

ნიშნების ექვივალენტურობა განისაზღვრება აგრეთვე იმით, რომ ექვივალენტური ნიშნის გამოყენება განცხადებულ ობიექტში არ ანიჭებს უკანასკნელს რაიმე დამატებით სასარგებლო თვისებებს ანდა რაიმე არსებით უპირატესობას ანალოგის მიმართ.

აღნიშნულ საკითხებზე, ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი ექსპერტიზის შესწავლის დროს.

## 2.2. სასარგებლო მოდელი

სასარგებლო მოდელი იგივე გამოგონებაა, რომელიც ხასიათდება გამოგონებასთან შედარებით ნაკლები საგამოგონებლო დონით, ამდენად, ეს ობიექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ძლიერი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი, მაგრამ აქვთ უნარი ახლებურად გადაწყვიტონ პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანები.

ამასთან, როგორც საერთაშორისო და საკუთარი გამო-ცდილება გვიჩვენებს, სასარგებლო მოდელები ძირითადად მოიცავენ დარგებს, რომელიც დაკავშირებული არიან ფართო მოხმარების საგნების წარმოებასთან.

სასარგებლო მოდელი განიხილება „მცირე გამოგონებად“ ანუ „მეორე კლასის გამოგონებად“. თავისი შინაარსით სასარგებლო მოდელი შეიძლება მიეკუთვნოს „ტექნიკური გაუმჯობესებათა“ რიცხვს.

საზღვარგარეთ, ძირითადში სასარგებლო მოდელად მოწყობილობათა გაუმჯობესებას იცავენ. მაგრამ უკვე შეიმჩნევა

ტენდენცია დაცვის გაფართოებისაკენ. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სასარგებლო მოდელი განმარტებულია როგორც მოწყობილობების, ნივთიერებებისა და ხერხების გაუმჯობესება. აქედან გამომდინარე სასარგებლო მოდელი განსხვავდება გამოგონებისაგან იმით, რომ იგი უკვე არსებული ობიექტის მხოლოდ გაუმჯობესებას წარმოადგენს. არ არის აუცილებელი, რომ სახეზე იყოს რაიმე სტრუქტურული ცვლილება, რაც ახალ თვისებებს შესძენს ობიექტს. საკმარისია რაოდენობრივ-შეფარდებითი ცვლილებების შეტანაც ობიექტში, ანუ ჯამური ხარისხის გაუმჯობესების გამოვლენა, რათა მივიღოთ სასარგებლო მოდელის პატენტით დაცვის საგანი. ამიტომაც უწოდებენ მას „მცირე გამოგონებას“.

რაც შეეხება ტერმინს, უკვე არსებული ობიექტის გაუმჯობესებას, იგი შეიძლება დაუკავშიროთ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მოქმედ ისეთ ობიექტს, როგორიც იყო რაციონალიზატორული წინადადება. შეიძლება ითქვას, რომ სასარგებლო მოდელი რაციონალიზატორული წინადადების ნაირსახეობაა. რაციონალიზატორული წინადადება შეიტანებოდა იმ წარმოება-დაწესებულებებაში, რომელსაც ეკუთვნოდა წინადადება თავისი არსითა და შინაარსით, მიუხედავად იმისა მუშაობდა თუ არა იქ ავტორი. მისი ერთადერთი და მთავარი კრიტერიუმი იყო წარმოებში არსებული რომელიმე ობიექტის გაუმჯობესება. მას არ წაეყენებოდა საგამომგონებლო დონისადმი მოთხოვნები, იგი უნდა ყოფილიყო ახლი იმ წარმოება-დაწესებულებისათვის, სადაც იგი შეიტანებოდა და რა საკვირველია უნდა ყოფილიყო გამოყენებადი. თუ წარმოება-დაწესებულებებაში მოქმედი კომისია ჩათვლიდა, რომ იგი სასარგებლო იყო და აუმჯობესებდა უკვე არსებულ ობიექტს, მასზედ წარმოება-დაწესებულების მიერ გაიცემოდა დამცავი დოკუმენტი, რომელსაც მოწმობა ერქვა და ეკონომიური ეფექტის შემთხვევაში თვით წარმოება-დაწესებულება გასცემდა გასამრჯელოს არა უმეტეს 5000 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე შედარების საფუძველზე სასარგებლო მოდელიც უნდა აკმაყოფილებდეს სიახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

სასარგებლო მოდელის სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების, ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სფეროებში.

ტექნიკის არსებულ დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომლებიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, ზეპირი აღნერით, აგრეთვე საქართველოში გამოყენებით და შეეხმ იმავე დანიშნულების მოწყობილობებს, ნივთიერებებსა და ხერხებს განაცხადის შეტანის თარიღამდე.

სასარგებლო მოდელის სიახლის დადგენისას ტექნიკის დონეს, სხვა საინფორმაციო წყაროს გარდა, მიეკუთვნება „საქპატნტში“ გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი. სიახლე დგინდება მხოლოდ ერთი საინფორმაციო წყაროს განხილვის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასარგებლო მოდელების უფლებრივი დაცვის თავისებურებებს წარმოადგენს შედარებით ნაკლებმიშვნელოვანი მოთხოვნები, რომლებიც საგამოგონებლო შემოქმედების დონეს ეხება. აუცილებელია, რომ ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტა რომლის შედეგსაც სასარგებლო მოდელი წარმოადგენს, ტექნიკის მოცემულ დარგში გათვით-ცნობიერებული პირისათვის ცხადად არ უნდა გამომდინარეობდეს ტექნიკის არსებული დონიდან.

როგორც ცნობილია, ეს კრიტერიუმები სუბიექტურ ხასიათს ატარებს და ამიტომ ზღვარის დადგენა გამოგონებასა და სასარგებლო მოდელს შორის ძალზე რთულია. პრაქტიკაში ხშირად ერთი და იგივე ტექნიკური გადაწყვეტა ერთ ქვეყანაში დაცულია გამოგონებაზე, ხოლო მეორე ქვეყანაში სასარგებლო მოდელად. სასარგებლო მოდელის გამოგონებასთან მიახლოების გამო სასარგებლო მოდელზე განაცხადი, შეიძლება იყოს საფუძველი გამოგონებაზე შეტანისათვის და პირიქით.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს გარდაქმნას განაცხადი გამოგონებაზე, განაცხადად სასარგებლო მოდელზე და პირიქით.

ობიექტები, რომლებიც სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა იგივეა რაც გამოგონების და აქ ჩამოთვლას აღარ შეუდგებით.

როგორც ზემოთ უკვე ავლნიშნეთ, საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, სასარგებლო მოდელი წარმოადგენს გაუმჯობესებულ მოწყობილობას, ხერხს ან ნივთიერებას.

მოწყობილობას, როგორც სასარგებლო მოდელის ობიექტს, განეკუთვნება გაუმჯობესებული კონსტრუქციები და ნაკეთობები, მანქანა-მექანიზმები, დანადგარები, ხელსაწყოები, იარაღები, ელექტროსქემები, მცირე არქიტექტურული ფორმები და მათი ელემენტები და სხვ. მოწყობილობების დასახასიათებლად გამოიყენება ნიშნები, რომელთა მეშვეობით უმჯობესდება:

- თვით მოწყობილობა (კვანძები);
- კონსტრუქციული ელემენტი (ელემენტები);
- ელმენტების ურთიერთგანლაგება;
- ელემენტის (ელემენტების) ან მთლიანად მოწყობილობის შესრულების ფორმა, კერძოდ გეომეტრიული ფორმა და ა.შ.
- ელემენტებს შორის კავშირების შესრულების ფორმა;
- ელემენტის (ელემენტების) პარამეტრები, ან სხვა მახასიათებლები, ან მათი ურთიერთკავშირი;
- მასალა, რომლისგანაც შესრულებულია ელემენტი (ელემენტები).

მოწყობილობის დასახასიათებლად გამოიყენება ელემენტის (ელემენტების) ზომათა ურთიერთშეფარდება.

ხერხს, როგორც სასარგებლო მოდელის ობიექტს, განეკუთვნება მატერიალურ ობიექტზე (ობიექტებზე) ურთიერთდაკავშირებულ მოქმედებათა შესრულების გაუმჯობესებული პროცესები:

- ილეთების, ოპერაციების, პროცესების შესრულების რეზიმები და კონკრეტული ტექნოლოგიური პარამეტრები (წნევა, ტემპერატურა და ა.შ.);

- მოწყობილობათა, მასალათა გამოყენების სხვადასხვა პირობები;

- იღეთები, ოპერაციებში, პროცესებში გამოყენებული ელემენტები, მასალები.

ამასთან ხერხი ხასიათდება:

- იღეთების, ოპერაციების, პროცესების თანმიმდევრობის შეცვლით (ერთდროულად, სხვადასხვა სახით შეთავსებით და ა.შ.);

- იღეთებში, ოპერაციებში, პროცესებში გამოყენებულ მასალათა თანაფარდობათა ცვლილებებით (მაგ. რაოდენობრივი, პარამეტრული და ა.შ.)

ნივთიერება, როგორც სასარგებლო მოდელის ობიექტს, განეკუთვნება კომპოზიციები. ნივთიერების დასახასიათებლად გამოიყენება:

- ინგრედიენტები, კომპონენტების თანაფარდობა, მათ შორის რაოდენობრივი, სტრუქტურული, შემადგენლობით;

- ინგრედიენტების, კომპონენტების თვისობრივი ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები.

რაც შეეხება სასარგებლო მოდელის საგანაცხადო მასალების თავისებურებას და „საქპატენტში“ წარდგენას, მას ჩვენ გამოგონების საგანაცხადო მასალებთან ერთად განვიხილავთ შემდგომ ლექციაზე.

## 2.3. დიზაინი

ფართო გაგებით, დიზაინი არის სასარგებლო ნაკეთობის ორნამენტული ან ესთეტიკური გარეგანი სახე. ორნამენტული გარეგანი სახე მოიცავს ნაკეთობის ფორმას და/ან მის დეკორაციულ გაფორმებას და/ან ფერს. გარდა ამისა, ნაკეთობის ორნამენტული ან ესთეტიკური სახე უნდა უზრუნველყოფდეს მიმზიდველობას.

ნაკეთობა უნდა ექვემდებარებოდეს ტირაჟირებას სამრეწველო მასშტაბით, წინააღმდეგ შემთხვევაში ობიექტი შეიძლება

კლასიფიცირებულ იქნეს როგორც ხელოვნების ნიმუში და დაცული იყოს საავტორო უფლებით. დიზაინი არის მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოხატულება, რომელიც გამომდინარებს თვით პროდუქტის ნიშნებისაგან, მათ შორის, ხაზებისაგან, კონტურებისაგან, ფორმისაგან, ტექსტურისაგან ან/და მასალისაგან, ან პროდუქტის მორთვისაგან. პროდუქტი არის ნებისმიერი სამრეწველო ან ხელნაკეთი საგანი, მათ შორის, საფუთავის გაფორმება, გრაფიკული სიმბოლო, ტოპოგრაფიული შრიფტი, შედგენილ პროდუქტში ჩასართავად განკუთვნილი შემადგენელი ნაწილი, კომპიუტერული პროგრამის გარდა.

რიგი ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად, იმისათვის, რათა დიზაინი ექვემდებარებოდეს დაცვას, მას უნდა გააჩნდეს სიახლე, სხვა ქვეყნების კანონით — ორიგინალობა.

დიზაინის მნიშვნელოვან განვითარებასთან ერთად ბოლო წლების მანძილზე მომხმარებლები სულ უფრო დაინტერესებულნი არიან, რათა საქონლის სარგებლიანობა შეთავსებული იყოს მის სასიამოვნო გარეგან სახესთან. ამის გამო მეწარმეებმა გაზარდეს ხარჯები დიზაინის გასაუმჯობესებლად და შესაბამისად გაიზარდა დიზაინერების შემოქმედებითი შრომის შედეგებიც.

დიზაინის ქვეშ იგულისხმება სამრეწველო ნაკეთობის გარე სახე, ფორმა და არა თვით ნაკეთობა. ამასთან კონსტრუქციის ელემენტები, ნაკეთობის შიდა სახე არ მოექცევა დიზაინის ცნების ქვეშ. მაგალითად, ტელევიზორის გარე სახე შედის ამ ცნებაში, ხოლო დეტალების განლაგება მის შიგნით — არა. ტელევიზორის ორიგინალური ელექტრული სქემა მიეკუთვნება გამოგონების ობიექტს. დიზაინის სახით შეიძლება იყოს რეგისტრირებული ორიგინალური გარე სახე ისეთი ნაკეთობებისა როგორიცაა ჩარხები, საათები, ელექტროსაპარსები, შანდლები და ა.შ.

საქართველოს დიზაინის კანონის შესაბამისად, შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი დიზაინი, რომელიც წარმოადგენს მთლიანი პროდუქტის ან მისი ნაწილის მხატვრულ კონსტრუქციულ

გარეგან სახეს და რომელიც აქმაყოფილებს სიახლისა და ინდივიდუალურობის კრიტერიუმებს.

დიზაინი ახალია, თუ მისი არსებითი ნიშნების ერთობლიობაში რომელიც განსაზღვრავს მთლიანი ნაკეთობის ან მისი ნაწილის ესთეტიკურ თავისებურებებს, საყოველთაოდ არ არის ცნობილი წერილობით, ზეპირი აღნერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით „საქპატენტში“, განაცხადის შეტანის თარიღამდე. დიზაინის სიახლის დადგენისას მხედველობაში მიიღება „საქპატენტში“ შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მას აქვს უფრო ადრინდელი პრიორიტეტი.

დიზაინი ინდივიდუალურია, თუ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს ინფორმირებულ მომხმარებელზე, განსხვავდება საერთო შთაბეჭდილებისაგან, რომელსაც იმავე მომხმარებელზე ახდენს სხვა დიზაინი, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის პრიორიტეტის თარიღამდე.

დიზაინის ინდივიდუალურობის შეფასებისას ითვალისწინებენ მისი შექმნისას დიზაინერის თავისუფლების ხარისხს.

დიზაინი უნდა ხასიათდებოდეს მხატვრული ღირსებით, რომელიც მიიღწევა სხვადასხვა კაზმულობებით, ფორმების ორიგინალობითთ, ფერებში გადაწყვეტის თავისებურებებით. ყოველივე ეს არსებითად უნდა განასხვავებდეს დიზაინს უკვე ცნობილი დიზაინისაგან, ამსთან, მისი მხატვრული ღირსებები არ უნდა განიხილებოდეს როოგრც მხოლოდ ხელოვნების ნაწარნოებები.

დიზაინი შეიძლება იყოს მოცულობითი, ბრტყელი და კომბინირებული.

მოცულობითი დიზაინი ხასიათდება ისეთი კომპოზიციით, რომელსაც საფუძვლად უდევს სივრცულად განვითარებული სტრუქტურა. მაგალითად, ჩარხის, მაგიდის, ჭალის და ა.შ. გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა.

ბრტყელი დიზაინის დამახასიათებელ კომპოზიციას საფუძვლად უდევს გრაფიკულ-ნირითი ელემენტების ისეთი შეხამება, რომელიც მის მოცულობით აღქმას გამორიცხავს. მაგალი-

თად, ხალიჩის, თავსაფრის, ქსოვილის გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა.

კომპინირებულ დიზაინს უნდა გააჩნდეს როგორც მოცულობითი, ასევე ბრტყელი დიზაინისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები, მაგალითად: საინფორმაციო ტაბლოს, ასაწყობი კონსტრუქციის (კომპოზიციის) და ა.შ. გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა.

დიზაინად არ შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ობიექტების მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა:

- ნაკეთობები, რომელიც მიღებულია და შეფასებულია საავტორო უფლებების ნორმებით, როგორც დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები;

- ნაკეთობები, რომელსაც აქვს უმარტივესი გეომეტრიული ფორმა;

- სათამაშოს, როგორც რეალური ობიექტების ასლი; სათამაშოს გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა უნდა ნარმოადგენდეს საგნობრივი სამყაროს რეალური ობიექტების ფორმის აზრობრივი დატვირთვის შემოქმედებით ცვლილებას, ამიტომ ის უნდა იყოს საყოველთად ცნობილი ობიექტის არა მარტო ახალი, არამედ მისი მხატვრული გარდასახვა;

- ნაკეთობები, რომლებშიც პროტოტიპთან შედარებით შეცვლილია მხოლოდ ზომები, პროპორციები და ელემენტების რაოდენობა;

- ნაკეთობები, რომელიც ხელოვნურად ინარჩუნებენ განსაზღვრული დანიშნულების მქონე ნაკეთობების ფორმას, მაგრამ დამზადებული არიან სხვა მასალისაგან (მაგალითად, პლასტიმასის კასრი, რომელიც ნარმოადგენს ხის კასრის იმიტაციას);

- ნაკეთობები, რომლებიც, მთლიანად ან ნაწილობრივ იმეორებენ ცნობილი ობიექტების ფორმებს, შემოქმედებითი გადამუშავების გარეშე;

- ნაკეთობებს, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საზოგადოებრივ ინტერესს ან მორალს;

- შენობის ან სხვა უძრავი ნაგებობის, მაგალითად, ქარხნის, ხიდის და ა.შ. გარეგნული სახე.

- არამდგრადი ფორმის მქონე ნაწარმის, როგორიცაა თხევადი, აირისებრი, ფხვიერი და სხვა.

რაც შეეხება დიზაინის საგანაცხადო მასალების თავისებურებას და „საქპატენტში“ წარდგენას მას ჩვენ გამოგონების საგანაცხადო მასალებთან ერთად განვიხილავთ შემდგომ ლექციაზე.

**ნიშნების კლასიფიცირება ჯგუფების მიხედვით, რომლითაც  
ხასიათდება გამოგონების ოპიექტი**

**დანართი 1.**

ნიშნის №№	ნიშნის მნიშვნელობა	ნიშნები		
		მასალების მიმართ	ს	აღმასრისადგენი
I	სტრუქტურა	ელემენტები (კვანძები, დეტალები)	მიღება, ოპერაციები	ინგრედიენ- ტები
II	ურთიერთ- განლაგება და ურთი- ერთკავშირი	ურთიერთგანლა- გება და ელემენ- ტების ურთიერთ- კავშირი	ოპერაციის თანმიმდევ- რობა	ინგრედიენ- ტების ურთიერთ- განლაგება
III	ფორმები	ელემენტების გეომეტრიული ფორმა, ელემენტე- ბის ურთიერთ- კავშირების ფორმა	რეჟიმი, კონკრეტული ტექნოლო- გიური პარამეტრები	ცალკეული ინგრედიენ- ტების ფორმები
IV	ურთიერთ- თანა- ფარდობა	ელემენტების ზომათა ურთიერთ- თანაფარდობა	პროცესში გამოყენებული მასალების ურთიერთ- თანაფარდობა	ინგრედიენ- ტების ურთიერთ- თანაფარდობა
V	მასალები	მასალა, რომლისგანაც შესრულებულია ელემენტები	ელემენტები და მასალები, რომელიც გამოყენე- ბულია პროცესებში.	ინგრედიენ- ტების თვისებები

### **წ3. გამოგონების ოპირატორი და მათი ნიშვნები**

#### **3.1. მოწყობილობა, როგორც გამოგონების ოპირეტი**

მოწყობილობა გამოგონების ისეთი ოპირეტია, რომელიც წარმოადგენს ფუნქციურ და კონსტრუქციულ ერთიანობაში მყოფ კონსტრუქციულ ელემენტებს ან მათ ერთობლიობას. მოწყობილობებს უწოდებენ აგრეგატებს, მანქანებს, მექანიზმებს, შრომის იარაღებს, ინსტრუმენტებს და შრომის განვითარებულ სხვა პროდუქტებს, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად, ბუნებაზე ზემოქმედებისათვის ან საზოგადოების ნებისმიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მოწყობილობები ორი სახისაა.

პირველს მიეკუთვნება ხელსაწყოები, ინსტრუმენტები, შრომის იარაღები, მზა ნაკეთობები. პირველი სახის მოწყობილობები ხასიათდება იმით, რომ არც თვით ისინი, არც ელემენტები, რომლებისგანაც ისინი შედგებიან, მუშაობის პრცესში არ არიან დაკავშირებული ერთმანეთს შორის ფუნქციონალურად, მაგალითად, საზეინკლო ან სადურგლო ინსტრუმენტები, დეტალები მათ აწყობამდე და ა.შ.

მეორე სახეს მიეკუთვნება აგრეგატები, მექანიზმები, მოწყობილობები, ელექტროსქემები და მისთანები, რომელთა კვანძები და დეტალები გამოყენების პროცესში ფუნქციონალურ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ხშირად ამ სახის მოწყობილობათა ელემტოაგანი წარმოადგენს ენერგიის წყაროს.

მოწყობილობას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები:

- ელემენტები, ე.ი. დეტალები, კვანძები, აგრეგატები და მოწყობილობაში შემავალი მათი მსგავსი დამთავრებული მატერიალური ერთეულები;
- ელემენტების ურთიერთმდებარეობა;
- ელემენტების ურთიერთკავშირი, ე.ი. დამაკავშირებელი ორგანოების ან მოქმედებების სახე, რომელთა დახმარებითაც

მოწყობილობის ზემოქედებას ახდენენ ერთიმეორებზე, რითაც უზრუნველყოფენ მოწყობილობის გამართულ მუშაობას.

- მთელი მოწყობილობის ან მისი ნაწილების ელემტების ფორმა, აგრეთვე ელემენტების ურთიერკავშირის ფორმა;

- ელემენტების ზომების თანაფარდობა;

- მასალა, რომლისგანაც შესრულებულია ელემეტი, ელემტების ჯგუფი ან მოწყობილობის ყველა ელემენტი.

კომპინაციური გამოგონების შემთხვევაში აუცილებელი არაა მიღებული ეფექტის სიახლე. თვით იგი შეიძლება იყოს ტექნიკაში ცნობილი, მთავარია მისი ხარისხის მიხედვით.

თუ ნაერთის თითოეული ელემენტი აგრძელებს ადრე ცნობილი თავისი ფუნქციის შესრულებას და მისი ზოგადი ეფექტი ნარმოადგენს შემადგენელი ეფექტების ჯამს, ასეთი ნაერთი მიიჩნევა აშკარად და მას აგრეგატი ეწოდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ცნობილი ელემენტების შეერთება ახალ ეფექტს იძლევა, მაშინ ხორციელდება კომპინაცია და იგი პატენტუნარიანია, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ცნობილი ელემტების შეერთება არ იძლევა ხარისხის მიხედვით ახალ შედეგს, მიიჩნევა აგრეგატად და იგი არაპატენტუნარიანია.

მსოფლიო საპატენტო ანალიზი ცხადყოფს, რომ ბოლო ხანს აგრეგატის ცნება არსებით ცვლილებას განიცდის, მაგალითად აშშ-ში XIX საუკუნის ბოლოს იყო შემთხვევა, როცა გაუქმდა პატენტი, რომელიც გაცემული იყო ფანქარზე, საშლელით ბოლომი. სასამართლომ დაპატენტებული გამოგონება ჩათვალა ადრე ცნობილი ელემტების (ფანქრის და საშლელის) უბრალო აგრეგატად, რამდენადაც არ ხდებოდა მათი ურთიერთმოქმედება და შერწყმისას ისინი ჯამობრივ და არა ხარისხის მიხედვით ახალ ეფექტს იძლეოდნენ, თუმცა უკვე 70-იან წლებიდან ზოგიერთ ქვეყანაში აგრეგატის დადგენილი ცნება ცვლილებას განიცდის. თუ ცნობილი ელემტების შეთავსება, მიუხედავად მათი ჯამობრივი ეფექტისა, მომხმარებელს გარკვეულ ხელსაყრელ პირობებს უქმნის, ასეთი შეთავსება მთელ რიგ ქვეყნებში პატენტუნარიანად მიიჩნევა. მაგალითად 1972 წელს აშშ-ში

გაცემული იყო პატენტი, ბავშვის კოვზზე თერმომეტრით, ხოლო 1974 წელს საფრანგეთში — სავარცხელზე სკალით.

აგრეგატებზე ჩვენ იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ იგი მოწყობილობის მეორე სახის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს განეკუთვნება და პატენტუნარიანობის თვალსაზრისით საკამათო ობიექტს წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხს ჩვენ სხვა ობიექტებთან მიმართებაში პატენტუნარიანობის ექსპერტიზის შესწავლის დროს ისე დაუბრუნდებით.

### 3.2. ხერხი, როგორც გამოგონების ობიექტი

ხერხი, როგორც გამოგონების ობიექტი წარმოადგენს მატერიალურ ობიექტზე ურთიერთდაკავშირებულ მოქმედებათა შესრულების პროცესს (პროცესებს).

ხერხებს მიეკუთვნება: ნედლეულის და მასალების, დამზადებისა და მიღების ხერხები: ტექნოლოგიური პროცესები, როგორც მატერიალურ ობიექტებზე მათი სასარგებლო გარდაქმნის მიზნით მიმართულ მოქმედებათა ერთობლიობა — მზა პროდუქტებად და ნაწარმად მასალებისა და ნახევარფაბრიკატების დამუშავებისა და გადამუშავების პროცესები, მზა ნივთიერებათა მავნე გავლენისაგან დაცვის, მათი შენახვის უზრუნველყოფის, აგრეთვე პროდუქტებისა და ნაწარმის მარკირების, დაფასოების, ჩაწყობის, დოზირების და შეფუთვის ხერხები; გაზომვის, გამოცდისა და მზადყოფნის კონტროლის, საიმედოობის, ბუნებაში ხელოვნურად შექმნილი ან არსებული ობიექტების ან მოვლენების დასახული პარამატრების შესატყვისობის ხერხები; ნაკეთობების, მოწყობილობების, ნაგებობების მონტაჟის, აწყობისა და დაყენების ხერხებს, გაწყობის, გამართვის, მოვლის, მართვისა და რეგულირების, ავარიული სიტუაციების წინასწარ გაფრთხილების ხერხები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელსაწყოების, მანქანების, აგრეგატების, ნაკადური ხაზების ნორმალურ ფუნქციონირებას; საწარმოო ან სხვაგვარი ნარჩენების განადგურებისა და გადამუშავების, გაწმენდის,

გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვის და სხვა ხერხები; ბუნების ბუნებრივ პროცესებზე და მოვლენებზე, მათთვის სასარგებლო მიმართულებების მიცემის მიზნით, ზემოქმედების ხერხები — მაგალითად, ფეხიერი ქვიშების დამაგრების, მცენარეთა და ცხოველთა ზრდის სტიმულირების და სხვა ხერხები; ადამიანისა და ცხოველების დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხერხები.

ხერხს ისევე როგორც მოწყობილობას, აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები;

- ოლეთები, ოპერაციები, პროცესები;
  - ოპერაციების შესრულება ე.ი. სხვადასხვა მიზანდასახული მოქმედება, რომელიც სრულდება განსაზღვრული მიზნისათვის;
  - პროცესის ილეთის, ოპერაციის შესრულების თანმიმდევრობა;
  - პროცესის ილეთის, ოპერაციის ჩატარების რეჟიმი. ე.ი. კონკრეტული პარამეტრები (ტემპერატურის, წნევის, კონცენტრაციის და ა.შ.)
  - მასალების ურთიერთთანაფარდობა, რომელიც გამოიყენება ოპერაციის, ილეთის, პროცესის ჩატარების დროს;
  - ელემენტების (აპარატების, მექანიზმების, მანქანების, საკონტროლო გამზომი ხელსაწყოების და სხვა) და მასალების (წედლეულის, ნახევარპროდუქტების და სხვა) გამოყენება პროცესის, ოპერაციის, ილეთის ჩატარების დროს.
- საპატენტო კანონით დადგენილია, რომ გამოგონებად არ ჩაითვლება ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მკურნალობის ქირურგიული, თერაპიული და დიაგნოსტიკური ხერხები, რატომ და რისთვის ეს საკითხი განხილულია წინა თავში.

### **3.3. ნივთიერება, როგორც გამოგონების ობიექტი**

ნივთიერება, როგორც გამოგონების ობიექტი, ახალი ხელოვნურად შექმნილი მატერიალური წარმონაქმნია, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების, ინგრედიენტების, კომპონენტების ერთობლიობას.

ნივთიერებებს, როგორც გამოგონების ობიექტებს განეკუთვნება ქიმიური ან არაქიმიური წესით მიღებული ნარევები, სხნარები, შენადნობები, სხვადასხვა კომპოზიციები.

ნივთიერების ქვეშ გაიგება შემადგენლობით დამასასიათებელი, თავისი სტრუქტურის მიხედვით, ჩვეულებრივ, ერთიანი და სხვადასხვა ელემენტის დამზადებისათვის საჭირო და მზა პროდუქტის სახით გამოყენებული, ხელოვნურად შექმნილი მასალები, ნითიერებები, რომლებიც მიღება ინგრედიენტების მექანიკური შერევით; მაგალითად, ნარევები, შემადგენლობები, ფერადი და შავი ლითონების სხვადასხვა მარკები, სხვადასხვაგვარი კონსტრუქციული მასალები, საგოზავები და მისთანები. ნივთიერებები, მიღებული ფიზიკ-ქიმიური გარდაქმნით, რომლის დროსაც მექანიკურ შერევასთან ერთად წარმოებს ზოგიერთი პრაქტიკულად ძნელად გამოსავლენი ქიმიური პროცესები. შენადნობები, კერამიკული მასალები, სამშენებლო მასალები, შუშები და სხვა. მასალები, რომელიც შედგებიან მრავალი სხვადასხვა მოლეკულისაგან რის გამოც გამოსახვა შეუძლებელია ქიმიური ფორმულით, ასეთი ნივთიერებები განიხილება როგორც მექანიკური ხერხით მიღებული; მათ შორის ნივთიერებები მიღებული ქიმიური ხერხით, ან ქიმიური შენაერთებით, მათ რიცხვში მაღალმოლეკულიანიც.

ნივთიერებას, რომელიც მიღებულია არა ქიმიური ხერხით, ახასიათებს შემდეგი ნიშან-თვისებები;

- ინგრედიენტები ე.ო. დამუშავების შემდეგ, შედნობის შემდეგ ნივთიერების შემადგენელი კომპონენტები;
- ინგრედიენტების ურთიერთმდებარეობა;
- ცალკეული ინგრედიენტების ფორმა;
- ინგრედიენტების შეფარდება (პროპორცია);

- ინგრედიენტების დახასიათება.

ნივთიერება, რომელიც მიღებულია ქიმიური ხერხებით, ხასიათდება ნიშან-თვისებით, რომელიც განსაზღვრავენ მის თვისობრივ (განსაზღვრული ელემეტების ატომები) და რაოდენობრივ (თითოეული ელემენტის ატომების რიცხვი) შედგენილობას, ატომებს შორის ქიმიურ კავშირს და მათ ურთიერთგანლაგებას მოღებულაში. ყველა ამ ნიშან-თვისების ერთობლიობა აუცილებლია და საკმარისია ქიმიური შენაერთების არსის, ე. ი. მისი ქიმიური ბუნების დახასიათებისას და შეიძლება გამოსახულ იქნეს ქიმიური შენაერთების მოღებულის სტრუქტურული ფორმულით. მაგალითად  $H_2O$  — წყალი; თვისობრივი შედგენილობა – წყალბადი და ჟანგბადი; რაოდენობრივი შედგენილობა — წყალბადის ორი ატომი და ჯანგბადის ერთი ატომი; სხვა მახასიათებლების გამოსახვისათვის აუცილებლია სტრუქტურული ფორმულა  $H-O-H$ , რომლიდანაც ნათელია ატომებს შორის ქიმიური კავშირი და მათი ურთიერთგანლაგება. სტრუქტურული ფორმულა საკმარისია შენაერთის ქიმიური ბუნების გამოსახვისთვის, რადგან იგი შეიცავს ყველა ნიშან-თვისებას, რომელიც ახასიათებს ქიმიურ შენაერთს.

ქიმიური შენაერთი ხასიათდება ახალი სტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური შედეგის მიღებას.

სტრუქტურით ცნობილი ბუნებრივი შენაერთები, რომლებიც სინთეზირებულია პირველად, არ შეიძლება იყოს გამოგონების ობიექტი. გამოგონების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ბუნებრივი შენაერთის სინთეზის ხერხი, თუ ის ახალია.

ქიმიური შენაერთები, რომელთა სტრუქტურა მიეკუთვნება შენაერთების ცნობილ ჯგუფს რომლებიც მიღებულია ტრავიალური ხერხით და ფლობენ მოცემული ჯგუფისათვის ცნობილ თვისებებს, არ შეიძლება მიეკუთვნოს გამოგონების ობიექტებს, თუმცა კი იძლევა დადებით ეფექტს. გამოგონების ობიექტი შეიძლება იყოს ასეთი შენაერთების მიღების ახალი ხერხი.

ბიოლოგიურად აქტიური ქიმიური შენაერთები, რომელთა სტრუქტურა მიეკუთვნება შენაერთების ცნობილ ჯგუფს და რომელთა თვისებები ამ ჯგუფის თვისებების იდენტურია, შეიძლება მიჩნეულ იქნენ გამოგონებად, რომლებიც აფართოებენ ცოცხალ ორგანიზმზე ზემოქმედებათა საშუალებების არსენალს.

პოლიმერებისათვის (მაღალმოლეკულური შენაერთები) დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: ქიმიური შედგენილობა, მიკრომოლეკულის ერთი რგოლის სტრუქტურა, მიკრომოლეკულის სტრუქტურა მთლიანად (ხაზობრივი, ხაზობრივი განშტოებით, შეერთებული, განშტოებული, სტერეორეგულარული) მოლეკულური მასა (წონა). ეს ნიშან-თვისებები განსაზღვრავენ პოლიმერის თვისებებს.

მიკრომოლეკულის ერთი რგოლის ქიმიური შედგენილობა და სტრუქტურა შეიძლება გამოისახოს პოლიმერის სიმბოლოთი და დასახელებით. მაგალითად ( $\text{CH}_2 - \text{O}$ ) პოლიექსიმეთილენი:  $(\text{CH}_2 - \text{C}(\text{CH})_3 = \text{CH} - \text{CH}_2)$  — ნატურალური კაუჩუკი.

მაკრომოლეკულის სტრუქტურა მთლიანად და მოლეკულური წონა შეიძლება იყოს გამოსახული კონკრეტულად, მაგალითად, შეერთებული პოლიმერული მოლეკულური წონით  $10000 + 150000$ . ან ნიშან-თვისებების ახალი ერთობლიობა, რომელიც ტექნიკურ შედეგს გვაძლევს, საშუალებას იძლევა მივიჩნიოთ პოლიმერი გამოგონების ობიექტად.

საპატენტო კანონი ადგენს გამონაკლისს ტექნიკის არსებული დონით ცნობილი ისეთი ნივთიერებებისა და ნარევებისათვის, რომლებიც გამოიყენებიან აქამდე უცნობი დანიშნულებით, ისინი მიჩნეულ იქნენ პატენტუნარიანად, მაგრამ ასეთი ობიექტები ხვდებიან გამოგონების ისეთ ობიექტში, რომელსაც „გამოყენება“ ენოდება, რაზედაც შემდეგში გვექნება საუბარი.

## **ბიოტექნოლოგიური ობიექტები, რომლებიც შეიძლება მიჩნეული იქნეს გამოგონებად**

საპატენტო კანონის შესაბამისად პატენტი გაიცემა მიკრო-ბიოლოგიურ ხერხებსა და ხერხებით მიღებულ პროცესებზე. ეს სფერო სხვასთან ერთად მოიცავს მიკროორგანიზმთა შტამებს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს, ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინიერიის ობიექტებს.

ბიოტექნოლოგიური ობიექტების არსებითი ნიშნებია:

- დადგენილი სტრუქტურის მქონე ბიოტექნოლოგიური ნაერთები, საკვები არეები;
- ტრადიციული მიკროორგანიზმები;
- მცენარეთა და ცხოველთა კულტივირებული სომატური უჯრედები;
- მაკროსკოპული სოკოების სტრუქტურები;
- ბიოტექნოლოგიური ხერხები;
- მაღალმოლექულური ანტიბიოტიკები;
- მოლეკულურ-გენეტიკური სტრუქტურები.

### **3.4. მიკროორგანიზმის შტამი, როგორც გამოგონების ობიექტი**

ტერმინი — მიკროორგანიზმის შტამი წარმოადგენს უჯრედთა ერთობლიობას, რომელთაც აქვთ საერთო წარმოშობა და ხასიათდებიან ერთი და იგივე მდგრადი ნიშნებით.

მიკროორგანიზმთა შტამებს მიეკუთვნება მიკროორგანიზმთა ინდივიდუალური შტამები და მიკროორგანიზმთა კონსორციუმები.

ინდივიდუალურ შტამებს განეკუთვნება: ტრადიციულ მიკროორგანიზმთა შტამები (მიკროპლაზმები, ციანობაქტერიები, რიკეტსიები, ბაქტერიები, აქტინომიციტები, მიკროსკოპული სოკოები, საფუარები);

ორგანიზმთა შტამები, რომელიც ექვემდებარებიან მიკროორგანიზმების გამრავლებას (უმარტივესი, მიკროსკოპული

წყალმცენარეები, მიკროსკოპული მღიერები, მიკროსკოპული უხერხემლო (ცხოველები);

ადამიანის მიერ კულტივირებული მიკროორგანიზმთა შტამები (მიკროწყალმცენაეეების კულტივირებული სომატური უჯრედები, მაკროსკოპული სოკოების სომატური სტრუქტურები და ა.შ.);

ჰიბრიდული მიკროორგანიზმთა შტამები: რეკომბინანტური დნმ (რნმ) მატარებელი რეკომბინანური შტამები;

- მიკროორგანიზმთა კონსორციუმებს მიეკუთვნება: მიკროორგანიზმთა შერეული შტამები და მიკროორგანიზმთა ასოციაციები.

### **3.4.1. მიკროორგანიზმთა ინდივიდუალური შტამების დახასიათებელი ნიშნები**

შტამის ნიშან-თვისებების აღწერა უნდა იძლეოდეს შტამის სახეობის დადგენის საშუალებას და აგრეთვე ახასიათებდეს მას, როგორც ახალი, ადრე უცნობ კულტურას. საჭიროა აღინეროს:

კულტურალურ-მორფოლოგიური დახასიათება კულტურის ასაკისა და გამოზრდის ტემპერატურის მითითებით (ვეგეტატური უჯრედების, კოლონების, მიკრომიციტების და აქტინო-მიციტების და სუბსტრატული ბიცელიების დახასიათება);

ფიზიოლოგიურ-ბიოქიმური დახასიათება (თვისებები მეტაბოლიტები, დამოკიდებულება ტემპერატურისადმი, ჟანგბადისადმი, HP, აზოტის და ნახშირბადის წყაროების გამოყენება);

კარდიოლოგიური დახასიათება (მიკროწყალმცენარეების კულტივირებული უჯრედებისათვის), უჯრედების განაწილება ქრომოსომების რიცხვის მიხედვით;

მარკერული დახასიათება: გენეტიკური, იმუნოლოგიური, ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური;

ბიოტექნოლოგიური დახასიათება: სასარგებლო ნივთიერების დასახელება, რომელიც პროდუცირებულია შტამით ან

შტამის დანიშნულება ხანგრძლივი კულტივირებისას სასარგებლო თვისების ჩვენებით;

პარტნიორ (მშობელთა) შტამთა დახასიათება, ჰიბრიდიზაციის პრინციპი (ჰიბრიდული მიკროორგანიზმთა შტამებისათვის).

კონტამინირების დახასიათებანი: (უმარტივესი სოკოები, საფუარები, ბაქტერიები, მიკრობლაზმები, ვირუსები).

### **3.4.2. მიკრორგანიზმთა კონსორციუმების დამახასიათებელი ნიშნები**

მიკროორგანიზმთა კონსორციუმების დასახასიათებლად დამატებით ინდივიდუალური შტამების ნიშნებად, გამოიყენება შემდეგი ნიშნები.

წარმოშობა, ადაპტაციის და სელექციის პირობები და ფაქტორი, ტაქსონომიური შემადგენლობა, ინდივიდუალური კომპონენტების კულტურულ — მორფოლოგიური და ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური ნიშნები; კონსორციუმების ტიპი და ფიზიოლოგიურ თავისებურებანი.

ტაქსონომიური შემადგენლობა, ახალი ინდივიდუალური შტამების დახასიათება.

### **3.4.3. მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურები**

მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს მიეკუთვნება მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების ინდივიდუალური კულტურები და მათი კონსორციუმები.

მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების ინდივიდუალური კულტურებია: მცენარეთა და ცხოველთა კულტივირებული სომატური უჯრედები; მცენარეთა და ცხოველთა ჰიბრიდული კულტივირებული სომატური უჯრედები; რეკომბინანტული დნმ (რნმ) მატარებლები მცენარეთა და ცხოველთა რეკომბინანტული კულტივირებული სომატური უჯრედები.

მცენარეთა და ცხოველთა უჯრედები კულტურის კონსორტიუმებს მიეკუთვნებიან: მცენარეთა უჯრედების შერეული კულტურები; მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურების ასოციაციები.

### **3.4.4. მცენარიეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურების დამახასიათებელი ნიშნები**

მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების ინდივიდუალური კულტურების დამახასიათებლად გამოიყენება შემდეგი ნიშნები: კულტურათა საგვარტომო; დათესვათა რიცხვი პასპორტიზაციის მომენტისათვის; გამოზრდის სტანდარტული პირობები; კულტურალური ნიშან-თვისისებები; ზრდის (კინეტიკური) დახასიათებები; ციტოგენეტიკური (კარდიოლოგიკური) დახასიათებები; ციტომორფოლოგიური დახასიათებები; მონაცემები სახეობების მიკუთვნების შესახენ (ცხოველთა უჯრედებისათვის); მორფოგენეზის უნარი (მცენარეთა უჯრედების კულტურებისათვის); ონკოგენურობა (ცხოველთა უჯრედების კულტურებისათვის); პიბროდომების ჩათვლით.

მარკერული დახასიათებანი: ვიტოგენეტიკური, ფიზიოლოგიური, იმუნოლოგიური, ბიოქიმიური.

კონტამინირების დახასიათებანი (უმარტივესი სოკოები, ბაქტერიები, მიკროპლაზმები, სოკოები).

მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურების კონსორტიუმების დასახასიათებლად დამატებით გამოიყენება შემდეგი ნიშნები: წარმოშობა (გამოყოფის წყარო), ადაპტაციის და სელექციის ფაქტორები და პირობები ტაქსონომიური შემადგენლობა, გაყოფადობა, რიცხვი და მადომინირებელი კომპონენტები, ინდივიდუალური კომპონენტების კულტურულ-მორფოლოგიური და ფიზიოლოგიურ — ბიოქიმიური ნიშანთვისებები, კონსორტიუმის ტიპი და ფიზიოლოგიურად თავისებურებანი ზოგადად. ტაქსონომიური შემადგენლობა, შტამების ურთიერთშეფარდება და ურთიერთშემცველობა.

### 3.5. გამოყენება, როგორც გამოგონების ოპიექტი

ცნობილი ოპიექტების ახალი დანიშნულებით გამოყენებას, როგორც გამოგონების ოპიექტს, განეკუთვნება ადრე ცნობილი მოწყობილობების, ხერხის, ნივთიერების, შტამის გამოყენება ახალი, უჩეულო დანიშნულებით, მისი აქამდე უცნობი ფუნქციების გამოვლენის საფუძველზე, ამასთან, ცნობილი ოპიექტი არ უნდა გნიცდიდეს რაიმე არსებით ცვლილებას.

ცნობილი ნივთიერება (ბუნებრივად ან ხელოვნურად მიღებული), პირველად გამოყენებული საზოგადოებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, უტოლდება ახალი დანიშნულებით გამოყენებას.

ადრე ცნობილი მოწყობილობების, ხერხის ნივთიერების, შტამის დასახასიათებლად გამოიყენება ამ ახალი დანიშნულების და უცნობი ფუნქციის აღწერა. იგი შეიცავს მითითებას განსახილველი ოპიექტის დაცვისუნარიანობის რიგ სპეციფიკურ პირობებზე: რომ მოწყობილობები, ხერხები, ნივთიერებები ცნობილია; მითითებულია ადრე ცნობილი ოპიექტების ახალი დანიშნულების შესახებ.

გამოგონების ოპიექტები ნებისმიერი გამოგონებისათვის ხასიათდება როგორც საერთო ნიშანთვისებებით, ასევე სპეციფიკური ნიშან-თვისებებითაც, რომლებიც ახასიათებს თითოეულ სახეს. გამოყენებაზე კი გამოგონების სპეციფიკურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს გამოყენებული ოპიექტის ცვლილებების უქონლობა. ეს არის გამოგონების ერთადერთი ოპიექტი, სადაც არ ხდება ტექნიკური გადაწყვეტა ე.ი. ოპიექტში ცვლილებების შეტანა: თუ ოპიექტმა განიცადა რაიმე არსებითი ცვლილებები განცხადებულ დანიშნულებასთან — განცხადებული ოპიექტი არ მიიჩნევა როგორც გამოყენება. ოპიექტში განცდილი ცვლილებების ბედი საერთოდ არ არის განსაზღვრული, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი შეიძლება განეკუთვნოს გამოგონების ისეთ ოპიექტებს, როგორიც არის მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება ან შტამი.

საერთო სახით, გამოყენებაზე გამოგონება ხასიათდება საგნის სხვა საგნებთან ახალი დანიშნულებით, რაც საშუალებას

იძლევა გამოვიყენოთ ის ახლებურად, მოცემული საგნებისათვის დანიშნულების არა ტრადიციულად ანუ ახალი ფუნქციონალური დანიშნულებით. ამიტომაც აქვს ამ ობიექტს ასეთი სახელწოდებაც „გამოყენება“. გამოგონების ეს სპეციფიკური ობიექტი არ ხასიათდება არც კონსტრუქციული, არც ტექნოლოგიური, არც თვისობრივი (რეცეპტული) ნიშან-თვისებებით. გამოყენებაზე გამოგონების არსი ნარმოადგენს ცნობილ ან ახალ პირობებში საგნების ახალი თვისებების გამოყენებას, როდესაც ასეთი გამოყენება სპეცალისტებისათვის არ იყოს მოსალოდნელი.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს მსმენელისათვის აღნიშნული ობიექტი, მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი.

ყველასათვის ცნობილია წებო „ნფ“-ი, რომლის ფუნქციონალური ანუ ტრადიციული დანიშნულებაა საგნების ერთმანეთზე მინებება. აქ მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ იგი ქალალდის ფურცლებს მიანოებებს ერთმანეთს თუ კარდონს, მთავარია რომ იგი ანებებს. შემდგომში გამოირკვა, რომ აღნიშნულ წებოს სხვა არა ტრადიციული ფუნქციის შესრულებაც შეუძლია, კერძოდ, ადამიანის სხეულზე განაკანრების ირგვლივ ნარმოქმნილი მავნე ბაქტერიების მოსპობაც, თუ კი მას ამ განაკანრების ირგვლივ ნაუსმევთ.

შეიძლება გაკეთდეს დაკვნა, რომ ამ ობიექტმა ფაქტობრივად შეიცვალა დარგი, კერძოდ, საყოფაცხოვრებო დანიშნულების დარგიდან გადაინაცვლა მედიცინის დარგში.

რაც შეეხება ამ ობიექტის აღნერილობის სტრუქტურას და გამოგონების ფორმულას, შეიძლება ითქვას მკვეთრად განსხვავებულია დანარჩენ ობიექტებთან შედარებით, რაზედაც ჩვენ შემდგომ გვექნება საუბარი.

### 3.6. დამატებითი გამოგონება

დამატებითი გამოგონება, ეს ისეთი გამოგონებაა, რომელიც ნარმოადგენს სხვა გამოგონების (ძირითადის) გაუმჯობესებას.

ბესებას, რომელზეც ადრე გაცემული იყო დამცავი დოკუმენტი ანუ პატენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითად გამოგონებას გააჩნია რაღაც ხარვეზები, რომელიც აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს, რათა ძირითად გამოგონებამ უფრო სრულ-ყოფილი სახე მიიღოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. ამის საშუალებას კი დამატებითი გამოგონება იძლევა, რომლის გამოყენება ძირითად გამოგონების გარეშე შეუძლებელია.

ამრიგად, გამოგონება მიიჩნევა დამატებითიად იმ შემთხვევაში, როცა არსებობს სამი პირობა:

- ძირითადი გამოგონების გაუმჯობესება;
- ძირითადი გამოგონების უფლებრივი დაცვის ფაქტი (პატენტი);
- ძირითადი გამოგონების აუცილებელი გამოყენება დამატებითის რეალიზაციისას.

ამ პირობებიდან რომელიმე მათგანის უქონლობა საშუალებას არ იძლევა მივიჩნიოთ გამოგონება დამატებითად. გამოგონების დამატებითად აღიარება ხაზს უსვამს ძირითადი გამოგონების მნიშვნელობას.

ნიშნებთან დაკავშირებით აქ შეიძლება ითქვას, რომ ძირითად გამოგონებას, რომელ ობიექტსაც არ უნდა ეხებოდეს იგი დაემატა ისეთი ახალი ნიშანი, რომელმაც აღმოფხვრა ძირითადი გამოგონების ის ხარვეზი რომელიც მას გააჩნდა ე.ი. ძირითადი გამოგონება საერთო ტექნიკური გადაწყვეტილებით დამატებით გამოგონებასთან ერთად მთლიანობაში უფრო სრულყოფილი გახდა.

დამატებითი გამოგონების აღწერილობის და ფორმულის სრტუქტურა განსხვავებულია დანარჩენ ობიექტებთან შედარებით, რაზედაც ჩვენ შემდგომ ლექციაზე გვექნება საუბარი.

## გ4. პრიორიტეტის სახეები

ფართო გაგებით, პრიორიტეტი გულისხმობს პირველობას დროის მიხედვით, უპირატესობას, უპირველეს მნიშვნელობას, ხოლო პრიორიტეტის თარიღი სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე განაცხადის შეტანის თარიღს. საპრიორიტეტო თარიღს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საინფორმაციოა, ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. საპრიორიტეტო თარიღი ხშირად ფიგურირებს საპატენტო — სალიცენზიო საქმიანობის დროს, რადგან იგი ყოველთვის ცნობად არის მიღებული განაცხადის ექსპერტიზის მსვლელობის დროს, კონტრაფაქტორის დადგენის შემთხვევაში, სააპელაციო პალატაში შესული სადაო საკითხების გარკვევის დროს და ა.შ.

გამომგონებელი, ყოველთვის ცდილობს პირველ რიგში, რაც შეიძლება სწრაფად დააფიქსიროს საპრიორიტეტო თარიღი თავის გამოგონებაზე, რადგან აქედან იღებს სათავეს პატენტის ხელშეკრულებითი თეორიის არსი. ფაქტობრივად, საპრიორიტეტო თარიღიდან იღებს გამომგონებელი იმ ერთპიროვნულ უფლებას ყველა სხვა პირს აუკრძალოს ამ იდეით სარგებლობა. თვით სახელმწიფოც ამ თარიღიდან იწყებს თავისი გარანტიების შესრულებას საზოგადოებასა და გამომგონებელს მორის. სწორედ საპრიორიტეტო თარიღის მიღების შემდეგ კისრულობს გამომგონებელი გახსნას თავისი საიდუმლო და სანაცვლოდ მიიღოს იდეის მონოპოლიური გამოყენების უფლება.

უფრო ნათელი ნარმოდგენა, რომ შეგვექმნას პრიორიტეტის თარიღის მნიშვნელობაზე, გავიმეოროთ ზოგიერთი ის ფრაზა, რაც ჩანსრილია საპატენტო კანონში, მაგალითად: “გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის სიახლის დადგენისას ტექნიკის დონეს, სხვა საინფორმაციო წყაროს გარდა, მიეკუთვნება “საქპატენტში” გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი”; ”ტექნიკის არსებულ დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც საყოველთაოდ

გახდა ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით, აგრეთვე, საქართველოში გამოყენებით და რომელიც შეეხება იმავე დანიშნულების მოწყობილობებს, ნივთიერებებს და ხერხებს განაცხადის შეტანის თარიღამდე”; “დიზაინის სიახლის დადგენისას მხედველობაში მიიღება “საქპატენტში” შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი”; ზოგიერთი დამცავი დოკუმენტების მოქმედების ვადის ათვლაც საპრიორიტეტო თარიღიდან იწყება და ა.შ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ყველა ქვეყანა თავისი ეროვნული კანონისდა შესაბამისად ადგენს პრიორიტეტის თარიღს, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული განაცხადის სწორედ გაფორმებასთან. რაც შეეხება განაცხადს, გამოგონება იქნება ეს სასარგებლო მოდელი თუ დიზაინი, ეროვნული კანონისდა შესაბამისად უნდა გაფორმდეს, ეს კი თავისთავად დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც დიდად აფერხებს საპრიორიტეტო თარიღის დადგენის პროცედურას. აღნიშნული სირთულეების გამო ქვეყანამ შეიძლება დაკარგოს მნიშვნელოვანი გამოგონებები. ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით ბევრმა ქვეყანამ გაითვალისწინა აღნიშნული მომენტი და გაამარტივა პრიორიტეტის თარიღის დადგენის მეთოდიკა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს შემოღებული აქვს “გამაგრძელებელი და ნაწილობრივ გამაგრძელებელი განაცხადი”, “დროებითი განაცხადი” კანადას “ფორმალური განაცხადი” “წინასწარი განაცხადი”, “გამაფრთხილებელი პატენტები” იაპონიას “შიდა პრიორიტეტის მოთხოვნა”, ბევრ ქვეყანაში მოქმედებს პრიორიტეტის დადგენა შეღავათიანი სიახლის მიხედვით და ა.შ. რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებს (საქართველოს გარდა) ყველგან მოქმედებს შიდა პრიორიტეტის წესი. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ განაცხადი თავდაპირველად შეიძლება არ იყოს ეროვნული კანონის მოთხოვნილების მიხედვით შესაბამისად გაფორმებული, მაგრამ მათ მაინც უფიქრდებათ პრიორიტეტის თარიღი. აქედან გამომდინარე განმცხადებლებს ფაქტობრივად ეძლევათ გარკვეული ვადით შესაძლებლობა,

რათა უფრო დახვეწონ იდეა გამოგონების სახით, მოიყვანონ განაცხადი ეროვნული კანონის შესაბამისობაში ისე, რომ ძირითადი არსი ტექნიკური გადაწყვეტილების უცვლელი დარჩეს.

საქართველოს საპატენტო კანონით, პრიორიტეტის თარიღი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე და დიზაინზე დგინდება, “საქპატენტში” სწორად გაფორმებული განაცხადის წარდგენის თარიღიდან, განაცხადის წარდგენის თარიღად ითვლება ის დღე, როცა განმცხადებელმა იგი საქართველოს რესპუბლიკის ფოსტას ჩააბარა ან უშუალოდ წარადგინა “საქპატენტში”.

გამოგონებისა და სასარგებლო მოდელისათვის დადგენილია ექვსი სახის პრიორიტეტი. ექვსივე სახის პრიორიტეტი აღნიშნულია სპეციალურად დადგენილ განცხადების ფორმის პირველივე გვერდზე, (იხ. დანართი №2 და №3) შემდეგი სახის განლაგებით:

- “საქპატენტში” განაცხადის შეტანის თარიღი
- პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღი
- ადრინდელ განაცხადზე დამატებითი მასალების შეტანის თარიღი
- გამოფენაზე ექსპონატის წარდგენის თარიღი
- “საქპატენტში” პირველ განაცხადის შეტანის თარიღი (მიეთითება გამოცალკევებული განაცხადის წარდგენის შემთხვევაში)
- სასარგებლო მოდელზე განაცხადის შეტანის თარიღი და პირიქით.

დიზაინზე დადგენილია ოთხი სახის პრიორიტეტი, რაც აგრეთვე აღნიშნულია სპეციალურად დადგენილი განაცხადის ფორმის პირველივე გვერდზე (იხ. დანართი №4) ანალოგიური სახის განლაგებით:

- “საქპატენტში” განაცხადის შეტანის თარიღი
- პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღი
- გამოფენაზე ექსპონატის წარდგენის თარიღი

□ “საქპატენტში” პირველი განაცხადის შეტანის თარიღი (მიეთითება ადრე რეგისტრირებული დიზაინის ვარიანტის წარდგენის შემთხვევაში)

აღნიშნული ცარიელი ოთხუთხედები აადვილებს პრიორიტეტის მოთხოვნის პროცედურას, რომელი ითხუთხედიც აღინიშნება ჯვარედინად განმცხადებლის მიერ (მაგ. ☒) ისეთი სახის პრიორიტეტს ითხოვს განმცხადებელი.

ყველა სახის პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში მოქმედებს სწორად გაფორმებული განაცხადის ცნება. თუ რას ნიშნავს სწორად გაფორმებული განაცხადი, ჩვენ ამას ექსპერტიზის სახეების განხილვის დროს შევისწავლით.

მიყვეთ მსვლელობას თანმიმდევრობით. რაც შეეხება მოთხოვნას “საქპატენტში” განაცხადის შეტანის თარიღს. აქ შეიძლება ითქვას შემდეგი. საქართველოს საპატენტო კანონისდა შესაბამისად განაცხადი “საქპატენტში” შეტანილად ითვლება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილია შემდეგი მასალები:

ა) გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე — განცხადება პატენტის მისაღებად, აღწერილობა, ფორმულა და ნახაზები, თუ ისინი აუცილებელია გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის არსის ასახსნელად;

ბ) დიზაინზე — განცხადება მოწმობის მისაღებად, დიზაინის გამოსახულება.

აღნიშნული დოკუმენტაცია შეიძლება წარდგენილი იქნეს “საქპატენტში” მაგრამ განაცხადი სწორად არ იყოს გაფორმებული, ამიტომ განაცხადი კი ითვლება შეტანილად, მაგრამ იგი არ ნიშნავს პრიორიტეტის თარიღს, რადგან აღწერილობას და ფორმულას სხვა დანარჩენ მასალებთან ერთად თავისი მოთხოვნები გააჩნია, რასაც ფორმალური ექსპერტიზის მსვლელობის დროს ექცევა ყურადღება. აქედან გამომდინარე განაცხადის შეტანის თარიღი შეიძლება დაემთხვეს პრიორიტეტის თარიღს შეიძლება არა. ეს თარიღები ერთმანეთს დაემთხვევა იმ შემთხვევაში, როცა განაცხადის შეტანის დროს აღნიშნული მასალები ფორმალური შემოწმების გავლის შემდეგ დაემთხვევა ექსპერტის აზრს, რომ იგი შემოტანის დღიდანვე სწორად არის

გაფორმებული, ამ შემთხვევაში ექსპერტი პრიორიტეტის თარიღს დაამთხვევს შემოტანის თარიღს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტმა, ფორმალური ექსპერტიზის დროს ჩათვალა, რომ განაცხადის მასალები სწორად არ არის გაფორმებული, მაშინ მოქმედებს შემდეგი წესი. თუ ექსპერტმა ფორმალური ექსპერტიზის მსვლელობის დროს ჩათვალა, რომ წარმოდგენილი მასალებიდან რომელიმე მათგანი არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს და მასზედ მოითხოვა განმარტება, ამ შემთხვევაში პრიორიტეტის თარიღად დაისმება ის თარიღი, როცა ექსპერტი მიიღებს სათანადო სწორ განმარტებას მოთხოვნაზე და ამ მოთხოვნის საფუძველზე ექსპერტი ჩათვლის, რომ განაცხადი სწორად არის გაფორმებული. ეს უკვე დამოკიდებულია განმცხადებელზე, რაც შეიძლება მოკლე ვადებში მიაწოდოს ექსპერტს სწორი განმარტება მოთხოვნილ საკითხზე. ამ შემთხვევაში რასაკირველია განაცხადის შეტანის თარიღი და პრიორიტეტის თარიღი ერთმანეთს არ დაემთხვევა.

რაც შეეხება მოთხოვნას, პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღს, როგორც ცნობილია, პარიზის კონვენცია, რომელსაც ხელი 1883 წელს მოეწერა, ხოლო ძალაში 7 ივლისიდან შევიდა, ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებაა სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში. საქართველო შეუერთდა პარიზის კონვენციის აქტს სსრ კავშირის (სსრ კავშირი პარიზის კონვენციის მონაწილე გახდა 1965).) დროს აღებული ვალდებულებების გაგრძელების შესახებ დეკლარაციის საფუძველზე. ეს მოხდა კონვენციის არსებობის 111-ე წელს 1994 წლის 18 იანვარს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პარიზის კონვენციის მე-4 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ე.ნ. კონვენციური პრიორიტეტის დადგენის წესს. ამ მუხლის თანახმად, კონვენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყნიდან გამოგონებაზე განმცხადებელს, რომელმაც შეიტანა თავის საპატენტო უწყებაში პირველი სწორად გაფორმებული (ქვეყნის ნაციონალური საპატენტო კანონმდებლობის შესაბამისად) განაცხადი გამოგონებაზე

პარიზის კონვენციის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში, ენიჭება განაცხადის შეტანის პრიორიტეტის უფლება იმავე გამო-გონებაზე კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნებში.

პრიორიტეტის უფლების მოთხოვნის 6 თვიანი ვადა ვრცელდება დიზაინზე, ხოლო 12 თვიანი გამოგონებებზე და სასარგებლო მოდელზე. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის თანახმად აღნიშნულ ვადებში საპატენტო განაცხადის შეტანა შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში განმცხადებელს პრიორიტეტის უფლებას ანიჭებს კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანაში, რასაც კონვენციურ პრიორიტეტს უწოდებენ. კონვენციური პრიორიტეტის დადგენისათვის საფუძველს წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, სწორად გაფორმებული განაცხადი.

კონვენცია პრიორიტეტის უფლების ფარგლების განსაზღვრისათვის უშვებს “მრავლობითი” ან “ნაწილობრივი” პრიორიტეტის მოთხოვნას. კონვენცია მოითხოვს განაცხადების ობიექტურ იდენტურობას, რათა გამოგონების ძირითადი ნიშან-თვისებები ორივე განაცხადში ერთმანეთს ემთხვეოდეს. ცვლილებები დაიშვება მხოლოდ ექვივალენტურობის ფარგლებში. თუ განაცხადები ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა, დასაშვებია ნაწილობრივი პრიორიტეტის დადგენა, ან ერთ განაცხადში რამდენიმე პრიორიტეტის გაერთიანება. მაგალითად, თუ მეორე განაცხადის შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე პირველისა, ე.ი. თუ განმცხადებელმა სრულყო თავისი გამოგონება და იგი მეორე განაცხადში ჩართო. მსგავს შემთხვევაში პრიორიტეტი შეიძლება დადგენილ იქნეს გამოგონების მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც პირველ განაცხადს შეესაბამება და ამ შემთხვევაში საქმე გვაძეს ე.წ. ნაწილობრივ პრიორიტეტთან. მაგრამ შესაძლებელია სხვა ვარიანტიც — თუ ეს გაუმჯობესება ასევე განცხადებული იყო, ე.ი. წარმოადგენდა რომელიმე ქვეყანაში განსაკუთრებული განაცხადის საგანს, მასზე შეიძლება დადგენილ იქნეს თავისი კონვენციური პრიორიტეტი. ამრიგად, მეორე განაცხადი ემყარება ორ პრიორიტეტს სხვადასხვა თარიღით. ამასთან,

აუცილებელია, რომ ორივე განაცხადი შეტანილი იყოს საპრიორიტეტო წლის განმავლობაში.

კონვენციური პრიორიტეტის უფლება მნიშვნელოვნად აადვილებს საზღვარგარეთ გამოგონებათა დაპატენტებას, რამდენადაც პირვანდელი განაცხადის თარიღის განმტკიცება პარიზის კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანაში პირველი განაცხადის თარიღის სახით გამომგონებელს გარკვეულ დროს აძლევს სათანადოდ მოემზადოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოგონების დაპატენტებისათვის. მაშასადამე, კონვენციური პრიორიტეტი უცხოელ განმცხადებლებს დიდ უპირატესობას ანიჭებს, რაც პასუხობს იმ ორგანიზაციების ინტერესებს, რომელებიც გამოგონებათა დასაპატენტებლად საზღვარგარეთ აქტიურ მუშაობას ეწევიან.

განცხადება კონვენციური პრიორიტეტის უფლებებით სარგებლობის მოთხოვნით განმცხადებლის მიერ კეთდება განაცხადის წარდგენისთანავე ან განაცხადის წარდგენის თარიღიდან ორი თვის ვადაში.

კონვენციური განაცხადისა და პირველი განაცხადის (განაცხადების) იდენტურობის დასაბუთების მიზნით პირველი განაცხადის (განაცხადების) ასლი “საქპატენტს” წარედგინება 3 თვის ვადაში კონვენციური განაცხადის განსახილველად მიღებიდან. ამასთან, ასლი სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული იმ უწყების მიერ, რომელშიც იგი პირველად იყო წარდგენილი.

რაც შეეხება გამოფენაზე ექსპონატის წარდგენის თარიღს, პარიზის კონვენციაში მონაწილე მთელ რიგ ქვეყნებში პრიორიტეტის დადგენის საფუძველი შეიძლება იყოს გამოგონების დემონსტრირება, შეთანხმებაში მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე მოწყობილ “ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეული საერთაშორისო გამოფენაზე”, რასაც ე.ნ. საგამოფენო პრიორიტეტს უწოდებენ. გამოფენაზე გამოგონების დემონსტრირების დღე კანონით დადგენილ ვადაში პატენტზე განაცხადის შეტანის შემთხვევაში განიხილება

გამოგონების პრიორიტეტის თარიღის სახით და ასეთად მიიჩნევა თვით გამოგონების საჯაროდ დემონსტრირება.

პარიზის კონვენციის დადგენილება საგამოფენო პრიორიტეტის თაობაზე სავალდებულო ხასიათს არ ატარებს, რადგან მას კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანა არ ითვალისწინებს.

ოფიციალურად, ჩვეულებრივ მიჩნეულია სახელმწიფოს ან მისი ორგანოების მიერ ორგანიზებული გამოფენები; ოფიციალურად ითვლება ის გამოფენებიც, რომლებიც მიჩნეულია ასეთად სახელმწიფოს ან სახელმწიფო ორგანოების მიერ; საერთაშორისო გამოფენების სახით განიხილება ის გამოფენები, რომლებშიც მონაწილეობენ უცხოური ფირმები.

საგამოფენო პრიორიტეტის დასადგენად აუცილებელია იმ დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც გამოფენაზე დემონსტრირების თარიღს და ფაქტს, აგრეთვე დემონსტრირებულ ობიექტთან მათს იდენტურობას ადასტურებენ. ასეთი დოკუმენტები გაიცემა გამოფენის ადმინისტრაციის მიერ.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს საგამოფენო პრიორიტეტით, ვალდებულია განაცხადი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და დიზაინზე წარადგინოს “საქპატენტში” პარიზის კონვენციის ნევრ ქვეყანაში მოწყობილი ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენაზე გამოგონების, სასარგებლო მოდელის და დიზაინის ექსპონირების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. საგამოფენო და საკონვენციო პრიორიტეტი ერთმანეთის ვადას არ აგრძელებს.

განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს საგამოფენო პრიორიტეტის უფლებით, ამის შესახებ უნდა მიუთითოს “საქპატენტში” განაცხადის წარდგენისთანავე ან განაცხადის წარდგენიდან ორი თვის განმავლობაში და თან დაურთოს ასეთი მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი საბუთი.

რაც შეეხება ადრინდელ განაცხადზე დამატებითი მასალების შეტანის თარიღს და “საქპატენტში” პირველი განაცხადის შეტანის თარიღს, რომელიც მიეთითება გამოცალკევებული განაცხადის წარდგენის შემთხვევაში. აქ ჩვენ ერთხელ

კიდევ უნდა გავიხსენოთ საქართველოს საპატენტო კანონის მოთხოვნა: 1. განაცხადი გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე პატენტის მისაღებად ყველა შემთხვევაში უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ გამოგონებას ან სასარგებლო მოდელს, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს ერთი საგამომგონებლო იდეით გაერთიანებულ გამოგონებათა ჯგუფს. 2. განაცხადი დიზაინზე მოწმობის მისაღებად უნდა ეხებოდეს ერთ დიზაინს, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ნაკეთობას (ვარიანტს), ნაკეთობათა ნაკრებს (კომპლექტს), თუ ისინი გაერთიანებულია ერთი მხატვრულ-კონსტრუქციული იდეით.

აღნიშნულიდან გამომლინარე, დარღვეულია მოთხოვნა გამოგონების ერთიანობაზე, თუ: ერთ შემთხვევევაში დამატებითი მასალები არღვევს გამოგონების ერთიანობას, მეორე შემთხვევაში პირველ განაცხადშივე დარღვეულია გამოგონების ერთიანობა. ცალკე განაცხადად გაფორმებას ორთავე შემთხვევევაში ითხოვს ექსპერტი, რადგან იგი არ იღებს მხედველობაში განაცხადის ისეთ ძირითად ნიშნებს, რომლებიც ცვლიან განცხადებული ობიექტის არსა. ასეთ შემთხვევევაში თუ განმცხადებელი დაეთანხმება ექსპერტს და გააფორმებს ახალ განაცხადს ექსპერტის მიერ განაცხადიდან შემოთავაზებულ ნიშნებზე, რომლებიც მან მხედველობაში არ მიიღო განსახილველად, პირველ შემთხვევევაში განმცხადებელს უფლება ეძლევა მოითხოვოს პრიორიტეტი დამატებითი მასალების შეტანის თარიღით, ხოლო მეორე შემთხვევევაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღით, რომლიდანაც გამოცალკევდა ახალი განაცხადი.

რაც შეეხება სასარგებლო მოდელზე განაცხადის შეტანის თარიღს და პირიქით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ განმცხადებელი ითხოვს გამოგონებაზე შეტანის თარიღს, მას განაცხადი შეტანილი ქონდა გამოგონებაზე და მან გადმოინაცვლა სასარგებლო მოდელზე, ხოლო თუ განმცხადებელი ითხოვს სასარგებლო მოდელზე განაცხადის შეტანის თარიღს, მას განაცხადი შეტანილი ქონდა სასარგებლო მოდელზე და გადმოინაცვლა გამოგონებაზე. შესაბამისაც “საქატენტის” მიერ შემუშავებული

გამოგონების განცხადების ფორმაზე აღნიშნულია სასარგებლო მოდელზე განაცხადის შეტანის თარიღი, ხოლო სასარგებლო მოდელის განცხადების ფორმაზე, გამოგონებაზე განაცხადის შეტანის თარიღი. აქ თითქოს ყველაფერი გარკვეულია, რადგან საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად, განმცხადებელს უფლება აქვს გარდაქმნას განაცხადი გამოგონებაზე, განაცხადად სასარგებლო მოდელზე და პირიქით. მაგრამ არის სხვა შემთხვევებიც, როცა განმცხადებელს თვით ექსპერტი ურჩევს, რომ ასე მოიქცეს. ასეთ შემთხვევაში საკითხი შეიძლება სადაო გახდეს და შეიძლება არც გახდეს სადაო თუ ექსპერტი დაუსაბუთებს მას, რომ ასე ჯობია. დასაბუთება კი შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად. როგორც ცნობილია საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად, პატენტით შეიძლება დაცული იქნეს ისეთი გამოგონება, რომელიც პატენტუნარინა და აკმაყოფილებს სიახლის, საგამომგონებლო დონისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. პატენტით შეიძლება დაცული იქნეს ისეთი სასარგებლო მოდელი, რომელიც წარმოადგენს გაუმჯობესებულ მოწყობილობას, ნივთიერებას ან ხერხს და ხასიათდება გამოგონებასთან შედარებით ნაკლები საგამომგონებლო დონით და აკმაყოფილებს სიახლის, საგამომგონებლო დონის და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსხვავება ამ შემთხვევაში საგამომგონებლო დონეს შეეხება. საგამომგონებლო დონე კი განისაზღვრება ტექნიკის არსებული დონით, რომელსაც განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, ზეპირი აღნერით, აგრეთვე საქართველოში გამოყენებით და რომელიც შეეხება იმავე დანიშნულების მოწყობილობებს, ნივთიერებებსა და ხერხებს განაცხადის შეტანის თარიღამდე ან თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე. ერთი სიტყვით ტექნიკის დონე დამოუკიდებელია სხვადასხვა ფაქტორზე — იგი შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი, იმისდამიხედვით, თუ დროის რომელი მომენტისათვის

განისაზღვრება აღნიშნული დონე და რომელია ინფორმაციის წყაროები (პატენტები, სტატიები, გამოყენება და ა.შ.)

საგამომგონებლო დონე, ეს ჩვეულებრივად ერთ-ერთი კრიტერიუმია, რომელსაც ექსპერტი საპატენტო ძიების საფუძველზე ადგენს, გამოგონებასთან შედარებით დაბალია თუ არა საგამომგონებლო დონე. თუ დაბალია ასეთი კრიტერიუმი და განაცხადი შეტანილია გამოგონებაზე, რასაკვირველია ასეთ შემთხვევაში ექსპერტს სრული უფლება აქვს შესთავაზოს განმცხადებელს გარდაქმნას განაცხადი სასარგებლო მოდელად, რადგან იგი წარმოადგენს მხოლოდ რომელიმე ობიექტის გაუმჯობესებულ ვარიანტს. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ განაცხადი შეტანილია სასარგებლო მოდელზე და აღმოჩნდა, რომ ასეთი კრიტერიუმი მაღალია შეიძლება მოხდეს პირი-ქითაც. ეს ყველაფერი ხდება განმცხადებელთან შეთანხმების საფუძველზე, რადგან განმცხადებელს ყველთვის აქვს უფლება გაეცნოს ექსპერტის მიერ გამოყენებულ საინფორმაციო წყაროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხი შეიძლება სადაო გახდეს.

22	შემოსელის თარიღი	შემოსელის რიგითი N	21	განაცხადის N	
	პრიორიტეტი	51 საერთაშორისო კლასი			
		<p><b>გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა</b>          გამოგონებაზე პატენტის მისაღებად</p>			
		<p><b>საქართველო</b>          0179, თბილისი          ნინო რამიშვილის ქ. №31          25-27-90, 98-85-12</p>			
<p>განცხადებულის (ქმის) გვარი, სახელი ან იურიდიული პირის სრული დასახელება</p>					
<p>გთხოვთ გასცემ ჩემს (ჩვენს) სახელზე საპატენტო სიგლი და პრიორიტეტი დაადგინოთ</p>					
<p><input type="checkbox"/> საქართველოში განაცხადის შეტანის თარიღი</p>					
<p><input type="checkbox"/> პარიზის კონფენციის წევრ ქვეყანაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღი</p>					
<p><input type="checkbox"/> ადრინდელ განაცხადზე დამატებითი მასალების შეტანის თარიღი</p>					
<p><input type="checkbox"/> გამოცემაზე ექსპონატის წარდგენის თარიღი</p>					
<p><input type="checkbox"/> საქართველოში პირველი განაცხადის შეტანის თარიღი (მიუთითება გამოცალებული განაცხადის წარდგენის შემთხვევაში)</p>					
<p><input type="checkbox"/> სასარგებლო მოდელზე განაცხადის შეტანის თარიღი</p>					
31	პირველ განაცხადის ნომერი	32	განაცხადის შეტანის თარიღი	33	ქვეყნის ქოდი
54	გამოგონების დასახელება				
71	განცხადებულის (ქმის) მისამართი (ქბი):				
<p>გვარი, სახელი, მამის სახელი, იურიდიული პირის სრული დასახელება და მისამართი</p>					
98	მისამართი მიმოწერისათვის				
<p>სრული საფოთხო მისამართი, ადრესატის კონახა ან დასახელება</p>					
ტელეფონი:		ტელეფონი:		ტექსტი:	
74	პატენტის წარმომადგენლი				
<p>სრული საფოთხო მისამართი, ადრესატის კონახა ან დასახელება</p>					
ტელეფონი:		ტელეფონი:		ტექსტი:	

ცნობები გამოგონების გამოქვეყნების შესახებ:

- გამოქვეყნებია დასაშებია
- გამოქვეყნებია დაუშევებელია, სახლმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე

საერთაშორისო ძიება:  
ორგანიზაცია (საერთაშორისო სამიებო სტატუსის ქვენე ორგანი), რომელმაც ჩაატარა

(ატარებები) ძიება (b) \_\_\_\_\_.

ძიების შეკვეთის თარიღი (თუ ძიება მიმდინარეობს) \_\_\_\_\_.

განცხადებას ერთვის:

	ფურცლების რიალურობა	ვერ. რაოდენობა	
<input type="checkbox"/> აღწერილობა	_____	_____	<input type="checkbox"/> სხვა დამატებითი მასალები
<input type="checkbox"/> ფორმულა	_____	_____	<input type="checkbox"/> ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთი
<input type="checkbox"/> რეფერატი	_____	_____	<input type="checkbox"/> განაცხადის თარგმანი
<input type="checkbox"/> ნახაზი (გზი)	_____	_____	<input type="checkbox"/> პირველი განაცხადის (ების) ასლი
			<input type="checkbox"/> უფლებამონაცელების დამადასტურებელი საბუთი
			<input type="checkbox"/> პატენტობრუნვის უფლება-მოსილების დამდასტურებელი საბუთი (რწმუნებულობა)

72	ავტორი (ები)	97	ბინის შისამართი

განცხადებლის(ების)	ხელმოწერა	წარმომადგენლის (პატენტობრუნვის უდილის)	ხელმოწერა

22	შემოსებლის თარიღი	შემოსებლის რიგითი N	21	განაცხადის N	
	პრიორიტეტი	51	საქართველოს კლასი		
		<p><b>გ ა ნ ც ხ ა დ გ ბ ა</b></p> <p>სასახლებლო მოდელზე პატენტის მისაღებად</p>			
		<p><b>საქართველო</b> 0179, თბილისი ნინო რამიშვილის ქ. N31 25-27-90, 98-85-12</p>			
<p>განმცხადებლის (ეპის) გვარი, სახელი ან იურიდიული პირის სრული დასახელება</p> <p>გთხოვთ გასცევ ჩემს (ჩემის) სახელზე საპატენტო სიგელი და პრიორიტეტი დაადგინოთ</p> <p><input type="checkbox"/> საქართველოში განაცხადის შეტანის თარიღი</p> <p><input type="checkbox"/> პაროზის მინიჭებით წევრ ქვეყანაში პრეგელი განაცხადის შეტანის თარიღი</p> <p><input type="checkbox"/> აღრინდელ განაცხადზე დამატებითი მასალების შეტანის თარიღი</p> <p><input type="checkbox"/> გამოფენაზე ექსპონატის წარდგენის თარიღი</p> <p><input type="checkbox"/> საქართველოში პირველი განაცხადის შეტანის თარიღი (მიეთითება გამოცალეკებული განაცხადის წარდგენის შემთხვევაში)</p> <p><input type="checkbox"/> გამოფონებაზე განაცხადის შეტანის თარიღი</p>					
31	პირები განაცხადის ნომერი	32	განაცხადის შეტანის თარიღი	33	ქვეყნის კოდი
54	სასარგებლო მოდელის დასახელება				
71	განმცხადებლის (ეპის) მისამართი (ები):				
<p>გვარი, სახელი, მისამართი, იურიდიული პირის სრული დასახელება და მისამართი</p>					
98	მისამართი მიმოწერისათვის				
<p>სრული საფოსტო მისამართი, აღრიცხატის კონარა ან დასახელება</p> <p>ტელეფონი:</p>					
74	პატენტორუნქებული წარმომადგენელი				
<p>სრული საფოსტო მისამართი, აღრიცხატის კონარა ან დასახელება</p> <p>ტელეფონი:</p>					

ცნობები სასარგებლობ მოდელის გამოქვეყნების შესახებ:

- გამოქვეყნება დასაშეგინა
- გამოქვეყნება დაუშეგვებლია, სახელმწიფო ინტრესებიდან გამომდინარე

საურთაშორისო ძიება:

ორგანიზაცია (საკრთაშორისო სამიებო სტატუსის მქონე ორგანო), რომელმაც ჩატარა

(ატარებს) ძიება (b) \_\_\_\_\_.

ძიების შეკვეთის თარიღი (თუ ძიება მიმღინარეობს) \_\_\_\_\_

განცხადებას ერთვის:

	ფურცლების რაოდენობა	შპ. წარდენობა	
<input type="checkbox"/> აღწერილობა	_____	_____	<input type="checkbox"/> სხვა დამატებითი მასალები
<input type="checkbox"/> ფორმულა	_____	_____	<input type="checkbox"/> ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთი
<input type="checkbox"/> რეცერატი	_____	_____	<input type="checkbox"/> განაცხადის თარგმანი
<input type="checkbox"/> ნახაზი (ები)	_____	_____	<input type="checkbox"/> პირები განაცხადის (ების) ასლი
			<input type="checkbox"/> უფლებამონაცელების დამადასტურებელი საბუთი
			<input type="checkbox"/> პატენტომებულის უფლებამოსილების დამდასტურებელი საბუთი (რწყენებულობა)

72	აეტორი (ები)	97	ბინის მისამართი

განცხადებლის(ების)

ხელმოწერა

წარმომადგენლის  
(პატენტომებულის)

ხელმოწერა

## ბ ა ნ ც ხ ა დ ვ ბ ა

დოსაინის რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ინტელექტუალური  
საკუთრების ეროვნული ცენტრი

"საქპატენტი"

0179, ქობილისი.

ნიმი რამიშვილის ქ. N31

ტელ: (995 32) 252533

71

ქვეწის  
ქრისტი

განცხადების (ქანის) გვარი, სახელი ან იურიდიული პირის სრული დასახელება

განცხადების მისამართი, ტრლეფონი, ფაქტი, კლუბი

- თუ ჩამონათვალი არ თავსღება გამოყოფილ გრაფაში, ის მთლიანად იშექვება დამატებით ფურცელზე.  
როგორც განაცხადის დამართი

გთხოვთ წარმოდგენილი დიზაინი დარეგისტრიროთ ჩემის (წევნის) სახელშე და პრიორიტეტი  
დაადგინოთ (საჭირო ფრა აღინიშნება "X" ნიშით)

- საქართველოში განაცხადის შეტანის თარიღით
- პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში პირველი განაცხადის შეტანის თარიღით
- გამოფენაშე ექსპონატის წარდგენის თარიღით
- საქართველოში ადრინდებილი განაცხადის შეტანის თარიღით (მიეთითება განაცხადის  
გაერთიანების, გაუყიფის შემთხვევაში)

31	პირველი განაცხადის ნომერი	32	განაცხადის შეტანის თარიღი	33	ქვეწის ქოდი	23	გამოფენაშე წარ- დგენის თარიღი
----	------------------------------	----	------------------------------	----	-------------	----	----------------------------------

54	პროდუქტის დასახელება	28	დაზიანების რაოდენობა	55	საერთო მიზანის ქლასის ნომერი
----	----------------------	----	-------------------------	----	---------------------------------

56	აქ კოლეგა აღმოჩენა, თუ ჩამონათვალი არ თავსღება გამოყოფილ გრაფაში, და მოლაპად იშექვება დამატებით ფურცელზე, როგორც განცხადის დამრთი
----	---

98	მისამართი მიმოწერისათვის საქართველოს ტერიტორიაზე
----	--

სრული საფუძველი მისამართი, აღნიშნული კონტაქტი ან დასახელება

99	შაქმადგენელი	ფაქტი	კლუბი
----	--------------	-------	-------

74	შაქმადგენელი
----	--------------

წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისამართი

80	შაქმადგენელი	ფაქტი	კლუბი
----	--------------	-------	-------

განაცხადის თანდართული საბუთების ნუსხა		უფროლების რაოდენობა ერთ ეგზემპლარში	შეტყობის რაოდენობა
<input type="checkbox"/> გამოსახულება <input type="checkbox"/> გამოსახულების ქომპიუტერული ვერსია <input type="checkbox"/> პროდუქტის ნომუშევი <input type="checkbox"/> აღწერილობა <input type="checkbox"/> უჯლებამონაცვლების დამდასტურებელი საბუთი <input type="checkbox"/> წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი <input type="checkbox"/> პირველი განაცხადის (ების) ასლი <input type="checkbox"/> სხვა დამატებითი მასალები			
<b>72</b> დისაინერი (ები)	<b>97</b> მისამართი		
<input type="checkbox"/> აქ კეთდება აღნიშვნა, თუ ჩამონათვალი არ თავსდება გამოყოფილ გრაფაში, და მთლიანად იბეჭდება დამატებით ფურცელზე, როგორც განაცხადის დანართი.			
<input type="checkbox"/> დისაინი შექმნილია სამსახურეოპრივეტ მოვალეობის გამი და/ან შექვეთით <input type="checkbox"/> გამოქვეყნების გადადება			
გამოქვეყნების გადადების მოთხოვნილი ვადა (თვეებში, არა უმეტეს 30 თვეით, განაცხადის წარდგენიდან)			
<input type="checkbox"/> დაჩქარებული ექსპერტის მოთხოვნა			
განაცხადებელი	ხელმოწერა თარიღი	წარმომადგენლი	ხელმიწერი, თარიღი
ივერბის საქართველოს მიერ			
<b>22</b> განაცხადის შემოსელის თარიღი	შემოსელის რიცხოვი №	<b>21</b> განაცხადის №	
პრიორიტეტი	51 საერთაშორისო კლასის ნომერი		

## § 5. განაცხადის გაფორმება

იმისათვის, რომ პატენტით დაცულ იქნას გამოგონება, სასარგებლო მოდელი და დიზაინი მოწმობით მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესებია გასავლელი, რომელიც უშუალოდ ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს, მაგრამ მთელ ამ ტექნოლოგიურ პროცესებს ჩვენ მაინც გავყოფით ორ ძირითად ნაწილად. ერთი რომელიც გამოგონების გამოვლენას, გაფორმებას და საპატენტო უწყებაში მის წარდგენას შეეხება ე.ი. რომელიც უწყების გარეთ განაცხადის შედგენის პროცედურას განეკუთვნება, ხოლო მეორე თვით საპატენტო უწყებაში უკვე წარდგენილი განაცხადის მსვლელობის ტექნოლოგიურ პროცესებს განეკუთვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს საპატენტო უწყებამ 1996-1997 წლებში გამოსცა: 1) გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე და სამრეწველო ნიმუშზე განაცხადის გაფორმებისა და წარდგენის წესები 2) გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე და სამრეწველო ნიმუშზე „საქპატენტში“ წარდგენილი განაცხადების სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ ინსტრუქციები. აღნიშნული წესები და ინსტრუქციები არეგულირებდა და შეიძლება ითქვას, რომ დღესაც არეგულირებს სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე განაცხადის გაფორმებისა და წარდგენილი განაცხადის სახელმწიფო ექსპერტიზას. 1999 წელს საპატენტო კანონის მიღებასთან დაკავშირებით აღნიშნული წესები და ინსტრუქციები მოითხოვს კანონთან შესაბამისობაში მოყვანას, რაზედაც მიმდინარეობს კიდევაც მუშაობა „საქპატენტში“. აღნიშნული წესებისა და ინსტრუქციების ღრმა ცოდნა ორთავე მხარისათვის არის აუცილებელი. ორთავე მხარეში ერთის მხრივ იგულისხმება განმცხადებლები, ხოლო მეორეს მხრივ საპატენტო უწყებაში მომუშავე ექსპერტები. იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი ვერ ერკვევა განაცხადის გაფორმების საკითხებში ამისათვის მოქმედებს პატენტრწმუნებულთა ინსტიტუტი, რომელიც ეხმარება განმცხადებელს განაცხადის გაფორმებაში ანდა უბრალოდ

წარმომადგენელი ანუ ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც ენდობა განმცხადებელი განაცხადის გაფორმებას და რომელსაც უშუალოდ მიყავს საქმეთანარმოება განაცხადის ირგვლივ საპატენტო უწყებაში.

იმისათვის, რომ განაცხადი სწორად იქნეს გაფორმებული და დაუბრკოლებლად გაიაროს ექსპერტიზა, საჭიროა გავეცნოთ საქართველოს საპატენტო კანონის მოთხოვნებს.

განაცხადი „საქპატენტში“ შეტანილად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილია შემდეგი მასალები:

ა) გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე — განცხადება პატენტის მისაღებად, აღნერილობა, ფორმულა და ნახაზები თუ ისინი აუცილებლია გმოგონებისა და სასარგებლო მოდელის არსის ასახსნელად;

ბ) დიზაინზე, განცხადება დიზაინის რეგისტრაციის შესახებ, დიზაინის გამოსახულება, განაცხადი შეიძლება შეიცავდეს აღნერილობას, რომელიც მხოლოდ განმარტებითი ხასიათისაა.

განაცხადი გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე პატენტის მისაღებად უნდა ეხებოდეს ერთ გამოგონებას ან სასარგებლო მოდელს, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს ერთი საგამომგონებლო იდეით გაერთიანებულ გამოგონებათა ჯგუფს. განაცხადი დიზაინზე მოწმობის მისაღებად უნდა ეხებოდეს ერთ დიზაინს, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ნაკეთობას (ვარიანტს) ნაკეთობათა ნაკრებს (კომპლექტს) თუ ისინი გაერთიანებულია ერთი მხატვრულ-კონსტრუქციული იდეით.

განაცხადი გამოგონებათა ჯგუფს შეიცავს იმ შემთხვევაში თუ გამოგონების ობიექტებიდან ერთ-ერთი განკუთვნილია მეორის მისაღებად ან დასამზადებლად: მაგალითად მოწყობილობა, ნივთიერება ან შტამი და მათი მიღების (დამზადების) ხერხი; გამოგონების ობიექტებიდან თუ ერთი განკუთვნილია მეორის განხორციელებისათვის (მაგალითად, ნივთიერება, მისი მიღების ხერხი და ხერხის განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობა); გამოგონების ობიექტებიდან თუ ერთ-ერთი განკუთვნილია მეორის (ან მეორეში) გამოსაყენებლად (მაგალი-

თად ხერხი და ნივთიერება განკუთვნილი ხერხში გამოსაყენებლად) თუ გამოგონების ობიექტები ერთი სახეობისაა ერთნაირი დანიშნულებისაა და ერთიდაიმავე გზით იძლევიან ტექნიკურ შედეგს.

დიზაინის ვარიანტად ითვლება ერთი ფუნქციონალური ჯგუფის, საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთი კლასის, ერთი სერიის ნაკეთობების, მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტები, რომელთაც ერთნაირი არსებითი ნიშან-თვისებები აქვთ, ხოლო არა არსებით ნიშან-თვისებებში აქვთ მხოლოდ ვიზუალური განსხვავება. მაგალითად ორი ან რამდენიმე ჭაღის გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა, რომელებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ნათურების რაოდენობით; ორი ან რამდენიმე ავტომობილის გარეგანი სახის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ კაზმულობის ელემენტების, კარის სახელურების, ფარების და სხვათა ფორმებით. ნაკეთობის კომპლექტის (ნაკრების) გარეგანი სახის, მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა მიიჩნევა დიზაინად, თუ კომპლექტში (ნაკრებში) შემავალი ელემენტები, რომელთაც გააჩნიათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციები, ემსახურებიან ერთ მიზანს და ახასიათებთ ერთნაირი კომპოზიციური და სტილისტური გადაწყვეტა. კომპლექტს მიეკუთვნება მაგ. ჩაის ან სადილის სერვიზი, ავეჯის გარნიტური, ინსტრუმენტების ნაკრები და მისთანხები.

რაც შეეხება სიტყვას: ნახაზები თუ ისინი აუცილებელია გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის არსის ასახსნელად. იმ შემთხვევაში თუ საქმე გვექნება გამოგონების ისეთ ობიექტთან როგორიცაა მოწყობილობა, რა საკვირველია ნახაზები აუცილებელი იქნება. თუ ისეთი ობიექტია, როგორიც არის ხერხი, გამოყენება, დამატებითი გამოგონება ან საგამოგონებლო იდეით გაერთიანებული გამოგონებათა ჯგუფი, ასეთ შემთხვევაში ნახაზები შეიძლება იყოს აუცილებელი შეიძლება არა. მთავარი ის გახდავთ, რომ ნახაზები იმ შემთხვევაშია საჭირო თუ ისინი აუცილებელია გამოგონების და სასარგებლო

მოდელის არსის ასახსნელად. აქ შეზღუდვა არ არსებობს, თუ ისინი აუცილებელია შეიძლება წარმოდგენილი იქნეს გრაფიკული გამოსახულება სქემების სახით, ფოტოსურათები, მოდელები და სხვა დოკუმენტებიც თუ ეს საჭირო გახდება. თუ გამოგონების ისეთ ობიექტებთან გვექნება საქმე როგორიც არის ნივთიერება, მიკროორგანიზმის შტამი, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურები, ბიოტექნოლოგიური ობიექტები, რა საკვირველია აქ ნახაზები შეიძლება არც იყოს აუცილებელი. დიზაინის შემთხვევაში უნდა იყოს მიწოდებული დიზაინის გამოსახულება (ნახატი, ფოტოსურათი და თუ საჭიროა დამატებითად სქემა ან ნახაზი, რომელიც გასაგებს გახდის დიზაინის გარეგან სახეს).

გარდა აღნიშნულისა, გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს რეფერატი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს რეფერატის შედგენის ინსტრუქციის შესაბამისად, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის შესწავლის დროს. განცხადების მიწოდების თარიღისათვის ან არაუგვიანეს ერთი თვისა აუცილებელია იყოს წარდგენილი საგანაცხადო საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი „საქპატენტან“ ურთიერთობას აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, საჭიროა შესაბამისი მინდობილობის წარდგენა. ამასთან, უცხოელი განმცხადებელი ვალდებულია აირჩიოს „საქპატენტში“ რეგისტრირებული სათანადო კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი — პატენტრწმუნებული.

რაც შეეხება პატენტის მოთხოვნის დადგენილი ფორმის განცხადებას (ფორმალიზებული ბლანკის სახით), იგი აუცილებლად შევსებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, სხვა საგანაცხადო მასალები — ნებისმიერ ენაზე, რომელიც ორი თვის განმავლობაში უნდა ითარგმნოს ქართულად. დადგენილი ფორმის განცხადების შევსების დროს უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად განმცხადებელი მომავალი პატენტმფლობელია და მისი შევსება დიდ

სიფრთხილესთან არის დაკავშირებული, რადგან საპატენტო კანონი პატენტმფლობელს ანიჭებს იმ განსაკუთრებულ უფლებებს, რასაც გამოყენება, მოგება და საპატენტო ლიცენზიების გაყიდვა ქვია. თვითონ ავტორებს კი ეს უფლებები ჩამორთმეული აქვთ. აქედან გამომდინარე განცხადების ბლანკზე განმცხადებელი (განმცხადებლები) და ავტორი (ავტორები) სხვადასხვა ადგილზე მიეთითება. მაშინვე ისმის კითხვა, რატომ ენიჭებათ ასეთი განსაკუთრებული უფლებები მათ, ვისაც საერთოდ არ მიუღიათ შემოქმედებითი მონაწილეობა ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებების შექმნაში?

აქ უნდა ითქვას, რომ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ილახება ავტორების უფლებები, პირიქით ეს ავტორების ნება-სურვილით ხდება. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ პატენტი ეს საბაზრო ეკონომიკის ანუ კაპიტალისტური ცხოვრების იურიდიული დოკუმენტია, მის მისაღებად ბევრი ქმედებებია გასავლელი, დაწყებული გამოგონების გამოვლენიდან და გაფორმებიდან პატენტის მიღებამდე და ყველა ამ ქმედებებში ფულია გადასახდელი. გარდა ამისა მისი ათვისება როგორც წესი, დაკავშირებულია უფრო მეტი კაპიტალდაბანდებასთან, რომელიც ავტორებს შეიძლება არ აღმოაჩნდეს. ასეთ შემთხვევაში როდესაც განმცხადებლები სხვაა და ავტორები სხვა საპატენტო უწყება აუცილებლად ითხოვს თანხმობის ხელშეკრულებას ორთავე მხრიდან. რაც შეეხება გასამრჯელოს, რომელიც უშუალოდ შეთანხმების საფუძველს წარმოადგენს ესეც ხელშეკრულებაში ჩაიდება, რომელიც ორთავე მხარისათვის მისაღები უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება არ შედგება და ვერც სხვა გახდება პატენტმფლობელი, რომელსაც არავითარი შემოქმედებითი მონაწილეობა არ მიუღია გამოგონების შექმნაში. არის მეორე შემთხვევაც, რომ ავტორები არავის უთმობენ განსაკუთრებულ უფლებას და თვითონ ხდებიან პატენტმფლობელებიც. ასეთ შემთხვევაში განცხადების ბლანკში მითითებულ სხვადასხვა ადგილზე ერთი და იგივე პიროვნებები აღინიშნებიან. ასეთ

შემთხვევაში საპატენტო უწყება არავითარ შეთანხმების ხელშეკრულებას აღარ ითხოვს.

რაც შეეხება სხვა საგანაცხადო მასალებს, აქ პირველ რიგში გამოგონების, სასარგებლო მოდელის და დიზაინის აღწერილობა იგულისხმება, პირველი ორი თავისი ფორმულით, რომელიც შეიძლება წარდგენილ იქნეს არა სახელმწიფო ენაზეც. ეს კეთდება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რათა არ დაიკარგოს კარგი იდეები, რომელიც სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს განაპირობებს. აღწერილობა განაცხადის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს. იგი წარდგენილი უნდა იყოს დადგენილი წესით და ისეთი სისრულით, რომ შესაბამისი დარგის სპეციალისტებისათვის შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება. ნაწილში „გამოგონების არსი“ დაწვრილებით უნდა წარმოჩინდეს ამოცანა რომლის გადასაჭრელადაც არის მიმართული გამოგონება და ის ტექნიკური შედეგი, რომელიც ამ გამოგონების განხორციელებით მიიღწევა.

ამ ნაწილში უნდა აღიწეროს გამოგონების დამახასიათებელი ყველა არსებითი ნიშანი იმ ნიშანთა გამოყოფით, რომლებიც განასხვავებს გამოგონებას პროტოტიპისაგან. თავის მხრივ განმასხვავებელი ნიშნები უნდა დაიყოს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში ერთიანდება ნიშნები, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია ტექნიკური შედეგის მისაღწევად. მეორეში კი შედის ნიშნები, რომლებიც გამოგონებას ახასიათებს მხოლოდ კერძო შემთხვევაში, მისი შესრულების კონკრეტული ფორმების ან განსაკუთრებულ პირობებში მისი გამოყენების თვალსაზრისით.

ნაჩვენები უნდა იყოს გამოგონების არსებით ნიშანთა ერთობლიობასა და ტექნიკურ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. მიზანშეწონილია იმ სხვა ტექნიკური შედეგების მითითებაც, რომელთა მიღწევა ამ გამოგონებითაა შესაძლებელი.

ტექნიკური შედეგი კი შეიძლება იყოს განუსაზღვრელი, კერძოდ: ხახუნის კოეფიციენტის გაზრდა ან შემცირება,

ვიბრაციის შემცირება, კონსტრუქციის გამარტივება, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება, წარმადობის გაზრდა, ფუნქციონალური შესაძლებლობის გაფართოება, ტექნოლოგიური პროცესის გამარტივება ან გაუმჯობესება, სამკურნალო პრეპარატის მოქმედების ეფექტურობის გაზრდა, სიმსივნის ზრდის ინტენსივნობის შემცირება და ა.შ.

აღნერილობას თავისი სტრუქტურა გააჩნია, პირველ რიგში მითითებული უნდა იყოს სრული გამოგონებათა საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსი. იგი შესდგება 8 ნაწილისაგან და საფუძვლად უდევს ფუნქციურ-დარგობრივი პრინციპი და მოიცავს მატერიალური წარმოების ყველა სფეროს, თითოებული ნაწილი იყოფა კლასებად, ქვეკლასებად, ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. სრულად იმიტომ ვამბობთ, რომ იგი მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს სავარაუდო გამოგონების აღნერილობაში მითითებული დარგის ჩვენებას, რომელიც სასურველია დაკონკრეტდეს ქვეჯგუფამდე. საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსის მითითების შემდეგ იწერება დასახელება. ის უნდა იყოს მოკლე და კონკრეტულად განსაზღვრავდეს ობიექტს. მაგალითად, ჩაის საკრეფი; ცემენტის კლინკერის წარმოების ხერხი; საცხები მაღამო და სხვა. განმცხადებლის განცხადების საფუძველზე დასაშვებია გამოგონების დასახელებას დაემატოს ავტორის სახელი ან სპეციალური სახელწოდება (რომელიც შეიძლება წარდგენილი იქნეს განაცხადის მსვლელობის ყველა ეტაპზე).

აღნერილობა იწყება დარგის მითითებით, რომელიც უნდა დაკონკრეტდეს თუ სახალხო მეურნეობის რომელ სფეროში შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოგონება ან სასარგებლო მოდელი, ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს მითითებულ საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსს, სასურველია ქვეჯგუფს. მაგალითად „სავარაუდო გამოგონება განეკუთვნება სოფლის მეურნეობის მექანიზაციას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩაის ბუჩქის სასხლავად“. დარგის დაკონკრეტება იმდენად არის სასურველი, რომ იგი განაცხადის წარდგენის შემდეგ, მოხვდეს უშუალოდ მითითებული ქვეჯგუფის დარგის სპეცია-

ლისტის ხელში, რათა გაადვილდეს საქმეთა წარმოება განმცხადებელსა და ექსპერტს შორის. აღწერილობის შემდეგ ნაწილში უნდა იყოს წარმოდგენილი განმცხადებლისთვის ცნობილი ტექნიკის დონის დახასიათება. ამ ნაწილში აღინიშნება გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ანალოგები და მოიყვანება შედარებითი ანალიზი ანალოგების უარყოფითი მხარეების ჩვენებით. აქვე უნდა მიეთითოს ანალოგების ბიბლიოგრაფიული მონაცემები, რომელიც ადვილს გახდის მის მოძებნას. ანალოგები ეს ისეთი ცნობილი იგივე დანიშნულების ტექნიკური გადაწყვეტილებებია, რომელიც წინ უსწრებს გამოგონების შექმნას და რომელიც თავისი ძირითადი ნიშნების ერთობლიობით, ფუნქციონალური დანიშნულებით და ტექნიკური შედეგით ახლო დგას სავარაუდო გამოგონებასთან. ანალოგების უარყოფითი მხარეების ჩვენების შემდეგ უნდა დასახელდეს პროტოტიპი. პროტოტიპი ეს ისეთი ტექნიკური გადაწყვეტილებაა, რომელიც შერჩეული ანალოგებიდან კიდევ უფრო ახლო დგას სავარაუდო გამოგონებასთან. პროტოტიპის დასახელების შემდეგ უნდა განისაზღვროს პროტოტიპის უარყოფითი მხარეები. სწორი პროტოტიპის დასახელებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ მსოფლიო სიახლესთან გვექნება საქმე, რომელიც სრული ექსპერტიზის საფუძველზე დგინდება. იმისათვის, რომ პროტოტიპი სწორად შეირჩეს ამისათვის კარგად უნდა იქნეს შესწავლილი ტექნიკის არსებული დონე, აქ იგულისხმება სავარაუდო გამოგონების ირგვლივ მსოფლიოში არსებული ტექნიკის დონე, რომელიც განისაზღვრება ყველა იმ მონაცემებით, რომელიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე. მსოფლიოში არსებული ტექნიკის დარგის ცოდნა განაპირობებს სწორი პროტოტიპის შერჩევას, რაც განმცხადებლისათვის დიდ შრომატევად საქმეს წარმოადგენს. სწორედ ეს მომენტი განაპირობებს აღწერილობის სტრუქტურის სწორად ჩამოყალი-

ბებას, რადგან პროტიპთან შედარების საფუძველზე უნდა შედგეს სავარაუდო გამოგონების აღწერილობა. აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომ განმცხადებელი დაინტერესებული პიროვნებაა და მან შეიძლება შეგნებულად აუაროს გვერდი ტექნიკის არსებული დონიდან გამოვლენილ ყველზე საუკეთესო პროტოტიპს. არასწორად შერჩეული პროტოტიპი აუცილებლად გამოიწვევს ექსპერტის მოთხოვნას, რომ პროტოტიპი სწორად იქნეს შერჩეული. ექსპერტს უფლება აქვს თვითონ მიუთითოს სწორი პროტოტიპი. ექსპერტი ამას გააკეთებს ტექნიკის დონის შესწავლის საფუძველზე, რომელიც ძირითადი ნიშნების ერთობლიობასა და ტექნიკურ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან იქნება გამომდინარე. ამის შემდეგ განმცხადებელს მოუწევს აღწერილობის თავიდან ჩამოყალიბება ახალ პროტოტიპთან შედარების საფუძველზე, რომლითაც დგინდება გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულა და განისაზღვრება პატენტის მისაღებად წარდგენილი ობიექტის არსი. შემდეგ მოიყვანება ობიექტის დახასიათება. თუ მოწყობილობაა, იგი განიხილება სტატისტიკაში ნახაზების ფიგურების და პოზიციების თანმიმდევრული მითითებით და დინამიკაში — როგორ მუშაობს და/ან როგორ გამოიყენება ობიექტი. ხერხი აღინიშება ჯერ ზოგადად, შემდეგ კი მოიყვანება მისი განხორცილების ერთ-ერთი ოპტიმალური მაგალითი მაინც. ნივთიერებათა გადმოცემა ხდება ჯერ მისი შემადგენლობის გადმოცემით, შემდეგ მისი მიღების ხერხით და მოიყვანება მონაცემები მისი გამოყენების შესახებ. ამ შემთხვევებშიც უნდა იყოს აღწერილი ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

თუ ნივთიერება ფარმაცევტულია, მაშინ უნდა იყოს ცნობები მისი ცხოველებზე ან პაციენტებზე გამოცდის დადასტურებით, თერაპევტული ან სხვა შედეგის გამოკვეთით.

თუ განაცხადი შეეხება გამოგონების ისეთ ობიექტს, როგორიც არის გამოყენება, მაშინ აღწერილობის ჩამოყალიბებას ცოტა თავისებური მიღვიმა დასჭირდება. აქ ჩვენ არავითარ ახალი ნიშნების ერთობლიობასთან არ გვაქვს

საქმე, რადგან იგი განეკუთვნება უკვე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის გამოყენებას, უჩვეულო დანიშნულებით, მისი აქამდე უცნობი ფუნქციის გამოვლენის საფუძველზე. ამასთან, ცნობილი ობიექტი არ უნდა განიცდი-დეს რაიმე არსებით ცვლილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ობიექტში უკვე არსებულმა ძირითადი ნიშნების ერთობლიობამ, რომელსაც გააჩნია რაღაცა ფუნქციონალური დანიშნულება უნდა შეიძინოს ახალი ფუნქციონალური დანიშნულება. აქ ადრე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის დასახასიათებლად უნდა გამოვიყენოთ ამ ახალი დანიშნულების და უცნობის ფუნქციის აღწერა. პირველ რიგში უნდა გადმოიცეს ცნობილი ობიექტის დახასიათება იმ ინფორმაციის წყაროს ბიძლიოგრაფიული მონაცემების მითითებით, რომელშიც აღწერილია იგი, აღიწეროს მონაცემები მისი ცნობილი და ახალი დანიშნულების შესახებ და ის თვისებები, რომლებიც განაპირობებს ახალი დანიშნულებით მისი გამოყენების შესაძლებლობას.

მიკროორგანიზმის შტამის, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურის აღწერისას, დამატებით მიეთითება ნიშნები, რომლებითაც იგი განსხვავდება საწყისისაგან ან ახლომონათესავე შტამებისაგან, თუ განაცხადი ეხება ბიოლოგიურ რეპროდუცირებად მასალას, რომელიც შეუძლებელია აღიწეროს განაცხადში ისეთი სისრულით, რომ სპეციალისტისათვის ცხადი იყოს მისი განხორციელების შესაძლებლობა, ან, თუ ეს ბიოლოგიური მასალა არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დეპოზიტირის მიერ გაცემული ბიოლოგიური მასალის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი.

რაც შეეხება დამატებითი გამოგონების აღწერილობას, აქ განსაკუთრებულად თავისებური მიდგომაა საჭირო. დამატებითი გამოგონების ფორმულირება ისეთია, რომ „დამატებითი გამოგონების გამოყენება შეუძლებელი ძირითადი გამოგონების გარეშე“. აქ გაცილებით ადვილდება აღწერილობის ჩამოყალიბება, რადგან იგი არსებული გამოგონების (ძირითადის)

გაუმჯობესებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში უკვე ცნობილია ობიექტი, რომელიც უნდა გაუმჯობესდეს, ცნობილია საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსი, რადგან იგი იგივეა რომელიც გააჩნია ძირითად გამოგონებას, ცნობილია დასახელებაც, ცნობილია და დაკონკრეტებულია დარგის ჩვენება, აღარ არის საჭირო ანალოგების დახასიათება და რაც მთავარია პროტოტიპს თვითონ ძირითადი გამოგონება წარმოადგენს, რომელიც უმჯობესდება. სწორედ ეს გაუმჯობესება წარმოადგენს ტექნიკური შედეგის მიღწევას. დამატებითი გამოგონების დროს ცნობილია აგრეთვე ნიშნების ერთობლიობა, რომელმაც უკვე გადაჭრა ძირითადი ამოცანა. აქ ანალიზდება მხოლოდ ის ახალი დამატებითი ნიშანი (ნიშნები), რომელმაც უნდა აღმოფხვრას ძირითადი გამოგონების ხარვეზი.

დიზაინის აღწერილობის სტრუქტურა, რომელიც მხოლოდ განმარტებითი ხასიათისაა დასახლოებით იგივეა, როგორიც გამოგონება. განსხვავება მხოლოდ ამ ობიექტის თავისებურებაშია, კერძოდ, დასახელება უნდა იყოს მოკლე და ზუსტი, შეესაბამებოდეს დიზაინის საერთაშორისო კლასიფიკაციის სათანადო რუბრიკას.

დიზაინის დასახელებაში მითითებული უნდა იყოს გამოყენების სფერო. დიზაინის დანიშნულებასა და გამოყენების სფეროში უნდა მიეთითოს მრეწველობის რა დარგში ან ადამიანის საქმიანობის რომელ სფეროში გამოიყენება განცხადებული ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა, აღინიშნოს მისი ფუქნციური უპირატესობა და გამოყენებადობა.

განცხადებული დიზაინის აღწერილობა უნდა შეიცავდეს მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის ანალოგების და პროტოტიპის დახასიათებას. ანალოგს წარმოადგენს იმავე ფუნქციური დანიშნულების, მაგრამ გარეგანი სახის განსხვავებული მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის მქონე ნაწარმი.

პროტიტიპი ის ანალოგია, რომელიც ხასიათდება განცხადებული ობეიქტის არსებითი ნიშნების მსგავსი მაქსიმალური რაოდენობით.

არსებით ნიშნებს განეკუთვნება ობიექტის იმ ნიშანთა ერთობლიობა, რომელთაგან თითოეული აუცილებელია, ხოლო ყველა ერთად — საკმარისი, ნაკეთობის კონკრეტული ვიზუალური სახის შესაქმნელად, მხატვრული ღირსების აღსაქმნელად.

ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის არსი და პროტოტიპისაგან განსხვავებული ნიშნები შეიცავს:

- არსებითი ნიშნების აღწერას;
- ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტების ვარიანტების აღწერას, განმასხვავებელი ნიშნების მითითებით;
- მონაცემებს ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტების ერგონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

დანადგარების, ჩარხების, ხელსაწყოების მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტების აღწერაში მოყვანილი უნდა იყოს კონსტრუქციის მუშაობის მოკლე აღწერა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კომპოზიციური და ფუნქციური ელემენტების, კვანძების, დეტალების ურთიერთშეთანხმება, საფეიქრო მრეწველობის ნაკეთობების (ქსოვილების, ხალიჩები და ა.შ.) აღწერაში მოყვანილი უნდა იყოს ნაკეთობების მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტები, მათი არტიკულების და ნახატების ნომრების მითითებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც დიზაინში გამოყენებულია გამოგონება, აღწერილობის ტექსტში უნდა იქნეს მოყვანილი სათანადო დოკუმენტის ნომერი.

აღწერილობის ბოლოს მოყვანილი უნდა იყოს ბიბლიოგრაფიული მონაცემები ანალოგების და პროტოტიპის ინფორმაციული წყაროების შესახებ.

წარმოდგენილი უნდა იყოს საერთო ხედის ნახაზი ან გაერთმლიანების პრინციპული სქემა, რომელიც ნაკეთობის გარეგან სახეს განსაზღვრავს, რომელიც ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს აღწერილობის ტექსტს და იძლეოდეს ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტაზე მკაფიო წარმო-

დგენას (გაბარიტები, შემადგენელი ელემენტები და მათ შორის კავშირი).

რაც შექხება ისეთ კრიტერიუმს როგორიც არის „გამოყენებადობა“, ჩვენ ადრეც ვახსენეთ გამოგონების პრაქტიკული მნიშვნელობა და ეხლად გავიმეორებთ, რომ განუხორციელებელი იდეა არავის არაფერში არ სჭირდება, ამიტომაც, კრიტერიუმი „გამოყენებადობა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმთაგანია სამრეწველო საკუთრების ყველა ობიექტი-სათვის, რომელსაც სხვადასხვა ფორმით თითქმის ყველა ქვეყნის საპატენტო კანონმდებლობა იზიარებს. ახალ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, სწორედ გამოყენების შემდეგ მოაქვს ის ტექნიკური შედეგი, რომელსაც სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ჰქვია. „გამოყენებადობა“ იმას არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად უახლოეს მონაკვეთში უნდა განხორციელდეს. ტექნიკური გადაწყვეტილებები გამოყენების თვალსაზრისით შეიძლება პერსპექტივაში განიხილებოდეს, მაგრამ აღნერილობაში იგი უთუოდ უნდა არგუმენტირებულად დადასტურდეს, რომ იგი გამოყენებადია.

აღნერილობის ამ ნაწილში უნდა იყოს ნაჩვენები ტექნიკური შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.

მოწყობილობის სტატისტიკურ მდგომარეობაში აღნერის შემდეგ აღინერება მისი მოქმედება (მუშაობა) ან მისი გამოყენების ხერხი იმ კონსტრუქციული ელემენტების ციფრულ აღნიშვნებზე დაყრდნობით, რომლებიც მოყვანილია ნახაზებზე, ეპიურებზე, დიაგრამებზე, სქემებზე და ა. შ.

ხერხში აღნერილი მონაცემები უნდა ადასტურებდეს ხერხის განხორციელებადობას, შეიცავდეს მონაცემებს მატერიალურ ობიექტზე მოქმედებათა (ილეთების, ოპერაციების) თანმიმდევრობაზე. აგრეთვე, ამ მოქმედებათა ჩატარების პირობებზე, კონკრეტულ რეჟიმებზე (ტემპერატურა, წნევა და ა.შ.) და როცა ეს აუცილებელია, მითითებებს გამოყენებულ მოწყობილობაზე, ნივთიერებაზე და შტამზე.

ახალი ნივთიერების გამოგონებისათვის, მოყვანილი უნდა იქნეს მისი სტრუქტურული ფორმულა, ფიზიკო-ქიმიური

კონსტანტები და ახალი ნაერთის მიღების ხერხის აღწერა. წარმოდგენილი უნდა ოყოს, აგრეთვე, ამ ნაერთის განსაზღვრული დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობის დამადასტურებელი მონაცემები, ხოლო ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებისათვის — აქტიურობის და ტოქსიკურობის რაოდენობრივი მახასიათებლების მაჩვენებელი.

იმ გამოგონების განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც შეეხება მიკროორგანიზმთა შტამს, უჯრედთა კულტურებს ან ხერხებს, რომელშიც ისინი გამოიყენება, დასტურდება მითითებით იმაზე, თუ როგორ ან სად შეიძლება იყოს მიღებული სათანადო შტამი. შტამის მიღების შესაძლებლობის დადასტურებას წარმოადგესნ განაცხადზე დართული დეპონირების დოკუმენტი. ამასთან, დეპონირების თარიღი წინ უნდა უსწრებდეს სავარაუდო გამოგონების პრიორიტეტის თარიღს.

თუ გამოგონება ეხება მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის, ახალი უჩვეულო დანიშნულებით გამოყენებას, მაშინ უნდა იქნეს მოყვანილი ამ დანიშნულებით მისი გამოყენების შესაძლებლობის დამადასტურებელი არგუმენტი.

დიზაინის სამრეწველო წესით განხორციელებადობა უნდა შეიცავდეს მონაცემებს ნაკეთობის სამრეწველო პირობებში დამზადების ტექნოლოგიის შესახებ.

## § 6. გამოგონების ფორმულა

გამოგონების ფორმულა, გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობის შემადგენელი ნაწილია, და შეიძლება ითქვას მთლიანად აღწერილობიდან გამომდინაროებს და თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დამოუკიდებელ ნაწილად აღიქმება და ცალკე იწერება. ხშირად მას სხვადასხვა ტერმინითაც მოიხსენიებენ, როგორიც არის: საპატენტო ფორმულა; საპატენტო პრეტენზია; გამოგონების საგანი და სხვ. ყველა ტერმინს თავისი შესატყვისი გამართლებული ახსნა მოეძებნება, მაგალითად, გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე პატენტები გაიცემა, რომელიც უშუალოდ გამოგონების ფორმულაში ჩანსებს იცავს, პატენტით განმცხადებელს უშუალოდ პრეტენზია გამოგონების ფორმულაში ჩანსერილ ნიშნებზე გააჩნიათ, გამოგონების საგანი კი მიგვაინშნებს, რომ გამოგონების ფორმულა უშუალოდ აღწერილობიდან გამომდინარეობს და ა.შ. მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ყველა ტერმინი ერთი და იგივე დანიშნულებას და მიზანს ემსახურება.

საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად, გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე გაიცემა პატენტი, რომელიც ადასტურებს ავტორობას და ანიჭებს პატენტის მფლობელს განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე. ეს იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებული უფლება პატენტფოლობელს, უშუალოდ გამოგონების ფორმულაში ჩანსერილ ნიშნებზე ენიჭება, გამოგონების ფორმულა ინგლისურად — Claims, პირდაპირ ითარგმნება როგორც მოთხოვნები, მასში ჩადებული ძირითადი ნიშნების ერთობლიობა ნიშნავს, რომ განმცხადებელი მოითხოვს აღნიშნული ნიშნების სამართლებრივი დაცვის ფარგლებს, გერმანულად გამოგონების ფორმულა — Anrecht, მოთხოვნის უფლებას ნიშნავს და იგივე შინაარსის მატარებელი ტერმინია რასაც ინგლისური ტერმინი გულისხმობს. ერთი სიტყვით, გამოგონების აღწერილობა, საერთო წესის თანახმად, მთავრდება ე.ნ. გამოგონების ფორმულით, რომელიც გამოგონების ტექნიკური გადაწყვე-

ტილების მოკლედ გადმოცემას ემსახურება და საპატენტო მონოპოლის საზღვრებს ადგენს.

გამოგონების ფორმულის შედგენა მოითხოვს დიდ ოსტატობას, გამოგონების არსის ზედმიწევნით გაგებას და ყველა ხერხის იურიდიული ტექნიკის წვრილმანების დაუფლებას, გამოგონების ფორმულის რედაქცია ისეთი უნდა იყოს, რომ მან მოიცვას გამოგონების ყველა განსახორციელებელი ვარიანტი და ნებისმიერი დავის წამოჭრის შემთხვევისათვის ზუსტად დაადგინოს მონოპოლის საზღვრები.

ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო უწყება ერთნაირ მოთხოვნებს არ უყენებს გამოგონების ფორმულის ფორმასა და შინაარს. არსებობს გამოგონების ფორმულის გადმოცემის შემდეგი ძირითადი სისტემები: გერმანული, რომელიც მიღებულია გერმანული საპატენტო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში; ამერიკული, რომელიც მიღებულია კანადაში და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში; ინგლისური, რომელიც მოქმედებს ინგლისური საპატენტო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში. ცალკეულ ქვეყნებში დასაშვებია ნებისმიერი სისტემით გადმოცემული გამოგონების ფორმულის საპატენტო განაცხადში ჩართვა და შეტანა. კერძოდ, ასეთი წესი მოქმედებს ბელგიაში, ესპანეთში, იტალიაში, კანადაში, პორტუგალიაში და სხვა.

გამოგონების ფორმულა დადგენილი წესით და ფორმით გადმოცემული განცხადებული ობიექტის მოკლე სიტყვიერი დახასიათებაა, წარმოდგენილი არსებითი ნიშნების ერთობლიობით. ფორმულის შედგენისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფორმულირების სიზუსტეს, ტერმინების სწორ გამოყენებას, ცალკეული ელემენტების ურთიერთკავშირის მეტიოდ გამოხატვას. არ დაიშვება გაურკვეველი გამოთქმების, ორაზროვანი ფორმულირების გამოყენება, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი ტერმინები, რომელიც ცნობილია და აღიარებული აღნიშნული დარგისათვის. ახალი ტერმინების შემოტანა როგორც აღნერილობაში ასევე ფორმულაში მოითხოვს მის განმარტებას და დასაბუთებას. გამოგონების ფორმულა იწყება გამოგონების

დასახელებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს აღწერილობის დასახელებას. ფორმულის მთავარი დანიშნულება ყველა ქვეყნის საპატენტო კანონმდებლობის მიხედვით არის სამართლებრივი, ის განსაზღვრავს გამოგონების ობიექტს (ებს) და არსებითი ნიშნების ერთობლიობას, რაც თავის მხრივ იძლევა შესაძლებლობას დავადგინოთ დანერგვის თუ უნებართვო გამოყენების ფაქტი, შესაბამისად, განსაკუთრებული უფლების დარღვევა (კონტრაფაქტია).

გამოგონების ფორმულის სტრუქტურა დადგენილია საქართველოში მოქმედი გამოგონების გაფორმებისა და წარდგენის წესების მიხედვით, და იგი იმეორებს ევროპული (გერმანული) ტიპის გამოგონების ფორმულის სტრუქტურას.

გერმანული გამოგონების ფორმულის დამახასიათებელი თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ გამოგონების ცნობილი უახლესი პროტოტიპის ნიშან-თვისებები თავსდება ფორმულის ტექსტის პირველ ნაწილში, რომელსაც საქართველოს საპატენტო კანონმდებლობა შემომფარგველს უწოდებს და გადმოიცემა ტექნიკის დონისათვის ცნობილი არსებითი ნიშნები, რომელიც ემთხვევა გამოგონების (სსარგებლო მოელის) ნიშნებს. ეს ის ნიშნებია, რომელიც ცნობილია ტექნიკის არსებდული დონისათვის და სწორად შერჩეული პროტოტიპის ნიშნებს წარმოადგენს, რომელიც გამომგონებელს არ შეუქმნია, რაც შეეხება ავტორის მიერ შექმნილ ახალ ნიშნებს, ერთიანდება ე.წ, განმასხვავებელ ნაწილში, ეს ნაწილები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სიტყვებით „გ ა ნ ს ხ ა ვ ე ბ უ ლ ი ა იმით, რომ...“, მაგალითად, ობიექტი მოწყობილობა - „ჩაის სასხლავი აპარატი, რომელიც შესდგება საკიდი სისტემის, სამუშაო ნაწილებისაგან გ ა ნ ს ხ ა ვ ე ბ უ ლ ი ა იმით, რომ სამუშაო ნაწილები შედგება სამი სწორი დანებისაგან, რომელთა შორის შუანა განლაგებულია პორიზონტალურად ხოლო გვერდითი ორი დახრილად, ჩაის ბუჩქი კონფიგურაციის შესაბამისად“; ობიექტი ხერხი - „მყარი ნახშირორჟანგის ღვინის დაგაზიანების ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ღვინის ჩამოსხმას, ღრუსაცობით ბოთლის დაცობას, მიუზღეს გაკეთებას, შენჯლრევას,

გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა იმით, რომ დაცობის წინ მყარი ნახშირორუანგისა ძელაკი მაგრდება საცობის ღრუში“. ობიექტი ნივთიერება - „ცეცხლგამძლე მასა, რომელიც შეიცავს მინდვრის შპატს, პროსიანოვკის კაოლინს და ჩასოიარსკის თხხას გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ა იმით, რომ მასში შეყავთ ტექნიკური თიხის მიწა, კვარცის ფხვნილი და დოლომატი კომპონენტების შემდეგი თანაფარდობით, მას %“

კორუნდი	19,21
ტექნიკური თიხის მიწა	3,6
მინდვრის შპატი	12,5-14,5
პროსიანოვსკის კაოლინი	31,5 — 33,5
ჩხოვიარსკის თხხა	16,8 — 18,8
კვარცის ფხვნილი	9 — 11
დოლომატი	06 — 1.8

დამატებითი გამოგონება - „ფრთებსაცლელი სანიავებელი მანქანა, პატენტის №252570 გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ა იმით, რომ მბრუნავი დოლი მთელ სიგრძეზე აღჭურვილია მი-მართველი შნეკით“. რა საკვირველია ამ შემთხვევაში ძირითადი გამოგონებაზე პატენტის №242570 დამატებული ახალი ნიშანი, მბრუნავ დოლზე მიმართველი შნეკით, ძირითადი გამოგონების გარეშე მის ფუნქციას ვერ შეასრულებს.

ჩვენ, აღნერილობის სტრუქტურის განხილვის დროს ავღ-ნიშნავთ, რომ იმ ნაწილში, რომელსაც „გამოგონების არსი“ ქვია უნდა აღინეროს გამოგონების დამახასიათებელი ყველა არსებითი ნიშანი, იმ ნიშანთა გამოყოფით, რომლებიც განასხვავებს გამოგონებას პროტოტიპისაგან, ხოლო ეს უკნასკნელი კიდევ დავყავით ორ ჯგუფად, პირველში ერთიანდება ნიშნები, რომელიც აუცილებელი და საკმარისია ტექნიკური შედეგის მისღწევად. მეორეში კი შედის ნიშნები, რომელიც გამოგონებას ახასიათებს მხოლოდ კერძო შემთხვევაში, მისი შესრულების კონკრეტული ფორმების ან განსაკუთრებულ პირობებში მისი გამოყენების თვალსაზრისით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოგონების ფორმულა მართლაც მთლიანად

აღწერილობიდან გამომდინარეობს და სიტყვა განსხვავებულიას შემდეგ ფორმულაში ჩანსერილი ნიშნები უშუალოდ არის მიზეზ შედეგობრივ კავშირში ტექნიკურ შედეგთან, რომელიც შინაარსობრივად აღწერილობაშია განმარტებული.

საერთოდ ფორმულა შესაძლებელია იყოს ერთმუხლიანი და მრავალმუხლიანი და შესაბამისად შეიცავდეს ერთ ან რამო-დენიმე მუხლს, ტერმინი „ერთმუხლიანი და მრავალმუხლიანი“ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაც იხმარება, მაგალითად, „ერთპუნქტიანი და მრავალპუნქტიანი“, „ერთრგოლიანი და მრავალრგოლიანი“, „ერთპოზიციანი და მრვალპოზიციანი“, მგრამ იგი ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია.

ერთმუხლიანი ფორმულა გამოიყენება არსებითი ნიშნების ერთობლიობით ისეთი გამოგონების დასახასიათებლად, როდე-საც დასაცავი ობიექტის აღწერისას არ არის აუცილებელი იმ ნიშანთა მითითება, რომელიც მოცემულ გამოგონებას ახასი-ათებს კერძო შემთხვევაში მისი შესრულების, გამოყენების, განვითარების და დაზუსტების თვალსაზრისით, მრავალმუხ-ლიანი ფორმულა, რომელიც ახასიათებს ერთ გამოგონებას, შეიცავს ერთ დამოუკიდებელ მუხლს და მომდევნო, მასზე დამოკიდებულ მუხლს (მუხლებს), ასეთ შემთხვევაში აუცილე-ბელი ნიშან-თვისება გადმოცემული უნდა იქნეს პირველ მუხლ-ში, რომელსაც მთავარს უწოდებენ ანუ დამოუკიდებელს, ხოლო შემდგომ მუხლებში, რომლებსაც დამატებითს, ანუ დამოკი-დებულს უწოდებენ, გადმოიცემა გამოგონების ვარიანტები და მოცემულია მათი ტექნიკური კონკრეტიზაცია. დამატებითი მუხლის დამოკიდებულება მთავარისაგან, რედაქციული თვალ-საზრისით, გამოიხატება იმით, რომ შეიცავს მითითებას მთავარ მუხლზედ მაგალითად, „2. მოწყობილობა 1-ლი მუხლის მიხედვით, გ ა ნ ს ხ ვ დ ე ბ ა იმით, რომ...“ დამატებითი მუხლები შეიძლება შეიცავდეს მითითებას მთავარ წინა და წინა დამატებითზეც, მაგალითად, „4. მოწყობილობა 1-ლი და მე-3 მუხლების მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ...“

თვალსაჩინოებისათვის გავაცნობიეროთ იგი მაგალითების სახით:

**1. გამოგონების ერთმუხლიანი ფორმულა**

1. ჩაის სასხლავი აპარატი, რომელიც შესდგება, საკიდი სისტემის სამუშაო ნაწილებისაგან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ბ უ ლ ი ა იმით, რომ სამუშაო ნაწილები შესდგება სამი სწორი დანებისაგან, რომელთა შორის შუანა განლაგებულია ჰორიზონტალირად, ხოლო გვერდითი ორი დახრილად, ჩაის ბუჩქის კონფიგურაციის შესაბამისად.

**2. გამოგონების მრავალმუხლიანი ფორმულა**

1. სატაცი მოწყობილობა, რომელიც შეიცავს კორპუსს, უკუქცევით გადაადგილების ამძრავს, დრეკად მოქნილ მომჭერ ელემენტებს, რომელთა ერთი ბოლო დამაგრებულია ამძრავის ბოლო რგოლზე, მეორე კი კორპუსზე გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა იმით, რომ დრეკადი მოქნილი მომჭერი ელემენტები შესრულებულია ძაფების სახით, ძაფებზე კი განლაგებულია სეულები.

2. მოწყობილობა 1-ლი მუხლის მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ სხეულები სფერული ფორმისაა.

3. მოწყობილობა 1-ლი და მე-2 მუხლების მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ სხეულები შესრულებულია ნახვრეტებით.

4. მოწყობილობა 1-ლი, მე-2 და მე-3 მუხლების მიხედვით განსხვავდება იმით, რომ სხეულების ნახვრეტების ბოლოები შესრულებულია ნაზოლით.

**3. გამოგონების მრავალმუხლიანი ფორმულა**

1. მყარი ნახშირორჟანგის ღვინის დაგაზიანების ხერხი, რომელიც ითვალისინებს ღვინის ჩამოსხმას, ღრუ საცობით ბოთლის დაცობას, მიუზღეს გაკეთებას, შენჯლრევას, გან-სხვავდება იმით, რომ დაცობის წინ მყარი ნახშირორჟანგის ძელაკი მაგრდება საცობის ღრუში.

2. ხერხი 1-ლი მუხლის მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ ყოველ 0.8 ლიტრ ღვინოზე აიღება 3.5-4.5 გრამი ნახშირორჟანგი.

3. ხერხი 1-ლი მუხლის მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ მყარი ნახშირორჟანგის ძელაკი რგოლის მეშვეობით მაგრდება საცობის ღრუში.

4. ხერხი 1-ლი მუხლის მიხედვით, განსხვავდება იმით, რომ ბოთლების შენჯღრევა ხდება 15-20 წუთის განმავლობაში პორიზონტალურ მდგომარეობაში.

მრავალმუხლიანი ფორმულა, გამოიყენება გამოგონების ჯგუფის დახასიათების შემთხვევაშიც.

მრავალმუხლიანი ფორმულა, რომელიც ახასიათებს გამოგონებათა ჯგუფს, შეიცავს რამდენიმე დამოუკიდებელ მუხლს, რომელთაგან თითოეული ახასიათებს შესაბამისად ამ ჯგუფის ერთ-ერთ გამოგენას. ამასთან, ამ ჯგუფის ცველა გამოგონება შეიძლება დახასიათდეს შესაბამისი მუხლებისგან გამომდინარე და მასზე დამოკიდებული მუხლებითაც.

გამოგონებათა ჯგუფის დამახასიათებელი ფორმულის ჩამოყალიბების დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

დამოუკიდებელი მუხლები, რომლებიც ახასიათებს ცალკეულ გამოგონებას, არ უნდა შეიცავდეს მითითებას ფორმულაში შემავალ სხვა მუხლებზე;

დამოკიდებული მუხლები უნდა დაჯგუფდეს იმ შესაბამის დამუკიდებელ მუხლთან, რომელსაც ისინი ექვემდებარება;

თუ ერთი გამოგონების ობიექტი განკუთვნილია მეორე გამოგონების ობიექტის მისაღებად, განსახორციელებლად ან/და გამოსაყენებლად, მაშინ პირველ დამოუკიდებელ მუხლში მოჰყავთ იმ ობიექტის დახასიათება, რომლისთვისაც არის განკუთვნილი მეორე ობიექტი.

მრავალმუხლიანი ფორმულა გაცილებით ღრმად და გასაგებად განმარტავს გამოგონებას, მის საპატენტო დაცვის ფარგლებს, მაგრამ დამოკიდებნული მუხლების დაუსაბუთებელი ზრდა მიზანშეწონილი არ არის.

საპატენტო უწყებები, როგორც წესი არ ზღუდავს გამოგონების ფორმულის მუხლების რაოდენობას, თუმცა ცალეკულ ქვეყნებში — აშშ, კანადა, საფრანგეთი, შვეიცარია

— დადგენილია ზღვარი, რომლის გადამეტება იწვევს დამატებითი სფასურის გადახდას. რაც შეეხება საქართველოს, თითოეულ დამატებით ობიექტზე დამატებითი საფასურია გადასახდელი.

4. გამოგონების ჯგუფის მრავალმუხლიანი ფორმულა

1. მუხრუჭის ხუნდის ზესადების კომპოზიციური მასალა, რომელიც შეიცავს ფენოლის ფისს, ბრინჯაოს პუდრას ან სპილენძის ფხვნილს და პლასტიფიკატორს განსხვავდება იმით, რომ დამატებით შეიცავს დიატომიტს და ბაზალტს კომპონენტების შემდეგი თანაფარდობით, მას %:

დიატომიტი	45 — 50
ბაზალტი	15 — 20
ბრინჯაოს პუდრა ან სპილენძი ფხვნილი	10 — 13
ფენოლის ფისი	20 — 25
პლასტიფიკატორი (ან თუჯის პუდრას)	4 — 5

2. კომპოზიციური მასალა მ.1-ის მიხედვით განსხვავდება იმით, რომ პლასტიფიკატორის სახით შეიცავს თუჯის ან პოლიეთილენის ფხვნილს.

3. მუხრუჭის ხუნდის ზესადების კომპოზიციური მასალის მიღების ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი კომპონენტების ნედლეულის დაქუცმაცებას, დაფქვას, ჰომოგენიზაციას, გაცრას, კომპონენტების შერევას. დაწნეხვას და დაყოვნებას პრესფორმიდან ამოღების შემდეგ, გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა იმით, რომ დაფქვამდე ხდება დიატომიტის ფხვნილის წინასწარი დამუშავება  $850^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე სუფრის მარილის 5 მას %-ის შერევის გზით, 1 საათის განმავლობაში (-) 100 მკმ ფრაქციამდე და დაყოვნება არანაკლებ  $50^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე 2 საათის განმავლობაში, კაზმის დაწნეხვა ხდება  $170\text{-}190^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე 7000 ნ/მ<sup>2</sup> წნევით 15-18 წუთის დაყოვნებით აღნიშნულ წნევაზე, მიღებული ნამზადის პრესფორმიდან ამოღების შემდეგ ყოვნდება  $100\text{-}120^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე 1-1,5 საათის განმავლობაში.

საფასურთან დაკავშირებით შეიძლება გავავლოთ პარალელი ყოფილ საბჭოთა კავშირის პერიოდსა და დღე-

ვანდელ საქართველოს შორის, გამოგონების აღწერილობისადმი განმცხადებლის მიდგომის თვალსაზრისით. საქმე იმაშია, რომ აღწერილობისა და გამოგონების ფორმულის ჩამოყალიბების მიმართ განმცხადებელს მაშინ სხვა მიდგომა გააჩნდა, რადგან გამოგონება სახელმწიფო საკუთრება იყო და არა ავტორების. აქედან გამომდინარე გამოგონების დანერგვა-გამოყენება და მოგება მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო. გამოყენების შემთხვევაში ავტორებს ერთ საავტორო მოწმობაზე ეძლეოდათ ეკონომიკის ორი პროცენტი ხუთი წლის განმვალობაში არა უმეტეს ოცი ათასი მანეთისა. აქედან გამომდინარე ავტორები ცდილობდნენ, რომ ერთი საგამომგონებლო იდეით გაერთიანებულ გამოგონებათა ჯგუფიდან შეედგინათ რაც შეიძლება რაოდენობრივად მეტი გამოგონება და მათზე სხვადასხვა განაცხადები შეედგინათ, რადგან განცხადების წარდგენა და საავტორო მოწმობის მიღება საფასურების გადახდას არ ითვალისწინებდა. დანერგვის შემთხვევაში კი გასამრჯელო საერთო ჯამში გაცილებით მეტი გამოდიოდა. დღეისათვის კი სულ სხვა მიდგომასთან გვაქვს საქმე. განმცხადებლები ცდილობენ, რომ ყველაფერი ერთ განაცხადში, ერთ ფორმულაში მოაქციონ, რათა ფორმულის მეშვეობით რაც შეიძლება მეტი ძირითადი ნიშნების რაოდენობა მოაქციონ სამართლებრივი დაცვის ფარგლებში. დასკვნა ერთია, რომ დაწყებული განაცხადის გაფორმებიდან დამთავრებული პატენტის მიღებამდე ყველა ქმედებაზე შესაბამისი საფასურია გადასახდელი.

გამოგენების ერთიანობის შენარჩუნებისა და აღწერილობის სწორად ჩამოყალიბების მიზნით, ორი მიდგომაა გამოკვეთილი, ერთ შემთხვევაში პირველად აღწერილობას ჩამოაყალიბებენ და შემდეგ იწერება გამოგონების ფორმულა, მეორე შემთხვევაში კი პირიქით. თუ განაცხადი სწორად იქნება გაფორმებული ორთავე მიდგომა გამართლებულია, მაგრამ ჩვენი აზრით პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს გამოგონების ფორმულა, რადგან გამომგონებელმა ძალიან კარგად იცის რა ახალი ნიშნები შემოაქვს დასტული ამოცანის გადასაწყვეტად, ანუ ტექნიკური შედეგის მისაღწევად. შემოტანილი ახალი

ნიშნები ჩაიწერება ფორმულის განმასხვავებელ ნაწილში, შემომფარგვლელ ნაწილში ჩასაწერი ნიშნები კი უკვე ცნობილია, ამ ორ ნაწილს გამოვყოფთ სიყვით, განსხვავებულია იმით, რომ ..., და ფაქტობრივად გამონების პირველი (მთავარი) მუხლი შედგენილად შეიძლება ჩაითვალოს. მთავარი აქ ის არის, რომ ზუსტად განისაზღვროს გამომგონებლის მიერ შემოტანილი ახალი ნიშნები, რომელზრდაც ფაქტობრივად უნდა აიგოს აღნერილობის სტრუქტურა. აღნერილობის სტურქტურის ყველა ნაწილის სწორად ჩამოყალიბდება რა საკვირველია აუცილებელი და საჭიროა, მაგრამ ყველაზე უფრო აუცილებელი და საჭიროა, სწორად განისაზღვროს შემოტანილი ახალი ანუ განმასხვავებელი ნიშნების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ტექნიკურ შედეგთან.

და ბოლოს გამოგონების აღნერილობის ყველა ნაწილი (დასახელება, საკუთრივ აღნერილობა, ნახაზები, გამოგონების ფორმულა) მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ერთიმეორეს.

ყველა ქვეყნის საპატენტო უწყება აღნერილობის შინაარსის მიმართ მოთხოვნებთან ერთად ადგენს, ისეთ მოთხოვნებსაც რომლებიც ეხება განაცხადის გაფორმებას, კერძოდ ესენია აღნერილობის, ნახაზების, ფორმატების, ეგზემპლარების ოდენობა, ქაღალდის ხარისხი, მინდვრის ზომა, გვერდზე სტროფების ოდენობა და ა.შ. ყველა ამ ფორმალური მოთხოვნების შესრულება წარმოადგენს პატენტის მიღებისათვის აუცილებელ პირობას. ევროპის კონვენციაში მონაწილე ქვეყნებში საპატენტო განაცხადების შეტანისას მისი წევრი ქვეყნებისათვის, ზემოთ აღნიშნული ფორმალური მოთხოვნების პირობები განაცხადის გაფორმების მიმართ თითქმის ერთნაირია.

აღნერილობისა და ფორმულის შედგენის შემდეგ, განაცხადს თან უნდა დაერთოს რეფერატი. რეფერატის შედგენის თავისებურებებს ჩვენ გავეცნობით სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის განხილვის დროს.

განაცხადი განმცხადებელს შეაქვს უშუალოდ „საქპატენტში“ ან გზავნის საქართველოს რესპუბლიკის ფოსტის საშუალებით. განაცხადის შეტანის უფლება აქვს ავტორს ან მის

უფლებამონაცვლეს. უცხოელი მოქალაქე, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერი-ტორიაზე, თავის საქმიანობას „საქპატენტთან” წარმართავს პატენტრწმუნებულის მეშვეობით. პატენტრწმუნებულს უნდა ჰქონდეს სათანადო საბუთი და იყოს რეგისტრირებული „საქპატენტსში”. განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით, ქართულ ენაზე. დასაშვებია განაცხადის წარდგენა უცხო ენაზე, მაგრამ განმცხადებელი ვალდებულია წარადგინოს განაცხადის ავთენტიკური თარგმანი ქართულ ენაზე არა უგვიანეს 1 თვისა. ამასთან, დადგენილი ფორმის განცხადება ივსება მხოლოდ ქართულად.

## §7. ექსპერტიზის სახეები

არსებული წესის თანახმად საპატენტო უწყებაში გამოგონებაზე შეტანილი განაცხადი განსახილველად მიღების შემთხვევაში რეგისტრირდება, იგი იღებს რიგით ნომერს, შემდეგ ფიქსირდება განაცხადის პრიორიტეტი, იმისდა მიხედვით თუ რა სახის პრიორიტეტს ითხოვს განმცხადებელი და მას ენიჭება ქვეყანაში მიღებული საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსი. ამის შემდეგ იგი გადაეცემა ექსპერტიზაზე. გამოგონების განმცხადებელს ეგზავნება პრიორიტეტის ცნობა - საბუთი, რომელშიც მითითებულია გამოგონებაზე განაცხადის რიგითი ნომერი და პრიორიტეტის თარიღი.

პატენტის მიღების საფუძველს წარმოადგენს ექსპერტიზა, საერთოდ მიღებულია სამი სახის ექსპერტიზა: ფორმალური, არასრული და სრული ექსპერტიზა.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის საპატენტო უწყება ამონმებს გამოგონებაზე შეტანილი განაცხადისთვის წაყენებულ ფორმალურ მოთხოვნებს — არის თუ არა თავმოყრილი საჭირო საბუთები და სწორად არის თუ არა დაცული მათი შედგენის წესი.

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დროს მოწმდება:

- არის თუ არა გამოგონების განაცხადის დოკუმენტაცია შედგენილი გამოგონებაზე განაცხადის გაფორმების და წარდგენის წესის შესაბამისად;

- მიეკუთვნება თუ არა სავარაუდო გამოგონება საპატენტო კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივი დაცვის ობიექტს;

- დაცულია თუ არა გამოგონების ერთიანობის ფორმალური მოთხოვნები (მაგალითად, გამოგონების ჯგუფის შემთხვევაში არსებობს თუ არა ფორმულაში შესაბამისი რაოდენობის დამოუკიდებელი მუხლები);

ფორმალური ექსპერტიზის დროს განმცხადებელს შეიძლება გაეგზავნოს სამი სახის გადაწყვეტილება;

- გადაწყვეტილება განაცხადის დაბრუნების შესახებ;

- შეტყობინება-მოთხოვნა დამატებითი მასალების  
წარდგენის თაობაზე

- შეტყობინება განაცხადის განსახილველად მიღების  
შესახებ.

სამთავე სახის გადაწყვეტილებაზე „საქპატენტის“ მიერ შემუშავებული და დადგენილია შესაბამისი სახის სპეციალური ფორმები, რომელსაც გადაწყვეტილებისდა შესაბამისად ავსებს ექსპერტი. ექსპერტის მიერ მიღებული ყველა სახის გადაწყვეტილება უნდა იქნეს მოტივირებული. ყველანაირი სახის ექსპერტიზის გადაწყვეტილების გაპროცესტება ხდება გადაწყვეტილების მიღებიდან ორი თვის ვადაში. რაც შეეხება დავის წამოჭრას, რა საკვირველია ეს უკვე სამართლებრივ საკითხებს შეეხება და ჩვენ მას ვერ ავცდებით. სამართლებრივი საკითხები პატენტის გაცემამდეც იჩენს თავს. ამისათვის საპატენტო უწყებაში საქართველოს საპატენტო კანონისდა შესაბამისად შექმნილია ე.წ. სააპელაციო პალატა, რომელიც პატენტის გაცემამდე ექსპერტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სისწორის ირგვლივ წამოჭრილ დავებს განიხილავს.

ფორმალური ექსპერტიზის დროს, ექსპერტმა თუ ჩათვალა, რომ განაცხადი სწორად არის გაფორმებული და გამოიტანა გადაწყვეტილება განაცხადის განსახილველად მიღების თაობაზე, იწყება არასრული ან სრული ექსპერტიზა.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ საპატენტო უწყების მიერ ჩატარებული გამოგონების ექსპერტიზის მოცულობა და სახეობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა, მაგრამ ყველანაირი სახეობის ექსპერტიზა მაინც არასრულ და სრულ ექსპერტიზას ეფუძნება. ქვეყნების ერთ ნაწილში გამოგონებაზე განაცხადში გადმოცემული მასალა არსებითად არ მოწმდება. ამას პატენტის გაცემის განცხადებითს, ანუ სარეგისტრაციო სისტემას უწოდებენ. ქვეყნების მეორე ნაწილში გამოგონებაზე განცხადების შინაარსი საგულდაგულოდ მოწმდება. გამოიკვლევა გამოგონების პატენტუნარიანობა აღწერილობაში მისი გახსნის სისრულის თვალსაზრისით. ამ სისტემამ შემოწმებითის, ანუ კვლევითის, სახელწოდება მიიღო. სანამ ექსპერტიზის სახეებს უფრო

ფართოდ ჩაუღრმავდებოდეთ აქვე აღვნიშნოთ, რომ ექსპერტიზა ტარდება სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე პატენტუნარიანობის დადგენის მიზნით. საპატენტო დაცვის სამივე ობიექტს, გამოგონებას, სასარგებლო მოდელს და დიზაინს, ახასიათებს როგორც საერთო, ასევე მხოლოდ მათ-თვის დამახასიათებელი პატენტუნარიანობის კრიტერიუმები.

თუ განვიხილავთ შესაბამის საკანონმდებლო ნორმებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ ორი კრიტერიუმი „სიახლე“ და „სამრეწველო გამოყენებადობა“ აუცილებელია სამივე ობიექტისათვის. ამასთან, მხოლოდ გამოგონებას და სასარგებლო მოდელს ახასიათებს კრიტერიუმი „საგანმანათლებლო დონე“. სასარგებლო მოდელის თავისებურ კრიტერიუმს დამატებით წარმოადგენს უკვე არსებული ობიექტის გაუმჯობესება. დიზაინის დამახასიათებელ კრიტერიუმად კი გვევლინება სიახლე და ინდივიდუალობა.

გამოგონებათა დაპატენტების განცხადებითი სისტემა მოქმედებს აზისა და ამერიკის უმეტეს ქვეყნებში, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანასა და ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში, კერძოდ, ესპანეთში, იტალიაში, ლუქსემბურგში, საბერძნეთში, შვეიცარიაში.

პატენტების გაცემის განცხადებითი სისტემის ქვეყნებში პატენტი შეიძლება გაიცეს სწორად გაფორმებული გამოგონების ყველა განაცხადზე. ასეთი პატენტების მნიშვნელობა თეორიულად დიდი არ არის და საქართველოში მას „მორყეულ“ პატენტს უწოდებენ. ისინი შეიძლება სასამართლო წესით სადაც გახადოს ნებისმიერმა პირმა. აღსანიშნავია, რომ უმეტესი გამოგონებები პატენტდება რამდენიმე ქვეყანაში. ე.წ. განვითარებად ქვეყნებში განაცხადების უმეტესობა მოდის სხვა ქვეყნების განმცხადებლებზე, რომლებსაც, როგორც წესი, გამოგონებაზე განაცხადები შეაქვთ ჯერ თავიანთ ქვეყანაში, ხოლო შემდეგ სხვაგან, იყენებენ რა კონვენციური პრიორიტეტის უფლებას. ამრიგად განცხადებითი სისტემის მქონე ქვეყნებში ბევრი დაპატენტებული გამოგონება ერთდროულად დაცულია იმ ქვეყნებშიც, სადაც პეტენტების გაცემას წინ

უძლვის განცხადებული გამოგონების სრული შემოწმება პატენტუნარიანობაზე. მეორე მხრივ, ქვეყნების ბევრი ფირმა დაინტერესებულია მიიღოს „მყარი“ პატენტი. ამიტომ, როგორც წესი, ისინი თავიანთ საპატენტო ქვეგანყოფილებები, დამოუკიდებლად ახორციელებენ გამოგონებათა შემოწმებას. უფრო პატარა ფირმები და ინდივიდუალური ავტორები სარგებლობენ კერძო ფირმების, აგრეთვე ჰააგის საერთაშორისო საპატენტო ინსტიტუტის მომსახურებით.

ამრიგად, პატენტების გაცემის განცხადებითი სისტემის მქონე ქვეყნებშიც გამოგონებათა პატენტების უმრავლესობა გაიცემა ისეთ ტექნიკურ სიახლეებზე, როემლთა პატენტუნარიანობა უკვე შემოწმებულია ანუ გავლილი აქვს სრული ექსპერტიზა. საპატენტო უწყებაში გამოგონებათა განაცხადების სრული შემოწმების უქონლობა განმცხადებელს ავალდებულებს დამოუკიდებლად მოახდინოს ამის ორგანიზება. ისიც ფაქტია, რომ გამოგონებათა განაცხადების შემოწმების განცხადებითი სისტემის ქვეყნებში ანუ არასრული ექსპერტიზის სისტემის ქვეყნებში პატენტების გარკვეული ნაწილი არაპატენტუნარიან გამოგონებაზე გაიცემა და მენარმები ხშირად შეგნებულად იღებენ ასეთ პატენტებს. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობას მთლიანად იღებს თავისთავზე პატენტმფლობელი ანუ განმცხადებელი.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ დადგენილი წესით უზრუნველყოფს კვლევის ჩატარებას ექვსი თვის განმავლობაში. ძიების შედეგად განსაზღვრული ტექნიკის დონე არასრული ექსპერტიზის დროს გამოიყენება სავარაუდო გამოგონების მხოლოდ სიახლის დადგენისათვის, ტერმინი „სავარაუდო“ ხშირად იხმარება განაცხადის გაფორმებისა და მისი ექსპერტიზის მსვლელობის დროს, რადგან იგი სავარაუდოა მანამ, სანამ მასზედ პატენტი არ გაიცემა. არასრული ექსპერტიზის დროს სავარაუდო გამოგონება არ ჩაითვლება ახლად, თუ მოიძებნება ისეთი ანალოგი, რომლის ყველა არსებითი ნიშანი წარმოდგენილი გამოგონების

არსებითი ნიშნების იდენტურია, ანუ როგორც საპატენტო კანონში წერია, ექსპერტის საპატენტო ძიების საფუძველზე თუ შეექმნა სრული შთაბეჭდილება, რომ გამოგონება ცხადად გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან, ასეთ შემთხვევას საპატენტო უწყებაში ერთი ერთზე დარტყმას უწოდებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ არავითარი სიახლე არ არსებობს და განმცხადებელს ეგზავნება დოკუმენტური დასკვნა და უარყოფითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე. სიახლის მოთხოვნის დარღვევის მითითებით.

ნებისმიერ შემთხვევაში განმცხადებელს ეგზავნება დოკუმენტური დასკვნა. სავარაუდო გამოგონების პატენტურარიანობას აფასებს თვით განმცხადებელი, რისთვისაც მას შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული დოკუმენტური დასკვნა.

ჩვენ ვახსენეთ ტერმინები „საგანაცხადო სისტემა“ და „არასრული ექსპერტიზა“, რომელსაც ჩვენ ერთი და იგივე მნიშვნელობას ვანიჭებთ, ეს თავისებურად სწორიც არის, მაგრამ მათ შორის განმასხვავებელი მომენტებიც არსებობს. ამ მიმართებით ზოგიერთი ქვეყნის საპატენტო სამართალი განსაკუთრებული თავისებურებებით გამოიჩინა. მაგალითად, ბელგიის 1984 წლის საპატენტო კანონით, არსებითად შეიცვალა მოთხოვნა გამოგონების სიახლისადმი. თუ ადრე ბელგიაში გათვალისწინებული იყო შედარებითი მსოფლიო სიახლე, რომელიც თავისთავად არასრულ ექსპერტიზას გულისმხობს, ახლა საპატენტო კანონით შემოღებულია აბსოლუტური მსოფლიო სიახლის მოთხოვნა: „გამოგონება ითვლება სიახლედ, თუ იგი არ მიეკუთვნება ტექნიკის დონეს“. თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულმა კანონმა დაადგინა განაცხადის დოკუმენტების ფორმალური შემოწმება და არ შემოიღო განაცხადის საგნის შემოწმება პატენტურარიანობაზე. „პატენტი გაიცემა გამოგონების აღწერილობის სიზუსტის და მნიშვნელობის გარანტის გარეშე, მისი მფლობელის პასუხისმგებლობით“. ანალოგიურ დებულებებს შეიცავს გამოგონებათა განაცხადების შემოწმების განცხადებითი სისტემის უმეტესი ქვეყნების საპატენტო კანონები. გამოგონების პატენტურა-

რინობის სრული შემოწმება სასამართლოს პრაქტიკის კომპეტენციას შეადგენს და ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა პატენტის ნამდვილობა დავას იწვევს.

მაშასადამე, პატენტების გაცემის განცხადებითი სისტემის ქვეყნებში პატენტი შეიძლება გაიცეს სწორად გაფორმებული გამოგონების ყველა განაცხადზე. ამ მოთხოვნას საქართველოს საპატენტო კანონიც ადასტურებს, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ საქართველოს საპატენტო კანონისდა შესაბამისად, ძიების შედეგად განსაზღვრული ტექნიკის დონე არასრული ექსპერტიზის დროს გამოიყენება სავარაუდო გამოგონების მხოლოდ სიახლის დადგენისათვის და განმარტავს, რომ არასრული ექსპერტიზის დროს სავარაუდო გამოგონება არ ჩაითვლება ახლად, თუ მოიძებნება ისეთი ანალოგი, რომლის ყველა არსებითი ნიშანი ნარმოდგენილი გამოგონების არსებითი ნიშნების იდენტურია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არასრული ექსპერტიზის დროს საპატენტო ძიება ტარდება და ტარდება აგრეთვე ნაწილობრივი ექსპერტიზაცი, არსებითი ნიშნების იდენტურობის დასადგენად. წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტი ვერავითარ იდენტურობას ვერ დაადგენს. რაც შეეხება ტერმინს „არა-სრულს“ იგი თავისთავად გულისხმობს, რომ ექსპერტიზა არა-სრულია და აქედან გამომდინარე სახელმწიფო ანუ საპატენტო უწყება თავიდან ისხნის პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობას მთლიანად აკისრებს პატენტმფლობელს ანუ განმცხადებელს, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოხსნის ერთერთი დადასტურება ისიც არის, რომ გამოგონების შესახებ განაცხადის მასალები ქვეყნდება წინასწარ, პატენტის გაცემამდე. ამით დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ გარკვეული ვადის განმავლობაში (ჩვეულებრივ 2-3 თვე) წარმოადგინონ თავიანთი აზრი პატენტის გაცემის წინააღმდეგ. საპატენტო უწყებაში შესულ საწინააღმდეგო აზრს — შესაგებელს (პროტესტს) განიხილავს კომპეტენტური ორგანო. საქართველოს შემთხვევაში — სააპელაციო პალატა, რომელსაც გამოაქვს დასკვნა. ამ დასკვნის საფუძველზე საპატენტო უწყება იღებს სამი სახის გადაწყვეტილებას, გასცეს პატენტი,

შეიტანოს ცვლილებები განაცხადში ან უარყოს განაცხადი. სწორედ ამიტომაც წინასწარ ეგზავნება განმცხადებელს დოკუმენტური დასკვნა, რომელიც განსაზღვრავს ტექნიკის არსებულ დონეს, სადაც მითითებული და გაანალიზებულია შეძლებისდაგვარად საპატენტო ძიების შედეგად მიღებული მასალები, რასაც უნდა დაეყრდნოს განმცხადებელი, გაანალიზოს იგი და გადაწყვიტოს უღირს თუ არა მას პატენტის აღება.

ტექნიკის არსებული დონე განისაზღვრება ყველა სახის იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა პირმა გამოგონებაზე განაცხადის შეტანის თარიღამდე. ინფორმაციის სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულად ითვლება, თუ ინფორმაციას შეიცავს ისეთი საინფორმაციო წყარო, რომელსაც თავისუფლად გაეცნობოდა ნებისმიერი დაინტერესებული პირი, ან თუ მოცემული პირისათვის ამ ინფორმაციის არსი შეიძლებოდა ეცნობებინათ კანონიერი გზით. ასეთ საინფორმაციო წყაროებს განეკუთვნება, კერძოდ;

- გამოქვეყნებული (გამოფენილი, აქცეპტირებული) გამოგონების აღწერილობა — გამოქვეყნების თარიღამდე;
- გამოქვეყნებული გამოგონების აღწერილობა გამოქვეყნების თარიღიდან;
- სხვა გამოცემები გამოქვეყნების თარიღიდან;
- სტატიების, მონოგრაფიების და სხვა მასალების დეპონირებული ხელნაწერები მათი დეპონრების თარიღიდან;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშები, საცდელ-საკონსტრუქტორო ტექნიკური და საპროექტო დოკუმენტცია სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებში შესვლის თარიღიდან;
- ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია (სახელმწიფო სტანდარტები, ტექნიკური პირობები და ა.შ.) შესაბამის უწყებაში მათი რეგისტრაციის თარიღიდან;
- დისერტაციის მასალები და ხელნაწერის უფლებით გამოცემული დისერტაციის ავტორეფერატები ბიბლიოთეკაში მიღების თარიღიდან;

- საკონკურსოდ მიღებული სამუშაოები — მათ გასაცნობად გამოტანის თარიღიდან თუ ეს დადასტურებულია კონკურსის ჩატარების შესახებ დოკუმენტებით;

- ვიზუალურად აღსაქმელი ინფორმაციის წყაროები (პლაკატები, ნახატები, პროსპექტები, სქემები, ფოტოსურათები, მოდელები, ნაკეთობები და ა.შ.) მათი გასაცნობად გამოფენის თარიღიდან, თუ ეს დაფიქსირებულია ბგერების ჩამწერი აპარატით, სტენოგრაფიულად ამ თარიღისათვის აღნიშნული ლონისძიების ჩასატარებლად მოქმედი წესების შესაბამისად;

- რადიოს, ტელევიზიონის, კინოს და სხვა მეშვეობით გადმოცემული ინფორმაციის გადაცემის თარიღიდან, თუ ამ თარიღისათვის მოქმედი წესების მიხედვით ეს დაფიქსირებულია შესაბამისი ინფორმაციის მატარებელზე;

- ინფორმაცია ტექნიკის ობიექტებზე, რომელიც გამომუდავნდა ამ ობიექტების ისეთ სამრეწველო პროცესში გამოყენების შედეგად რაც დაკავშირებულია პროდუქციის დამზადებასა და ექსპლუატაციასთან, მათ შორის საექსპლუატაციოდ გადმოცემულ საცდელ ნიმუშში გამოყენებასთან ან სამოქალაქო ბრუნვაში შემოტანასთან იმ თარიღიდან, რომელიც მითითებულია ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობის დამადასტურებელ დოკუმეტში;

- „საქპატენტში“ შემოტანილი ყველა ის განაცხადი, რომელიც მინიჭებული აქვს პრიორიტეტი და საგანაცხადო რეგისტრაციის ნომერი.

ძიება ტექნიკის დონის დადგენისათვის მიღებულია ჩატარდეს სილრმით არანაკლედ 10 წლისა არასრული ექსპერტიზის დროს, ხოლო არანაკლებ 50 წლისა სრული ექსპერტიზის დროს.

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ქვეყნებში უპირატესობა მიანიჭეს სარეგისტრაციო სისტემას, ხოლო ზოგიერთმა ქვედყანამ — შემოწმებით სისტემას. საინტერესოა აღნიშნულის, რომ ისეთ ორენოვან ქვეყანაში როგოროცაა შვეიცარია წარმოდგენილია განაცხადების შემოწმების ზემოთ აღნიშნული ორივე სახე. შემოწმებითი სისტემა გამოიყენება იმ

გამოგონების მიმართ, რომლებიც შექმნილია ორ ისეთ დარგში, როგორიცაა საფეიქრო მრეწველობა და საათების წარმოება. ეს იმას ნიშნავს, რომ შვეიცარია დიდ ყურადღებას ანიჭებს ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებს, რომელიც ქვეყანაში კარგად არის განვითარებული. ასე იყო საქართველოშიც 1999 წლის 25 მაისამდე, სანამ საპატენტო კანონი ამოქმედდებოდა. „საქართველო“ სრულ ექსპერტიზას ატარებდა მევენახეობა — მელვინეობასთან, მეჩაიერებასთან, მეციტრუსეობასა და მეხილეობასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ და ტექნიკურ საშუალებებზე, აგრეთვე მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებზე და ტექნიკურ საშუალებებზე. გამოგონების შესახებ განაცხადის სრული ექსპერტიზა სიახლეზე წარმოადგენს რთულსა და ძვირად ღირებულ პროცედურას, მიაქვს დიდი დრო და საპატენტო სამართლისა და ტექნიკის დარგში კვალიფიციური ექსპერტიზების ყოლას მოითხოვს.

ჰატენტი, რომელიც შემოწმებითი სისტემის მქონე ქვეყანაშია გაცემული, საკმაოდ მყარ მონოპოლიას უზრუნველყოფს, რასაკვირველია, ამ ქვეყნებშიც შეიძლება ჰატენტი სადაცო გახდეს, მაგრამ მისი ძალადაკარგულად მიჩნევის შესაძლებლობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე განცხადებითი სისტემის შემთხვევაში. სახელდობრ, ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამჟამად თითქმის ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა იყენებს შემოწმებით სისტემას.

იმასთან დაკავშირებით, რომ 60-იან წლებში მთელ რიგ ქვეყნებში გამოგონებაზე განცხადების რაოდენობა გაიზარდა, დაგროვდა განუხილავი გამგონებები, განცხადებით სისტემაზე გადასვლა, როგორც გამოსავალი არ გამოდგებოდა, რადგან იგი ჰატენტის ინსტიტუტის გაუფასურებას გამოიწვევდა, ამ ე.წ. „საპატენტო სისტემის კრიზისის“ დაძლევის ერთერთი რადიკალურ გზას წარმოადგენდა მთელი რიგი ქვეყნების გადასვლა განაცხადების შემოწმების „გადავადებული ექსპერტიზის“ სისტემაზე.

გადავადებული ექსპერტიზის პროცედურის არსი ასეთია: საპატენტო უწყებაში გამოგონების შესახებ შემოტანილი განა-

ცხადი ფორმალურ მოთხოვნებთან მხოლოდ მისი შესატყვი-სობით მოწმდება. განაცხადის ექსპერტიზა შემოსვლის რიგითი ნომრის მიხედვით ავტომატურად არ ტარდება, როგორც ეს, ჩვეულებრივ, შემოწმებითი სისტემის მქონე ქვეყნების სა-პატენტო იწყებებში ხდება. იმისათვის, რომ ექსპერტიზა ჩა-ტარდეს, განმცხადებელი იხდის ბაჟს და შეაქვს თხოვნა გა-ნაცხადის განხილვაზე გამოგონების პატენტუნარიანობის და-დგენის მიზნით. თხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე შეიძლედბა შეტანილ იქნეს კანონით განსაზღვრულ ვადაში. ეს ვადა, მაგალითად გერმანიაში, იაპონიასა და ნიდერლანდში — 7 წელია; ავსტრალიაში — 5 წელი განაცხადის შეტანის მომენ-ტიდან; რუსეთში — 3 წელი განაცხადის შეტანის თარიღიდან, ბრაზილიაში 2 წელი — საყოველთაო განსაზღველად განა-ცხადის მასალების გამოქვეყნების შემდეგ. თუ განმცხადებელი დარწმუნებულია, რომ თავისი გამოგონება მნიშვნელოვანია და სურს რაც შეიძლება მალე მიიღოს პატენტი, მას შეუძლია თხოვნა ამის შესახებ განაცხადის შეტანის დროს დაამთხვიოს. თუ გათვალისწინებულ პერიოდში გამოგონების პატენტუნა-რიანობის განხილვაზე თხოვნა შეტანილი არ იქნება, განაცხადი უქმდება.

ამრიგად, გადავაადებული ექსპერტიზა ნიშნავს იმას, რომ გამოგონების პატენტუნარიანობაზე გამოკვლევა გადაიდება ხოლმე გარკვეული ვადით, რომელიც განმცხადებელს გამო-გონების ტექნიკური და კომერციული მნიშვნელობის დადგე-ნისათვის ეძლევა. თუ გამოგონება იმედებს არ ამართლებს, თხოვნა არ შეიტანება და განაცხადის განხილვა სრულ ექსპერტიზაზე არ შედგება, რითაც საპატენტო უწყება თავს დააღწევს ზედმეტ მუშაობას. ასეთ ვითარებაში განაცხადის მასალები გამოთხოვილი იქნება და განმცხადებელი უახლოეს დროში უარს იტყვის პატენტის მიღებაზე.

იმისთვის, რომ გამოგონებაზე განაცხადის განხილვის პროცედურა არ დაყოვნდეს, გათვალისწინებულია გამოგო-ნებაზე შეტანილი განაცხადის პუბლიკაცია საპატენტო უწყე-ბის ოფიციალურ ბიულეტენში, განაცხადის მასალების

გამოფენა კი ხდება საპატენტო უწყებაში. მოცემულ შემთხვევაში განაცხადის შინაარსი ხდება ლია, საყოველთაო განხილვისათვის განკუთვნილი და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია საპატენტო უწყებაში გაცენოს გამოგონებაზე განაცხადის მასალებს. მასალების გამოფენა და პუბლიკაცია ხდება იმისაგან დამოუკიდებლად, შეტანილია თუ არა თხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე. გადავაადებული ექსპერტიზის შემთხვევაში დიდი ყურადღება ეთმობა მესამე პირის მონაწალეობას განაცხადის განხილვის პროცესში, რაც აუმჯობესებს ექსპერტიზის ხარისხს და საშუალებას იძლევა შემცირდეს კონფლიქტური სიტუაციები. განაცხადის მასალათა პუბლიკაცია (გამოფენა) კვლევით ორგანიზაციებსა და სამრეწველო ფირმებს საშუალებას აძლევს გაეცნონ უახლეს მიღწევებს. ეს კი საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს დროულად მიიღონ ინფორმაცია კონკურენტების საწარმოო გეგმებზე, საკუთარ საწარმოო და საინფორმაციო პროგრამების დამუშავებისას გაითვალისწინონ სხვათა სამრეწველო საკუთრების უფლებები.

აღნიშნული ექსპერტიზის სახეების მიმართ, ყველა ქვეყანას თავისებური მიდგომა გააჩნია. გამოგონებათა დაპატენტების ორიგინალური პროცედურაა მიღებული საფრანგეთში. მასში შეჯერებულია შემოწმებითი და განცხადებითი სისტემები. გარდა ამისა, იგი შეიცავს გადავადებული ექსპერტიზის ზოგიერთ ელემენტებსაც.

რაც შეეხება დიზაინს, საქართველოს საპატენტო კანონისდა შესაბამისად ექსპერტი ამოწმებს, ახასიათებს თუ არა სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ მხატვრულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტას სიახლე და ინდივიდუალობა. სიახლის დასადგენად ექსპერტი იხილავს ინფორმაციას საქართველოს რესპუბლიკის დიზაინების სახელმწიფო რეესტრში უკვე რეგისტირებული დიზაინების შესახებ და „საქპატენტში“ შემოტანილ განაცხადებს, რომლებსაც მიკუთვნებული აქვს განაცხადის ნომერი. თუმცა განხილული ინფორმაციის წყაროებში აღმოჩნდა დიზანი, რომელიც სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის იდენტურია, მაშინ

ეს უკანასკნელი დიზაინად არ ჩაითვლება და ექსპერტი ღებულობს უარყოფით გადაწყვეტილებას. თუ განაცხადი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ან განმცხადებელმა დროულად წარმოადგინა ექსპერტის მიერ მოთხოვნილი დამატებითი მასალები და წარდგენილ მხატვრულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტას ახასიათებს სიახლე და ინდივიდუალურობა, ექსპერტი ღებულობს დადებით გადაწყვეტილებას მისი დიზაინად აღიარების შესახებ. ამის შემდეგ დიზაინი ქვეყნდება სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში და სამი თვის შემდეგ ენიჭება მოწმობას თავისი ნომერი.

სანამ ჩვენ სრული (შემოწმებითი) ექსპერტიზის საფუძვლიან შესწავლაზე გადავიდოდეთ, ვფიქრობთ გამოვკვეთეთ მსოფლიოში მიღებული ექსპერტიზის სახეები, როგორიც არის ფორმალური ექსპერტიზა; განცხადებითი სისტემის ექსპერტიზა; არასრული ექსპერტიზა და გადაავადებული ექსპერტიზა, რომელიც თავის მხრივ მრავალი ნიუანსებით ხასიათდება, როგორიც არის გამოქვეყნების ვადები, ვადები ექსპერტიზის ჩატარების თხოვნაზე, თვით ექსპერტიზის ჩატარების ვადები, ექსპერტის მიერ შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის გაცემის ვადები და სხვა, რომელზედაც ჩვენ ყურადღებას აღარ ვამახვილებთ, რადგან იგი მოცემულია ყველა ქვეყნის საპატენტო კანონებში და მათი გაცნობა ყოველთვის არის შესაძლებელი და მისი ცოდნა განმცხადებლისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რადგან ვადების დაუცველობამ შეიძლება განაცხადის გაუქმებამდეც კი მიგვიყვანოს.

## 7.1. სრული ექსპერტიზა

როგორც უკვე აღვნიშნეთ პატენტი, რომელიც შემოწმებითი სისტემის მქონე ქვეყანაშია გაცემული, საკმაოდ მყარ მონოპოლიას უზრუნველყოფს. რასაკვირველია ამ ქვეყნებშიც შეიძლება პატენტი სადაც გახდეს, მაგრამ მისი ძალა-დაკარგულად მიჩნევის შესაძლებლობა გაცილებით ნაკლებია,

ვიდრე განცხადებითი სისტემის შემთხვევაში. სახელდობრ, ამ გარემოებით აისხნება ის ფაქტი, რომ ამჟამად თითქმის ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა იყენებს შემოწმებით სისტემას ანუ სრული ექსპერტიზის სისტემას.

სრული ექსპერტიზის დროს, გამოგონების შესახებ განაცხდის ექსპერტიზა წარმოადგენს რთულსა და ძვირად ღირებულ პროცედურას, მიაქვს დიდი დრო და ტექნიკის დარგში კვალიფიციური პატენტმცოდნე ექსპერტების ყოლას მოითხოვს, რომელიც უშუალოდ კავშირშია საპატენტო სამართალთან.

სრული ექსპერტიზა იწყება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ და გულისხმობს სამივე პატენტუნარიანობის კრიტერიუმების შემოწმებას, როგორიც არის სიახლე, საგამომგონებლო დონე და გამოყენებადობა.

საქართველოს 1992 წლის საპატენტო დებულებების თანახმად 1 მაისიდან როგორც უკვე აღვნიშნეთ შემოღებული იყო ორგვაროვანი არსობრივი ექსპერტიზა: „სრული“ და „არასრული“, ხოლო 1999 წლის 25 მაისადან, როდესაც ამოქმედდა საქართველოს საპატენტო კანონი, შემოღებული იქნა მხოლოდ არასრული ექსპერტიზა.

ალვინშეთ და ეხლაც გავიმეორებთ, რომ შემოწმებითი ანუ სრული ექსპერტიზის სისტემის დროს გაიცემა ე.წ. „მყარი“ ანუ „სანდო“ პატენტი, მაგრამ ქვეყნები, რომლებიც მისდევენ ასეთ სისტემას იძულებულნი არიან შეინახონ უზარმაზარი უწყება, მაგალითად აშშ-ს უწყებაშუ 3000-მდე თანამშრომელია, გერმანიის და იაპონიის უწყებებშიც დაახლოებით ამდენივე. ამ რიგის სპეციალისტების რიცხვს ითვლის ევროპის საპატენტო უწყებაც. ეს გასაგებიც არის, რადგან აღნიშნული ქვეყნები განვითრებული კაპიტალისტური ქვეყნების რიცხვს განეკუთვნებიან და მათ შესწევთ უნარი ასეთი სამუშაოების ჩატარებისა. ასეთ შემთხვევაში პატენტმცოდნე ექსპერტები დაკომპლექტებულნი არიან არა მარტო გლობალური დარგების მიხედვით, არამედ საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვითაც, რომელიც

თავისთავად დარგების დაკონკრეტებას გულისხმობს. ეს კეთდება იმისათვის, რომ ექსპერტი სრული ექსპერტიზის ჩატარების დროს, რომელიც მუშაობას იწყებს ტექნიკური გადაწყვეტილების ირგვლივ ანუ სავარაუდო გამოგონების ირგვლივ უნდა იყოს კონკრეტული დარგის უაღრესად მაღალი სპეციალისტი, რაც აადვილებს საქმეთა წარმოებას ექსპერტსა და განმცხადებელს შორის.

სრული ექსპერტიზის დროს ექსპერტს შეუძლია გამოიტანოს სამი სახის გადაწყვეტილება, როგორიც არის: დადებითი გადაწყვეტილება, შეტყობინება-მოთხოვნა დამატებითი მასალების წარმოდგენის თაობაზე და უარყოფითი გადაწყვეტილება. ექსპერტის მიერ მიღებული ყველა სახის გადაწყვეტილება უნდა იყოს მოტივირებული არა ისე, რომ ექსპერტმა მშრალად მიუთითოს ინსტრუქციის რომელიმე მუხლი და ამით შემოიფარგლოს, არამედ თუ იგი რამეში არ ეთანხმება განმცხადებელს მან როგორც სპეციალისტმა არგუმენტირებული მსჯელობით უნდა დაუსაბუთოს განმცხადებელს ის საკითხი, რა საკითხშიდაც იგი არ ეთანხმება მას.

აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან მივყევთ თანმიმდევრობას.

დადებითი გადაწყვეტილება სრული ექსპერტიზის დროს ეს იმას ნიშნავს, რომ ექსპერტმა საპატენტო ძიების საფუძველე მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, ჩატარა ექსპერტიზა და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ წარმოდგენილი გამოგონება ანუ ტექნიკური გადაწყვეტილება სრულად აკმაყოფილებს გამოგონებისადმი წაყენებულ სამივე კრიტერიუმს. ე.ი. ის ხასიათდება მსოფლიო სიახლით, არ გამომდონარეობს არსებული ტექნიკის დონიდან და არის გამოყენებადი. ასეთ შემთხვევაში ექსპერტი წერს დადებით დასკვნას და უგზავნის განმცხადებელს რომ წარმოდგენილი ტექნიკური გადაწყვეტილება მიჩნეულია გამოგონებად და მზადდება მასალები მისი სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. სრული ექსპერტიზის დროს არავითარი დოკუმენტური დასკვნა არ ეგზავნება განმცხადებელს გაანალი-

ზებისათვის, პატენტის გაცემა არ გაცემის საკითხს წყვეტს მხოლოდ ექსპერტი. დადებითი გადაწყვეტილება ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ პასუხისმგებლობა პატენტის გაცემაზე აიღო ექსპერტმა, საპანეტინტო უწყებამ ანუ სახელმწიფომ. გამოქვეყნების დროს საპატენტო უწყება არავითარ სამთვიან ვადას არ უწესებს მესამე პირს შედავებისათვის. იგი პასუხისმგებელია თავის გამოტანილ დადებით გადაწყვეტილებაზე და გასცემს პატენტს.

რაც შეეხება მეორე და მესამე გადაწყვეტილებას, როგორიც არის, შეტყუბინება-მოთხოვნა დამატებითი მასალების მოთხოვნის თაობაზე და უარყოფითი გადაწყვეტილება. ეს ისეთი გადაწყვეტილებებია, რომელიც თითქმის მთლიანად სადაო ურთიერთობებს მოიცავს წარმოდგენილი ტექნიკური გადაწყვეტილების ირგვლივ განმცხადებელსა და ექსპერტს შორის. განსაკუთრებით კი უარყოფითი გადაწყვეტილება, აქ უშუალოდ იმართება კამათი რომელიმე ან რამდენიმე განმასხვავებელი ძირითადი ნიშნების ირგვლივ. წარმოადგენს თუა არა მსოფლიო სიახლეს, გამომდინარეობს თუ არ გამომდინარეობს არსებული ტექნიკის დონიდან განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული განმასხვავებელი ძირითადი ნიშნები, ასეთი დავა იმას კი არ ნიშნავს, რომ ექსპერტი დაინტერესებულია არ გასცეს პატენტი. პირიქით ექსპერტი და თვით საპატენტო უწყებაც დაინტერესებულია იმაში, რომ სახელწიფოში რაც შეიძლება ბევრი მყარი პატენტი იქნეს გაცემული. სწორედ ამაშია სახელმწიფოს ძლიერება, რათა სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ პროდუქციაში, რაც შეიძლება მეტი და მეტი ინტელექტუალური შრომის შედეგები იყოს ჩადებული.

რაც შეეხება განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული განმასხვავებელი ძირითადი ნიშნების ირგვლივ წამოჭრილ სადაო საკითხებს განმცხადებელსა და ექსპერტს შორის, კონცენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში, განმცხადებელს აქვს უფლება განცხადების საფუძველზე დავა განიხილოს სხვა კომპეტენტურმა ორგანომ, ასეთი კომპეტენტური ორგანოები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ყოფილ საბჭოთა კავშირში

ასეთი კომპეტენტური ორგანო საკონტროლო საბჭო იყო. დღევანდელ საქართველოში საპატენტო კანონისძა შესაბამისად მოქმედებს სააპელაციო პალატა, რომელსაც დავის შემთხვევაში გამოაქვს შესაბამისი დასკვნა. ამ დასკვნის საფუძველზე საპატენტო უწყება იღებს გადაწყვეტილებას გასცეს პატენტი, შეიტანოს ცვლილებები განცხადში ან უარყოს განაცხადი. აქ არაფერია დასამალი, ეს ის მომეტია, რომ განმცხადებელი არ ეთანხმება ექსპერტს, დავის შედეგად განმცხადებელი უკმაყოფილო დარჩა და ფაქტობრივად იგი უწყების ფარგლებში პატენტის გაცემამდე უჩივის ექსპერტს სააპელაციო პალატაში საქმის მოსაგებად, აღნიშნული დავები ტექნიკური გადაწყვეტილებების ირგვლივ წამოიჭრება არა მარტო პატენტის გაცემამდე, არამედ პატენტის გაცემის შემდეგაც. მესამე პირს ყოველთვის აქვს უფლება ასეთი დავების წარმოქმნისა, ის პატენტის გაცემამდე იქნება თუ პატენტის გაცემის შემდეგ. რაც შეეხება დავის წამოჭრას, რა საკვირველია ეს უკვე სამართლებრივ საკითხებს შეეხება და ჩვენ მას ვერ ავცდებით. ჩვენ შესავალშივე ვახსენეთ, რომ ლექციათა კურსი განკუთვნილია აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვისაც, რომელთა მიმართულება საპატენტო სამართლის სპეციალობა იქნება, ასეთი სპეციალობის იურისტების გამოშვებას მიზნად უნდა ისახავდეს, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ასევე საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტიც. ამასთან დაკავშირებით არის ერთი გარემოებაც, რომ საპატენტო სალიცენზიონ სამუშაოებს საწარმოს ხელძღვანელობა აკისრებს იურისტებს, ასეთ მიდგომას შეიძლება ქონდეს პლიუსიც, მაგრამ გულსატკენია ის გარემოება, რომ იურისტები დღეისათვის საკმარისი დონით ვერ ფლობენ ტექნიკური დარგის ცოდნას და ყოველთვის ვერ ერკვევიან საპატენტო სისუფთავის ნიუანსებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება დაცვისუნარიან კრიტერიუმებს და ტექნიკურ ტერმინოლოგიებს, მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ გერმანიაში სადაო საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტის მოწვევა აუცილებელია მაშინ, როდესაც დასკვნა უნდა

გაკეთდეს ფაქტების დადგენისა და ექსპერტის ცოდნის საფუძველზე, როდესაც კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით თვით მოსამართლეს აქვს შესაბამისი სპეციალური ცოდნა, ექსპერტის მოწვევა საჭირო აღარ არის. მაგრამ ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა განუცხადოს მხარეებს ამის შესახებ და მიუთითოს გადაწყვეტილებაში, რომ მას იურიდიულ განა-თლებასთან ერთად გააჩნია ინჟინერის დიპლომიც.

დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს თანმიმდევრობას, უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანამდე ექსპერტი ყველაზე დიდ დროს დამატებითი მასალების თაობაზე შეტყობინება-მოთხოვნას უთმობს. ეს ხდება პირველ რიგში ახალი ძირითადი ნიშნების პატენტუნარიანობის შემოწმების დაწყენამდე, პირველ რიგში ექსპერტი თვითონ უნდა ჩამოყალიბდეს, კარგად გაეცნოს გამოგონების არსს და განმცხადებელთან ურთიერთმიმოწერის საფუძველზე დაადგინოს იმ განმასხვავებელი არსებითი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც უშუალოდ კავშირშია ტექნიკურ შედეგთან, აი სწორედ აქ დგინდება ის ნიშნებიც თუ ასეთი არსებობს, რომელსაც კავშირი არ აქვს ტექნიკურ შედეგთან, რომლის ირგვლივაც შეიძლება წამოიჭრეს საკითხი ახალი განაცხადის გაფორმების თაობეზე. ერთი სიტყვის ექსპერტმა უნდა შექმნას განაცხადის ირგვლივ, სამუშაო პორტფელი, რომელშიც ჩაიდგება ნიშნები, რომელიც ექვე-მდებარება შემოწმებას პატენტუნარიანობაზე.

აღნიშნული საკითხი, რომ უფერ გასაგები გახდეს, მაგალითისათვის ავილოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი მარტივი გამოგონების ფორმულა, როგორიც არის: 1. ჩაის სასხლავი აპარატი, რომელიც შედგება საკიდი სისტემის სამუშაო ნაწილისაგან, განსხვავებულია იმით, რომ სამუშაო ნაწილები შედგენა სამი სწორი დანებისაგან, რომელთა შორის შეაგანლაგებულია პორიზონტალურად, ხოლო გვერდითი ორი დახრილად ჩაის ბუჩქის კონფიგურაციის შესაბამისად.

აღნიშნული ტექნიკური გადაწყვეტილების ანუ გამოგონების ფორმულის ტექნიკური შედეგია „სამუშაო ნაწილების დამზადების რთული ტექნოლოგიური პროცესის გამარტივება და

ჩაის ბუჩქის სასარგებლო ფართობის გაზრდა“. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოში ჩაის ბუჩქის შპალერები ფორმირდება სიმაღლით 800 მმ. რკალური გარშემოწერილობით 90 მმ. ქორდით 1350 მმ. ეს ზომები ნაკარნახევია ჩაის კულტურის დამუშავების აგრონესებიდან გამომდინარე.

ასეთი პროცესის მექანიზაციისათვის, ისევე როგორც ჩაის შპალერის მთლიანი გასხვლის დროს და ჩაის ფოთლების კრეფის დროს, რომელიც ნარმოადგენს ყველაზე რთულ პროცესს ჩაის მოვლაში, შექმნილია მთლიანი მოდების ჩაის სასხლავი და საკრეფი მანქანები, სამუშაო ორგანოებით რომელსაც რკალური ფორმა აქვს, რომელიც ნაკარნახევია თვითონ ჩაის შპალერების ფორმიდან გამომდინარე.

ცნობილი აპარატების ნაკლოვან მხარეს ნარმოადგენს ის, რომ სამუშაო ორგანო რკალისებური ფორმისაა და მისი დამზადების ტექნოლოგია ძალზე რთულია. გარდა ამისა ჩაის ბუჩქის სასარგებლო ზედაპირული ფართობი მცირეა, რომელსაც აქვს სამუშაო ორგანოს შესაბამისად რკალური ფორმა. აქედან გამომდინარე გამომგონებელმა მიზნად დაისახა ისეთი ტექნიკური შედეგის მიღება, როგორიც არის, სამუშაო ორგანოს ტექნოლოგიური პროცესის გამარტივება და ჩაის ბუჩქის სასარგებლო ფართობის გაზრდა. აღნიშნულთან დაკავშირებით განმცხადებელს აღწერილობაში განმარტებული უნდა ქონდეს რკალისებური ფორმის სამუშაო აპარატის დამზადების რთული ტექნოლოგია და შესაბამისად შემოთავაზებულმა ახალმა ტექნიკურმა გადაწყვეტილებამ, როგორ გაამარტივა სწორი ფორმის სამუშაო აპარატის დამზადების ტექნოლოგია. აგრეთვე შემოთავაზებული მოწყობილობა, ჩაის ბუჩქის ახალ კონფიგურაციასთან ერთად უნდა იძლეოდეს ჩაის ბუჩქის სასარგებლო ფართობის გაზრდის შესაძლებლობას და მართლაც, როდესაც გავეცანით აღნიშნული გამოგონების აღწერილობას, დასაბუთებულად არის განმარტებული, რომ ჩაის ბუჩქის ახალი კონფიგურაცია ზრდის სასარგებლო ფართობს 8%-ით, რომელიც ერთი ჰექტარიდან

დამატებით 560 კგ. მწვანე ჩაის იძლევა. ასეთი განაცხადი მართლაც იყო გაგზავნილი საბჭოთა კავშირის დროს საქართველოდან მოსკოვში საავტორო მოწმობის მისაღებად, რაზედაც უარყოფითფი გადაწყვეტილება იყო მიღებული არა იმოტომ რომ განაცხადი სწორად არ იყო გაფორმებული, არამედ საპატენტო ძიების მასალებზე დაყრდნობით, სრული ექსპერტიზის საფუძველზე ექსპერტმა გამოიტანა დასკვნა, რომ შემოთავაზებული ტექნიკური გადაწყვეტილება საფრანგეთში უკვე არსებობდა.

აქ უნდა აღინიშოს ერთი გარემოება, რომ იმ დროისათვის განაცხადზე მოითხოვდნენ „ცნობას საპატენტო ძიების შესახებ“ და ჩემის აზრით ეს გამართლებულიც იყო, რადგან პირველ რიგში განმცხადებელი თვითონ უნდა იყოს დარწმუნებული შემოთავაზებული გამოგონების პატენტუნარიანობაზე. განმცხადებელი წინასწარ უნდა ატარებდეს საპატენტო ძიებას სავარაუდო გამოგონების ირგლივ და თვითონ დარწმუნდეს განაცხადის გაფორმების მიზანშეწონილობაზე. ასეთ შემთხვევაში უფრო მეტი გარანტია იქმნება იმისა, რათა მიღებული იქნეს დადებით გადაწყვეტილება.

როგორც უკვე ვთქვით ამ ეტაპზე ექსპერტმა შეიქმნა სამუშაო პორთფელი, რომელშიც ჩადო ისეთი ძირითადი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც უშუალოდ კავშირშია ტექნიკურ შედეგთან და ემორჩილება პატენტუნარიანობაზე შემონმებას. აღნიშნულ შემთხვევაში ეს გახლავთ სამუშაო ნაწილები, რომელიც შესდგება სამი სწორი დანებისაგან, რომელთა შორის შუანა, განლაგებულია პორიზონტალურად, ხოლო გვერდით ორი დახრილად ჩაის ბუჩქის კონფიგურაციის შესაბამისად.

როგორც ხედავთ ექსპერტი პირველ რიგში თავის მუშაობას განაცხადის ძირფესვიანად შესწავლას ანდომებს, უფრო სწორად ტექნიკური გადაწყვეტილების ანუ სავარაუდო გამოგონების არსის შესწავლას, აյ მნიშვნელობა არა აქვს გამოგონების რომელ ობიექტთან გვექნება საქმე. პატენტ-მცოდნე ექსპერტის მიდგომა სავარაუდო გამოგონებასთან

ექსპერტიზის თვალსაზრისით გამოგონების ყველა ობიექტი-სადმი ერთნაირია. აქვე შეიძლება ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ გამოგონების ისეთი ობიექტი რომელსაც „გამოყენება“ ქვია, სადაც არავითარი ახალი ნიშნების შემოტანაზე არ არის საუბარი, ექსპერტის მიღვომა ამ ობიექტისადმი, აღნიშნულ მომენტამდე რა საკვირველია განსხვავებული იქნება, რაც აღნიშნული ობიექტის თავისებურებებიდან, გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში ექსპერტს არ უხდება იმის გარკვევა თუ რომელია ძირითადი ნიშნები და რომელი არა, რომორ კავშირშია იგი ტექნიკურ შედეგთან და სხვა. ხოლო შემდგომში პროცედურა როცა ექსპერტი პატენტუნარიანობაზე შემოწმებას დაიწყებს, აღნიშნული ობიექტისადმი მიღვომა ძირითადში ერთნაირი იქნება.

აღნიშნული ქმედების შემდეგ ექსპერტი იწყებს ქვეყნების შერჩევას, თუ რომელ ქვეყნებში შეიძლება ჩატარდეს საპატენტო ძიება. ქვეყნების სწორად დადგენაზე დიდად არის დამოკიდებული საპატენტო ძიების შედეგების მართლზომიერება. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, სადაც სახალხო მეურნეობის ნებისიერ დარგზე გაფომებული განაცხადის ირგვლივ მიმდინარეობდა მხოლოდ სრული ექსპერტიზა, ძირითადი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობდა საპატენტო ძიების საკითხებზე, სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული სტანდარტის (ГОСТ 15.011.82) მიხედვით, რომელიც უშუალოდ ძიების საკითხებს არეგულირებდა, იყო საპატენტო მომსახურების საკავშირო ცენტრი (ВЦПУ). დღეისათვის რუსეთში მოქმედებს ახლი სტანდარტი (ГОСТ 15.011.96), რომელიც ავრცელებს და აგრძელებს იმ იდეებს, რომელსაც საფუძველი ჩატარა 1982 წლის სტანდარტმა. აღნიშნული ახალი სტანდარტის შინაარსის გასაცნობად ინტერნეტში ფულია გადასახდელი. ჩვენ აქ სტანდარტი იმიტომ ვახსენეთ, რომ მასში პირდაპირ იყო მითითებული, რომ საპატენტო ძიება პირველ რიგში უნდა ჩატარებულიყო შეიდ მოწინავე განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში მათ შორის საბჭოთა კავშირშიც, დღეისათვის მსოფლიოს მოწინავე განვითარებული

მრეწველობის ქვეყნები ამ სისტემას მისდევენ და ლოგიკურიც არის, მაგრამ არის ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც არ შედიან მონინავე ქვეყნებში, მაგრამ ამა თუ იმ მრეწველობის დარღვი ისინი მონინავენი არიან. ამიტომ დარღვისდა მიხედვით მონინავე ქვეყნების ცნება პირობითი შეიძლედბა იყოს, აღნიშნულიდან გამომდიანრე რომელიმე მონინავე ქვყანა შეიძლება შეიცვალოს ნაკლაბად განვითარებული ქვეყნით, იმისდა მიხედვით თუ რომელ დარგს განეკუთვნება შემოთავაზებული ტექნიკური გადაწყვეტილება.

მოდით გავაანალიზოთ აღნიშნული საკითხი ისევ ჩვენს მაგალითზე დაყრდნობით. მაგალითად, შემოსულია განაცხადი ჩაის სასხლავ პარატზე. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩაის კულტურა სუბტროპიკული ზონის მცენარეა და იგი ჩრდილოეთის ქვეყნებში არ ხარობს. ინგლისი რა საკვირველია არის მონინავე ქვეყანა, მაგრამ იქ როგორც ასეთი ჩაის კულტურა არ ხარობს. შესაბამისად იქ არც ჩაის სასხლავი თუ საკრეფი მანქანების შექმნაზე იზრუნებენ. სამაგიეროდ საქართველო არ დგას მონინავე ქვეყნების რიგში, მაგრამ მეჩაიეობა საქართველოში ერთ-ერთ მონინავე დარგად ითვლება. ამიტომაც არის, რომ მსოფლიოში პირველად საქართველოში შეიქმნა ჩაის სასხლავი და საკრეფი მანქანები. აქედან გამოდმინარე ექსპერტს სრული უფლება აქვს აღნიშნული მოტივირების საფუძველზე, ინგლისი შეცვალოს ისეთი ნაკლებად განვითარებული ქვეყნებით როგორიც არის ინდოეთი, შრი-ლანკა, საქართველო და სხვ.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შემდეგ შერჩეული ძირითადი ნიშნების ერთობლიობის ირგვლივ ექსპერტი იწყებს საპატინტო ძიებას. ექსპერტს არა აქვს უფლება დავის შემთხვევაში გასცდეს კრიტერიუმების ფარგლებს. შემუშავებულია სპეციალური ბლანკი რომელზედაც სამი ოთხკუთხედით აღნიშნულია გამოგონების სამი კრიტერიუმი. მაგალითად:

- სიახლე
- საგამომგონებლო დონე
- გამოყენებადობა

აღნიშნული ოთხკუთხედიდან, რომელსაც დაუსვამს ექსპერტი ჯვარს (მაგ.☒) იმ კრიტეიუმის ირგვლივ მიმდინარეობს დავა. გახსნის თუ არა განმცხადებელი ექსპერტის მიერ გამოგზავნილ წერილს იგი დასმული ჯვარის მიხედვით ტექსტის წაუკითხავად უკვე ხვდება თუ რომელ კრიტერიუმს ედავებიან.

ყველა ქვეყნის საპატენტო კანონით გამოგონების პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს შორის პირველ ადგილზე დგას სიახლე. ამასთან, სიახლის მოთხოვნას შეიცავს თვით საპატენტო კანონის ტექსტიც. მაგალითად, გერმანიის საპატენტო კანონი ადგენს, რომ „პატენტები გაიცემა ახალ გამოგონებაზე“. აშშ-ის საპატენტო კანონმდებლობის მიხედვით, პატენტი შეიძლება გაიცეს მხოლოდ „ახალ ხერხზე, მანქანაზე, ნაკეთობაზე, ნივთიერების შემადგენლობაზე ან მათ ახალ გაუმჯობესებაზე“. სიახლე დგინდება სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალებებით. ე.ნ. „ტექნიკის დონის“ დადგენის საფუძველზე. ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტა სიახლედ მიიჩნევა, თუ იგი ტექნიკის დონის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. აქვე ავლიშენოთ ტექნიკური გადაწყვეტის ცნება. იგი მარტო ტექნიკას არ ნიშნავს და გულისხმობს ობიექტებში ცვლილებების შეტანას, რომელიც გამოგონების ყველა ობიექტს შეეხება. სიახლის განსაზღვრა მოცემულია მთელი რიგი ქვეყნების საპატენტო კანონებში, მაგალითად, საფრანგეთის საპატენტო კანონი ადგენს: „გამოგონება სიახლეს წარმოადგენს, თუ იგი არ შეიცავს არსებულ ტექნიკის დონეს“. საქართველოს საპატენტო კანონით კი „გამოგონება ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული დონით“.

მაშასადამე, იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რას წარმოადგენს სიახლე, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა განისაზღვროს „ტექნიკის დონის“ ცნების შინაარსიც.

საფრანგეთის, საქართველოს და სხვა ქვეყნების საპატენტო კანონებში მოცემულია ტექნიკის დონის საერთო განსაზღვრა. საქართველოს საპატენტო კანონში იგი უფრო ფართოდაა გადმოცემული. მაგალითად, საფრანგეთის კანონის

თანახმად, „ტექნიკის მდგომარეობა განისაზღვრება ყოველივე იმით, რაც ცნობილია და საერთოდ ხელმისაწვდომი იყო წერილობითი ან ზეპირი აღწერის, გმოყენების, ან ნებისმიერი სხვა გზით და საშუალებით პატენტზე განაცხადის შეტანამდე“.

საქართველოს საპატენტო კანონით „გამოგონებას აქვს საგამომგონებლო ფონე, თუ განაცხადის შეტანის თარიღი-სათვის ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღისათვის, იგი სპეციალისისათვის აშკარად არ გამომდინარობს ტექნიკის არსებული დონიდან“.

ტექნიკის არსებულ დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომლებიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

გამოგონების სიახლის დადგენისას ტექნიკის დონეს, სხვა საინფორმაციო წყაროს გარდა, მიეკუთვნება გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე „საქპატენტში“ შეტანილი ყველა განაცხადი თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი. სიახლე დგინდება მხოლოდ ერთი საინფორმაციო წყაროს განხილვის საფუძველზე.

ტექნიკის არსებული დონით ცნობილი ნივთიერებები და ნარევები შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატენტუნარიანად, თუ ისინი გამოიყენება აქამდე უცნობი დანიშნულებით.

რუსეთის საპატენტო კანონით „გამოგონებას მიეცემა უფლებრივი დაცვა, თუ იგი სიახლეს წარმოადგენს, აქვს საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადია“. გამოგონება სიახლედ ჩაითვლება, თუ იგი ტექნიკის დონის შესახებ მონაცემებიდან არ არის ცნობილი.

ტექნიკის დონის შესახებ მონაცემები მოიცავენ ნებისმიერ ცნობებს, რომლებიც საერთოდ ხელმისაწვდომი გახდა მსოფლიოში გამოგონების პრიორიტეტის თარიღამდე.

გამოგონებას სამრეწველოდ გამოყენებადი ეწოდება, თუ იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს მრეწველობაში, სოფლის

მეურნეობაში, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში და სამეურნეო საქმიანობის სხვა დარგში.

უნდა ითქვას, რომ უმეტესი ქვეყნების საპატენტო კანონები ტექნიკის დონის ზოგადი განსაზღვრის საშუალებას არ იძლევიან. სიახლე ხშირად იმ მდგომარეობათა ჩამოთვლის გზით დგინდება, რომელთა წყალობით ამოცანის განსახილველი გადაწყვეტა ცნობილი გახდა მოცემული ქვეყნის სამართლებრივი კანონმდებლობის თვალსაზრისით. მაგალითად, ავსტრიის საპატენტო კანონით „გამოგონება“ - სიახელედ არ ითველბა, თუ განაცხადის შეტანის თარიღამდე იგი აღწერილი იყო ბეჭდვით პუბლიკაციებში იმ სახით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სპეციალისტების მიერ მისი გამოყენება, ან გამოყენებული და დემონსტრირებული ყოფილიყო გამოფენაზე ავსტრიაში იმდენად ხელმისაწვდომად, რომ სპეციალისტებს მისი გამოყენების შესაძლებლობა მისცემოდათ, ან იყო პატენტის ან მოცემული კანონის შესაბამისად მოქმედი სასარგებლო მოდელის მოწმობის საგანი და წარმოადგენდა საზოგადოებრივ მილნევას.

სხვა ქვეყნების კანონები შეიცავენ იმ მდგომარეობის მეტნაკლებად დეტალურ ნუსხას, რომელიც ამოცანის გადაწყვეტას ცნობილს ხდის. იგი ერთობლიობაში წარმოადგენს ისეთი დონის დადგენის საფუძველს, რომლის მიმართაც განისაზღვრება სიახლე მოცემულ ქვეყანაში.

როგორც ჩანს, ზემოთ განხილულ კანონთა შესაბამისად, ტექნიკის დონე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე — იგი შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი, იმისდა მიხედვით, თუ დროის რომელი მომენტისათვის განისაზღვრება აღნიშნული დონე და ინფორმაციის წყაროები (პატენტები, სტატიები, გამოიყენება და ა.შ.). მხედველობაში მიიღება აგრეთვე ის, თუ რომელ ტერიტორიაზე (ქვეყანაში ან საზღვარგარეთ) გამოქვეყნდა ინფორმაცია.

სხვადასხვა ქვეყნის კანონები ამ საკითხებს ერთნაირად არ წყვეტინ. სწორედ ამიტომაა, რომ „ტექნიკის დონისა“ და „სიახლის“ ცნებათა შინაარსის განსაზღვრება ერთმანეთისაგან

განსხვავდება. სხვადასხვა უფლებრივი სისტემის სიახლის გამაპათილებელი ინფორმაციის წყაროს ცნება სხვადასხვაა.

ჩვეულებრივ ინფორმაციის წყაროები, რომლებიც შეიძლება სიახლის გამაპათილებელ ცნებებს შეიცავდეს, იყოფა ორ ჯგუფად — ბეჭდურ პუბლიკაციებად და გამოყენებად.

ძირითადად გამოქვეყნებული „ბეჭდური პუბლიკაციებიდან“ უპირატესად გამოიყოფა „პატენტები“, რადგან ისინი უახლეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებზე ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენენ, აგრეთვე ფლობენ ზოგიერთ სპეციფიკურ მახასიათებლებს.

ნებისმიერი სახის ცნობილი ინფორმაცია გამოგენების შესახებ, იქნება ეს ბეჭდური პუბლიკაცია, გამოყენება თუ სხვა ასეთი, ხელს უშლის პატენტის გაცემას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ცნობები გამოგონების შესახებ უნდა იყოს სრული, ხსნიდეს ყველა აუცილებელ ელემენტს, მათ ურთიერთებებსა და მიღებულ ეფეტს. სრულად ითვლება ისეთი გახსნა, რომელიც მოცემულ დარგში სპეციალისტს საშუალებას აძლევს შეიცნოს გამოგონება და პრაქტიკულად განახორციელოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში ინფორმაცია არასაკმარისად ითვლება და სიახლეს არ აპათილებს.

2. გამოგონება უნდა იყოს სრულად გახსნილი ინფორმაციის ერთ წყაროში. სხვადასხვა წყაროდან (პატენტები, სტატიები, გამოსვლები და ა.შ.) ცნობილი ელემენტების შეერთება სიახლის განსაზღვრისას არ დაიშვება.

3. ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება ტექნიკის დონე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს პირთა განუსაზღვრელი წრისათვის. გამოგონების მხოლოდ ასეთი გახსნა აპათილებს სიახლეს, რომელსაც, პრინციპში შეიძლება გაეცნოს ნებისმიერი პირი (ფართო წრე).

მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურის დიდ ოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება მთელ მსოფლიოში განცხადებული ტექნიკური იდეის სიახლის

განსაზღვრისას ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს  
წარმოადგენს.

„პუბლიკაცია“ ფართო შინაარსის ცნებაა. ნებისმიერი არაგასაიდუმლოებული სამუშაო, რომელიც დაბეჭდილი და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის წარმოადგენს პუბლიკაციას და ხელს უშლის პატენტის გაცემას. დაბეჭდილი და გავრცელებული ეგზემპლარების ოდენობას პრაქტიკულად არა აქვს მნიშვნელობა. თუნდაც ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის სამუშაოს საჯაროდ ცნობილად ხდის.

სარეკლამო ხასიათის მასალები (ბუკლეტები, კატალოგები, ტექნიკური საშუალებები და ა.შ.) როგორც წესი მიიჩნევა პუბლიკაციებად, რომლებიც ხელს უშლიან პატენტის გაცემას.

საიდუმლო მასალები, რომლებიც სპეციალისტებისათვის ან სხვა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი არაა. სავარაუდო გამოგონების სიახლის გამაბათილებელ პუბლიკაციას არ წარმოადგენს.

განსაკუთრებულად წყდება საპატენტო განაცხადების დაპირისპირების საკითხი. თითქმის ყველა ქვეყანაში საზღვარგარეთ საპატენტო უწყებაში განსახილველად უცხოური განაცხადების მასალები ხელს არ უშლიან პატენტის გაცემას, თუ ისინი გამოქვეუნებული არ იყო. მაგრამ წინა ეროვნული განაცხადები, მათ შორის გამოქვეყნებლებიც, ხელს უშლიან პატენტის გაცემას.

ქვეყნებში, სადაც განაცხადების პუბლიკაცია პატენტის გაცემამდე არსებობს, ადრე შეტანილი განაცხადის მასალები უპირისპირდება სხვა განაცხადებს მათი პუბლიკაციის მომენტიდან. ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, ავსტრიაში საპატენტო უწყებაში განხილვაზე გამოფენილი ე.ნ. „განცობილი განაცხადი“ ბეჭდური პუბლიკაციის სახით არ განიხილება და ისინი სიახლეს არ აბათილებენ.

იმ ქვეყნებში, სადაც განაცხადი, საერთოდ არ ქვეყნებდა, განაცხადის მასალები იხსნება პატენტის გაცემის შემდეგ

ნებისმიერი პირისათვის გასაცნობად და ამ დროიდან ისინი სხვა ბეჭდური მასალების თანახმად აბათილებენ სიახლეს.

გამოთხოვილი განაცხადები, ე.წ. განაცხადები, რომლებზეც განმცხადებელთა მოთხოვნით შეწყვეტილია საქმის წარმოება, აგრეთვე განაცხადები, რომლებზეც პატენტის გაცემაზე უარი იყო ნათქვამი, როგორც წესი, აბათილებენ გამოგონების სიახლეს იმ შემთხვევაში, თუ მათი შინაარსი ხელმისაწვდომი იყო მისი გაცნობის ნებისმიერი მსურველისათვის. ამ საერთო წესიდან გამონაკლისებიც გვხდება. მაგალითად, იაპონიაში გამოუქვეყნებელი გაუქმებული განაცხადები შეიძლება დაუპირსპირდეს განცხადებულ გადაწყვეტას.

პატენტებისა და გამოგონებაზე საპატენტო განაცხადების თანაბრად, სიახლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებზე გაცემული სამართლებრივი დოკუმენტებიც და გამოქვეყნებული განაცხადებიც.

გამოგონების გამოყენება განაცხადის შეტანამდე ხელს უშლის პატენტის გაცემას, თუ იგი საჯარო ან ხელმისაწვდომი იყო მესამე პირისათვის. სავალდებულო არაა გამოგონების ობიექტის საერთოდ ცნობილობა და ფართოდ გავრცელება. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ პატენტი გაუქმებულად მიიჩნია გამოგონების წინასწარი გამოყენების საფუძველზე, კერძოდ, იმის გამო, რომ გამომგონებელმა თავისი გამოგონების ერთი ნიმუში (კორსეტი) ნაცნობ ქალბატონს აჩუქა. ერთი პირის მიერ გამოგონების ასეთი გამოყენება, რომელიც დაფარული იყო უცხო თვალისაგან, მიჩნეულ იქნა საჯარო გამოყენებად, რამაც ხელი შეუშალა პატენტის გაცემას, რადგან ეს პირი ვალდებული არ იყო გამოგონება საიდუმლოდ შეენახა.

გამოგონების საიდუმლოდ გამოყენება ან მისი დამუშავებისა და დამზადების დროს საქმის მცოდნე სპეციალისტების შეზღუდული წრის (ვიწრო წრე) მიერ მისი გამოყენება სიახლეს არ აბათილებს.

მთელი რიგი ქვეყნების კანონებით გამოგონების გახსნის ორ ძირითად საშუალებასთან — ბეჭდურ პუბლიკაციასა და გამოყენებასთან ერთად დგინდება რომ „ნებისმიერმა სხვა საშუალებებმა“ შეიძლება გააბათილონ სიახლე.

„სხვა საშუალებებს“ შეიძლება მიეკუთვნოს გამოგონების გახსნა ზეპირი შეტყობინების, მოხსენებების, ნახაზების, კონფერენციებზე მოხსენებების, რადიოთი, ტელევიზიით გამოგონების შესახებ ცნობების შეტყობინების მიხედვით მეცნიერებისათვის, ექსპერტებისათვის, ინჟინრებისათვის და სხვა პირთათვის, რომლებსაც ესმით გამოგონების არსი და ვალდებული არ არიან არ გაავრცელონ მიღებული ინფორმაცია.

სხვადასხვა ქვეყნების კანონები სხვადასხვანაირ მნიშვნელობას ანიჭებენ გამოგონების გახსნის ადგილს. ამისდა მიხედვით, ქვეყნები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1. აბსოლუტური მსოფლიო სიახლის მომთხოვნი ქვეყნები; 2. ადგილობრივი (ეროვნული) სიახლის მომთხოვნი და 3. შეზღუდული სიახლის მომთხოვნი ქვეყნები.

პირველ ჯგუფის ქვეყნებში გამოგონებას წარედგინება სიახლის მკაცრი მოთხოვნები. განცხადებული გამოგონების პატენტუნარიანობას აპათილებს მისი არსის გახსნა იმისაგან დამოუკიდებლად, თუ სად მოხდა იგი — მოცემულ ქვეყანაში თუ მის საზღვრებს გარეთ. ამასთან, გამოგონების გახსნის საშუალებას არა აქვს მნიშვნელობა — ნებისმიერი პუბლიკაცია, გამოყენება, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელდა, ხელს უშლის პატენტის გაცემას. მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები გამოგონებას უყენებენ აბსოლუტურ მსოფლიო სიახლის მოთხოვნებს. ესენია ძირითადად განვითარებული მრეწველობის ქვეყნები.

ქვეყნების მეორე ჯგუფს გამოგონების წინაშე წაყენებული აქვს ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები. ეს ნიშნავს, რომ სიახლეს წინ უსწრებს პუბლიკაციები, რომლებიც მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე მოხდა. უცხოური პუბლიკაციები აპათილებენ განცხადებული გამოგონების სიახლეს მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათი შემოსვლის მომენტიდან,

ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები არსებობს საპერძეოში, აგრეთვე ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში (ნიკარაგუა, პანამა) და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში მათ შორის საქართველოში.

უნდა ითქვას, რომ ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები პრაქტიკულად მაღალია და მსოფლიო სიახლის მოთხოვნებისაგან არ განსხვავდება, რადგან უცხოური მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის წყაროები ამ ქვეყნებში ოპერატიულად და სრული მოცულობით ხვდება.

ქვეყნების მესამე ჯგუფს შუალედური მდგომარეობა უკავია პირველსა და მეორე ჯგუფებს შორის. ასეთი ქვეყნების მოცემულ ჯგუფში ბეჭდური პუბლიკაციების მიმართ გამოყენებულია მსოფლიო, ხოლო გამოგონებათა გამოყენების მიმართ — ადგილობრივი სიახლის მოთხოვნები. ასეთ ქვეყნებს მსოფლიო სიახლისადმი შეზღუდული მოთხოვნების მქონე ქვეყნებს უწოდებენ. გამოგონებისადმი ამგვარი მსოფლიო სიახლის მოთხოვნები წაყენებულია აშშ-ში, ვენესუელაში, იაპონიაში, ინდოეთში, კანადაში, პარაგვაიში. პერუში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ურუგვაიში, ფილიპინებში.

ერთი სიტყვით გამოგონების სიახლე დგინდება დროის გარკვეული მომენტისათვის, რომელიც გამოგონების არსის გახსნის ყველა ფაქტს ორ ნაწილად ჰყოფს: ყველაფერი, რაც მოხდა ადრე, სიახლეს წინ უსწრებს და ხელს უშლის პატენტის გაცემას, ხოლო ყველაფერი, რაც მოხდა მოგვიანებით, განცხადებული გამოგონების იურიდიულ ბედზე გავლენას არ ახდენს.

სიახლის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტის ახალ თვისებას, რომელზეც დაფუძნებულია გამოგონების ისეთი ობიექტი როგორიც არის „გამოყენება“. თუ განცხადებული ობიექტის თვისება კარგად იყო ცნობილი სპეციალისტებისათვის და მისი გამოყენება ცნობილი ობიექტის არავითარ ახალ მხარეს არ ხსნის, გადაწყვეტა არაპატენტუნარიანია. ზოგიერთ ქვეყანაში (ესპანეთი, მექსიკა და სხვა).

გამოგონების ახალი დანიშნულებით გამოყენება, საერთოდ, არ ექვემდებარება დაცვას.

სრული ექსპერტიზის დროს ყურადღების ცენტრში ექცევა ექვივალენტური ნიშნები, ცნობილ ნაკეთობაში, ნივთიერებაში, ხერხში რაიმე ელემენტის სხვა ელემენტით შეცვლა შეიძლება პატენტუნარიანი იყოს, თუ იგი ახალ ტექნიკურ ეფექტს იძლევა, მაგრამ შეიძლება არაპატენტუნარიანად იქნეს მიჩნეული, თუ ეს ახალი ეფექტი არ იქნა მიღებული.

ტექნიკური გადაწყვეტილების სიახლის განსაზღვრისათვის, რომელიც ცნობილ ობიექტში რაიმე ელემენტის შეცვლას გულისხმობს, გამოიყენება ექვივალენტურობის თეორია.

ექვივალენტურობა, ფართო გაგებით, ნიშნავს ობიექტების ტოლფასობას გარკვეულ დამოკიდებულებასა და გარკვეულ პირობებში. ტექნიკური ექვივალენტების ცნება გულისხმობს ისეთ საშუალებებს, რომლებიც წარმოადგენენ ურთიერთ-შენაცვლებითსა და მოცემულ კონკრეტულ პირობებში ერთნაირ ტექნიკურ შედეგს იძლევიან, ორი ტექნიკური საშუალება ექვივალენტურია გარკვეულ დამოკიდებულებაში. მაგრამ ისინი შეიძლება კონსტრუქციულად ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდნენ და ფუნქციურად სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდეთ და ა.შ. მაგალითად. შედუღება და მოქლონვა წარმოადგენს ფურცლოვანი ფოლადის შეერთების ექვივალენტურ საშუალებებს. ამასთან თუ აუცილებელია შეერთების ჰერმეტულობის უზრუნველყოფა, მათი შესაძლებლობები ურთიერთ-შენაცვლების სახით არ უნდა იქნეს განხილული, რამდენადაც მოქლონვა ამ მხრივ ისეთსაგე შედეგს არ იძლევა, რასაც შედუღება. მეორე მხრივ, შედუღება გამოიყენება მხოლოდ გარკვეული ლითონების შესაერთებლად, ხოლო მოქლონვა ვარგისია ნებისმიერისათვის.

ერთი სიტყვით, ექვივალენტური ნიშნები შეიძლება არ იყოს ახალი სპეციალისტებისათვის და შეიძლება გამომგონებლის მონაპოვარიც იყოს თუ ობიექტის ნიშნების ახალი ექვივალენტური ნიშნებით შეცვლა ახალ ეფექტს არ იძლევა, გადაწყვეტა არაპატენტუნარიანად მიიჩნევა.

ცნობილი ობიექტებიდან შერჩევის შედეგად მიღებული ტექნიკური გადაწყვეტილება, რომელიც ახალ ტექნიკურ შედეგს იძლევა, პატენტუნარიან გამოგონებად მიჩნევა. ასეთმა გადაწყვეტებმა სელექციური, ე.ი. შერჩეული გამოგონების სახელწოდება მიიღო.

შერჩევის შედეგად არავითარი ახალი მოწყობილობა, ხერხი ან ნივთიერება არ იქმნება.

სელექციური გამოგონება შეიძლება უწოდოთ ცნობილი ნაერთის კომპონენტების გარკვეული თანამიმდევრობით შერჩევას, თუ მოცემული შერჩევა საშუალებას იძლევა მივიღოთ ახალი თვისებების მქონე ნივთიერება. მაგალითად, დიდი ხნის მანძილზე ცნობილი იყო შენადნობი, რომელშიც შედიოდა ალუმინი, სპილენძი და მაგნიუმი. შენადნობი ანტიმაგნიტური იყო. კომპონენტების გარკვეული თანაფარდობის შედეგად მიღებულ იქნა ახალი შენადნობი, ე.წ. ჰეისლერის შენადნობი, რომელიც ფლობს დამაგნიტების უნარს, ე.ი. იძენს ახალ თვისებას.

სელექციური გამოგონებები წარმოადგენს ქიმიის დარგში გამოგონებათა ფართოდ გავრცელებულ კატეგორიას (სალებავები, კატალიზატორები, შენადნობები და სხვა) და ყველაზე ხშირად ისინი ნივთიერების ობიექტები არიან.

ობიექტში ელემენტების თანაფარდობის ცვალებადობა, მაგალითად, ფორმების, ზომების, პროპორციების, ნივთიერებათა ინგრედიენტების თანაფარდობა გამოგონებად არ ითვლება, მაგრამ, თუ ნაკეთობის ფორმის, ზომების, პროპორციების შეცვლა მოქმედების ხერხის შეცვლას იწვევს, ცვლის მის ფუნქციას და ახალ მოულოდნელ შედეგს იძლევა, ამგვარი ცვლილება შეიძლება პატენტის საგანი იყოს. მაგალითად, აშშ-ის საპატენტო უწყებამ პატენტუნარიანად მიიჩნია განსაკუთრებული ფორმის კარტოფილის ღრაჭუნა ნაჭრებზე განაცხადი, რამდენადაც ეს უკანასკნელი პროდუქტს ახალ სპეციფიკურ თისებებს ანიჭებდა.

ცნობილი ობიექტებიდან ერთი ან რამდენიმე ნიშნის გამორიცხვა არაპატენტურნარიანია, თუ ამასთან, ამოვარდნი-

ლია ის ფუნქციები, რომლებსაც გამორიცხული ნიშნები ასრულებდნენ.

მაგრამ, თუ ელემენტის გამორიცხვისას ობიექტი ინარჩუნებს ყველა ადრეულ ფუნქციას, წინადადება პატენტუნარიანად მიიჩნევა. კერძოდ, ოთხფეხა სკამიდან ერთი ფეხის (ელემენტის) გამორიცხვა და სამფეხა სკამად გადაკეთება პატენტუნარიანად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ობიექტი ინარჩუნებს ყველა ადრეულ ფუნქციას, ამასთან იცვლება ფორმაც.

სიახლის შეფასებაზე გავლენას არ ახდენს განსახილველი ტექნიკური გადაწყვეტის სიმარტივე. ამ წესს ყველა ქვეყნის სასამართლოები იყენებენ. ამასთან ერთად ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტის სირთულე თავისთავად არ წარმოადგენს საგამომგონებელო შემოქმედების არსებობის მტკიცებას.

სიახლე და ტექნიკური შემოქმედების დონე წარმოადგენს პატენტუნარიანი გამოგონების განუყოფელ და ურთიერთ-დაკავშირებულ ნიშან-თვისებებს.

ტექნიკური გადაწყვეტის სიახლის კვალიფიკაცია ემყარება ობიექტურად არსებულ ფაქტებს. სავარაუდო გამოგონების შედარება ხდება არსებულ ტექნიკურ გადაწყვეტებთან, ამასთან, მას შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ ერთი წყარო. სიახლის მოთხოვნა შესრულებულად ითვლება, თუ ვერ მოიძებნა ის გადაწყვეტა, რომელიც ისეთივე ნიშან-თვისებებს ფლობს, როგორსაც განსახილველი ტექნიკური გადაწყვეტა. ცნობილისაგან სულ უმნიშვნელო განსხვავებაც კი იმის უფლებას იძლევა, რომ გადაწყვეტა დაკვალიცირდეს როგორც ახალი.

## წ8. სასაქონლო ნიშანი (მომსახურების ნიშანი), როგორც სამრეცველო საკუთრების ობიექტი

სასაქონლო ნიშნები ჯერ კიდევ ძველ სამყაროში არსებობდა, მაშინაც კი როდესაც ადამიანები თვითონ აწარმოებდნენ მათთვის საჭირო საქონელს ან, უფრო ხშირად იძნდნენ მას ადგილობრივი ხელოსნებისაგან. მენარმეები, რომლებსაც გააჩნდათ საქმისადმი შემოქმედებითი მიღვომის უნარი, თავიანთი საქონლისათვის პოულობდნენ გასაღების ბაზრებს მათი ადგილსამყოფელიდან საკმაოდ მოშორებითაც კი. ჯერ კიდევ 3000 წლის წინ ინდოელ ხელოსნებს ჩევულებად ჰქონდათ საკუთარი ხელმოწერის ალბეჭდვა ირანში გასაგზავნ მხატვრულ ქმნილებებზე. ჩინელი მრეწველი ასაღებდნენ საქონელს ხმელთაშუა ზღვის რაიონში 2000 და მეტი წლის წინ საკუთარი დამლის გამოსახულებით. ვაჭრობასა და მრეწველობაში საქონლის განსასხვავებლად ნიშნების გამოყენება ასევე გავრცელდა რამდენიმე ასწლეულის წინ, შუა საუკუნეებში, ვაჭრობის აყვავების ხანაში. ისინი ალიბეჭდებოდა თიხის ნაწარმზე, რაც ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ეგვიპტესა და მაშინდელ განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის კავკასიაშიც. დამლები მოსახლეობის მიერ გამოიყენებოდა პირუტყვის მოსანიშნად, რათა გამოერჩიათ თავიანთი საქონელი სხვა საქონლისაგან. დამლა პირუტყვზე დაიტანებოდა გავარვარებული რკინის სამარჯვით. საქონელბრუნვის გააქტიურების თვალსაზრისით, გარკვეული ადგილი აქვს მიჩნეული განმასხვავებელ ნიშნებს. რაც უფრო ინტენსიური ხდება წარმოება, მით უფრო მეტი ყურადღება ექცევა განმასხვავებელ აღნიშვნებს. აღნიშვნები ალიბეჭდებოდა ტყავზე, წიგნებზე, საბრძოლო იარაღზე, სამზარეულო დანიშნულების საგნებზე და ა.შ. ეს ხელოსანს საშუალებას აძლევდა ფართოდ გაეთქვა სახელი. ამის მაგალითია, ის რომ ჩვენამდე აღნევს XII საუკუნის მეორე ნახევრაში მოღვაწე ბექა და ბეშქენ ოპიზრების ოსტატების სახელები (ოქრომჭედლები), მაგრამ ამ ნიშნების ეკონომიური მნიშვნელობა ჯერ კიდევ შეზღუდული რჩებოდა.

სასაქონლო ნიშნები თანამედროვე როლს ასრულებდნენ გასული საუკუნიდან. საქონლის მასობრივი წარმოების მოძალებამ გამოიწვა პროდუქციის განაწილების რთული სისტემის ჩამოყალიბება. იწყება სპეციალური აღნიშვნების გამოგონება და საქონლის მოსაზიშნად მათი გამოყენება.

ინგლისი ერთ-ერთი პიველი ქვეყანა იყო, რომელმაც საერთო სამართლის ნორმებით დაიწყო სხვისი სახელით მოსარგებლე პირების დასკა.

ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც შემოიღო სპეციალური კანონი, საფრანგეთი იყო. ეს კანონი 1857 წელს ამოქმედდა. საკუთარი კანონმდებლობა აამოქმედეს იტალიამ – 1868 წელს, ბელგიამ – 1879 წელს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა – 1870 წელს, გერმანიამ – 1874 წელს, რუსეთმა – 1896 წელს, საქართველომ – 1992 წლის 1 მაისს, მაშინდელი მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის № 304 დადგენილებით, დამტკიცებული სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულების სახით. საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს გააჩნდა ნორმები სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ სამოქალაქო კოდექსში და სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ მას გამოყენება არ ჰქონია. ამჟამად კანონების გადასინჯვა მიმდინარეობს მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, მსოფლიოს ორგანიზაციის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საქართველო ამ პროცესის მიღმა არ დარჩენილა.

„ისმო“-ს მონეცემებით მსოფლიოში მოქმედებს (სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით) ცხრა საერთაშორისო ხელშეკრულება.

ხელშეკრულებებიდან საქართველო მონაწილეა მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი – პარიზის კონვენციისა და ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლისა.

სამრეწველო საკუთრების თანამედროვე ტერმინოლოგია უპირველესად უკავშირდება პარიზის კონვენციას, რომელშიც ნორმატიულად აისახა შესაბამისი ტერმინები, ტერმინის „სასაქონლო ნიშანი“ პარალელურად ხშირად ვხვდებით მისგან

განსხვავებულ ტერმინებს: სავაჭროს ნიშანი, სავაჭრო მარკა, საფირმო ნიშანი, ემბლემა, ქარხნის ნიშანი, საქარხნო მარკა, საწარმოო მარკა და სხვა.

საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობა აწესებს ერთიან ტერმინს „სასაქაონლო ნიშანი“. იგი მოიცავს პარიზის კონვენციის მიერ გამოქვეყნებულ ყველა ტერმინს, მათ შორის „მომსახურების ნიშანსაც“. ამ უკანასკნელს ისეთივე დაცვა ენიჭება, როგორც სასაქაონლო ნიშანს (თუმცა პარიზის კონვენცია არ ავალდებულებს მის დაცვას). იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ რაიმე გაუგებრობა, მიზანშენონილია, პრესის თუ სპეციალური ლიტერატურის ფურცლებზე ვიხმაროთ ტერმინები „სასაქონლო ნიშანი“ და „მომსახურების ნიშანი“.

სასაქონლო ნიშნის, როგორც ცნება დაფუძნებულია მონინავე ქვეყნის კანონებზე, შემდგომში საერთაშორისო ხელშეკრულებები: „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ 1993 წლის დეკემბრის დირექტივა, განსაკუთრებით „ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებები“, მათ შორის კონტრაფაქციული საქონლით ვაჭრობის შესახებ“ შემოკლებით TRIPS, რომელიც დაიდო 1993 წლის 15 დეკემბერს, აუცილებელი გახდა ეროვნული სასაქაონლო ნიშნების კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. TRIPS-ის ხელშეკრულების თანახმად, ნებისმიერი აღნიშვნა ან აღნიშვნათა კომბინაცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ერთი საწარმოს საქონლის ან მომსახურების განსხვავება მეორე საწარმოს საქონლის, ან მომსახურებისაგან, შეიძლება წარმოადგენდეს სასაქონლო ნიშანს. აქედან გამომდინარე სასაქონლო ნიშნის მთავარი ნიშანთვისება მისი განმასხვავებელუნარიანობაა. ტერმინი „სასაქონლო ნიშანი“ ამ ხელშეკრულების ძალით მოიცავს მომსახურების ნიშანსაც, ინგლისური ტერმინი „TRADEMARK“ ითარგმნება, როგორც სავაჭრო ნიშანი, ხოლო ვაჭრობას მომსახურებაც განეკუთვნება. თანამედროვე ეტაპზე მომსახურება ერთგვარ საქონლად განიხილება.

ცალკე განხილვის ღირსია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ბიუროს მიერ (ამჟამად ინტელექ-

ტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, შემოკლებით „ისმო“), 1966 წელს მიღებული კანონით მოცემული შემდეგი განმარტებები:

– „სასაქონლო ნიშანი“ ნიშანებს ნებისმიერ ვიზუალურ ნიშანს, რომელიც განკუთვნილია ერთი საწარმოს საქონლის მეორე საწარმოს საქონლისაგან განსასხვავებლად.

– „მომსახურების ნიშანი“ ნიშანებს ნებისმიერ ვიზუალურ ნიშანს, რომელიც განკუთვნილია ერთი მეწარმის მომსახურების მეორე მეწარმის მომსახურებისგან განსასხვავებლად.

აქაც სასაქონლო ნიშნის მთავარი კრიტერიუმი მისი განმასხვავებელუნარიანობაა, მაგრამ მოცემულია მეორე აუცილებელი კრიტერიუმიც — ნიშნის ვიზუალობა, ანუ ნიშნანი ხილვადი უნდა იყოს. ეს კანონი არ ეხება ისეთ ნიშნებს, როგორიცაა ბგერითი ან სურნელოვანი.

ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული დებულებები ფაქტობრივად არ მოდიოდა ნინააღმდეგობაში საერთაშორისო კანონებთან. 1991 წ. მიღებული იქნა სსრკ კანონი სასაქონლო ნიშნების და მომსახურების ნიშნების შესახებ, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის გამო, ძალაში შესვლა ვერ მოასწრო. კანონი გადმოცემს: „სასაქონლო ნიშანი და მომსახურების ნიშანი“ (შემდგომში სასაქონლო ნიშანი) არის აღნიშვნები, რომლებსაც შეუძლიათ განასხვაონ ერთი იურიდიული პირის ან მოქალაქის ერთგვაროვანი საქონელი, ან მომსახურება, სხვა იურიდიული პირის ან მოქალაქის ერთგვაროვანი საქონლის, ან მომსახურებისაგან, აქაც როგორც ვხედავთ შინაარსი იგივეა. სასაქონლო ნიშნანი დააკავშირა ერთგვაროვან საქონელთან.

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნის შესახებ ადგენს:

1. სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლის ან/და მომსაუხურებისაგან (შემდგომში - საქონელი).

2. სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება,

სამგაზომიალებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით.

3. სასაქონლო ნიშანი დაცულია „საქპატენტში“ მისი რეგისტრციის ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

4. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე 6<sup>bis</sup> მუხლის შესაბამისად.

„სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს ნებისმიერი აღნიშვნა, რომელიც ახდენს კონკრეტული სანარმოს საქონლის ინდივიდუალიზებას და განასხვავებს მას კონკურენტების საქონლი-საგან“. სასაქონლო ნიშანად შეიძლება ცნობილ იქნეს მხოლოდ ისეთი სიმბოლო, რომელიც მიუთითებს საქონელსა და მნარმოებელს შორის არსებულ კავშირზე სამოქალაქო მიმოქცევის პროცესში, უპირველესად საქონლით ვაჭრობის დროს.

სასაქონლო ნიშანი საერთო სამართლით განიმარტება, როგორც სიმბოლო, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ აშკარა გახადოს, რომ საქონელი, რომელზეც გამოიყენება ნიშანი, წარმოშობილია კონკრეტული მნარმოებლისაგან, იქნება ის მეწარმე, მოვაჭრე, თუ სახელმწიფო ორგანო.

თანამედროვე კომერციულ საქმიანობაში მომხმარებლები აწყდებიან არა მხოლოდ ყველანაირი ტიპის საქონლის მდიდარ ასორტიმენტს, არამედ მომსახურებათა მზარდ ნაირსახეობას, რასაც სულ უფრო ხშირად სთავაზობენ ეროვნული თუ საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ ამიტომ არის საჭირო აღნიშვნები, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, გააკეთონ არჩევანი მომსახურების გამწევ სხვადასხვა ორგანიზაციას შორის, როგორიცაა, მაგალითად, დაზღვევის კომპანიები, ავტომობილების გაქირავების ფირმები, ავიახაზები და მისთანები. ასეთ აღნიშვნებს უწოდებენ მომსახურების ნიშნებს. ისინი ასრულებენ ძირითადად წარმოშობაზე მითითების იმავე ფუნქციას და ისეთსავე განმასხვავებელ ფუნქციას მომსახურების მიმართ, რასაც სასაქონლო ნიშნები — საქონლის მიმართ. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არსებობს

მომსახურების ნიშნების დაცვის აუცილებლობა ისევე, როგორც სასაქონლო ნიშნებისა. თანამედროვე კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების სფეროში მომსახურების ნიშნებს ისეთსავე დაცვას ანიჭებს, როგორც ნიშნებს, რომლებიც ახდენენ საქონლის იდენტიფიცირებას. იმის გამო, რომ მომსახურების ნიშნები წარმოადგენს აღნიშვნებს, რომლებიც თავისი ხასიათით ძალიან ჰგვანან სასაქონლო ნიშნებს, მათ შეიძლება მივუყენოთ ერთნაირი კრიტერიუმები, რის გამოც არსებული კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ დამატებით მოიცავს მომსახურების ნიშნების დაცვასაც.

პარიზის კონვენციას დაემატა 6 მუხლი, რომელმაც დაავალდებულა მონაწილე ქვეყნები, დაეცვათ მომსახურების ნიშნები. ამასთან დამკიდრდა სასაქონლო ნიშნების დაცვასთან ერთად (მის თანაბრად) მომსახურების ნიშნების დაცვა.

საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის შეთანხმება ითვალისწინებს რვა კლასს (35-42), რომელიც ეხებიან მომსახურების კლასიფიკაციას და გამოიყენება მათი რეგისტრაციისათვის.

მომსახურების ნიშნის შესატყვისი ტერმინებია: ინგლისურად - “SERVICEMARK”, რუსულად - «ЗНАК ОБСЛУЖИВАНИЯ».

სასაქონლო ნიშნები, ჩვეულებრივ, მიუთითებს ინდივიდუალურ საწარმოებზე, როგორც მარკირებული საქონლისა და მომსახურების წარმოშობაზე. ზოგიერთი ქვეყანა ითვალისწინებს კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციას, რაც მიუთითებს ასეთი ნიშნით მოსარგებლე საწარმოთა ურთიერთკავშირზე ან დადგენილ სტანდარტზე, რომელსაც აკმაყოფილებს ამ ნიშნით გამოშვებული საქონელი.

კოლექტიურ ნიშანს შეიძლება ფლობდეს ასოციაცია, რომელიც თვითონ არ სარგებლობს ამ ნიშნით, მაგრამ წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ კოლექტიური ნიშნით, თუ ისინი იცავენ კოლექტიური ნიშნის გამოყენების შესახებ წესდების პირობებს.

სასერტიფიკაციო ნიშანი შეიძლება გამოიყენებულ იქნეს მხოლოდ სტანდარტების შესაბამისად. კოლექტიურ ნიშნებსა და

სასერტიფიკაციო ნიშნებს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ პირველით შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ გარკვეულმა საწარმოებმა, მაგალითად, იმ კოლექტივის წევრებმა, რომელიც ფლობს კოლექტიურ ნიშანს, ამდენად, ნიშნის გამომყენებელთა წრე დახურულია და მკაცრად არის განსაზღვრული. სასერტიფიკაციო ნიშანი კი შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა, რომელიც დააკმაყოფილებს პროდუქციისადმი დადგენილ სტანდარტულ მოთხოვნებს. კოლექტიური ნიშნით მოსარგებლენი თითქოს ქმნიან “კლუბს”, მაშინ როცა სასერტიფიკაციო ნიშნის მიმართ გამოიყენება ლია კარის პრინციპი. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი ნიშანი შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა მატყლის მეწარმე პირმა, თუ ის დააკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და მიიღებს უფლებას გამოყენებაზე მისი მფლობელისაგან - I.W.S. NOMINE COMPANY LIMITED, ინგლისი, ვის სახელზეც არის ის რეგისტრირებული საქართველოში ნომრით 5227.



ამრიგად, ეს არის საგარანტიო ნიშანი ანუ ხარისხობრივი ნიშანი. მფლობელი კონტროლს აწესებს პროდუქციის ხარისხზე. ევროპის გაერთიანების მიერ შემოთავაზებულია ტერმინი საგარანტიო ნიშანი (GUARANTEE MARK).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნები და გაერთიანებული ევროპის კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ, აიძულებს ქვეყნებს ორივე სახის ნიშნის დაცვაზე. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ ითვალისწინებს ორთავე სახის დაცვას.

საზოგადოდ, სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ნებისმიერი სახის სიმბოლოთი. კერძოდ სიტყვა, ციფრები, ასოები, გამოსახულება, ფერების კომბინაცია, ბგერები, სურნელება, ყოველივე აღნიშნულის კომბინაცია და სხვა.

სიტყვის გამოყენება ქმნის სასაქონლო ნიშნების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ნიშანთა ჯგუფს. ნიშანთა ეს ჯგუფი მსოფლიოში მოქმედ სასაქონლო ნიშნების საერთო რაოდენობის 80%-ზე მეტს შეადგენს. ეს გასაგებიცაა, რადგან სიტყვა შეიგრძნობა როგორც ვიზუალურად — ვკითხულობთ თვალით, ასევე სმენით, არ აქვს მნიშვნელობა, თავად წავიკითხავთ თუ სხვა წაგვიკითხავს, მოვისმენთ მას რადიოს, ტელევიზიის ან სხვაგვარი გადმოცემისას.

სიტყვიერი ნიშნების ჯგუფი შეიძლება დაიყოს შემადგენელ ნაწილებად: ჩვეულებრივი სიტყვა — “ია”, “ცისარტყელა”, “განთიადი” და სხვ.; მოგონილი (ფანტაზიური სიტყვა) — “სოლანი”, “ფიტომალი”, “KODAK”, “APPLE” — ქართულად ვაშლი, გამოიყენება კომპიუტერული ტექნიკის აღსანიშნავად და შეიძლება მოგონილი იყოს, რადგან ვაშლს არავითარი კავშირი არა აქვს კომპიუტერთან; სახელი გვარი; საფირმო სახელწოდება — “FORD”; გეოგრაფიული დასახელება — “ყაზბეგი”, “ბორჯომი” და ა.შ.; წინადადება — “ჩვენ ვაადვილებთ თქვენს ცხოვრებას” და მისთანები.

ცხადია, დაუშვებელია, რომ რომელიმე პირს გააჩნდეს განსაკუთრებული უფლება, ერთ სტანდარტულ ასოზე ან ციფრზე, რადგან მას ექნება უფლება ყველა დანარჩენს აუკრძალოს ამ ციფრისა თუ ასოს გამოყენება, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ერთი ან მეტი ასო, ერთი ან მეტი ციფრი ან მათი ნებისმიერი კომბინაცია, მაგალითად, “BMW”, “TBS”, “4711” — პარფიუმერიისათვის და სხვ.

გამოსახულებითი ნიშნები შედგება ორგანზომილებიანი ნახატებისგან ან სამგანზომილებიანი ფიგურების გამოსახულებებისაგან. ნახატები შეიძლება იყოს ნებისმიერი ხასიათის. ამ ჯგუფს განეკუთვნება ცხოველების, ფრინველების, მცენარეების, გეომეტრიული ფიგურების და სხვა სახის ნებისმიერი ნახატი. მიზანი ყოველთვის ერთია, შეიქმნას რაც შეიძლება დასამახსოვრებელი ნიშნები. სამგანზომილებიან მოცულობითი ნიშნების მაგალითს წარმოადგენს კოკა-კოლას

ბოთლი. ნიშნების ეს ჯგუფი საკმაოდ ახლოს დგას სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებთან განსაკუთრებით დიზაინთან. დიზაინის განხილვის დროს ეს მომენტი ჩვენ იქაც აღვნიშნეთ. აღნიშნული ეს ორი ობიექტი, ობიექტის თავისებურებებიდან გამომდინარე შეიძლება ორმაგი დაცვის საგანი გახდეს.

ხშირ შემთხვევაში მენარმე იყენებს ერთ ფერს, ან ფერთა კომბინაციას საქონლის ან მომსახურების აღსანიშნავად. სასა-ქონლო ნიშნად ერთი რომელიმე ფერის დაცვა აკრძალულია. მოტივი ამ შემთხვევაშიც იგივეა, რაც ითქვა ციფრებისა და ასოების მიმართ. ითვლება, რომ მათ მსგავსად ერთი ფერის მონოპლიზაცია, ვისიმე განსაკუთრებული უფლებებით, დაუშვებელია. მოცემული კატეგორია შეიცავს სიტყვებს, გამოსახულებებს და ფერებში შესრულებულ მათ ნებისმიერ კომბინაციას, აგრეთვე ფერთა შესამებას და თავისთავად ფერს.

მრავალი ქეყყანა იყენებს სასაქონლო ნიშნად ბგერებისგან შემდგარ ნიშნების დაცვას. ძირითადად ამგვარი ნიშნები რეგისტრირდება მომსახურებისათვის. შეიძლება განვასხვაოთ ბგერითი ნიშნების ორი ტიპიური კატეგორია, სახელდობრ ის, რაც შეიძლება ჩაიწეროს მუსიკალური ნოტებით ან სხვა სიმბოლოებით და სხვა სახის ბგერითი ნიშნები (მაგალითად, ლომის ღრიალი).

სურნელოვანი ნიშნების კატეგორია ანუ არახილვადი ნიშნები ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ კომპანია ყიდის თავის საქონელს (მაგალითად, საწერ ქაღალდს), რომელსაც გააჩნია არომატული სურნელება და მომხმარებელი ეჩვევა მის გამორჩევას სუნის მიხედვით. ტექნიკური თვალსაზრისით, არახილვადი ნიშნების დაცვა სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, სადლეისოდ, მათ დაცვას ახორციელებენ მხოლოდ აშშ და საფრანგეთი.

იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშანმა შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია, იგი უნდა პასუხობდეს კრიტერიუმის ორ სახეს: აბსოლუტურსა და ფარდობითს (შედარებითს).

- აბსოლუტური ხასიათის კრიტერიუმს განმასხვავებელ-უნარიანობის კრიტერიუმი წარმოადგენს. სასაქონლო ნიშნის

შექმნა და შერჩევა კონკრეტული პროდუქციისათვის საკმაოდ რთული შემოქმედებითი ხასიათის პრობლემაა, რომლის სწორ გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული მენარმის წარმატება ბაზარზე. მომხმარებლის შეხედულებისამებრ განმასხვავებელ-უნარიანობა შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც “ძლიერი” ან “სუსტი”. ამასთან სუსტი ნიშანი დროთა განმავლობაში ინტენ-სიური გამოყენებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაძლიერდეს, ხოლო ძლიერი ნიშანი კი შესუსტდეს.

სასაქონლო ნიშანმა არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში მომხმარებელი, მაგალითად, ამჟამად ფართოდ რეკლამირებადი ლუდის ნიშნით “ყაზბეგი”, საკითხავია აქვს რაიმე კავშირი ამ ლუდის ამავე სახელის მქონე დასახელებულ პუნქტთან, თუ არა. თუ ეს კავშირები არ არსებობს, მაშინ “ყაზბეგი” აღნიშნული ლუდის მოსანიშნად არ უნდა გამოიყენებოდეს. მაგალითად სასმელები, რომლებიც მონიშნულია აღნიშვნებით: “ტარხუნა”, “ლიმონათის”, „მსხლის“ და ა.შ. თუ ეს სასმელები სინამდვილეში არ არის დაფუძნებული მოცემულ ნედლეულზე, მაშინ ნიშანს შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი.

- ფარდობითი კრიტერიუმები გაერთიანებულია ტერმინით “ფარდობითი”, ანუ შედარებითი, რადგან შეფასებისას ხდება ერთმანეთთან შედარება, რათა გაირკვეს, ხომ არ ემთხვევა მოცემული ნიშანი უკვე არსებულს? სასაქონლო ნიშანს უნდა გააჩნდეს სიახლე. “სიახლე” ყოველთვის შედარებითი კრიტერიუმია. ეს კრიტერიუმი ახასიათებს პრაქტიკულად სამეწველო საკუთრების ყველა ობიექტს და მისი არსებობა განაპირობებს პრიორიტეტის უფლებას.

სასაქონლო ნიშნების შედარება სიახლის განსაზღვრი-სათვის ხდება მხოლოდ მოცემულ ქვეყანაში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებთან. ამდენად მხედველობაში არ მიიღება სხვა სახის პუბლიკაციები ან სხვა ქვეყნის მიერ გამო-ქვეყნებული ინფორმაციები. სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში ყველა ქვეყანა სიახლეს განსაზღვრავს ლოკალურად.

## **8.1. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე და ექსპერტიზა**

განსაკუთრებული უფლებების მოპოვების თვალსაზრისით, სასაქონლო ნიშნების დაცვასთან დაკავშირებით, პრაქტიკულად ჩამოყალიბდა ორგვარი მიღებომა.

პირველი მიღებომა ჩამოყალიბდა პრაქტიკიდან გამომდინარე და რაიმე სპეციალურ წესთან დაკავშირებული არ არის. ეს არის “გამოყენება”, რომელიც განსაკუთრებული უფლების მოპოვების კუთხით, ნიშნავს სასაქონლო ნიშნის აღბეჭდვას საქონელზე, ან შეფუთვაზე, ან მომსახურების თანმხლებ მასალაზე ან მოცემული ნიშნის პრესით, ტელევიზით აფიშირებას და სხვ. აქ მარტო გამოყენება საკმარისი არ არის, საჭიროა საკმარისად ხანგრძლივი დროით გამოყენება, ისე რომ ნიშანი მომხმრებელთა თვალში დაუკავშირდეს, რომელიმე კონკრეტულ საქონელსა და მეწარმეს, მაგრამ პარალელურად არსებობს შესაძლებლობა, რომ მეწარმემ, ამასთანავე რეგისტრაციაში გაატაროს საკუთარი ნიშანი, რაც მას მტკიცებულებათა წარმოდგენისგან ათავისუფლებს და ურყევს ხდის მის უფლებებს. რეგისტრაცია ხორციელდება საპატენტო უწყებაში. ეს უწყება ნიშნის რეგისტრაციის ფაქტს სპეციალური პუბლიკაციის სახით ხელმისაწვდომს ხდის პირთა ფართო წრისათვის.

მეორე მიღებომა ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის აუცილებელ რეგისტრაციას. ე.ი. განაცხადის გაფორმებას, მის საპატენტო უწყებაში წარდგენას და ექსპერტიზას.

განაცხადის გაფორმება, იწყება სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ სასურველი სიმბოლოს მოფიქრებით ანუ მოგონებით და მასზედ საგანაცხადო მასალების მომზადებით.

სასაქონლო ნიშანი, რომ წარმატების მომტანი იყოს, გასათვალისწინებელია მრავალი ასპექტი. მეწარმემ უნდა შექმნას ისეთი აღნიშვნა, რომელიც მკვეთრად იქნება განსხვავებული მიმოქცევაში მყოფ ნიშნებისაგან, აღნიშვნას უნდა გააჩნდეს უნარი მომხმარებლებამდე მიიტანოს

გარკვეული სახის დადებითი ასოციაცია და შეუქმნას მას პოზიტიური განწყობა პროდუქციისადმი.

სასაქონლო ნიშნის მფლობელი შეიძლება გახდეს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური ან იურიდიული პირი, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანაში უფლება კოლექტიურ ნიშანზე მოიპოვება მხოლოდ რეგისტრაციით.

მოთხოვნები სასაქონლო ნიშანზე განაცხადის გაფორმების მიმართ იგივეა როგორც დანარჩენ სხვა ობიექტებზე და შეიცავს: დადგენილი ფორმის საგანაცხადო ბლანკს, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი: განცხადება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, სასაქონლო ნიშნის გამოსახულება, საქონლის ან მომსახურების ჩამონათვალი და სხვა მონაცემები;

- კოლექტიური ნიშნის წესდებას. თუ მოთხოვება ასეთი ნიშნის რეგისტრაცია;

- შესაბამისი ქვეყნის უწყების მიერ დამოწმებულ განაცხადს, თუ მოთხოვება საკონვენციო პრიორიტეტი;

- წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელ საბუთს, თუ განაცხადი შეიტანება წარმომადგენლის მეშვეობით;

- საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთს.

რაც შეეხება დადგენილი ფორმის საგანაცხადო ბლანკს, ასეთი ბლანკი „საქპატენტის“, მიერ შემუშავებული და დადგენილია (იხ. დანართი №5). ამ ბლანკის მთლიანად და სწორად შევსება ჩემის აზრით უკვე მთლიანად განაცხადს ნიშნავს, რადგან იგი უკვე მოიცავს მთლიანად იმ დოკუმენტაციას რაც განაცხადს ესაჭიროება, კერძოდ: განცხადებას, პრიორიტეტის სახეებს, საქონლის ან მომსახურების დასახელებას, სარეგისტრაციო სიმბოლოს აღნერილობას და თანხლები საბუთების ნუსხას.

განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე წარედგინება „საქპატენტს“ განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ. განაცხადი ივსება დადგენილი წესით, ქართულ ენაზე. განაცხადი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ სასაქონლო ნიშანს.

რაც შეეხება პრიორიტეტის სახეებს და მის დაფიქსირებას, იგივეა, რაც დანარჩენი სამრეწველო საკუთრების ობიექტების მიმართ განვიხილეთ და მასზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის საკითხი კი დამოკიდებულია სასაქონლო ნიშნების სახელმწიფო ექსპერტიზაზე, რომელსაც ატარებს საპატენტო უწყება. საქართველოში „საქპატენტი“. იგი იყოფა ორ ნაწილად — ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და არსობრივი ექსპერტიზა.

ფორმალური — ექსპერტიზის მიზანია განსაზღვროს შესრულებულია თუ არა ის ფორმალური ხასიათის მოთხოვნები, რაც ასახულია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ვერცერთი ქვეყნის კანონი ვერ ასახავს ყველა პროცედურულ და ფორმალურ მოთხოვნას (კანონი ანესებს ზოგად პრინციპულ მოთხოვნებს), რის გამოც მოქმედებენ შესაბამისი წესით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები — განაცხადის გაფორმების წესები და ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქციები.

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფუძველზე მიიღება შემდეგი სახის გადაწყვეტილებები:

- განაცხადის დაბრუნების შესახებ;
- შეტყობინება-მოთხოვნის გაგზავნის შესახებ;
- განაცხადის განსახილველად მიღებისა და პრიორიტეტის დადგენის შესახებ.

არსობრივი-ექსპერტიზის — ამ სტადიის ჩატარების საჭიროება დაფუძნებულია იმ პრინციპზე, რომ სრულად იქნეს დაცული საქონელბრუნვაში მონაწილე მხარეთა ინტერესები. არსობრივი ექსპერტიზა მოიცავს ორი ტიპის შემოწმებას, პირველი ტარდება ე.წ. აბსოლუტურ საფუძველზე დაყრდნობით.

სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც:

- არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ;

- შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს;

- შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარიხსის, გეოგრაფიული წარმომობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ;

- მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტებით ემთხვევა უცხო ქვეყნის გერბს, დროშას, ემბლემის, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; საერთაშორისო ან სამთავრებათაშორისო ორგანიზაციის ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო, სასინჯ დამღას, ნიშანს (მათ შორის საქონლის შესაბამისობის სასერტიფიკაციის ნიშანს), ბეჭედს, ორდენს და მედალს; საქართველოს ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას, ფულის ნიშანს ან წარმოადგნს მათ იმიტაციას. ასეთი სიმბოლოები სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს კულტურის სამინისტროს ან მფლობელის ნებართვა.

ასეთი ხასიათის ექსპერტიზისას ნიშანი ედრება მხოლოდ „საკუთარ თავს“ მასში გამოხატული თვისებების შესწავლის თვალსაზრისით.

მეორე ტიპის შემოწმებისას განცხადებული სიმბოლო ედრება სხვა სასაქონლო ნიშნებს, რომლებზეც უკვე მოპოვებულია განსაკუთრებული უფლებები. ასეთი შემოწმება ტარდება ფარდობით საფუძველზე დაყრდნობით და შედარება ტარდება იმ მიზნით, რომ დადგინდეს ხომ არ შეიძლალება იდენტური ან მსგავსი ნიშნის მფლობელის უფლებები. აქ საჭიროა ძვირადლირებული საძიებო სისტემები და მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტები.

შედარების საფუძველზე დაყრდნობით სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი:

- იმავე საქონლის მიმართ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია;

- მესამე პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნანი იდენტურია და საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევს შესაძლებლობა.

- მესამე პირის მიერ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების, აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

- საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთნ აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა:

- საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოების დასახელების იდენტურია ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

- საქართველოში დაცული დიზაინის იდენტურია, გარდა იმ შემთხვევისა, რომელსაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს ამ დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი;

- მესამე პირის მიერ რეგისტრირებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია და ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

- შეიცავს საქართველოში ცნობილი პიროვნების სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს, პორტრეტს — ამ პიროვნების ან მისი მემკვიდრეების თანხმობის გარეშე, ხოლო თუ ისინი საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებას წარმოადგენს — საქართველოს კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე;

- შეიცავს საფირმო სახელწოდებას, რომელიც იწვევს აღრევას.

სასაქონლო ნიშნების მსგავსების ზოგადი კრიტერიუმის საფუძველი არის მომხმარებლის მიერ მათი აღრევის შესაძლებლობა. გამოსახულების მსგავსებას განაპირობებს მათში ერთნაირი ელემენტების არსებობა. ნიშნების მსგავსებაზე შემოწმების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ნიშანში შესული ერთნაირი და განსხვავებული ელემენტების თანაფარდობა და აგრეთვე, მათი მნიშვნელობა გამოსახულების კომბინაციაში.

ნიშნების მსგავსების განსაზღვრის დროს ექსპერტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მომხმარებელს, როგორც წესი, არ აქვს ნიშნების შედარების შესაძლებლობა და იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებით. ამიტომ, ექსპერტიზის ჩატარებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას. ნიშნების აღრევის საშიშროება დიდია იმ ნიშნებისათვის, რომლებიც განკუთვნილია ფარმაცევტული, კვების და ქიმიური საქონლის მოსანიშნად.

სიტყვიერი ნიშნის მსგავსება დგინდება ულერადობით, გრაფიკულად და აზრობრივად.

როგორც წესი, მსგავსება წარმოიქმნება ამ ფაქტორების ერთობლივი აღქმის შედეგად.

სიტყვიერი ნიშნების ბერითო მსგავსება დგინდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე.

- ახლობელი ბერების და ბერათშეწყობის განლაგება ერთმანეთის მიმართ;

- მარცვლების დამთხვევა;
- მარცვლების რაოდენობა ნიშანში;
- ერთნაირი და ახლობელი ბერათშეწყობების ადგილი

ნიშნის შემადგენლობაში;

- ერთი ნიშნის შესვლა მეორეში;
- ახლობელი ან ერთნაირი ბერების არსებობა.

ექსპერტიზის დროს ეს კრიტერიუმები შეიძლება გათვალისწინებული იყოს როგორც ცალ-ცალკე, ასევე ურთიერთკავშირში.

ნიშანი ჩაითვლება როგორც მსგავსი, თუ დაემთხვა საწყისი ან ბოლო ნაწილები ან ორივე ერთად, შესაძლებელია, აგრეთვე, დაემთხვეს მხოლოდ შუა ნაწილები.

გრაფიკული მსგავსება სიტყვიერ გამოსახულებაში განისაზღვრება:

- საერთო მხედველობითი შთაბეჭდილებით;
- ასოების გრაფიკული ხასიათის გათვალისწინებით (დამწერლობის სახე, შრიფტი, ხელნაწერი);
- ასოების ურთიერთგანლაგებით;
- ფერთა გამით.

გამოსახულების აზრობრივ მსგავსებას განაპირობებს მათში ჩადებული საერთო ან ურთიერთგამომრიცხავი იდეები.

გამოსახულებითი, მოცულობითი და კომპინირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსების მთავარი კრიტერიუმები არის მის მიერ შექმნილი საერთო მხედველობითი შთაბეჭდილება.

გარდა აღნიშნულისა შედარება ტარდება ყველა იმ რეგისტრირებულ ნიშნანთან, რომლებსაც აქვთ საქპატენტში განაცხადის შეტანის უფრო ადრინდელი პრიორიტეტი.

ექსპერტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, უნდა იყოს არგუმენტირებული.

<b>გ ა ნ ა ც ბ ა დ ი</b>		საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქართველო” 0179 თბილისი ნინო რამიშვილის ქ. №31 ფაქსი: (99532) 988419	
<b>საქართველოში სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის რეგისტრაციისათვის</b>			
<b>გ ა ნ ა ც ბ ა დ ე ბ ა</b> გთხოვთ, განაცხადში მოყვანილი სიმბოლო გააჩარით რეგისტრაციაში, როგორც სასაქონლო ნიშნი (მომსახურების ნიშანი) განვიხილეთ სახელზე. <b>731 განმცხადებლის სახელი</b> <b>გვარი</b> <b>სახელწოდება</b> <b>მისამართი</b>			
გთხოვთ, დამიღვით სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტი : <input type="checkbox"/> საქართველოში შეტანის თარიღით: <input type="checkbox"/> პირველი განაცხადის შეტანის თარიღით გამოიყენაზე ქსაბონატის და ჩვენების დაწყების თარიღით: <input type="checkbox"/> გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე		<b>ქვეყნის ქოდი:</b> <input type="checkbox"/> შეტანის თარიღი <b>220 შეტანის თარიღი</b> <input type="checkbox"/> განაცხადის №	
2. <b>310 პირველი განაცხადის ნომერი</b> <b>330 პირველი განაცხადის მიმღები ქვეყნის (უწყების) ქოდი</b> საერთაშორისო განაცხადის ნომერი:		<b>320 პირველი განაცხადის შეტანის თარიღი:</b> <b>230 გამოფენაზე ჩეკნების თარიღი:</b> საერთაშორისო რეგისტრაციით მოთხოვნილი პრიორიტეტი:	
3. <b>740 წამომოდგრენელი (პრენტროჭენებული)</b> რეგისტრაციის ნომერი <b>750 მიმოწერის მისამართი (ადრესის სრული სახელი ან დასახლება და მისამართი)</b>			
საგადასახადო ინსტენციის საიდენტ. კოდი <b>ტელეფონი:</b> <b>ელფოსტა</b> <b>ფაქსი:</b>			
<b>540 სარეგისტრაციო სიმბოლო</b>		6. <b>571 ადწერილობა</b>	

7.	<b>დამატებითი ცნობები:</b> წარდგენილი სიმბოლო არის:		
	<input type="checkbox"/> მოცულობითი <input type="checkbox"/> ბეჭრითი <input type="checkbox"/> კოლექტიური ნიშანი		
8.	<b>ფერი ან ფერთა კომბინაცია:</b>		
9.	511 საქონელი და/ან მომსახურება, რომელთათვისაც მოითხოვება ნიშნის რეგისტრაცია, დაჯგუფებული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით		
კლასი	საქონლის და/ან მომსახურების დასახელება		
10.	<b>თანმხლები საბუთების ნუსხა</b>	<b>ეგზემპლარების რაოდნობა</b>	<b>უკრცლების რაოდენობა ერთ ეტაპზე</b>
	<input type="checkbox"/> საბუთი საფასურის გადახდის შესახებ		
	<input type="checkbox"/> წარდგენილი სიმბოლოს გამოსახულება		
	<input type="checkbox"/> კოლექტიური ნიშნის დეტალება		
	<input type="checkbox"/> უცხო ენაზე წარდგენილი საბუთების ქართული თარგმნი		
	<input type="checkbox"/> მინდობილია წარმომადგენლის (პატენტზენტერენციას) უფლებამოსილების შესახებ		
	<input type="checkbox"/> პირველი განაცხადის დამოწმებული ასლი		
	<input type="checkbox"/> პირველი განაცხადის დამოწმებული ასლის თარგმანი		
	<input type="checkbox"/> საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი (თუ მოყვანილია დანართები)		
	<input type="checkbox"/> საერთაშორისო ბიუროს მიერ დამოწმებული საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმებამდე გრცელდებოდა საქართველოში		
	<input type="checkbox"/> სხვა საბუთი		

ხელმოწერა

/

/

თარიღი:

## წ9. სამრეცველო საკუთრების ოფიციალური პიულეტენი

პარიზის კონვენციის მოთხოვნისდა შესაბამისად ყველა ქვეყნის საპატენტო უწყება ვალდებულია გამოსცეს სამრეცველო საკუთრების ოფიციალური პიულეტენი.

საპატენტო უწყების პიულეტენი წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში დაპატენტებულ უახლეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებზე საპატენტო ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს.

აშშ-ში გამოდის საპატენტო უწყების პიულეტენი სახელმძღვანელოდ აშშ-ის საპატენტო უწყების ოფიციალური პიულეტენი”, საფრანგეთში “სამრეცველო საკუთრების ოფიციალური პიულეტენი”, გერმანიაში “საპატენტო პიულეტენი”, ინგლისში საპატენტო უწყება გამოსცემს ორ ჟურნალს: “პატენტების ოფიციალურ პიულეტენსა” და “სასაქონლო ნიშნების პიულეტენს”, საქართველოს საპატენტო უწყება გამოსცემს თვეში ორ პიულეტენის სამრეცველო საკუთრების ოფიციალური პიულეტენი”, რომელიც თავის მრივ მოიცავს როგორც ცალ-ცალკე პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების პიულეტენს ასევე შერეული სახის პიულეტენსაც. თავდაპირველად იგი გამოდიოდა სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული), მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ რეფერატების ინგლისურად და რუსულად თარგმნა აყოვნებდა პიულეტენის დროულად გამოცემას, რაც თავის მხრივ აფერხებდა დამცავი დოკუმენტების დროულად გაცემას, 2000 წლიდან იგი გამოდის მხოლოდ ქართულ ენაზე, ხოლო პიულეტენში მოთავსებული მასალების შემცველი ინგლისური და რუსული ვარიანტები იწერება CD-ROM დისკებზე საზღვარგარეთის ქვეყნებში დასაგზავნად. მათი გაცნობა და შეძენა შესაძლებელია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში “საქპატენტში”. ასეთი მითითება გაკეთებულია ყოველი პიულეტენის შინაარსის ბოლოს.

“საქპატენტი” გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის და სასაქონლო ნიშნის იურიდიული დოკუმენტის

გაცემის თაობაზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე, დადგენილი წესით აქვეყნებს მონაცემებს ბიულეტენში. გარდა ამისა, “საქპატენტი” აქვეყნებს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღნერილობებს.

მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, “საქპატენტი” ახორციელებს გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სამრეწველო საკუთრების რეესტრში და გასცემს იურიდიულ დოკუმენტებს: გამოგონებაზე პატენტს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 20 წლით განაცხადის შეტანის თარიღიდან, სასარგებლო მოდელზე პატენტს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით “საქპატენტში” განაცხადის შეტანის თარიღიდან, დაზაინზე მოწმობას, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება ერთი ან რამდენიმე 5-წლიანი პერიოდით, მაგრამ არა უმეტეს 25 წლისა “საქპატენტში” განაცხადის შეტანის თარიღიდან, სასაქონლო ნიშანზე მოწმობას, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით “საქპატენტში” რეესტრში რეგისტრაციის თარიღიდან, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით გაგრძელების ჯერადობის შეუზღუდავად.

ბიულეტენში გამოგონები და სასარგებლო მოდელები ქვეყნდება რეფერატების სახით, დიზაინის სახით ქვეყნდება ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციული შესრულების გარეგანი გამოსახულება და ბოლოს სასაქონლო ნიშნის სახით ქვეყნდება სასაქონლო ნიშნის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობის გრაფიკული გამოსახულება, საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით დაჯენერალული იმ საქონლის ჩამონათვალით, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. ყველა ობიექტს ახლავს ბიბლიოგრაფიული მონაცემები. ამავე ბიულეტენში ქვეყნდება აგრეთვე მონაცემები პატენტებში ცვლილებათა შეტანისა და მათი ბათილად ცნობის (გაუქმების) შესახებ, აგრეთვე ყველა სახის საპატენტო ლიცენზიების გაცემის შესახებ, ბოლო დროის ცვლილებები საპატენტო კანონმდებლობაში, საპელაციო პალატისა და სასამართლოს

გადაწყვეტილებები და ბოლოს შეიძლება ითქვას ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც სამრეწველო საკუთრების ობიექტებს შეეხება.

საყოველთაო განხილვისათვის გამოფენილი გამოგონებები სარგებლობენ დროებითი დაცვით მესამე პირთა არაკეთილსინდისიერი ხელყოფისაგან, რაც შეიძლება გამოვლინდეს გამოგონების არსის გახსნის შემდეგ, მისი სრული საპატენტო დაცვის უზრუნველყოფამდე. მაგალითად, ავსტრალიაში საყოველთაო განხილვისათვის გამოგონების განაცხადის გამოფენისას განმცხადებელს გარანტირებული აქვს გამოგონების ისეთივე სრული უფლებრივი დაცვა, როგორც ეს ხდება პატენტის გაცემის შემთხვევაში.

საქართველოს საპატენტო კანონის 51-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს რომ, “განაცხადის გამოქვეყნების დღიდან პატენტის გაცემამდე განმცხადებელს პირობითად ენიჭება იგივე უფლებები, რაც მას მინიჭებული ექნებოდა პატენტით. თუ პატენტი არ იქნა გაცემული, მაშინ აღნიშნული უფლებები წარმოქმნილად არ მიიჩნევა”.

რაც შეეხება გამონათქვამს, “თუ პატენტი არ იქნა გაცემული, მაშინ აღნიშნული უფლებები წარმოქმნილად არ მიიჩნევა”, ეს შეეხება სამრეწველო საკუთრების ყველა ობიექტს, რადგან ამ ობიექტებზე კანონისდა შესაბამისად გათვალისწინებულია შედავების სამთავიანი ვადა. ეს ობიექტები ბიულეტენში ასეც არის დასათაურებული, “განაცხადები, რომლებზეც გათვალისწინებულია შედავება “საქპატენტის” სააპელაციო პალატაში, გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში”. სამთვიანი ვადის ათვლის წერტილის თარიღი მითითებულია ბიულეტენის პირველივე გვერდზე. ჩვენ თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ბიულეტენი გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის 10 და 25 რიცხვში, ეს თარიღები შეიძლება ერთი ან ორი დღით იყოს განსხვავებული თუ იგი დაემთხვევა შაბათს ან კვირას. აქედან გამომდინარე შეიძლება პატარა დასკვნის გაკეთება, რომ ბიულეტენს დროის გარკვეულ

მონაკვეთში სხვა ფუნქციონალურ მიზნებთან ერთად სამართლებრივი დატვირთვაც გააჩნია.

გარდა აღნიშნულისა საპატენტო კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ საქართველოში წარდგენილი განაცხდის არსის განზრას გამუდავნება ბიულეტენში გამოქვეყნდებამდე იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ განაცხადის გაფორმების შესწავლის დროს, გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შემთხვევაში განაცხადში წარმოდგენილი უნდა იყოს რეფერატი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს, რეფერატის შედგენის ინსტრუქციის შესაბამისად და ვთქვით, რომ მას ჩვენ განვიხილავდით სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის შესწავლის დროს.

გამოგონების აღწერილობის კატეგორიზებული რეფერატის შედგენის ინსტრუქცია შედგენილია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით (WIPO St. 12) და დამტკიცებულია “საქართველოს” საბჭოს სხდომაზე 1997 წლის 24 ივნისს. იგი განკუთვნილია როგორც გამოგონებების, ასევე სასარგებლო მოდელების აღწერილობების რეფერატების შესადგენად. რეფერატის მიზანია მხოლოდ ტექნიკური ინფორმაციის მიწოდება და იგი მხედველობაში არ მიიღება გამოგონების დაცვის ფარგლების განსაზღვრის დროს.

რეფერატი წარმოადგენს გამოგონების აღწერილობის მოკლე შინაარსს, რომელიც ტექნიკის დარგის და/ან გამოყენების სფეროს, გამოგონების არსისა და დანიშნულების დახასიათებას შეიცავს. საჭიროების შემთხვევაში, გამოგონების არსის უკეთ წარმოსაჩენად რეფერატი შეივსება ძირითადი ნახაზებით, მათემატიკური და ქიმიური ფორმულებით. აღწერილობის რეფერატი განკუთვნილია სპეციალისტთა ფართო წრისათვის ახალი გამოგონების შესახებ მონაცემების მისაწოდებლად. იგი უნდა დაეხმაროს სპეციალისტს საპატენტო საბუთების გაცნობის გარეშე ჩაწვდეს შემოთავაზებული

გამოგონების არსას და შეაფასოს საპატენტო აღწერილობის უფრო ღრმად გაცნობის მიზანშეწონილობა.

რეფერატის შემადგენელი ნაწილები განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

- ბიბლიოგრაფიული მონაცემები (გამოგონების დასახელების ჩათვლით);

- რეფერატის ტექსტი;

- დამატებითი ინფორმაცია.

ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს ჩვენ ცოტა მოგვიანებით განვიხილავთ. მივყვეთ რეფერატის ტექსტს.

რეფერატის ნერის გაადვილების მიზნით, სპეციალურად არის შერჩეული გამოგონების აღწერილობის კატეგორიზებული რეფერატი, რომლის სტრუქტურა სამი შეკითხვისაგან შედგება, ესენია:

1. ტექნიკური შედეგი;

2. გამოგონების არსი;

3. გამოყენების სფერო.

დასმულ შეკითხვებს პასუხი გამოგონების აღწერილობიდან უნდა გაეცეს. ამ შეკითხვებზე პასუხები გამოგონების აღწერილობაში უკვე გაცემულია, აქ საჭიროა მისი თავისებურად და ლაკურნურად გადმოტანა რეფერატში.

1. ტექნიკური შედეგი.

რეფერატში საჭიროა გამოგონების გამოყენებით მიღებული ტექნიკური შედეგის მითითება, რომელიც უკვე მითითებულია აღწერილობაში, მაგალითად, ხახუნის კოეფიციენტის გაზრდა ან შემცირება, კონსტრუქციის გამარტივება, ხარისხის ამაღლება, წარმადობის გაზრდა, ფუნქციური შესაძლებლობის გაფართოება, ტექნოლოგიური პროცესის გამარტივება ან გაუმჯობესება, სამკურნალო პრეპარატის ეფექტურობის გაზრდა და სხვ.

2. გამოგონების არსი.

რეფერატი უნდა შეიცავდეს გამოგონების არსს დაფუძნებულს გამოგონების აღწერილობაში მოცემულ ინფორმაციაზე.

რეფერატის ტექსტის დადგენილი მოცულობის დაცვის მიზნით დასაშვებია გამოგონების არსი გადმოიცეს იდეის ან

პრინციპის დონეზე, იმ არსებით ნიშნებზე მითითებით, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა გამოგონების ტექნიკური შედეგი.

თუ გამოგონების ობიექტი მოწყობილობაა (ხელსაწყო, მანქანა, სქემა, დანადგარი და სხვ.), რეფერატში უნდა აღინიშვნოს მისი კონსტრუქცია, აგრეთვე მუშაობის პრინციპი (მუშაობა), ან გამოყენების ხერხი, თუ ამის გარეშე გაძნელებულია გამოგონების ტექნიკური არსის გაგება.

თუ გამოგონების ობიექტი ხერხია, რეფერატში უნდა აღინიშვნოს მოცემული ხერხის შემადგენელი მოქმედებები (ილეთები, ოპერაციები, პროცესები). მითითებული უნდა იყოს მათი განხორციელებადობის კონკრეტული პირობები, ოპერაციების თანმიმდევრობა, პროცესების ჩატარების რეჟიმები და ა.შ.

თუ ხერხი ითვალისწინებს ქიმიურ ნივთიერებათა სინთეზს, მაშინ რეფერატში აუცილებელია ნივთიერების ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებების და მათი გამოყენების სავარაუდო სფეროს მითითება, აგრეთვე სინთეზის საერთო სქემის და ნივთიერების მიღების ყველაზე დამახასიათებელი მაგალითის მოყვანა. რეფერატში ორგანული ნაერთების გათვალისწინებით უნდა განზოგადდეს (მაგრამ არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ მაგალითის მოყვანით) ქიმიური ნივთიერების სინთეზის ექსპერიმენტული მონაცემები. თუ სინთეზის არსის გადმოცემისას აღნიშნულია მისი რეალიზაციის კონკრეტული პირობები, რეფერატის ტექსტში მაგალითების მოყვანა საჭირო არ არის.

თუ გამოგონების ობიექტი ნივთიერებაა (ქიმიური ნაერთი და სხვ.), აუცილებელია ამ ნივთიერების ბუნების, ძირითადი ინგრედიენტებისა და (იდენტურობა, ფუნქცია) ინგრედიენტების რაოდენობრივი თანაფარდობის ასახვა, მიღების ხერხის უმთავრესი თვისებურებების ახსნა.

ქიმიური ნაერთებისათვის აუცილებელია მითითება ნაერთების იმ კლასზე, რომელსაც იგი განეკუთვნება (მაგ., “. . . ნივთიერება განეკუთვნება შარდოვანას ალკინობენზოლსულფონილის კლასს, რომელიც გამოიყენება ანტიდიაბე-

ტიკად”), აგრეთვე, მის ქიმიურ ალნაგობაზე ფიზიკურსა და ქიმიურ თვისებებზე.

აუცილებელია მისაღები ნივთიერებისა და მასალების უმნიშვნელოვანესი თვისებების, აგრეთვე სინთეზის საერთო სქამის და ნივთიერების მიღების ტიპიური მაგალითის მოყვანა.

თუ გამოგონების ობიექტია ადრე ცნობილი მოწყობილების, ხერხების, ნივთიერებების ახალი დანიშნულებით გამოყენება, საჭიროა გამოგონების არსის აღწერა თუ რაში მდგომარეობს მისი ახალი დანიშნულებით გამოყენება.

თუ გამოგონების ობიექტია მიკროორგანიზმის შტამი, საჭიროა მითითება მისი დასახელების ლათინური ტრასკრიპციით, სასარგებლო ნივთიერების, რომელსაც იგი აპროდუცირებს, ან ამ შტამის გამოყენებისა სხვა დანიშნულებით. უნდა დახასიათდეს მისი ის ნიშნები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან დავადგინოთ შტამის ტიპი და დავახსიათოთ იგი როგორც ახალი, ადრე უცნობი კულტურა. თუ შტამი არ წარმოადგენს პროდუცენტს, საჭიროა დახასიათება მხოლოდ მისი გამოყენებით მიღებული ტექნიკური შედეგისა.

თუ აღწერილობა შეიცავს გამოგონებათა ჯგუფს (მაგ. ნივთიერება და მისი მიღების ხერხი), ამ გამოგონებათა არსი ისე უნდა გადმოიცეს, რომ ცხადი გახდეს ერთიანი საგამომგონებლო ჩანაფიქრის არსებობა.

### 3. გამოყენების სფერო

რეფერატში კონკრეტულად უნდა იქნეს მითითებული ტექნიკის ის დარგი, რომელსაც განეკუთვნება გამოგონება და/ან გამოგონების ობიექტის გამოყენების სფერო. თუ გამოგონება განეკუთვნება რამოდენიმე დარგს, პირველად მიეთითება ძირითადი (უპირატესი) სფერო, ხოლო დანარჩენი შემდგომ ისე, როგორი თანმიმდევრობითაც არის მითითებული საერთაშორისო საპატენტო კლასიფაკიის ინდექსი, რომელიც აღინიშნება საერთაშორისო კოდით (51). ინდექსები შეიძლება მითითებული იყოს ერთი ან რამოდენიმე. რამოდენიმეს შემთხვევაში პირველად მითითებულია ძირითადი (უპირატესი) სფეროს შესაბამისი კლასი, ხოლო დანარჩენი შემდგომ. ერთი

სიტყვით დარგების მითითების თანმიმდევრობა რეფერატში და საერთაშორისო საპატიონტო კლასიფიკაციის თანმიმდევრობა უნდა იყოს მოყვანილი თანაფარდობაში.

ჩვენ აღწერილობის სტრუქტურის ჩამოყალიბების დროს აღვნიშნეთ, რომ აღწერილობა იწყება დარგის მითითებით, რომელიც უნდა დაკონკრეტდეს თუ სახალხო მეურნეობის რომელ სფეროში შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოგონება ან სასარგებლო მოდელი. აღწერილობაში მითითებული დარგის ჩვენება პირდაპირ უნდა იქნეს გადმოტანილი რეფერატში. მაგალითად, “გამოგონება განეკუთვნება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩაის ბუჩქის სასხლავად”.

ქიმიის სფეროს მომცველ რეფერატში მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს გამოყენების სფერო, ანალიზურ, კატალიზურ, ნავთობ-ქიმიური, ფარმაცევტულ ქიმიისადმი კუთვნილებზე მინიშნებით და ნივთიერებათა საერთო კლასის, აგრეთვე კერძო განსაზღვრული სახეობის, ან ნივთიერებათა რიგის დასახელება.

რეფერატს ბოლოს დაერთვის დამატებითი ინფორმაცია გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელი და დამოკიდებული მუხლების (თუ ისინი ერთზე მეტია), ნახაზების, ცხრილებისა და მაგალითების რაოდენობის შესახებ.

მაგალითად თუ გამოგონების ფორმულა შედგება ორი დამოუკიდებელი (მოწყობილობა და ხერხი მისი განხორციელებისთვის) და სამი დამოუკიდებული მუხლისაგან და აღწერილობას ახლავს ხუთი ნახაზი და ერთი ცხრილი, რეფერატის ბოლოს იქნება მინაწერი: 2 დამოუკ. და 3 დამოკ. მ., 5 ნახ., 1 ცხრ.

რეფერატის ტექსტის მოცულობა არ არის დამოკიდებული გამოგონების აღწერილობის მოცულობაზე, ტექსტის საშუალო მოცულობა (ბიბლიოგრაფიული აღწერის გარეშე) შეიძლება იყოს 1000 ნაბეჭდი ნიშანი. რეფერატი გამოყენებულ უნდა იქნეს სტანდარტული ტერმინები, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო და ტექნიკურ ლიტერატურაში ყველაზე უფრო გავრცელებული, მიღებული ტერმინები.

მათემატიკური და ქიმიური ფორმულები რეფერატში შეიტანება იმ შემთხვევაში თუ გამოგონების არსის მხოლოდ სიტყვიერი გადმოცემა არ იძლევა ობიექტის ნათლად წარმოჩენის საშუალებას.

თუ რეფერატს ახლავს ნახაზი, მაშინ ტექსტში უნდა იყოს მინიშნება ნახაზის პოზიციებზე. მაგალითად, უნდა დაიწეროს “რელეს კოჭა 42” და არა “42 რელეს კოჭა”.

რეფერატის ტექსტს წინ უძლვის გამოგონების დასახელება, იგი უნდა დაემთხვეს გამოგონების აღწერილობის დასახელებას. რეფერატის პირველი სტრიქონი იწყება ციფრული კოდით (57).

თუკი გადავხედავთ ბიულეტენში გამოქვეყნებულ გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელების რეფერატებს, იგი მთლიანად შეესაბამება გამოგონების აღწერილობის კატეგორიზებული რეფერატის შედგენის ინსტრუქციას.

რაც შეეხება ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას (მონაცემებს) იგი წარმოდგენილია საპატენტო დოკუმენტის პირველ გვერდზე. ბიულეტენში გამოქვეყნებული რეფერატები ბიბლიოგრაფიული მონაცემებით იწყება და ძირითადად შეიცავს გამოქვეყნებული უწყების დასახელებასა და მისამართს, გამოქვეყნების თარიღს, აგრეთვე იმავე მონაცემებს იმ პირთა და კომპანიათა თაობაზე, რომლებსაც ეხება პატენტი, როგორიცაა გამომგონებელი, საპატენტო უფლების მფლობელი, წარმომადგენელი ან პატენტრნმუნებული, საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის (სსკ) საკლასიფიკაციო სიმბოლოებს და, ზოგ შემთხვევაში, ეროვნული საპატენტო კლასიფიკაციის სიმბოლოებსაც, გამოგონების დასახელებას.

ბიბლიოგრაფიული მონაცემების თითოეული ელემენტი იდენტიფიცირებულია ორნიშნა ციფრული კოდით, ე.ნ. IND (საერთაშორისო კოდები მონაცემთა იდენტიფიკაციისათვის) კოდებით. კოდების სისტემა საყოველთაოდ მიღებულია და ემსახურება დასახელებების, თარიღების, მისამართებისა და საკლასიფიკაციო სიმბოლოების გაგებას, იმ ენის ცოდნის გარეშეც, რომელზეც გამოქვეყნებულია საპატენტო დოკუმენტი. ორნიშნა ციფრული კოდი ჩვეულებრივ ჩაბეჭდილია

პატარა წრეში, ან ფრჩხილებში და მოთავსებულია უშუალოდ კოდირებული ბიბლიოგრაფიული ელემენტის წინ. ორნიშნა ციფრული კოდები გამოგონებების, სასარგებლო მოდელების და დიზაინებისათვის გაშიფრულია ბიულეტენის წინა გვერდზე. მაგალითად:

- (10) განაცხადის გამოქვეყნების ნომერი, რომელმაც გაიარა ექსპერტიზა;
- (11) პატენტის ნომერი;
- (15) მოწმობის მოქმედების ვადის გაგრძელების თარიღი;
- (18)\* მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის სავარაუდო თარიღი;
- (20) ყოფილი სსსრ-ის ან რუსეთის საპატენტო უწყებაში რეგისტრირებული განაცხადის ნომერი და მისი შეტანის თარიღი;
- (21) განაცხადის ნომერი;
- (22) განაცხადის შეტანის თარიღი;
- (23) საგამოფენო პრიორიტეტის თარიღი ან ანდრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადის შეტანის თარიღი და თუ შესაძლებელია განაცხადის ნომერი;
- (24) თარიღი, რომლიდანაც იწყება პატენტის მოქმედება;
- (30) ყოფილი სსსრ-ს ან რუსეთის საპატენტო უწყებებში რეგისტრირებული განაცხადის საპრიორიტეტო მონაცემები;
- (31) საპრიორიტეტო განაცხადის ნომერი;
- (32) საპრიორიტეტო განაცხადის შეტანის თარიღი;
- (33) კოდი ქვეყნისა ან რეგიონალური ორგანიზაციისა, რომლის უწყებამაც მიანიჭა საპრიორიტეტო განაცხადის ნომერი;
  51. საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსი;
  54. გამოგონების დასახელება;
  - 55.\* დიზაინის გამოსახულება;
  57. რეფერატი;

---

ეს კოდები ეხება მხოლოდ დიზაინს.

60. ყოფილი სსრკ-ის ან რუსეთის საპატენტო უწყების მიერ გაცემული დამცავი საბუთის ნომერი, შემოტანილი პატენტის ნომერი და ქვეყნის კოდი;

62. ძირითადი პატენტის ნომერი გამოცალკავებული გამოგონების წარდგენის შემთხვევაში;

71. განმცხადებლის სახელი, მისამართი;

72. გამომგონებელის სახელი, დიზაინის ავტორის სახელი;

73. პატენტმფლობელის სახელი, მისამართი;

74. წარმომადგენლის სახელი;

76. სახელი, გავრი და მისამართი გამომგონებლისა, რომელიც განმცხადებელიცაა და პატენტმფლობელიც;

85. საერთაშორისო განაცხადის ეროვნული ფაზის დაწყების თარიღი;

86. საერთაშორისო განაცხადის ნომერი და შეტანის თარიღი.

რაც შეეხება კოდებს (30) და (60), ეს ის დროა, როცა დაიშალა საბჭოთა კავშირი. საქართველოს მოქალაქეებს განაცხადი წარდგენილი ქონდათ საბჭოთა კავშირის საპატენტო უწყებაში, კერძოდ მოსკოვში, რომელზეც ზოგიერთზე უკვე ახალი გაცემული იყო საავტორო მოწმობები, ზოგიერთზე კი დადებითი გადაწყვეტილებები იყო გამოტანილი. ფაქტობრივად ასეთი გამოგონებების ბედი ჰაერში იყო გამოკიდული. ამისათვის ასეთი გამოგონებების ავტორებს უფლება მიეცათ განცხადების საფუძველზე საავტორო მოწმობები ჰირდაპირ გადაეფორმებინათ საქართველოს პატენტზე, ხოლო საბჭოთა კავშირში გაცემული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე ჰირდაპირ გაიცა საქართველოს პატენტები. გადაფორმებაზე შემოსული განაცხადები და გაცემული პატენტები 1992 წლიდან მოყოლებული თავის დროზე გამოქვეყნებული იყო საქპატენტის სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. დღეისათვის „საქპატენტის“ მიერ ასეთი განაცხადები გაწოვილია და ხანდაზმულობის გამო აღარც არსებობს.

რაც შეეხება კოდეპს, 71, 72, 73, 76-ს, როგორც ცნობილია საქართველოს საპატენტო კანონისძა შესაბამისად განმცხა-დებელი იგივე პატენტმფლობელია და კოდეპი 71 და 73 რეფერატის ბიბლიოგრაფიულ ნაწილში განმცხადებლის წინ ერთად აღინიშნება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ თვით გამო-მგინებელი განმცხადებელიც არის და პატენტმფლობელიც შემოღებულია საერთო კოდი 76, რომელიც დაისმება განმცხა-დებლის წინ და მოიცავს სამთავე კოდს ერთად.

ამჟამად მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის გამოგონებათა რაოდენობა მიღლიონს აღნევს, ამიტომ ეს დოკუმენტაცია ისეთი რიგითა და წესით დალაგებას მოითხოვს, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ თუ იმ ქვეყნის ჩვენთვის საინტერესო საპატენტო აღნერილობის ადვილად მოძებნა.

აქ უნა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის პირობებში, როდესაც ძირითადად საავტორო მოწმო-ბები გაიცემოდა, მაშინ საპატენტო კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ სისტემას წარმოადგენდა „გამოგონებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია (МКИ)“ მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ როდესაც საავტორო მოწმობების მაგივრად დაიწყო პატენტების გაცემა, საპატენტო კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებული სისტემად ჩამოყალიბდა „საერთა-შორისო საპატენტო კლასიფიკაცია (МПК)“. აქ უნდა ითქვას, რომ შინაარსობრივად ერთიც და მეორეც ერთიდა იგივე მიზანს ემსახურება, აქ მხოლოდ სახელწოდებაშია განსხვავება, დღე-ისათვის კი საპატენტო კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ სისტემას მსოფლიოში წარმოადგენს საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია (სსკ).

1956 წლიდან დაწყებული მრავალი წლის საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად, ევროპის საბჭოსა და ინტე-ლექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმოს) ეგიდით 1971 წელს დაიდო სტრასბურგის შეთანხმება საერთა-შორისო საპატენტო კლასიფიკაციის თაობაზე და უზრუნველ-ყოფილ იქნა ამ კლასიფიკაციის მსოფლიო აღიარება.

საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის სისტემას საფუძვლად უდევს ფუნქციურ-დარგობრივი პრინციპი. იგი მოიცავს მატერიალური წარმოების ყველა სფეროს და მათ ჰყოფს 8 ნაწილად, რომლებიც პირობით სახელწოდებებს ატარებენ და ლათინური ალფაბეტის მთავრული ასოებით აღნიშნინება. მაგალითად:

A-ადამიანის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა და კმაყოფილება; B — სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესი და ტრანსპორტი; C - ქიმია და მეტალურგია; D- ქსოვილი, ქაღალდი; E – მშენებლობა; F- მექანიკა, განათება, გათბობა, ძრავები და სამუშაო მანქანები, იარაღები და საბრძოლო მასალა; G - ფიზიკა; H — ელექტრონიკა.

თითოეული ნაწილი იყოფა კლასებად და აღინიშნება ნაწილის ინდექსითა და ორი არაბული ციფრით, მაგალითად, A01, A02, A03 და ა.შ.

ამრიგად, ასეთი ინდექსაციით თითოეული კლასი ორი ციფრით გამოიხატება და შეიძლება შეცავდეს 123 კლასს.

კლასები, თავის მხრივ, იყოფა ქვეკლასებად და აღინიშნება ლათინური ალფაბეტის თანხმოვანი ასოებით, მაგალითად A01 B, C23 F, F 16D და ა.შ.

ქვეკლასები იყოფა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად.

გამოგონების აღნერილობის სრული საკლასიფიკაციო ინდექსი უნდა შეიცავდეს ნაწილის, კლასის, ქვეკლასის, ჯგუფისა და ქვეჯგუფის აღნიშვნას, ქვეჯგუფის ინდექსი ჯგუფის ინდექსისაგან გამოიყოფა წილადი ხაზით. მაგალითად, D 03 D 47/40; F16 K19/04 და ა.შ. გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსები მოთავსებულია ბიულეტინის პირველ გვერდზე, ხოლო რეფერატში როგორც უკვე ითქვა იგი 51 კოდით აღინიშნება.

რაც შეეხება სრული საკლასიფიკაციო ინდექსს განაცხადის გაფორმებასთან დაკავშირებით ჩვენ ავლნიშნეთ, რომ აღნერილობაში მოთავსებული უნდა იყოს სრული საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსი. აღნერილობა იწყება დარგის

მითითებით, რომელიც უნდა დაკონკრეტდეს თუ მატერიალური წარმოების რომელ სფეროში შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოგონება ან სასარგებლო მოდელი, ისე, რომ იგი შექაბამდებოდეს მითითებულ საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსს, სასურველია ქვეჯგუფს. რატომ და რისთვის ეს განვიხილეთ ჩვენ განაცხადის გაფორმების მსვლელობის პროცესში,

რაც შექება ჰატენტმფლობელს და გამოგონების ავტორებს, ბიბლიოგრაფიულ ნაწილში მითითებული უნდა იყოს მათი ქვეყნის ორასოიანი კოდები, რომელიც გაშიფრულია ბიულეტინის წინა გვერდზე.

ასეთივე თანმიმდევრობით განიხილება სასაქონლო ნიშნების ბიბლიოგრაფიული მონაცემებიც. განსხვავება იმაშია, რომ სასაქონლო ნიშნების ბიბლიოგრაფიული მონაცემების თითოეული ელემენტი იდენტიფიცირებულია სამნიშნა ციფრული კოდით, მაგალითად:

- (111) - რეგისტრაციის ნომერი
- (151) - რეგისტრაციის თარიღი
- (156) — რეგისტრაციის ვადის გაგრძელების თარიღი
- (181) - რგისტრაციის ვადის გასვლის სავარაუდო თარიღი
- (210) — განაცხადის ნომერი
- (220) — განაცხადის შეტანის თარიღი
- (230) — საგამოფენო მონაცემები

(260) — ნომერი განაცხადისა, რომელზედაც გამოტანილია ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ (გამოქვეყნების ნომერი)

- (310) — პირველი განაცხადის ნომერი
- (230) — პირველი განაცხადის შეტანის თარიღი
- (330) — პირველი განაცხადის მიმღები ეროვნული ან რეგიონული უწყების ან ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი

(511) — საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაცია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის და/ან კლასიფიცირებული საქონლისა და/ან მომსახურების ჩამონათვალი

(531) — სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტების აღწერა სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის (ვენის კლასიფიკაცია) მიხედვით

(540) — ნიშნის გამოსახულება

(550) - სასაქონლო ნიშნის ტიპი ან სახეობა

(580) — განაცხადისა და ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა სახის ცვლილებებზე ჩაწერის შეტანის თარიღი.

(591) — ინფორმაცია განცხადებულ ფერებზე

(731) — განმცხადებლის სახელი და მისამართი

(732)- მფლობელის სახელი და მისამართი

(740) - წარმომადგენლის სახელი და მისამართი

(770)- ცვლილებამდე განმცხადებლის ან მფლობელის სახელი და მისამართი უფლების გადაცემის შემთხვევაში.

(771) — ცვლილებამდე განმცხადებლის ამ მფლობელის სახელი და მისამართი უფლების გადაცემის გარეშე

(791) — ლიცენზიატის სახელი და მისამართი

(800) — სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მონაცემები ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პროტოკოლის მიხედვით (საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი).

ბიულეტინში ქვეყნდება იმ საქონლის ჩამონათვალიც, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნისნის რეგისტრაცია.

სასაქონლო და მომსახურბის საერთაშორისო კლასიფიკაცია განკუთვნილია ნიშნების რეგისტრაციისათვის, რომელიც ოფიციალურად აღიარებულ იქნა 1975 წლის 15 ივნისს ნიცის დიპლომატიურ კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების მიერ, და რომელიც გადასინჯულ იქნა 1967 წ. სტოკჰოლმში და 1977 წ. ჟენევაში.

ნიცის შეთანხმების მონაწილე თითოეული ქვეყანა ვალდებულია ნიშნების რეგისტრაციის დროს მიყვეს საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემას და ნიშნების რეგისტრაციის ოფიციალური პუბლიკაციის დროს მიუთითოს კლასის ნომერი იმ

საქონლის ჩამონათვალზე და მომსახურებაზე, რომლისთვისაც არის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, იგი მოიცავს 45 კლასს. (იხ. დანართი №6)

თუ გადავფურცლავთ „საქპატენტის“ სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტინს, გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელების რეფერატები განლაგებულია საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის სისტემისდა შესაბამისად. ხოლო სასაქონლო ნიშნებზე მითითებული კლასის ნომრები საქონლის ჩამონათვალზე და მომსახურებაზე სრულიად შეესაბამება ნიცის საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციას. ბიულეტენის უფრო კარგად აღსაქმნელად ერთი ორი სიტყვით აუცილებლად უნდა შევეხოთ პატენტის ნომერთან და გამოქვეყნების ნომერთან დაკავშირებულ საკითხს.

როგორც უკვე აღინიშნა, სამთვიანი შედავების ვადა ყველა ობიექტს გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოქვეყნებიდან სამთვეზე ადრე აღნიშნულ ობიექტზე დამცავი დოკუმენტები (პატენტი, მოწმობა) არ გაიცემა. ამისათვის დამცავი დოკუმენტების გაცემამდე აღნიშნული ობიექტებისათვის შემოღებულია გამოქვეყნების კოდები: გამოგონებისათვის, სასარგებლო მოდელისათვის და დიზაინისათვის (10), სასაქონლო ნიშნისათვის (260). აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ თუ შედავება არ იქნა შემოსული სააპელაციო პალატაში, ხდება მათი რეგისტრაცია და ქვეყნდება მეორე პუბლიკაციით: გამოგონებისათვის, სასარგებლო მოდელისათვის და დიზაინისათვის კოდით (11), ხოლო სასაქონლო ნიშნისათვის კოდით (111), რომელიც შესაბამისად პატენტის ნომერსა და მოწმობის ნომრებს გულისხმობს.

უნდა ითქვას, რომ ტექნიკური შეცდომები საპატენტო დოკუმენტაციაში მათ შორის ბიულეტენშიც ხშირად არის ხოლმე. ამიტომ ქვეყნების კანონები დაწვრილებით არეგულირებენ ცვლილებებისა და შეცდომების გასწორების წესს და ადგენენ ცვლილებებისათვის საფუძვლიან ამომწურავ ნუსხას.

აშშ-იც და კანადაშიც საპატენტო უწყების ან პატენტის მფლობელის მიზეზით აღწერილობაში შეცდომის გამოვლენის შემთხვევაში გათვალისწინებულია პატენტის სელმეორედ გაცემა. ავტორების არასწორი მითითება, მაგალითად აშშ-ში სწორდება მოწმობის გაცემის გზით. კანადაში მაგალითად არ დაიშვება გამომგონებლის ვინაობაში რამე ცვლილებების შეტანა. გამოგონების ავტორის არასწორი მითითება პატენტს უმოქმედოს ხდის.

იმ ქვეყნებში, სადაც აქცეპტირებული საპატენტო განაცხადები პატენტის გაცემამდე ქვეყნდება, შესწორებები გამოგონების აღწერილობაში და სხვა ცვლილებები განაცხადში, ჩვეულებრივ ჯერ კიდევ პატენტის გაცემამდე შეიტანება, რის გამოც პატენტებში შეცდომები იშვიათად შეიმჩნევა. მაგალითად ინგლისსა და იაპონიაში ნებადართულია ცვლილებათა შეტანა გამოქვეყნებულ აღწერილობაში, რომლებიც აშკარა შეცდომების გასასწორებლად, საპატენტო ფორმულის დასახვენად, მის შესასწორებლად და დასაზუსტებლად არის მიმართული. არ დაიშვება ისეთი დებულების შემცვლელი ცვლილებების შეტანა, რომლებიც თავდაპირველად წარდგენილ მასალაში არ იყო.

საქართველოში ექსპერტიზის მსვლელობის დროს ნებადართულია განაცხადში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც გამოგონების საგანს არ გააფართოებენ და მის არსს არ შეცვლიან. ბიულეტენში დაშვებული ტექნიკური შეცდომები, განცხადებით მიმართვის საფუძველზე სწორდება ბიულეტენში გამოყოფილი სპეციალური რუბრიკით. „შეცდომის გასწორება“, რომელიც გათვალისწინებულია დამცავი დოკუმენტების გაცემის დროს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პრაქტუკული საქმიანობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ განცხადებები ტექნიკური შეცდომების გასწორების თაობაზე მოდის უმეტესად ბიბლიოგრაფიულ ნაწილზე. ეს გასაგებიცაა, რადგან ბიბლიოგრაფიული მონაცემები დაკავშირებულია სამართლებრივ საკითხებთან და აქ დაშვებულმა უნებლიერ შეცდომებმა შეიძლება

სხვადასხვა სახის დავები გამოიწვიოს. ამიტომ „საქპატენტი“ ცდილობს ბიულეტენის საშუალებით რაც შეიძლება დროულად იქნეს გასწორებული ასეთი სახის შეცდომები. რაც შეეხება არსობრივ მხარეში გამოგონებებისა და სასარგებლო მოდე-ლების რეფერატებში დაშვებულ ტექნიკურ შეცდომებს, განცხა-დებები განმცხადებლის მიმართ შეცდომების გასწორების თაობაზე ნაკლებად შეიმჩნევა, ესეც გასაგებია იმდენად რამდე-ნადაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და ეხლაც გავიმეორებთ, რომ რეფერატების არსობრივ მხარეს სამართლებრივი დატვირთა არ გააჩნია.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ, ყოველი წლის ბოლოს ოცდა-მეოთხე ბიულეტენში ქვეყნდება ობიექტებზე გასული წლის შეჯამებული მონაცმები, კერძოდ: დამცავი დოკუმეტების ნომრების საძიებელი და „ოფიციალური შეტყობინების“ რუბრიკით გამოქვეყნებული მასალების საძიებელი.

ყველა ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ „საქპატენტის“ მიერ გამოცემული სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი, მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

აյ შეიძლება ლექცია დასრულებულიყო, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ბიულეტენის გამოყენების შესავლას შეეხება. როგორც უკვე ვთქვით ბიულეტენში ამა თუ იმ სახით ქვეყნდება სარეწველო საკუთრების ისეთი ობიექტები, რომელიც თითქმის მატერიალური წარმოების ყველა სფეროს შეეხება. აქედან გამომდინარე მას უნდა სისტემატიურად ეცნობოდეს ყველა დარგის სპეციალისტები, მიუხედავად იმისა რა სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდნენ ისინი.

როგორც უკვე თავშივე აღვნიშნეთ საპატენტო უწყების ბიულეტენი წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში დაპატენტებულ უახლეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებზე საპატენტო ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს. უყველა სახის მწარმოებელი, რა სახის პროდუქციასაც არ უნდა უშვებდეს იგი თავისი პროდუქციის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, ვალდებულია დაეუფლოს ბიულეტენის

გამოყენებას, არ არის აუცილებელი, მწარმოებელმა თავის სფეროში უახლესი ტექნიკური გადაწყვეტილებების გაცნობის მიზნით თავიდან ბოლომდე ათვალიეროს ბიულეტენი. დროის მოგების მიზნით აუცილებელია დარგის სპეციალისტმა იცოდეს თავისი დარგის საერთაშორისო საპატენტო კლასიკაციის ინდექსი. მაგალითისათვის ავიღოთ G ფიზიკა. ფიზიკის დარგის სპეციალისტებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსი არი G მოძებნონ ბიულეტენში ნაწილი G, გადაათვალიერონ და შეუძლიათ დახურონ ბიულეტენი. დაინტერესების შემთხვევაში მოითხოვონ მთლიანი აღწერილობა და ფუნდამენტალურად გაეცნონ გამოგონების არსს. ასევეა სასაქონლო ნიშნებშიც, თუ რომელიმე მწარმოებელი უშვებს რაღაცა პროდუქციას ან ეწევა მომსახურებას და საჭიროა ორიგინალური სასაქონლო ნიშნის მოგონება, პირველ რიგში მან უნდა იცოდეს თავისი პროდუქციის საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის ჩამონათვალის სათანადო კლასის ნომერი. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ იგი სულ 45 კლასს მოიცავს. გადაათვალიეროს თავისი კლასის საქონელზე ან მომსახურებაზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები და აქედან გამომდინარე შექმნას ანუ მოიგონოს თავისი საქონლის ან მომსახურებისათვის ისეთი განმასხვავებელუნარიანი ორიგინალური სასაქონლო ნიშანი, რომელიც არ გამოიწვევს სხვა ნიშნებში აღრევას და შეცდომაში არ შეიყვანს მომხმარებელს.

## დანართი 6.

### 9.1. საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასების ჩამონათვალი

#### კლასი 1.

ქომიური პროდუქტები განკუთვნილი სამრეწველო, სამეცნიერო მიზნებისათვის, ფოტოგრაფიაში, სოფლის მეურნეობაში, მებალეობასა და მეტყეობაში; დაუმუშავებელი სინთეტიკური ფისები, დაუმუშავებელი ელასტიკური მასალები;

სასუქები, შემადგენლობები ცეცხლის ჩასაქრობად; პრე-პარატები რწობისა და რჩილვისათვის; პრეპარატები კვების პროდუქტების დაკონსერვებისათვს; სათრიმლავი ნივთიერებები; მწებავი ნივთიერებები სამრეწველო მიზნებისათვის.

### კლასი 2.

საღებავები, ოლიფა, ლაქები, დამცავი საშუალებები ლი-თონების კოროზისაგან და მერქნის რღვევისაგან დასაცავად; მღებავი ნივთიერებები; ამომჭრელები; დაუმუშავებელი ბუნებრივი ფისები; ფურცლოვანი და ფხვნილისებური ლითონები, რომლებიც გამოიყენება სამხატვრო-დეკორატიული და მხატვრული ბეჭდვის მიზნებისათვის.

### კლასი 3.

პრეპარატები გათეთრებისათვის და სხვა ნივთიერებები რეცხვისათვის; პრეპრატები წმენდისათვის, პოლირებისათვის, გაუცხიმოებისათვისა და აბრაზიული დამუშავებისათვის.

საპნები. პარფიუმერული ნაკეთობანი, ეთეროვანი ზეთები, კოსმეტიკა, თმის ლოსიონები, კბილის ფხვნილები და პასტები.

### კლასი 4.

ტრექსიკური ზეთები და შეზეთვა; საზეთი მასალები; საპოხი, შედგენილობები მტვრის შთანთქმის, დასველებისა და შეკვრისათვის; სათბობები (მათ შორის ძრავის ბენზინების) და გამანათებელი მასალები; პატრუქი და სანთლები განათებისათვის.

### კლასი 5.

ფარმაცევტული და ვეტერინარული აპარატები; ჰიგიენური პრეპარატები სამედიცინო მიზნებისათვის; დიეტური ნივთიერებები სამედიცინო მიზნებისათვის, ბავშვთა კვება, სალბუნები, შესახვევი მასალები, მასალები კბილის დაპლომბვისათვის და კბილის ანაბეჭდის დასამზადებლად; მადეზინფიცირებელი საშუალებები; პრეპარატები მავნე ცხოველების მოსასპობად, ფუნგიციდები, ჰერბიციდები.

### კლასი 6.

ჩვეულებრივი ლითონები და მათი შენადნობები, ლითონის სამშენებლო მასალები, მოძრავი ლითონის კონსტრუქციები და

ნაგებობები; ლითონის მასალები სარელსო გზებისათვის; ლითონის გვარლები და მავთულები (არაელექტრული) კაფეული და სკეტი ნაკეთობანი; ლითონის მილები, სეიფები, ნაკეთებანი ჩვეულებრივი ლითონებისაგან, რომლებიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს, მადნები.

#### კლასი 7.

მექანიზმები და დაზგები; ძრავები (გარდა მიწისზედა სატრანპორტო საშუალებათა დანიშნულებისათვის განკუთვნილისა); ნაერთები და გადამცენების ელემენტები (გარდა მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილისა); სასოფლო სამეურნეო იარაღები (გარდა ხელით სამართვის) ინკუბატორები.

#### კლასი 8

ხელის იარაღები და ინსტრუმენტები; დანისებრი მოწყობილობები; ჩანგლები და კოვზები, ცივი იარაღები, სამართებლები.

#### კლასი 9

ხელსაწყოები და ინსტრუმენტები სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზური, ფოტოგრაფიული, კინომატოგრაფიული, ოპტიკური, აწონვისათვის, გაზომვისათვის, სიგნალიზაციისათვის საკონტროლო (შესამოწმებელი), სამაშველო და სასწავლო. ხელსაწყოები და ინსტრუმენტები გადაცემისათვის. განაწილებისათვის, ტრანსფორმაციისათვის, დაგროვებისათვის, რეგულირებისათვის ან ელექტრონით მართვა; აპარატურა ჩაწერისათვის, გადაცემისათვის ხმის ან გამოსახულების კვლავწარმოებისათვის; მაგნიტური მატარებლები ინფორმაციისა, ხმის ჩამწერი დისკოები, სავაჭრო ავტომატები და მექანიზმები წინასწარი გადახდის პრეპარატებისათვის; საკასო აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დამუშავების მოწყობილობების და კომპიუტერები, ცეცხლის საქრობი მოწყობილობები.

#### კლასი 10.

ხელსაწყოები და ინსტრუმენტები ქირურგიული, სამედიცინო, სტომატოლოგიური და ვეტერინარული; კიდურების

პროტეზები, თვალის და კბილის პროტეზები; ორთოპედიული ნაკეთობები; ნაკერების დასადები მასალები.

#### კლასი 11.

მოწყობილობები განათებისათვის, გახურებისათვის, ორთქლის მისაღები, კვების პროდუქტების თბური დამუშავებისათვის, სამაცივრო საშრობი, სავენტილაციო, წყალგამანანილბელი და სანიტარულ-ტექნიკური.

#### კლასი 12.

სატრანსპორტო საშუალებები: აპარატები, მიწაზე, წყალზე და ჰაერში გადაადგილებისათვის.

#### კლასი 13.

ცეცხლსასროლი იარაღები; ტყვია-წამლები და ჭურვები; ფეთქებადი ნივთიერებები; ფეიერვერკები.

#### კლასი 14.

ძვირფასი ლითონები და მათი შენადნობები, ნაკეთობანი ან მათ მიერ გადაფარული, რომლებიც არ განეკუთვნებიან სხვა კლასს; საიუველირო ნაკეთობანი, ბიუტერია, ძვირფასი ქვები; საათები და სხვა ქრონომეტრული ხელსაწყოები.

#### კლასი 15.

მუსიკალური ინსტრუმენტები.

#### კლასი 16.

ქაღალდი, მუყაო და მათი ნაკეთობანი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კლასებს; ბეჭდვითი პროდუქცია; საამკინდავო სამუშაოების მასალები; ფოტოსურათები; საწერი და ქაღალდის საქონელი; წებოვანი ნივთიერებები საკანცელარიო და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის; საკუთნო მხატვრებისათვის; მრიფტები; სასტამბო კლიშეები.

#### კლასი 17.

კაუჩუკი, რეზინა, გუტაპერჩი, აზბესტი, ქარსი და ნაკეთობანი ამ მასალებიდან, რომლებიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; ნაკეთობანი ნაწილობრივად დამუშავებული პლასტმასისაგან; საგმანი მასალები, გამკვრივებისათვის და იზოლაციისათვის; არალითონური დრეკადი მილები.

### **კლასი 18.**

ტყავი და ტყავის იმიტაცია; მათი ნაწარმი, რომლებიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს; ცხოვრელთა ტყავები; სამგზავრო ზანდუკები, ჩემოდნები; ქოლგები წვიმისა და გზის ტროსტები; ხელჯოხები, ცხენის აკაზმულობა და სადარაჯე ნაკეთობანი.

### **კლასი 19.**

არალითონური სამშენებლო მასალები; არალითონური ხისტი მილები სამშენებლო მიზნებისათვის; ასფალტი, ფისი, ბრიტუმი, არალითონური გადასატანი კონსტრუქციები და ნაკეთობანი; არალითონური ძეგლები.

### **კლასი 20.**

ავეჯი, სარკეები, სურათები, ჩარჩოები და ა.შ. ნაკეთობანი, რომლებიც არ განეკუთვნებიან სხვა კლასებს, ხისგან, კორპისაგან, ლელქაშისაგან, ლერნამისაგან, ტირიფისაგან, რქებისაგან, ძვლისაგან, სპილოს ძვლისაგან, ვეშაპის ულვაშისაგან, კუს ბაქანისაგან, ნიუარისაგან, ქარვისაგან, პერლამუტრისაგან, ზღვის ხვითქლისაგან ან ამ მასალების შემცველობისაგან ან პლასტმასისაგან.

### **კლასი 21.**

საოჯოხო და სამზარეულო ნივთები და ჭურჭელი (გარდა კეთილშობილი ლითონისაგან დამზადებული, ამ ლითონებით დაფარული); სავარცხლები და ღრუბლები; (ფუნჯების გარდა); მასალები ჯაგრისის ნაწარმისათვის; სამარჯვები წმენდისა და დალაგებისათვის, ლითონის საფხეკი; დაუმუშავებელი ან ნაწილობრივ დამუშავებული მინა (სამშენებლო მინის გარდა); ნაწარმი მინისაგან, ფაიფურისაგან, ქაშანურისაგან.

### **კლასი 22.**

ბაგირები, თოკები, ბადეები, ბაწრები, კარვები, ჩარდახები, ბრეზენტი, აფრები, ტომრები სხვა კლასში შეტანილის გარდა; სატენი მასალები (რეზინისა და პლასტმასისაგან დამზადებულის გარდა); საფეიქრო ბოჭკოვანი ნედლეული.

### **კლასი 23.**

საფეიქრო ძაფი და ნართი.

### **კლასი 24.**

ქსოვილები და საფეიქრო ნაწარმი, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კლასებს, საბნები, გადასაფარებლები, სუფრები.

### **კლასი 25.**

ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავები.

### **კლასი 26.**

მაქმანები და ნაქარგი ნაკეთობანი, ზონრები, ლენტები; ლილები, კნოპები, დუგმები, ქინძისთავები და ნემსები.

### **კლასი 27.**

ხალიჩები, ჭილობები, ნეჭა, ლინოლიუმი და იატაკის სხვა საფარი; არასაფეიქრო კედლის შპალერი და ასაკრავი მასალები.

### **კლასი 28.**

თამაშობები, სათამაშოები; საქონელი ტანვარჯიშისა და სპორტისათვის, სხვა კლასში შეტანილის გარდა; ნაძვისხის მორთულობა.

### **კლასი 29.**

ხორცი, თევზი, ფრინველი, ხორცის ექსტრატები ბოსტნეული და ხილი დაკონსერვებული გამომშრალი და თბურად დამუშავებული; ჟელე, მურაბები, კომპოტი; კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები; კარაქი და საკვები ცხიმები.

### **კლასი 30.**

ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტოპიოკა (ბურღული), საგო, ყავის შემცვლელები, ფქვილი, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი; ნაყინი; თაფლი, სიროფი, ბადაგი, საფუარი, საცხობი ფხვნილები; მარილი, მდოგვი, ძმარი, საწებლები, სანელებლები; საკვები ყინული.

### **კლასი 31.**

სოფლის მეურნეობის, საბალე-საბოსტნე, ტყისა და მარცვლეული პროდუქტები, რომლებიც სხვა კლასში არ არის შეტანილი; ცოცხალი ცხოველები; ახალი ხილი და ბოსტნეული; თესლი, ცოცხალი მცენარეები და ყვავილები; ცხოველის საკვები; ალაო.

### **კლასი 32.**

ლუდი, მინერალური და გაზიანი წყლები და სხვა უალკოჰოლო სასმელები; სასმელები და ხილის წვენები; სიროფი და სხვა შემადგენლები სასმელების დასამზადებლად.

### **კლასი 33.**

ალკოჰოლური სასმელები (ლუდის გარდა).

### **კლასი 34.**

თამბაქო, მწეველთა საკუთნო, ასანთი.

### **კლასი 35.**

რეკლამა, მენეჯმენტი ბიზნესის სფეროში; ადმინისტრაციული საქმიანობა ბიზნესის სფეროში; საოფისე მომსხურება.

### **კლასი 36.**

დაზღვევა, საფინანსო საქმიანობა, საკრედიტო-ფულადი ოპერაციები; ოპერაციები უძრავ ქონებასთან დკავშირებით.

### **კლასი 37.**

მშენებლობა; რემონტი; მოწყობილობების დამონტაჟება.

### **კლასი 38.**

ტელეკომუნიკაცია

### **კლასი 39.**

ტრანსპორტირება, საქონლის შეფუთვა და შენახვა; მოგზაურობების ორგანიზება.

### **კლასი 40.**

მასალების დამუშავება

### **კლასი 41.**

აღზრდა; სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა; გართობა; სპორტულ და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა ორგანიზება.

### **კლასი 42.**

სამეცნიერო და ტექნოლოგიური მომსახურება და მასთან დაკავშირებული კვლევები და დამუშავებები; სამრეწველო ანალიზებისა და კვლევით სამუშაოებზე მომსახურება; კომპიუტერის ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება და გაუმჯობესება.

**კლასი 43.**

კვების პროდუქტებითა და სასმელებით მომსახურების უზრუნველყოფა; დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

**კლასი 44.**

სამედიცინო მომსახურება; ვეტერინარული მომსახურება; მომსახურება ადამიანებისა და ცხოველების ჰიგიენისა და კოსმეტიკის სფეროში; მომსახურება სოფლის მეურნეობის, მებოსტნეობის სატყეო მეურნეობის სფეროში.

**კლასი 45.**

პერსონალური და სოციალური მომსახურება, გაწეული სხვა პირთა მიერ ინდივიდუალურ პირთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; უშიშროების სამსახურები ქონებისა და კერძო პირთა დასაცავად.

## **გ10. საზღვარგარეთ დაცაფიცეპის, ლიცენზირების, სანარმოო-კომერციული საიდუმლოებისა (წოუ-ჟაუ) და არაკაონის სიერი კონკურენციის საკითხები**

როგორც უკვე ითქვა საქართველოში გაცემული დამცავი დოკუმენტები შემოფარგლულია დროით. პატენტები: გამოყენებაზე 20 წლით, სასარგებლო მოდელზე 10 წლით. მოწმობები: დიზაინზე ერთი ან რამდენიმე 5-წლიანი პერიოდით, მაგრამ არა უმეტეს 25 წლისა, ხოლო სასაქონლო ნიშანზე 10 წლით, გაგრძელების ჯერადობის შეუზღუდავად. გარდა აღნიშნულისა დამცავი დოკუმენტების მოქმედების უფლებები შემოსაზღვრულია ტერიტორიითაც. ეს იმას ნიშნავს, რომ დამცავი დოკუმენტის მფლობელების განსაკუთრებული უფლება მოქმედებს, მხოლოდ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელი ქვეყნის საპატენტო უწყებაც გასცემს დამცავ დოკუმენტს. აღნიშნული დროის გასვლის შემთხვევაში გამოგონება იქნება ეს სასარგებლო მოდელი, დიზაინი თუ სასაქონლო ნიშანი საერთო სახალხო საკუთრება ხდება და ყველას შეუძლია მისი გამოყენება. (სასაქონლო ნიშნის ვადის გაგრძელების შემთხვევაში იგი რჩება მოქმედებაში).

აღნიშნული საკითხი იმდენად არის აქტუალური, რომ საპატენტო-სალიცენზიონ საქმიანობაში ტერიტორიას და დროის ფაქტორს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი უშუალოდ არის დაკავშირებული როგორც სამართლებრივ ასევე ეკონომიკურ საკითხებთან. პატენტმფლობელმა იცის, რომ პატენტი შემოფარგლულია დროით და უნდა ეცადოს აღნიშნული დროის განმავლობაში, რაც შეიძლება სწრაფად გამოიყენოს თავისი ტექნიკური გადაწყვეტილება, ჩაუშვას იგი წარმოებაში და ამოიღოს დანახარჯებიც და რაც შეიძლება მეტი მოგებაც ნახოს (აქ იგულისხმება ინვესტორის მოზიდვა, გაყიდვა ლიცენზის სახით და სხვა ქმედებები).

რაც შეეხება ტერიტორიის ფაქტორს, პატენტმფლობელმა იცის, რომ მისი პატენტი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არ მოქმედებს და სხვა ქვეყანაში მას შეუფერხებლად

გამოიყენებენ. ამიტომ პატენტმფლობელი უნდა ცდილობდეს, რომ თავის შექმნილ ტექნიკურ გადაწყვეტილებაზე აიღოს სხვა ქვეყნის პატენტებიც, რასაც ჩვენ სხვა ქვეყანაში დაპატენტებას ვუწოდებთ. სხვა ქვეყანაში გამოგონების დაპატენტების საკითხს ცოდნა და ფრთხილი მიღებომა სჭირდება. ცოდნა სჭირდება იმ გაგებით, რომ მან უნდა იცოდეს რატომ აპატენტებს ვთქვათ ერთ ქვეყანაში და არა მეორეში. აქ მე ქვეყნების რაოდენობას არ ვგულისხმობ, პატენტმფლობელმა უშუალოდ უნდა შეისწავლოს აღნიშნულ ქვეყანაში თავისი გამოგონების დაპატენტების მიზანშეწონილობა. არა სწორად შერჩეული ქვეყნები პატენტმფლობელს ზარალის მეტს არაფერს მოუტანს, რადგან იგი დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ქვეყნების შერჩევა დამოკიდებულია გამოგონების ტექნიკური გადაწყვეტილების არსზე, მის ტექნიკურ შედეგზე და გამოიყენების სფეროზე, ერთი სიტყვით აღნიშნულ დარგში მის მნიშვნელობაზე. გამოგონება უნდა დაპატენტდეს პირველ რიგში იმ ქვეყანაში სადაც უფრო კარგად არის განვითარებული დასაპატენტებელი გამოგონების დარგი და შესაბამისად იმ ქვეყნაში, სადაც სავარაუდოა დასაპანტებელი ანალოგიური პროდუქციის გამოჩენა, რადგან ამ ქვეყანაში აღნიშნულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული დარგი შერჩეულ ქვეყანაში კარგად არის განვითარებული და დღეს თუ ხვალ მას იქ ასეთივე გადაწყვეტილებას თვითონვე შექმნიან. ამიტომ დასწრებაა საჭირო, ანუ დროულად დაპანტებაა საჭირო, გავხდეთ იმ ქვეყნის პატენტმფლობელიც და მოვიპოვოთ აღნიშნული ქვეყნის განსაკუთრებული უფლებაც, რაც სწორად შერჩეულ მეტ ქვეყანაშია დაპატენტებული გამოგონება მისი ღირებულება ლიცენზიის სახით გაყიდვის შემთხვევაში გაციელდით მაღალია.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოში საპატენტო უფლებების გაფორმება გამოგონებაზე შეიძლება საერთაშორისო განაცხადის მეშვეობით. საერთაშორისო განაცხადია ის განაცხადი, რომელიც ფორმდება საერთაშორისო საპატენტო

კოოპერაციის ხელშეკრულების პირობების თანახმად. ხელშეკრულება, რომლის მონაწილეა საქართველო, ადგენს მოთხოვნებს საერთაშორისო განაცხადის შედგენილობის და გაფორმების მიმართ. ეს მოთხოვნები საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით ჩამოყალიბებული მოთხოვნების იდენტურია. ამასთან დაკავშირებით „საქპატენტში“ ქართულ ენაზე გამოიცა ნაშრომი „საერთაშორისო განაცხადის გაფორმება და წარდგენა“. იგი სასარგებლო იქნება გამოგონებლებისათვის, რომლებსაც სურთ გამოგონებისა და სასარგებლო მოდელების საზღვარგარეთ დაპატენტება საერთაშორისო განაცხადის მიწოდების გზით, აგრეთვე სამრეწველო საკუთრების სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებისათვისაც და სხვა დაინტერესებულ პირთათვის.

1994 წლის 18 იანვარს საქართველომ ხელი მოაწერა მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას სამრეწვლო საკუთრების დაცვის დარგში - „საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულებას“ (Patent Cooperation Treaty - PCT). ხელშეკრულება დადებული იქნა 1970 წლს „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“ ფარგლებში და ამ კონვენციის მონაწილე ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი.

ამ ხელშეკრულებასთან მიერთებით საქართველოს განმცხადებლებს მიეცათ საერთაშორისო განაცხადის წარდგენის საშუალება საზღვაგარეთ გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე საპატენტო დაცვის მოსაპოვებლად. თითოეულ საერთაშორისო განაცხადს ენიჭება ეროვნული განაცხადის ძალა ხელშეკრულების მონაწილე ყველა ქვეყანაში, რომელშიც კი განმცხადებელი მოისურვებს მიიღოს სამართლებრივი დაცვა გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე.

საქართველოს საპატენტო კანონისდა შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) უფლება აქვს შეიტანოს „საქპატენტში“ საერთაშორისო განაცხადი იმ ქვეყნების აღნიშვნით, სადაც იგი აპირებს გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან დიზაინის დაპატენტებას.

საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების შესაბამისად, ასეთი განაცხადის შეტანა „საქპატენტში“ იურიდიულად ტოლფასია აღნიშნული ქვეყნების საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანისა. იმის გათვალისწინებით, რომ ამას თან სდევს გამოგონების საერთაშორისო ექსპერტიზა მსოფლიოს წამყვან საპატენტო ცენტრებში, გაცილებით მარტივდება უცხოეთის ქვეყნებში პატენტის მიღების პროცედურა.

რაც შეეხება სასაქონლო ნიშნებს, საქართველოს კანონში სასაქონლო ნიშნების შესახებ, ასევე გათვალისწინებული საერთაშორისო განაცხადების ექსპერტიზის პროცედურის მარეგულირებელი ნორმები, რაც განპირობებულია საქართველოს მონაწილეობით ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებულ პროტოკოლში.

პროტოკოლის შესაბამისად საქართველოს მეწარმეებს შესაძლებლობა აქვთ „საქპატენტში“ შეიტანონ საერთაშორისო განაცხადი სასაქონლო ნიშანზე და მოითხოვოს მისი რეგისტრირება პროტოკოლის მონაწილე ყველა ქვეყანაში.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „საქპატენტში“ შექმნილია მეთოდურ-ნორმატიული უზრუნველყოფის სექტორი, რომელიც კონსულტაციას უწევს განმცხადებლებს საზღვარგარეთ დაპატენტების საკითხებში.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს პატენტრწმუნებულთა ინსტიტუტი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს მიერ 1992 წლის 21 ივლისის №25 დადგენილებით. ეს დებულება აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის პატენტრწმუნებულების პროცესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიქმნებიან სამრეწველო საკუთრების შესახებ მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დებულების შესაბამისად პატენტრწმუნებულს (აგენტს) უფლება აქვს წარმომადგენლობა გაუწიოს მოქალაქეებს,

იურიდიულ პირებს „საქატენტში“ სააპელაციო პალატაში, სამოქალაქო და საპატენტო სასამართლოებში სხვა სახელმწიფო ორგანოებში და აგრეთვე მესამე პირთა მიმართ სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე დამცავი დოკუმენტების მიღების და მათზე დამყარებული უფლებების დაცვის საკითხებში, კონსულტაცია გაუწიოს მოქალაქებს და იურიდიულ პირებს, პრაქტიკული დახმარება აღმოსაჩინოს მათ საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში სამრეწველო საკუთრების ობიექტზე დამცავი დოკუმენტების მიღების და მათზე დამყარებული უფლებების დაცვის საკითხებში.

ურთიერთობა პატენტობის და მის მიერ მომსახურებულ კერძო პირს ან იურიდიულ პირს შორის რეგულირდება მინდობილობის ხელშეკრულებით. პატენტობის ვალდებულია დაიცვას საიდუმლოება ინფორმაციის, რომელიც მას გადაეცა დავალების შესრულებასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, გამოგონებათა დაპატენტების ერთ-ერთ მიაზნს გამოგონებაზე საპატენტო ლიცენზიის გაყიდვა წარმოადგენს.

მართალია, ჩვენს სინამდვილეებში საქართველოს ამ მხრივ მდიდარი ტრადიციები არ გააჩინია, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც, სალიცენზიო ვაჭრობის მასშტაბები არა მარტო იმიტომ იზრდება, რომ მისი წყალობით მაღალი განვითარებული ქვეყნები დიდ მოგებას იღებენ, არამედ იმიტომაც რომ პატენტებით ვაჭრობა ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა გაცვლა-გამოცვლას და მოგებას დროში.

ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ლიცენზია არის უფლების გაცემა ამა თუ იმ ობიექტის გამოყენებაზე, ხელშეკრულების საფუძველზე. ლიცენზია შეიძლება იყოს საპატენტო, და უპატენტო (დაცვის მიხედვით). ლიცენზიის სახეობებია:

კერძო ლიცენზია, რომელიც შეიძლება იყოს ექსკლუზიური ან არაექსკლუზიური. ღია ლიცენზირების რეჟიმი, რომელიც

შეიძლება იყოს მხოლოდ არაექსკლუზიური და განსაკუთრებული ლიცენზია.

არაექსკლუზიური კერძო ლიცენზიის გაცემა ლიცენზიის გამცემს (ლიცენზიარს) არ უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას, ექსკლუზიური კერძო ლიცენზია ლიცენზიის გამცემს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას. ღია ლიცენზირების რეჟიმი უფლებას აძლევს წებისმიერ პირს, გამოიყენოს პატენტი ღია ლიცენზირების რეჟიმით დადგენილი პირობებით. ღია ლიცენზირების რეჟიმის გამოცხადების შესახებ უნდა ეცნობოს საქპატენტს, რომელიც შესაბამის ჩანაწერს აკეთებს რეესტრში და მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში. ყველა სახის ლიცენზია, რომელიც ეხება სამრეწველო საკუთრების ობიექტებს, ფორმდება “საქპატენტში”. მისი მოქმედების ვადა არ აღემატება სამრეწველო საკუთრების ობიექტის დაცვის მოქმედების ვადას. ინფორმაცია გაცემული ლიცენზიის შესახებ ქვეყნდება ოფიციალურ ბიულეტენში. აქედან გამომდინარე ლიცენზიას, რომელიც გაცემულია პატენტით დაცული ობიექტის გამოყენებაზე საპატენტო ლიცენზია ეწოდება.

პრაქტიკაში კერძო ლიცენზიაზე მოლაპარაკებისას ხელშეკრულების დადებამ გავრცელება პპოვა ისეთ დარგებში, სადაც ლიცენზიის საგნები მიეკუთვნება მასობრივი წარმოებისა და ფართო მოხმარების სფეროს ისეთ პროდუქციას, რომელიც ზუსტ აღრიცხვას არ ექვემდებარება. გარდა ამისა, მასზე მუდმივი მოხმარება იმდენად დიდია, რომ ერთი ქვეყნის ბაზარზე რამდენიმე კერძო ლიცენზიის მფლობელის (ლიცენზიატის) არსებობა ხელს არ შეუშლის ლიცენზიით გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის ნორმალურ მიმდინარეობას. ეს უმეტესად მედიკამენტების, საკვები პროდუქტების და წარმოების სხვა სფეროებისათვის არის დამახასიათებელი.

განსაკუთრებულ ლიცენზიაზე მოლაპარაკებისას ლიცენზიარი შეთანხმების დათვემულ ფარგლებში ლიცენზიატს აძლევს გამოგონების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას, რის

საფუძველზეც იგი უკვე არ შეიძლება წარმოადგენდეს ლიცენზიის პირობებით სხვა პირებთან (ფირმებთან, ორგანიზაციებთან) შეთანხმების ანალოგიური იყოს, თუმცა ეს არ აღვეთს ლიცენზიარის უფლებას გაცემული გამოგონების (წარმოების საიდუმლოების უპატენტო ლიცენზიის) როგორც დამოუკიდებლად გამოყენებაზე. ასევე სხვა პირებისათვის (ფირმებისათვის, ორგანიზაციებისათვის) ლიცენზიის გაცემამდე ისეთი პირობებით, რომელიც პირველი შეთანხმების პირობებს არ ეწინააღმდეგება.

არსებობს აგრეთვე სრული ლიცენზიის ცნება, რომლის შეთანხმების არსს წარმოადგენს ის, რომ ლიცენზიარი გამოგონების (წარმოების საიდუმლოების) გამოყენებაზე ლიცენზიატს სრულად უთმობს ყველა უფლებას შეთანხმების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. ამასთან ერთად თვით ლიცენზიარს მთელი ამ ხნის მანძილზე აღვეთილი აქვს გამოგონების (წარმოების საიდუმლოების) გამოყენების უფლება როგორც დამოუკიდებლად, ისე რომელიმე სახის ლიცენზიის გაცემის გზით. ამ სახის ლიცენზიაზე მოლაპარაკება გვაგონებს პატენტის მიხედვით (იმ შემთხვევაში, როცა ლიცენზიის საგანი დაპატენტებულია ან დაპატენტების სტადიაში იმყოფება) უფლებათა სრულ დათმობას (გაყიდვას). სინამდვილეში ეს ასე არ არის, რადგანაც სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკება შეიძლება დაიდოს გარკვეული ვადით (5, 8, 10 წელი), როგორც ეს სალიცენზიონ ვაჭრობის პრაქტიკაშია მიღებული და ამ ვადის გასვლის შემდეგ ლიცენზიარს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, გამოიყენოს ლიცენზიის საგანი (დამოუკიდებლად დადოს ახალი შეთანხმება იმავე ან სხვა ლიცენზიატთან და ა.შ.). დაბოლოს, სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს მოქმედებით, ე.ი. გაუქმდეს პირობებით, რომლებსაც შეიძლება თვით მოლაპარაკება შეიცავდეს. ამრიგად, სრულ ლიცენზიაზე მოლაპარაკება საჭიროა განვასხვაოთ ე.წ. პატენტის გაყიდვისაგან, როცა ლიცენზიარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამუდამოდ თმობს გამოგონებაზე ყველა უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ლიცენზიარი თავის

განსაკუთრებულ უფლებას გადასცემს ლიცენზიატს. საჭიროა ისიც გავითვალისწინოთ, რომ სრულ ლიცენზიაზე შეთანხმებები, ჩვეულებრივ, იმ შემთხვევაში დაიდება, როცა ლიცენზიარს არც საჭირო პირობები აქვს გამოგონების დამოუკიდებლად გამოყენებისათვის და არც რეალური შესაძლებლობები გამოგონების რეალიზაციისათვის კომერციულ სამუშაოთა ჩასატარებლად როგორც თავისი ქვეყნის ბაზარზე, ასევე სხვა ქვეყნებშიც, და ამ შემთხვევაში იგი ამ უფლებას უთმოს იმ ლიცენზიატს, რომელსაც ამისათვის შესაფერისი პირობები აქვს.

სალიცენზიონ ხელშეკრულება ითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულებებს ან ქმედებებს ლიცენზიატის მხრიდან. შესაძლებელია აგრეთვე, რომ შეთანხმების პირობებით გათვალისწინებული იყოს განსაზღვრული ვალდებულებები ან ქმედებები ლიცენზიარისათვისაც. მაგალითად, ლიცენზიარმა შეიძლება აიღოს ვალდებულება უპასუხოს სასამართლოში ლიცენზიატის წინააღმდეგ მესამე პირის მიერ აღძრულ სარჩელს, რომლითაც იგი აცხადებს, რომ ლიცენზიატის მიერ ლიცენზირებული გამოგონების გამოყენება არღვევს სხვა პირზე ადრე გაცემული პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებულ უფლებებს.

პატენტმფლობელს ან უფლებამონაცვლეს შეუძლია გამოაცხადოს ღია ლიცენზირების რეჟიმი და თხოვნით მიმართოს “საქაპატენტს” რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის შეტანის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ პატენტზე, რომელზედაც ცხადდება ღია ლიცენზია, არ არის გაცემული განსაკუთრებული ლიცენზია. ღია ლიცენზია შეიძლება იყოს მხოლოდ არაექსკლუზიური. ღია ლიცენზირების რეჟიმი უფლებას აძლევს ნებისმიერ პირს გამოიყენოს პატენტი ღია ლიცენზირების რეჟიმით დადგენილი პიროვნებით.

რაც შეეხება გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე იძულებით და ოფიციალური ლიცენზიის გაცემას, ახალი შესწორებული საპატენტო კანონის შესაბამისად, გასაიდუმლოება ხდება თავდაცვისუნარიანობიდან გამომდინარე არა უმეტეს

ორი წლის ვადით, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმეჯერ. აქედან გამომდინარე საპატენტო კანონიდან ამოღებულია მუხლები 61 და 62, რომელიც შეეხება იძულებითი და ოფიციალური ლიცენზიების გაცემას, რომელიც აგრეთვე კავშირშია ეროვნული თავდაცვის, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ან ქვეყნის ეკონომიკის ინტერესებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, იძულებით და ოფიციალური ლიცენზიების საკითხს ჩვენ აღარ შევეხებით, არ შევეხებით, აგრეთვე პატენტის გირავნობსი საკითხს, რომელიც ახალი კანონით არის შემოღებული და კავშირშია პატენტის ლიცენზირების საკითხებთან, მუხლები 62<sup>1</sup>; 62<sup>2</sup>; 62<sup>3</sup>; 62<sup>4</sup>; 62<sup>5</sup>. გირავნობის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნის მესამე კარის მეექვსე თავით გირავნობისათვის დადგენილი ნორმები, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სასაქონლო ნიშნების ლიცენზირება შედარებით ცოტა ხნის წინ გაჩნდა. ლიცენზიარის მხრიდან ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფამ ლიცენზიატის მიერ შესაბამისი სასაქონლო ნიშნით გამოშებულ პროდუქციაზე, გზა მისცა მოსაზრებას, რომელიც ამგვარი კონტროლით სასაქონლო ნიშნის ჩამორთმევა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული. ეს აზრი დაედო საფუძვლად დებულებას რეგისტრირებული გამომყენებლების შესახებ, რაც შესულია სასაქონლო ნიშნების შესახებ საკანონმდებლო აქტების უმრავლესობაში უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე.

რეგისტრირებული გამომყენებლების შესახებ დებულებათა უმეტესობა ლიცენზიის მხარეებისაგან მოითხოვს ხელშეკრულების სარეგისტრაციო ორგანოში წარდგენას, რომელიც ავალდებულებს ასეთ ორგანოს უზრუნველყოს ლიცენზიარის მიერ განსახორციელებელი ხარისხის კონტროლის სახეობა და ფარგლები. სარეგისტრაციო ორგანო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ამ ხელშეკრულების რეგისტრაცია შეესაბამება ეროვნულ ინტერესებს. მან უარი უნდა განაცხადოს იმ

ხელშეკრულების რეგისტრაციაზე, რომელიც, მისი აზრით, ხელს უწყობს თაღლითობას.

სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონისდა შესაბამისად, სასაქონლო ნიშანზე სალიცენზიო ხელშეკრულების დადების ფაქტის რეგისტრაცია წარმოებს „საქპატენტში“ და შესაბამისი ინფორმაცია ქვეყნდება სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. ლიცენზია შეიძლება იყოს განსაკუთრებული ან მარტივი.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა ითვალისწინებს საქონლის მთლიან ჩამონათვალს ან მის ნაწილს. თუ „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ წარდგენილი საბუთების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემამ მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას იმ საქონლის თვისების, ხარისხის ან გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, „საქპატენტი“ რეესტრში არ შეიტანს ცნობას გადაცემის შესახებ, ვიდრე არ მიიღებს უფლებამონაცვლის თანხმობას ჩამონათვალიდან შეცდომაში შემყვანი საქონლის ამოღების თაობაზე.

სასაქონლო ნიშნის გადაცემისას სათანადო ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში.

სასაქონლო ნიშანზე ლიცენზიების უმრავლესობისათვის, აღსანიშნავია შემდეგი:

- ერთ-ერთ პირველ დებულებას წარმოადგენს ნებართვის გაცემა შესაბამისი სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე. ნიშნის ან ნიშნების შესახებ დეტალური მონაცემები, ჩვეულებრივ, მითითებულია სალიცენზიო ხელშეკრულებაზე თანდართულ ჩამონათვალში, იმ პროდუქტებთან ერთად, რომელთა მიმართაც ეს ნიშანი გამოიყენება.

- ლიცენზიატისათვის მნიშვნელოვანია იცოდეს, თუ რამდენი სხვა ლიცენზიატი იქნება დაშვებული ლიცენზიის მოქმედების ტერიტორიაზე საქმიანობისათვის. მნიშვნელოვანია ასევე გაირკვეს, აპირებს თუ არა ლიცენზიარი თავისი საქონლის ამ ტერიტორიაზე გავრცელებას. და ბოლოს,

ლიცენზიატისათვის მნიშვნელოვანია, სხვა ლიცენზიატების დაშვების შემთხვევაში, რომ მისი კონკურენტები დაშვებული იყვნენ თანაბარი პირობებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა ხელშეკრულებაში, რეგისტრირებული გამომყენებლის შესახებ დევს დებულება, რომ ლიცენზიატი არ გამოიყენებს ნიშანს პროდუქციაზე, რომელიც არ პასუხობს ლიცენზიარის მიერ მითითებულ ხარისხის სტანდარტებს, დებულებები ხარისხის კონტროლის შესახებ ითვალისწინებენ, რომ გამომყენებელი კონფიდენციალურ საფუძველზე იღებს ლიცენზიარის ყველა სპეციფიკაციას, ტექნიკურ მონაცემებს და ნოუ-ჰეის, რათა დააკმაყოფილოს ხარისხის სტანდარტის მოთხოვნები. ამ დებულების შესასრულებლად, ჩვეულებრივ საჭიროა, რომ გამომყენებელმა გაუგზავნოს პროდუქციის ნიმუშები ლიცენზიარს და მისცეს მას თავისი საწარმოს, საწყობების, წარმოების მეთოდების, გამოყენებული მასალების, შენახვის პირობებისა და მზა პროდუქციის შეფუთვის შემოწმების ნებართვა.

ჩემის აზრით ეს ყველაზე აუცილებელი პირობაა, რადგან არ შეილახოს წლების მანძილზე სასაქონლო ნიშნის მიერ მოპოვებული აღიარება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ლიცენზიაში აღნიშნულია ტერიტორია სადაც შეიძლება სასაქონლო ნიშნის გამოყენება. ლიცენზიატის მიერ გამოყენებულ სარეკლამო მასალებზე შეიძლება საჭირო იყოს ლიცენზიარის თანხმობა.

სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე ნებართვის საფასურებთან ან როიალტისთან ერთად ლიცენზიარმა შეიძლება აგრეთვე, დამატებით მოითხოვოს ანაზღაურება კონსულტაციებთან დაკავშირებით, რომლებსაც ლიცენზიარის სპეციალისტები უწევენ ლიცენზიატის მუშაკებს, ხელშეკრულებით დადგენილი ხარისხის სტანდარტების მისაღწევად საჭირო მასალების თაობაზე.

ლიცენზიატს, ჩვეულებრივ, მოეთხოვება შეატყყობინოს ლიცენზიარს ყველა მონაცემი მომხდარი დარღვევების შესახებ.

შევეხოთ აგრეთვე ხელშეკრულებას ნოუ-ჰაუს შესახებ, რომელიც საწარმოო-კომერციული საიდუმლოებას განეკუთვნება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საწარმოო-კომერციული საიდუმლოება ინტელექტური საკუთრების თავისებური ობიექტია, იგი არ მიეკუთვნება მხოლოდ საავტორო სამართლის ან სამრეწველო საკუთრების სამართლის ობიექტს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ფრიად გაბედულად მიაკუთვნა საწარმოო-კომერციული საიდუმლოება სამრეწველო საკუთრებას და ეს ტერმინი საკანონმდებლო ტერმინად აქცია. ეს გამომდიანერობს იქიდან, რომ სამოქალაქო კოდექსის 1105-ე მუხლი „საწარმოო-კომერციული საიდუმლოება“ მოთავსებულია კარში „სამრეწველო საკუთრება“. საერთოდ, თანამედროვე სამართლის თეორიაში ცალსახად არ არის გადაწყვეტილი, შეიძლება თუ არა ნოუ-ჰაუ დაუკავშირდეს საკუთრებას. ეს იმით აიხსნება, რომ ნოუ-ჰაუ უფრო მეტად არის არა-მატერიალური, ვიდრე ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობექტი. ამ ობიექტის დაცვის აუცილებლობა ნაკარნახევია პრაქტიკით.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საიდუმლო ინფორმაციას სახელმწიფო იცავდა, როგორც სახელმწიფო საიდუმლოებას, ან სამხედრო საიდუმლო ინფორმაციას. სხვაგვარი საიდუმლო ინფორმაცია იმ დროს ვერც იარსებებდა, რადგან მესაკუთრე ერთადერთი სუბიექტი - სახელმწიფო იყო. პრაქტიკულად, კომერციული ან საწარმოო საიდუმლოების მფლობელ სუბიექტებს ეს საიდუმლოება არ ეკუთვნოდათ და საბაზრო ურთიერთობებისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარებას საბჭოურ პერიოდში არავითარი ქმედითი დატვირთვა არ გააჩნდა.

საქართველოს კანონმდებლობით პირველად საიდუმლო ინფორმაციის დაცვა ეროვნულმა სამოქალაქო კოდექსმა დაანესა: მისმა 1015-ე მუხლმა დაამკვიდრა ცნებები „საწარმოო-კომერციული საიდუმლოება“ და „ნოუ-ჰაუ“, როგორც თანაბარუფლებიანი ტერმინები.

არსებითად, საწარმოო-კომერციული საიდუმლოების დაცვა ხორციელდება, თუ მენარმე (ან სხვა მფლობელი) თავისი ოფიციალური მოქმედებით დაამტკიცებს, რომ მოცემული ინფორმაციის საიდუმლო შენახვისათვის განეულია აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებების მთელი რიგი ქმედებები. TRIPLS-ის მოთხოვნების 39-ე მუხლი, რომლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოსთვისაც, ანესებს შემდეგს: ყოველმა ქვეყანამ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უნდა მისცეს შესაძლებლობა წინ აღუდგენენ კანონიერად დაქვემდებარებულ მათ კონტროლს, ინფორმაციის თანხმობის გარეშე გამუდავნებას, მიღებას ან გამოყენებას, თუ აღნიშნული ქმედებები კომერციული საქმიანობის კეთილსინდისიერ ჩვევებს ეწინააღმდეგება.

ნოუ-ჰაუს დაცვისათვის მრავალი ღონისძიებები შეიძლება იქნეს განხორციელებული. აღსანიშნავია, რომ მისი ერთ-ერთი განსაკუთრებულობა, ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით ის არის, რომ მისი დაცვის ვადა განსაზღვრული არ არის, არ მოითხოვს დაცვითუნარიანობის ოფიციალურად აღიარებას, სახელმწიფო რეგისტრაციის ან სხვა ფორმალობების შესრულებას, ნოუ-ჰაუს საიდუმლოების დაცვის არსი, ძირითადად ის არის, რომ გარკვეული პირების გარდა არავინ არ უნდა ფლობდეს ამ ინფორმაციას, რაც თავისთავად დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

საწარმოო კომერციული საიდუმლოებად ითვლება ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: ტექნოლოგიური რეგლამენტი, ინსტრუქცია, ნახაზები, ქიმიური ფორმულები, ლაბორატორიული და სხვაგვარი ცდების მონაცემები, ინფორმაცია კლიენტურის შესახებ, გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობა გამოქვეყნებამდე, სხვაგვარი ტექნიკური და კომერციული მონაცემები და სხვ.

კომერციული საიდუმლოების შენახვისათვის მრავალმხრივი ღონისძიებები უნდა იქნეს განხორციელებული. საწარმოო-კომერციულ საქმიანობაზე უფლებების დარღვევები შეიძლება გამოიწვიოს როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხის-

მგებლობა, ისე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთივე ზომები, როგორიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისას გამოიყენება.

რაც შეეხება კონტრაფაქტორის დადგენის ფაქტს მე-III თავში ჩვენ ვთქვით, რომ ამაზე ცალკე გვექნებოდა საუბარი.

კონტრაფაქტორი არის პირი, რომელიც მოქმედი კანონ-მდებლობის დარღვევის გზით იყენებს გამოგონებას, სასარგებლო მოდელს, დიზაინს, სასაქონლო ნიშანს, რის გამოც ირღვევა ავტორის (პატენტმფლობელის) უფლებები, კონტრაფაქტორი, რომელიც არასანქცირებულად ამზადებს დაპატენტებულ გამოგონებას, იყენებს და შემოაქვს იგი სამოქალაქო ბრუნვაში ან სხვაგვარად სარგებლობს ამ გამოგონებით, პასუხს აგებს ფულადი ჯარიმით და ზიანის მიყენების ანაზღაურებით, დამრღვევი მოქმედების აკრძალვით. მოქალაქის მიერ ზემოთ აღნიშნულ დარღვევათა განზრახ ჩადენას შეიძლება მოყვეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, კონტრაფაქტორი, რომელიც იყენებს დაპატენტებულ ობიექტს პატენტმფლობელის უფლების დარღვევით. ვალდებულია პატენტმფლობელის მოთხოვნით შეწყვეტოს ამ ობიექტის გამოყენება და აანაზღაუროს ზიანი.

აღნიშნული სანქციები, რომ გამოყენებული იქნეს პრაქტიკაში აუცილებელია დადგინდეს კონტრაფაქცია ანუ გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის ან სასაქონლო ნიშნის არაკანონიერი გამოყენების ფაქტი კომერციული მიზნებისათვის, რომელიც იწვევს ინტელექტუალური საკუთრების რომელიმე ობიექტის მფლობელის უფლებების ხელყოფას. აღნიშნული ფაქტის დადგენას ისევ და ისევ გამოგონების ფორმულაში ჩანერილ ნიშნებთან მივყავართ, რადგან ჩვენ ვთქვით, რომ მხოლოდ გამოგონების ფორმულას გააჩნია სამართლებრივი დატვირთვა. ამ შემთხვევაში დარღვევის ფაქტი უნდა გამოვლინდეს გამოგონების ფორმულაში ჩანერილი ნიშნების არაკეთილსინდისიერი გზით გამოყენების დადასტურების საფუძველზე. უფლებათა დარღვევის ფაქტის მტკიცე-

ბისას დაინტერესებულმა (უფლებათა მფლობელმა) ცხადად უნდა დაასაბუთოს გამოყენების ფაქტი.

თუ გადავხედავთ სადღეისოდ არსებულ სამართლებრივ ბაზას საქართველოში აღმოვაჩენთ, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთი ნორმები სხვადასხვა კანონებშია განთესილი, თუმცა მოქმედებს სპეციალური კანონი „ანტიმონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“. ასეთი ვითარება გამოწვეულია იმით, რომ რთულია შეიქმნას ერთი ამომწურავი სპეციალური აქტი, რომელიც ეკონომიკისა და მენარმეობის პრაქტიკულად ყველა სფეროს მოაწერსიგებდა.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მოქმედ დებულებებში პირდაპირ იყო განმარტებული, რომ გამოგონება დანერგილად ან გამოყენებულად ითვლებოდა თუ გამოგონების ფორმულის განსაზღვრულ და განუსაზღვრელ (შემომფარგვ-ლელ და განმასხვავებელ) ნაწილში ჩაწერილი ყველა არსებითი ნიშნები განხორციელებული იქნებოდა ობიექტში. აქ მოქმედებდა ინდენტური და ექავივალენტური ნიშნების ცნებაც. ასეთი ნიშნების არსებობა ობიექტში გამოგონებას გამოყენებულად მიიჩნევდა. რატომ ვახსენებთ ჩვენ გამოგონების ფორმულის შემომფარგვლელ და განმასხვავებელ ნაწილს და რატომ უკავშირებთ მას გამოგონების გამოყენების ფაქტის დადგენას? იმიტომ, რომ შემომფარგვლელ ნაწილში ჩაწერილი ნიშანი (ნიშნები) გამოგონების ავტორის გამოგონებას არ განეკუთვნება, რადგან იგი ცნობილი ნიშნებია და გამომგონებლის შემოქმედებითი შრომის შედეგს არ წარმოადგენს. ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგს განეკუთვნება მხოლოდ გამოგონების ფორმულის განმასხვავებელ ნაწილში ჩაწერილი ნიშნები, რომელიც უშუალოდ კავშირშია გამომგონებლის მიერ მიღწეული ტექანიკურ შედეგთან. სწორედ ეს ტექნიკური შედეგი აინტერესებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ჩამდენს, იგი მას ვერ მიიღებს თუ არ გამოიყენა გამოგონების ფორმულის მეორე ანუ განმასხვავებელ ნაწილში ჩაწერილი ძირთადი ნიშნები. აქედან გამომდინარე, კონკრეტულად უნდა განისაზღვროს, გამოყენების ფაქტის

დადგენის შემთხვევაში აუცილებელია თუ არა ობიექტში განხორციელებული იყოს გამოგონების ფორმულის ორთავე ნაწილში ჩაწერილი ნიშნების არსებობა თუ არა? ეს ისეთი საკითხებია, რომ ჯერ კიდევ მოითხოვს კონკრეტულ განმარტებებს.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი კონტრაფაქტია საპატენტო სალიცენზიონ საქმი-ანობაში არც არსებობდა, რადგან იგი თითოეულ დანერგილ ანუ გამოყენებულ თავის გამოგონებაზე გასამრჯელოს ღებულობდა. თუ გამოყენების ფაქტი არ დადასტურდებოდა გამომგონებელი ანუ ავტორი (ავტორები) ვერავითარ გასამრჯელოს ვერ მიიღებდა. დღეისათვის კი ასეთი ქმედება მესამე პირისაგან უფლების მოპოვების გარეშე კონტრაფაქტ-ფორად განიხილება და ისჯება ასეთი ქმედებისათვის, ჩვენ ეს შედარება იმისათვის გავაკეთეთ, რომ პირველ რიგში გამოყენების ფაქტის დადგენის განსაზღვრაა აუცილებელი. აქედან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა დღევანდელ საპატენტო კანონქვემდებარე აქტებში უფრო კონკრეტულად განმარტებულიყო გამოგონების გამოყენების ფაქტის დადგენის საკითხები. რადგან მხოლოდ ასეთი ფაქტის დადგენის შემდგომ წარმოიშვება პასუხისმგებლობის საკითხები დამრღვევ პირთა მიმართ.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი გამოგონების მოტყუების გზით განხორციელება, ან იმ პირის მიერ ვინც ფლობს ინფორმაციას ასეთი გამოგონების შესახებ (მაგალითად, განაცხადის განხილვის დროს) სხვა პირისათვის გადაცემა და მონაწილეობა გამოგონების პრაქტიკულ რეალიზაციაში. სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განევა სახეზეა სხვა საქვეყნოდ ცნობილი ნიშნის რეპუტაციით სარგებლობისას. ასევე განიხილება დიზაინების მიმსგავსება და უკვე დამკვიდრებული დიზაინების რეპუტაციით სარგებლობა საკუთარი კომერციული ინტერესებისათვის.

და ბოლოს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ჩამდენი პირი ცდილობს მოატყუოს მომხამარებელი, რომლის

განწყობაზეც არ არის დამოკიდებული საქმიანობის განვითარება. მაგრამ, ეკონომიკა ვერ იქნება დამოკიდებული იმაზე, გაერკვა თუ არა მომხმარებელი მენარმის კეთილსინდისიერებაში. ეკონომიკის აღმავალი განვითარებისათვის საჭიროა მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა.

## **§11. საპატენტო სასამართლოს როლი და მიზანები**

დღეისათვის საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიდან გამომდინარე, უფლება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განეკუთვნება განსაკუთრებულ სამოქალაქო უფლებას, რომელიც უზრუნველყოფილია სწორი სამართლით, რომელიც ხორციელდება მხოლოდ სასამართლო პროცესით. თუ მის ეფექტურობას შევაფასებთ ისეთი კრიტერიუმებით, როგორიც არის სასამართლომდე მიღწევა, სამართლის გარჩევის სისწრაფე სამართლიანად, შეიძლება ითქვას, რომ არსებული სასამართლო სისტემები მომავალში სათანადო დონეზე ვერ უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დაცვას. დღეისათვის საქმეების განხილვა რომელიც ეხება ინტელექტუალურ საკუთრებას, განეკუთვნება ისეთი მოქმედი კანონმდებლობის კომპეტენციას, როგორიც არის სამართლის საერთო იურისდიქცია, ასევე საარბიტრაჟო სასამართლო. განცალკევება მიმდინარეობს მხოლოდ პროცესში მონაწილე სუბიექტების შემადგენლობას შორის. ამიტომ სასამართლოებს შორის არ არის ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის ნორმების ირგვლივ კამათის დროს ერთიანი მიდგომა. გარდა ამისა, საქმეების განსაზღვრული ნაწილი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საუნიკატო შორისობას და ენინააღმდეგება იმ სამეცნიერო დოქტრინას და კონცეფციას შეიქმნას მსოფლიო იუსტიცია, რომელიც მიმართულია:

- მოაწესრიგოს საყოფაცხოვრებო ხასიათის ოჯახური კომფლიქტები;
- გადაწყვიტოს მცირე ქონებრივი დავები;
- მიისწრაფვის მშვიდობიანი გარიგებისაკენ მოდავეებს შორის ურთიერთდათმობისაკენ.
- გადაწყვიტოს საკითხები სასამართლოს მიერ გამოტანილი ბრძანებების საფუძველზე და სხვ., რომელიც ფაქტობრივად რთული გასარჩევი არ არის სასამართლოში მომუშავე პირებისათვის.

საქმე კი, რომელიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების დაცვას არ შეიძლება განეკუთვნებოდეს საქმეების გარჩევის ასეთ კატეგორიას.

შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე, ისიც რომ ყველა დონის უმრავლესი მოსამართლის და იურისდიქციის კვალიფიკაცია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში დღეისათვის საგრძნობლად დაბალია. საქმე, რომელიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, საგრძნობლად რთულია და სპეციფიკური. მისიათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მისი სწორი და სამართლიანი გარჩევა აუცილებელია სპეციალური იურიდიული და ტექნიკური ცოდნის კომპლექსი. ამასთან ერთად, თვითონ სამართლებრივი დაცვის ობიექტი — როგორიც არის განსაკუთრებული უფლება — წარმოადგენს უფლების განსაკუთრებულ სახეობას (*sui generis*), რომელიც საფუძვლად უდევს უფლებების სახეობების გამიჯვნას ერთმანეთისაგან. ეს კი მოითხოვს მოსამართლის სპეციფიკური იურიდიული ცოდნის აუცილებლობას, რომელიც გადის საერთო სამართალმცოდნეობის კურსის ჩარჩოდან, რომელსაც ფლობენ პროფესიონალი იურისტები. სხვანაირად რომ გამოვხატოთ საქმე ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ეს არის — “უმაღლესი მათემატიკა სამართალში”.

აღნიშნულიდან გამომდინარე უკანასკნელ დროს მსოფლიოში შესამჩნევად გააქტიურდა ღონისძიებები, რომელიც მიმართულია ამაღლდეს პროფესიონალური მოსამართლეების მომზადება ხალხის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის დაცვის სფეროში. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იქნებოდა ისიც, რომ საქართველოში აბსოლუტურად ყველა მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც იურიდიულ ასევე ტექნიკური განხრის ფაკულტეტებზე ისწავლებოდეს საგანი პატენტმცოდნეობა, რომელიც თავისთავად მოიცავს, ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად, ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებების გამოვლენისა და გაფორმების, საპატენტო ინფორმაციის, საპატენტო ექსპერტიზის, საპატენტო ეკონომიკისა და საპატენტო სამართლის საკითხებს.

დღეისათვის მაგალითად რუსეთის სასამართლო აკადემიაში მოსამართლები გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს. ჩამოყალიბებულია ინტელექტუალური საკუთრების, სასამართლოთი დაცვის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების სპეციალიზირებული ლაბორატორია და სხვ.

არაკომპეტენტური მოსამართლეების მხრიდან, რომელიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ობიექტებს, შეიმჩნევა პროცესების გაჭიანურება. ასეთი სამართალწარმოება მეურნეობის სუბიექტების საქმიანობას შეიძლება შემოუბრუნდეს კოლოსალური დანაკარგებით და უკარგავს ინტერესს ახალი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შექმნას. თანამედროვე მსოფლიო, ეკონომიკის წარმოების მატერიალურ კომპლექსში, წილი მატერიალურ აქტივებზე, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებით, შეადგენს 50%-ზე მეტს (განვითარებულ ქვეყნებში ეს მონაცემები, როგორც წესი 60-70% უდრის). ამიტომ ასეთი შემადგენლობრივი ქონების სუსტ დაცვას შეუძლია გამოიწვიოს ქვეყნის საინვესტიციო ეკონომიკის მიმზიდველობის საგრძნობი დაცემა, განწყვიტოს მისი კონკურენტუნარიანობა.

ამგვარი პრობლემების გადაწყვეტამ, სამართალწარმოების ეფექტიანობის ამაღლებამ ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის გამოყენების სფეროში, ხელი უნდა შეუწყოს სპეციალიზირებული საპატენტო იუსტიციის სისტემის შექმნას. სასამართლო რეფორმის დამტუშავებლები პირდაპირ მიუთითებენ, რომ “სპეციალიზირებული სასამართლოები იძლევა დამატებით გარანტიებს სამართლიან სამართალწარმოებაში”, ამას მოწმობს საზღვარგარეთის გამოცდილება, რომელიც დაფუძნებულია სასამართლო წესრიგის ადმინისტრაციულ შეთანაწყობაზე. კამათისა და ჩივილების გარჩევის სპეციალური მოდელი, რომელიც ეხება გამოგონების დაპატენტებას, პატენტების უფლებებსა და უპირატესობების გარანტიების განხორციელებას, საერთოდ მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში.

სპეციალიზირებული საპატენტო იუსტიციის დაწესებულებებმა, რომელიც შეიქმნა ახლახანს საზღვარგარეთ, პრაქტი-

კულად დაადასტურა თავისი აუცილებლობა და სარგებლიანობა სამართალ-ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურულ საინსტიტუციო ინფრასტრუქტურაში. მათ გამოამჟღავნეს საკომარისი ეფექტურობა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კომფლიქტების გადაწყვეტის სფეროში, მოკამათე მხარეებისა და საერთო სახალხო ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით და შესაბამისად საინოვაციო ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფაში.

სპეციალურ საპატენტო სასამართლოს ტიპიურ მოდელს იყენებს ავსტრია, გერმანია, შვეცია, ამერიკის შეერთებული შტატები. საპატენტო სასამართლო შეიქმნა და მოქმედებს დიდ ბრიტანეთში, ტაილანდში, ტაივანში და ფილიპინებზე, ხოლო ეხლახანს კორეაში. იაპონიაში უკვე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია შეიქმნას ინტელექტუალური საკუთრების სასამართლო, რომელიც დაექვემდებარება უმაღლეს სასამართლოს. ევროპული საზოგადოების დონეზე მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას საპატენტო სასამართლოების თანა-საზოგადოება, რომელიც, როგორც იგეგმებოდა მისი ფუნქციონირება უნდა დაწყებულიყო 2010 წლიდან.

საპატენტო სასამართლოების შექმნა სხვადასხვა ქვეყნებში ნაკარნახევია და გამომდინარეობს საერთო მსოფლიო ტენდენციიდან, ნაციონალური კანონმდებლობის უნიფიცირებიდან, ინტელექტუალური საკუთრების დარგში მიაღწიონ ერთიანი მიდგომის აუცილებლობას სამართალწარმოების სფეროში ნაციონალური სასამართლო სისტემების დაახლოების გზით. ეს თავის მხრივ განპირობებულია მსოფლიო-სამეურნეო კავშირების გლობალური პროცესებიდან გამომდინარე და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენების ტრანსნაციონალური თვისებებიდან გამომდინარე.

ისეთი საქმეების სამართალწარმოების ეფექტური უზრუნველყოფა, რომელიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან, ერთადერთი მნიშვნელოვანი პირობაა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში მყოფ ქვეყნებისათვის: დღეისათვის ეკონომიკური სანქციები ამ პირობების

შეუსრულებლობისათვის უკვე სამჯერ იქნა გამოყენებული ისეთი ქვეყნების მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრების მიმართ, როგორიც არის: დანია, ირლანდია და საბერძნეთი.

რაც შეეხება საპატენტო სასამართლოს უფლებამოსილებას, მსოფლიო პრაქტიკა ასეთი სასამართლოების ფუნქციონირებისას ადასტურებს იმას, რომ ისინი არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ საპატენტო გარჩევებით. მათ კომპეტენციას მიზანშეწონილია განეკუთვნებოდეს ყველა სახის დავების გადაწყვეტა, რომელიც წარმოიქმნება საერთოდ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე ტერმინი “საპატენტო” აღნიშნული სასამართლოების მიმართ პირობითა. სწორი იქნებოდა დავარკვათ მას “ინტელექტუალური საკუთრების სასამართლო”.

საზღვარგარეთის გამოცდილება მოწმობს, რომ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შექმნილ სპეციალიზირებულ სასამართლოებს მოაქვს შემდეგი დადებითი მომენტები:

- შესწევს უნარი აამაღლოს სამართალწარმოების ეფექტიანობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში;
- შესწევს უნარი უზრუნველყოს ერთიანი მიდგომა სამართალწარმოების პრაქტიკაში, აღმოფხვრას სხვადასხვანირი მიდგომა საკანონმდებლო აქტების მიხედვით კამათის პროცესში, აამაღლოს განსახილველი სფეროს კანონიერების დონე;

- ამაღლებს მოქალაქეებისა და იურიდიული პირების დაცვის ხარისხობრივ დონეს;

- ემსახურება სამეცნიერო-ტექნიკური მოღვაწეობის სტიმულირებას ქვეყანაში;

- დადებითად მოქმედებს ეკონომიკის საინვესტიციო მიმზიდველობაზე;

- ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ეკონომიკაში;

- იძლევა საშუალებას საერთაშორისო მასშტაბით მოახდინოს უფლებამოსილებათა პრაქტიკის უნიფიცირება და მიუახლოვოს იგი სამართალწარმოების საერთაშორისო

სტანდარტებს, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში;

- დადებითად მოქმედებს ისეთი საკითხების მოლაპარაკების პროცესზე, რომელიც ეხება საერთაშორისო საგაჭრო ორგანიზაციაში განევრიანების საკითხებს, და იძლევა საშუალებას ავიკიდინოთ ეკონომიკური სანქციები არაეფექტური სამართალნარმოებისათვის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.

ინტელექტუალური საკუთრების სპეციალიზირებული სასამართლოებისთვის შეძლება გადაცემულიყო ინტელექტუალური საკითხების სფეროს ყველა სახის საქმეები რომელიც განეკუთვნება მოქმედ კანონმდებლობებს, კერძოდ: საპატენტო კანონს, კანონს დიზაინის შესახებ, კანონს სასაქონლო ნიშნების შესახებ, კანონს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, კანონს საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, კანონს ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ და კანონს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ლონისძიებათა შესახებ.

ყველა სახის საქმეების ერთიანობა, რომელიც მიზანშეწონილია გადაცეს ინტელექტუალური საკუთრების სასამართლოს, შეიძლება პირობითად გავყოთ ორ ჯგუფად:

ა) საქმე, რომელიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების უფლებრივ დაცვას და საპატენტო უწყების გადაწყვეტილებებს და საერთო მოქმედებას ასეთი დაცვების მიმართ (ანდა უარყოფას).

ბ) საქმე, რომელიც აღიძვრება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენების საფუძველზე, უფლებამფლობელების მიერ განსაკუთრებული უფლების განხორციელების ანდა მათი დარღვევების საფუძველზე.

აღნიშნულიდან, პირველი ჯგუფის საქმეებისათვის (რომელიც ეხება სამრეწველო საკუთრების ობიექტებს) დღეისათვის არსებობს აუცილებლობის პირობა, დავიცვათ სასამართლოს-წინა გადაწყვეტილებათა წესრიგი, რომელიც იხილავს

საპატენტო დავებს. სადაც გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გაჭიანურდეს ერთი წელიც კი (აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საპატენტო უწყება დაინტერესებული პირია).

აღნიშნულთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გაუქმდეს სასამართლოს წინა გადაწყვეტილებათა წესრიგი და დადგინდეს ალტერნატიული წესრიგი. პიროვნებას შეეძლება აირჩიოს, მიმართოს თავისი უფლებების დაცვისათვის ადმინისტრაციულ თუ სასამართლოს წესებს, რადგან ადმინისტრაციული ანუ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ისედაც აქვს პიროვნებას გაასაჩივროს იგი სასამართლოში.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის საქმეებს, რომელიც ეხება განსაკუთრებული უფლების დარღვევას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის განხორციელების და გამოყენების შესახებ კამათს, უნდა შედიოდეს სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციაში.

### **11.1. ამერიკის სასამართლო პრაქტიკა პატენტის დარღვევის განხილვის დროს.**

ამერიკის საპატენტო-სამართლის დოქტრინის შესაბამისად პატენტმფლობელის დასაცავი მოცულობა ანუ საპატენტო მონოპოლიის ზღვარი, განისაზღვრება გამოგონების ფორმულით. საკითხი საპატენტო მონოპოლიის საზღვრების შესახებ აღიძვრება ძალიან ხშირად.

პატენტმფლობელი ამტკიცებს კონტრაფაქციულ მოქმედებას და ეყრდნობა საპატენტო ფორმულის დარღვევას. დამრღვევი თავის მხრივ, ცდილობს დაამტკიცოს პატენტის მფლობელობის არასამართლიანობა. ყველა შემთხვევაში დამრღვევის კლასიფიკაციის მოქმედების დადგენისათვის მოსამართლე აუცილებლად უნდა გაერკვეს საპატენტო ფორმულის მოქმედების სფეროში, ტექნიკის წინამორბედი დონის გათვალისწინებით.

ფორმულის ასეთ სფეროდ იგულისხმება ის ზღვარი, რომლითაც შემოფარგლულია პატენტმფლობელის საპატენტო მონოპოლია. პატენტი იცავს მხოლოდ იმ გამოგონებას, რომელიც ხვდება ერთი ან რამდენიმე პუნქტიანი ფორმულის მოქმედების სფეროში. ფორმულის პუნქტები ვრცელდება ყველანაირ ობიექტში, რომელსაც შეიცავს თითოეული ელემენტი, რომელიც მოხსენებულია ამ პუნქტში, და არა იმ ობიექტს სადაც არ არის ეს ელემენტები, რომელიც მოხსენებულია ამ ფორმულის პუნქტში. ობიექტი ხვდება საპატენტო ფორმულის პუნქტში იმ შემთხვევაშიც, როცა ის გაუმჯობესებულია ან წარმოადგენს გამოგონების კომბინაციის ნაწილს.

ამერიკულ სასამართლოს, პატენტის დარღვევის განხილვისას არა აქვს უფლება გააფართოვოს ან შეზღუდოს საპატენტო ფორმულა თავისი შეხედულებისამებრ. მაგრამ მათ აქვთ უფლება იკამათოს გამოგონების აღწერილობიდან და ნახაზებიდან გამომდინარე, აგრეთვე წინამორბედი ტექნიკური დონის მდგომარეობიდან გამომდინარე, რათა სწორად დადგინდეს ფორმულის მნიშვნელობა. ფორმულის ირგვლივ კამათი მხოლოდ იმ ჩარჩოში როგორც გადმოცემულია ფორმულაში თითოეული სიტყვის მიხედვით არ არის საკმარისი საპატენტო მონოპოლიის ფარგლების განსაზღვრისათვის, როცა განიცილება პატენტის დამრღვევთა საკითხი.

საერთო წესის მიხედვით, საპატენტო ფორმულა ითვლება დარღვეულად, თუ სანინაალმდეგო ობიექტი თავის მხრივ შეიცავს მის ელემენტებს. უბრალო გადანაცვლება ელემენტებისა საპირისპირო ობიექტში არ აუქმებს პატენტის დარღვევის ფაქტს. ზოგჯერ ხდება ისეთი ვითარება, რომ შეიძლება ორი მოწყობილობის ფუნქცია იყოს იდენტური, ხოლო მისი განხორციელების საშუალება იყოს სხვადასხვა და არა ექვივალენტური, რაც არ ითვლება პატენტის დარღვევად.

ამასთან, დამოუკიდებლად იმისა, როგორი ფართოც არ უნდა იყოს გამოგონების ფორმულა თითოეული სიტყვა-სიტყვითი კამათის დროს, მას შეუძლია მოიცვას მხოლოდ ის

საგანი, რომელიც აღწერა პატენტმფლობელმა, აგრეთვე მისი ექვივალენტები.

გამოგონების ფორმულა არ უნდა ენინააღმდეგებოდეს აღწერილობას. წინააღმდეგ შემთხვევაში აღწერილობის საფუძველზე მასში შეაქვთ ზღვარი, და საპირისპირო ობიექტი ჩაითვლება არადარღვეულად. მაშ ასე, მოსამართლე ზღვარს ავლებს გამოგონების ფორმულას იმ შემთხვევაში თუ აღწერილობაში მითითებულია მხოლოდ ერთი კონკრეტული ელემენტი, რომელიც მითითებული აქვს პატენტმფლობელს. მაგალითისათვის ავიღოთ ელემენტის კონუსური ფორმა, რომელიც ჩაწერილია გამოგონების ფორმულაში და აღწერილობაც ადასტურებს მხოლოდ კონუსურ ფორმას რომელიც მიუთითა პატენტმფლობელმა, ამ შემთხვევაში აღნიშნული ფორმულა არ ჩაითვლება დარღვეულად, თუ საპირისპირო მოწყობილობის ელემენტი სხვა ფორმისაა, მიუხედავად იმისა თუ იგივე ფუნქციონალურ დანიშნულებას ასრულებს იგივე შედეგით.

ხშირად გამოგონების რომელიმე ელემენტი, რომელიც განხილულია აღწერილობაში მაგრამ არ არის მითითებული ფორმულაში, წარმოადგენს გამოგონების ძირითად ნაწილს. ასეთ შემთხვევაში გამოგონების ფორმულა შეიძლება სიტყვა-სიტყვით დაემთხვეს საპირისპირო ობიექტის ნიშნებს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში მხედველობაში იღებს ელემენტებსაც რომელიც მითითებულია აღწერილობაში მაინც დარღვევა არ არსებობს, რადგან საპირისპირო ობიექტი არ შეიცავს საკამათო ელემენტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ფორმულა არ შეიძლება იყოს ისეთი ფართო, ვიდრე ეს ნამდვილი გამოგონებაა, მიუხედავად იმისა როგორი სიფართოვითაც არ უნდა იყოს იგი გადმოცემული.

ამერიკის სასამართლო პრაქტიკა პატენტის დარღვევის საქმეების განხილვის დროს დიდი ხანია იცავს წესებს, რომლის მიხედვითაც “თუ ორი მოწყობილობა ასრულებს ერთი და იგივე სამუშაოს ძირითადად ერთი და იგივე წესით ფაქტიურად ერთი

და იგივე შედეგის მისაღწევად, მაშინ ეს მოწყობილობები წარმოადგენს „ექვივალენტურს“. ობიექტების ექვივალენტურობის განსაზღვრისას, ერთნაირი ობიექტები სხვასთან შედარებით, შეიძლება არ იყოს ერთმანეთის მიმართ ექვივალენტური. ზუსტად ასევე ობიექტები, რომლებიც განსხვავდებიან გამოყენების მიზნით, შეიძლება ზოგჯერ იყოს ერთმანეთის მიმართ ექვივალენტურები.

ექვივალენტობის თეორია ასრულებს განსაკუთრებულ როლს პატენტის დარღვევის საქმეების განხილვის დროს. საპატენტო მონოპოლიის საზღვრის დადგენისას ის შეიძლება გამოყენებული იქნეს ფორმულის როგორც გასაფართოვებლად ასევე შესაკვეცად. ექვივალენტობის თეორიის თანახმად, გამოგონების ფორმულა შეიძლება დაირღვეს იმ შემთხვევაშიც, თუ საპირისპირო ობიექტი არ შეიცავს მის თითოეულ ელემენტს. საკმარისია იგი შეიცავდეს ფორმულის ექვივალენტურ ელემენტებს.

ექვივალენტური წესების გამოყენებას გააჩნია განსაზღვრული ზღვარი. როგორც ამბობენ, „ფორმულის პუნქტები ეს არ არის საძერწი ცხვირი, რომელიც შეიძლება შემოაბრუნო რომელ მხარესაც გინდა...., იმისათვის, რომ შეიტანო ფორმულაში რაც შეიძლება მეტი ან საუკეთესო იმასთან შედარებით, რაც გადმოცემულია მასში ენით“. სხვა სიტყვებით, ფორმულას არ შეუძლია მოიცვას ის, რომელიც არ წარმოადგენს გამოგონების იდეას. გარდა ამისა, ექვივალენტობის თეორია არასდროს არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ მიზნით, რომ ფორმულიდან სრულიად ამოგდებული იქნეს რომელიმე ელემენტი. იგი გამოუყენებადია ფორმულის ისეთი პუნქტებისათვის, რომელიც გამოგონების „გულს“ წარმოადგენს. ასეთი პუნქტები ითვლება გამოგონების განმსაზღვრელად, რომელიც განასხვავებს მას უკვე ცნობილი ტექნიკის დონიდან.

ამერიკული საპატენტო-სამართლის ლიტერატურიდან გამომდინარე არ არის ერთიანი აზრი იმაზე, თუ რომელ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული ექვივალენტობის თეორია. სასამართლო პრაქტიკა გამომდინარეობს საქმის

კონკრეტული ვითარებიდან (არსებული ტექნიკის დარგში გამოგონებების რაოდენობიდან, გამოგონების კონკრეტული არსიდან, მისი ღირებულებიდან, კომერციული მიღწევებიდან და ა.შ.). აღნიშნული ვითარებებიდან გამომდინარე მოსამართლები ექვივალენტობის საკითხში ხშირად მიმართავენ საპატენტო ფორმულის ზღვარის შეზღუდვას და იყენებენ ასეთ წესებს რათა შეზღუდონ საპატენტო მონოპოლია. “ასეთი დოქტრინის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ გამოიყენება პატენტ-მფლობელის სასარგებლოდ, ხშირად იგი მისი საწინააღმდეგოც კი არის”.

როცა ექვივალენტობის თეორია გამოიყენება საპატენტო მონოპოლიის გასაფართოებლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოგონების ღირებულებას. თუ გამოგონება “პიონერულია” ექვივალენტობის წრე იქნება საგრძნობლად ფართო. პიონერობის ქვეშ იგულისხმება გამოგონება ისეთი სიახლით და მნიშვნელობით, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს “პროგრესში ძირითად ნაბიჯს, რითაც განსხვავდება უკვე შექმნილი გამოგონების გაუმჯობესებისაგან”. ექვივალენტობის წრე ვიწროა, როცა გამოგონება არ არის მნიშვნელოვანი კონკრეტული ტექნიკის დარგისთვის ანდა დაცულია მხოლოდ ქალალდის პატენტით ე.ი. არ გამოიყენება. საპატენტო მონოპოლიის გაფართოება კი, როცა არ არსებობს დაპატენტებული გამოგონების ფორმულის ელემენტებზე, სხვა ობიექტის ელემენტების დაპირისპირება, ექვივალენტობის დოქტრინის შესაბამისად ჩვეულებრივი მოვლენაა, ეს ის შემთხვევაა, როცა დაცულია მნიშვნელოვნად ღირებული გამოგონება.

ექვივალენტობის თეორია გამოიყენება ყველა სახის გამოგონების მიმართ, მხოლოდ განსხვავებული მასშტაბით. კერძოდ, როცა საქმე ეხება კომპინაციურ გამოგონებას, მაშინ არ არსებობს დაპატენტებული გამოგონების ელემენტები დაპირისპირებულ ობიექტში, როცა არ არსებობს ასეთი ელემენტების ექვივალენტები, აღმოფხვრილია კომპინაციური პატენტების დარღვევის ფაქტი. თითოეული კომპინაციის ელემენტები აუცილებელია და უნდა იმყოფებოდეს

დაპირისპირებულ ობიექტში დარღვევის ფაქტის მისაგნებად. ექვივალენტობა განისაზღვრება თითოეული კომბინაციური ელემენტების შედარების საფუძველზე. აქედან გამომდინარე საპატენტო მონოპოლიის გაფართოება კომბინაციური გამოგონების შემთხვევაში გაძნელებულია.

მცდელობა იმის, რომ პატენტის გვერდის ავლა განახორციელო იმით, რომ ობიექტს მიანიჭო დამატებითი თვისება გამოგონების ძირითადი იდეის სანაცვლოდ, ასეთი ობიექტი ვერ გამოვა ექვივალენტობის დოქტრინის მოქმედებიდან და შესაბამისად ვერ აღმოფხვრის დარღვევის ფაქტს.

ობიექტების ექვივალენტურობა არ არსებობს, სადაც არ არის საშუალებისა და მეთოდის დამთხვევა გამოგონების მიზნის მისაღწევად, როცა არსებობს განსხვავება მოწყობილობის სტრუქტურაში. მიღებული შედეგის იდენტურობა არ ადასტურებს პატენტის დარღვევის ფაქტს, რადგანაც მოთხოვნა არის ფუნქციის იდენტურობაზე, საშუალებაზე შედეგის მისაღწევად და თვითონ შედეგზე. მხოლოდ ამ სამი პირობის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ობიექტი მიჩნეული იქნეს ექვივალენტურებად და დაპატენტებული ნაკეთობა დარღვეულად.

ექვივალენტობის წესების გამოყენების ზღვარს წარმოადგენს შემოფარგვლის დოქტრინა, რომელიც გამომდინარეობს განაცხადის მასალებიდან (file Wrapper). ასე, რომ თუ პატენტმფლობელს განაცხადის განხილვის დროს საპატენტო უწყებაში უარი უთხრეს პატენტის ნაწილის ელემენტზე, ის არ შეიძლება დაეყრდნოს მას პატენტის დარღვევის საქმეში და გააკეთოს მინიშნება მასზე ექვივალენტობის დოქტრინიდან გამომდინარე. ითვლება, რომ დაპატენტებული ობიექტი მოიცავს ყველა ობიექტს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მისი ექვივალენტური, იმ ელემენტების გამოკლებით რომელზედაც უარი თქვა საპატენტო უწყებამ, რადგანაც სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ექვივალენტობის წესების დაცვისათვის გამოიყენება მხოლოდ საგანაცხადო დოკუმენტაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე საგანაცხადო მასალების

ტექნიკური გადაწყვეტილების არსის შესწავლა მნიშვნელოვანი ფაქტორია პატენტების დარღვევის საქმეების განხილვის დროს.

საერთოდ განაცხადის მასალები გვიჩვენებს, რომ მაძიებელი, ექსპერტის მოთხოვნებიდან გამომდინარე ცვლის თავისი გამოგონების ფორმულას და საზღვრავს მას რათა როგორმე აიღოს პატენტი და გვერდი აუაროს პროტოტიპს.

პატენტის დარღვევის სასამართლო პროცესების დროს მოპასუხეს აქვს უფლება დასაცავ არგუმენტად გააკეთოს მინი-შენება მაძიებლის პატენტის არაქმედითუნარიანობაზე. პატენტის არაქმედითუნარიანობის დამტკიცება აკისრია მოპასუხეს.

პატენტის არამოქმედუნარიანობის საკითხი აღიძვრება ძალიან ხშირად, რადგან უმოქმედო პატენტი არ შეიძლება იქნეს დარღვეული. ასეთი საკითხის განხილვის დროს, მოსამართლე ან ტოვებს ფორმულას ისეთივე სახით, როგორი ფორმულირებითაც იყო იგი საპატენტო უწყების მიერ, ან განსაზღვრავს მას. გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს საქმის კონკრეტული მდგომარეობა.

პატენტმფლობელს არ უნდა ქონდეს იმედი, რომ სასამართლო ზოგიერთი ელემენტის მიმართ გააკეთებს განსაზღვრებას ფორმულაში, რათა აღიარებულ იქნეს მისი პატენტუნარიანობა, თუ ეს ელემენტები არ არის მითითებული აღწერილობაში და ნახაზზე. გარდა ამისა სასამართლოს შეუძლია არ გააკეთოს განსაზღვრება ზოგიერთი ელემენტების მიმართ ფორმულაში, თუ აღწერილობაში არაფერია ნათესავამი ამ ელემენტების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. გასაგებია აგრეთვე, რომ პატენტმფლობელს არა აქვს უფლება თავისი ფორმულის ირგვლივ გაფართოვებულად იკამათოს იმ მიზნით რათა ამტკიცოს მისი დარღვევა ან/და იკამათოს მისი ფორმულის სივიწროვეზე, წინამორბედი გამოგონების გვერდის ავლით.

ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო სიამოვნებით საზღვრავს ფორმულას იმ მიზნით, რომ შენარჩუნებულ იქნეს მისი ქმედითუნარიანობა. ეს ხდება მაშინ, როცა განსაზღვრული ფორმულა არ არის დარღვეული საწინააღმდეგო ობიექტის

მიერ. თუ აუცილებელია შენარჩუნდეს პატენტის ქმედით-უნარიანობა, მოსამართლეები სიამოვნებით მსჯელობენ ფორმულის ნიშნების ფართოდ შემოფარგვლაზე გამოგონების აღწერილობის გათვალისწინებით. ძირითადად ასეთი მსჯელობა კეთდება წინიანი ანუ მნიშვნელოვანი გამოგონების ფორმულის მიმართ, რომელსაც ძირითადი წვლილი შეაქვს ტექნიკის განვითარებაში.

არის პრეცენდენტები, რომ აღიარებულ იქნა გამოგონების ფორმულა, როგორც მოქმედების უნარის მქონედ, მაგრამ არა დარღვეულად.

ზოგიერთ შემთხვევაში ფორმულის მოქმედების სფეროს განსაზღვრისათვის ეყრდნობიან მის დამატებით პუნქტებს და არა აღწერილობას და ნახაზებს. ამერიკის სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მოსამართლემ არ შემოსაზღვრა გამოგონების ფორმულა აღწერილობიდან გამომდინარე, რადგან მასში არ იყო გამოსახული “არსი როგორც აღწერილი”.

ერთი სიტყვით, როდესაც წყდება საკითხი პატენტის ქმედითუნარიანობაზე თუ დარღვევაზე, მოსამართლეები მსჯელობენ პატენტის ფორმულაზე ასო-ასო, ხელმძღვანელობენ მისი შინაარსით, ან გამოგონების აღწერილობის და ნახაზების გათვალისწინებით, ტექნიკის დონით და დაპირისპირებული ობიექტით. როცა წყდება დარღვევის საკითხი, მოსამართლეები მსჯელობენ ფორმულაზე, სწავლობენ პრობლემის არსა. როცა იხილება პატენტის ქმედით-უნარიანობის საკითხი, მოსამართლეები, როგორც წესი მსჯელობენ ფორმულის ირგვლივ სიტყვა-სიტყვობით, შემცვლელ ზღვარზე როგორც იგია გადმოცემული.

აქედლან გამომდინარე, საპატენტო ფორმულაზე მსჯელობის დროს ამერიკა მთლიანად დამოკიდებულია მოსამართლის პატენტმცოდნეობაზე და მის შეხედულებაზე, კამათი შემოფარგლულია განსაზღვრული ჩარჩოთი, მაგრამ ფორმულის ექვივალენტობის ფართო გათვალისწინებით. მეორეს მხრივ, იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლეები ვერ პოულობენ დასაყრდენს გააფართოვონ პატენტის მონოპოლია, ისინი ჩვეულებ-

რივად შემოფარგლავენ მის ზღვარს აღწერილობის და ნახა-ზების ჩარჩოებზე დაყრდნობით. კამათის ზღვარი დამოკიდებულია იმაზე, დარღვევის საკითხი წყდება თუ პატენტის ქმედითუნარიანობის საკითხი.

ყველაფერი ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენის აზრით ნაშრომში დასაბუთებულად გამოიკვეთა საპატენტო სასამართლოების როლი და მნიშვნელობა საპატენტო საქმიანობაში, აგრეთვე თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ექვივალენტობის თეორიას ექსპერტის და პატენტების დარღვევის განხილვის დროს. აღნიშნულის ფონზე დასანარია ის ფაქტი, რომ საქართველოს საპატენტო კანონი და არც კანონქვემდებარე აქტები არ განმარტავს თუ რას წარმოადგენს ექვივალენტობის თეორია.

## **ქ12. ავტორის მოსაზრებები, საავტორო მონოგრაფიასთან, ეპიდემიულ ციტოლოგიასთან, სააკელაციო პალატასთან და ჰასტეროლოგიასთან დაკავშირებით**

როგორც ცნობილია, ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს გამოგონებებზე, გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ გაიცემოდა ისეთი დამცავი დოკუმენტი, როგორიცაა “საავტორო მონმობა” და “პატენტი”, იმისდა მიხედვით, თუ განცხადების საფუძველზე, რომელ დამცავ დოკუმენტს ითხოვდა ავტორი (ავტორები). აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში, როგორც სოციალისტური წყობის ქვეყანა, დომინირებდა ისეთი დამცავი დოკუმენტის მოთხოვნა, რომელიც უკეთ შეესაბამებოდა სოციალისტური წყობის წესებს, ეს იყო “საავტორო მონმობა”, რომელიც არ იყო შემოფარგლული დროით და მოქმედებდა განუსაზღვრელი დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. საავტორო მონმობის აღებაზე ავტორებს არ უხდებოდათ არავითარი საფასურების გადახდა. საავტორო მონმობის განსაზღვრება იყო შემდეგი, რომ იგი წარმოადგენდა იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევდა ავტორებს, რომ ტექნიკური გადაწყვეტილება ანუ გამოგონება მათ ეკუთვნოდათ, ხოლო მისი გაკეთება, ექსპერიმენტული ცდების ჩატარება, სერიაში გაშვება და მოგება მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ განსაკუთრებული უფლება სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ავტორებს შეეძლოთ მიეღოთ გასამრჯელო ეკუნომიდან ორ-ორი პროცენტი ხუთი წლის განმავლობაში თითო საავტორო მონმობაზე არა უმეტეს ოცი ათასი მანეთისა. რაც შეეხება “პატენტს”, მასზედ მოთხოვნა ნაკლებად იყო, რადგან ის, როგორც იურიდიული დოკუმენტი, არ შეესაბამებოდა სოციალისტური წყობის წესს და ჩვევებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პატენტმფლობელი ეფექტურად იყენებდა კიდევ მას. ეს ეხებოდა ისეთ ტექნიკურ გადაწყვეტებს, რომლის დამზადება და გამოყენება არ

მოითხოვდა დიდ კაპიტალურ დაბანდებებს. მაგალითად, წამლების დამზადება, მეურნალობა და ასე შემდეგ. მაშინდელი კანონისდა შესაბამისად პატენტის გადაფორმება საავტორო მოწმობაზე დასაშვები იყო, ხოლო პირიქით — არა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გამოყენებლობის შემთხვევაში ავტორები იძულებულნი ხდებოდნენ, პატენტი გადაეფორმებინათ საავტორო მოწმობაზე.

საავტორო მოწმობის ასაღებად, განაცხადის დოკუმენტაციაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ისეთი დოკუმენტი, როგორიც არის, “ცნობა თითოეული თანაავტორის შემოქმედებითი მონაწილეობის შესახებ”, სადაც პროცენტულად იყო განსაზღვრული თითოეული თანაავტორის შემოქმედებითი წილი, რაზედაც თითოეული თანაავტორის ხელმოწერა იყო დასმული. თავისთავად ეს იმას ნიშნავდა, რომ გამოგონების ავტორებს ხელშეკრულების დადება არავისთან არ შეეძლოთ, სამაგიეროდ დანერგვის (გამოყენების) შემთხვევაში წინასწარ იყო განსაზღვრული, თუ თითოეულ თანაავტორს ეკონომიდან რა გასამრჯელო ერგებოდა. ეკონომიის გამოთვლისათვის კი მთელი სისტემა იყო მოცემული ფორმულების სახით. იყო ისეთი გამოგონებებიც, რომლებიც არ იძლეოდა ეკონომიას, მაგრამ იძლეოდა სხვა სახის დადებით ეფექტს, როგორიც არის, შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესება, ტექნიკური უსაფრთხოება და ა.შ. ასეთი გამოგონების გასამრჯელოს განსაზღვრა ხდებოდა კოეფიციენტების გამოყენებით. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ორგანიზაციაში შექმნილ გამოგონებებზე, რომლებზეც გაცემული იყო საავტორო მოწმობა, ავტორებზე გაიცემოდა ნამახალისებელი გასამრჯელო 20-დან 200 მანეთამდე თითო გამოგონებაზე, თითოეულს არა უმეტეს 50 მანეთისა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც ცნობილია, კავშირში შემავალი ყველა ქვეყანა გადაერთო საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე, მათ შორის საქართველოც, ანუა კაპიტალისტური ცხოვრების წესა და ჩვევებზე, რამაც გამოიწვია “საავტორო მოწმობის” მთლიანად ამოვარდნა

მოქმედებიდან. აქედან გამომდინარე საქართველოს საპატენტო კანონისდა შესაბამისად გამოგონებებზე გაიცემა მხოლოდ “პატენტი” ე.ი. ისეთი დამცავი დოკუმენტი, რომელიც უკეთ შეესაბამება კაპიტალისტური ცხოვრების წესს. სოციალისტური წყობის პირობებში, როგორც აღვნიშნეთ, ორივე დოკუმენტი მოქმედებდა და უაღრესად დიდ როლს ასრულებდა სახელ-მწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საქმეში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ გვინდა ხაზი გაუსვათ “საავტორო მოწმობის” როლსა და მნიშვნელობას საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც. მაშინ, როცა დღეს მსოფლიოში არსებობს ისეთი ქვეყნები, სადაც ორივე დამცავი დოკუმენტი გაიცემა. თვით რუსეთშიც კი დღეისათვის ებმ-ის პროგრა-მებზე და მონაცემთა ბაზებზე საავტორო მოწმობები გაიცემა (იხ. Романовы и Партнёры 7 [495] 204 83 63 www. patent-ru).

საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით, გამოგონების ავტორად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუ-ალური შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა გამოგონება. აქ ხაზი უნდა გაესვას ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგს. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ დამცავ დოკუმენტს ითხოვ — “საავტორო მოწმობას” თუ “პატენტს”. ავტორი ისე ვერ გახდები, თუ გამოგონებაში არ ჩაიდო თითოეული თანაავტორის შემოქმედებითი წილი. საავტორო მოწმობის მოთხოვნის შემთხვევაში, როგორც ვთქვით, ეს განისაზღვრებოდა ცნობით “თანაავტორების შემოქმედებითი მონაწილეობის შესახებ”. პატენტის მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი ავტორებსა და პატენტმფლობელს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრება. ეს ორი იურიდიული დოკუმენტი განსხვავების მიუხედავად ერთი და იგივე პრინციპს ემსახურება.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, სამსახურებ-რივი დავალების შედეგად შექმნილი გამოგონების მფლობელად, ჩვეულებრივ გვევლინება სამუშაოს მიმცემი. კაპიტალისტური ქვეყნების შემთხვევაში ფირმა, მეცნიერს, ინჟინერს, რომელიც დაკავებულია საგამომგონებლო საქმიანობით, უხდის მისი

კვალიფიკირებულისა და საქმიანობის შესაბამისად მაღალ ანაზღაურებას, ამდენად, სამუშაოს მიმცემის უფლებები პატენტის მიღებაზე სრულიად გამართლებულია. სოციალისტური წყობის პირობებში, სამუშაოს მიმცემად ყოველთვის სახელმწიფო გვევლინებოდა და გაიცემოდა არა პატენტი, არამედ საავტორო მოწმობა, რომელიც ასევე განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებდა სახელმწიფოს, რაც სრულიად გამართლებული იყო. რაც შეეხება გასამრჯელოს გადახდას, ერთ შემთხვევაში მას იხდის პატენტმფლობელი, ხოლო მეორე შემთხვევაში ფაქტობრივად სახელმწიფო, ორთავე შემთხვევაში განსაკუთრებული უფლებით სარგებლობს ის, ვისაც არავითარი შემოქმედებითი მონაწილეობა არ მიუღია გამოგონების შექმნაში. რაც შეეხება გასამრჯელოს განაწილებას თანაავტორებზე, მას იხდის შესაბამისად, პატენტმფლობელი (ხელშეკრულების თანახმად) და სახელმწიფო (ცნობის საფუძველზე). ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ ორთავე სამართლებრივ დოკუმენტს შორის პევრი პარალელების გავლება შეიძლება, რაც მიუხედავად სახელმწიფოებრივი სტრუქტურის განსხვავებისა, გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიფიქროთ სახელმწიფოში ორთავე დოკუმენტის მოქმედებაზე.

დღეისათვის, რასაკვირველია, მცირდება სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებები და მრავლდება კერძო წარმოება-დაწესებულებები, რაც თავისთავად მისასალმებელია, შესაბამისად მოქმედებაში იდომინირებს პატენტის მოთხოვნა, რაც თავისთავად კარგია. რაც შეეხება “საავტორო მოწმობას”, აյ თავისთავად სახელმწიფო როგორც დამკვეთი აღარ არსებობს და შესაბამისად დამცავი დოკუმენტიც კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას, მაგრამ ეს მთლიანად ასე არ არის, რადგან განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც მეტნაკლებად არსებობს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი დარგის წარმოება დაწესებულებები და მუნიციპალური საწარმოები, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო საავტორო მოწმობები და მასთან დაკავშირებით

ამოქმედებულიყო ძველად მოქმედი დებულებები, რომელიც წამახალისებელი გასამრჯელოს გაცემის საკითხებს შეეხებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დროს მოქმედებდა ისეთი სამრეწველო საკუთრების ობიექტი, როგორიცაა რაციონალიზატორული წინადადება. განაცხადი შეიტანებოდა იმ წარმოება-დაწესებულებაში, რომელსაც ეხებოდა წინადადება და მასზე გაიცემოდა “მოწმობა”. მოწმობას გასცემდა ის ორგანიზაცია დაწესებულება, სადაც წინადადება იყო შეტანილი. აქაც ეკონომიის გამოთვლის მთელი სისტემა იყო მოცემული ფორმულების სახით და თითო მოწმობაზე მაქსიმუმ 5000 მანეთის გაცემა შეიძლებოდა. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ რაციონალიზატორული წინადადებები სასარგებლო მოდელმა შეცვალა და მას ჩვენ მცირე გამოგონებას ვუწოდებთ, რაზეც პატენტები გაიცემა. რასაკვირველია ამ ობიექტსაც ის წარმოება დაწესებულება გამოიყენებს, ვისაც ეს შეეხება და სჭირდება. ამ საკითხს ჩვენ იმიტომ შევეხეთ, რომ რასაც ჩვენ გამოგონებაზე ვლაპარაკობთ, ის თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ სასარგებლო მოდელზეც.

როგორც ცნობილია სოციალისტური წყობის პირობებში გამოგონებები, რომელზეც საავტორო მოწმობები იყო გაცემული, ყველას შეეძლო გამოყენებინა, ყოველგვარი შეთანხმებისა და ლიცენზიების მიღების გარეშე, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტი იყო. რაც შეეხება “პატენტს”, რომელიც განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებს პატენტმფლობელს რიგ შემთხვავაში გამართლებული არც არის. რასაც ითვალისწინებს კიდეც ევროპის საპატენტო კონვენციის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე საქართველოს საპატენტო კანონიც ითვალისწინებს ასეთ მოთხოვნებს, მაგალითად, საქართველოში პატენტი არ გაიცემა ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მკურნალობის ქირურგიულ, თერაპიულსა და დიაგნოსტიურ ხერხებზე. ეს წესი მოქმედებს უცხოეთის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში. აქ მიზეზად რასაკვირველია საკითხის მორალური და ეთიკური მხარე უნდა მივიჩნიოთ.

შესაძლებელია იყოს შემთხვევა, როცა ცოცხალი არსების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაპატენტებული ხერხის გამოყენებაზე იყოს დამოკიდებული, ხოლო მისი გამოყენება კი, შესაბამისი უფლების არქონის შემთხვევაში, არაკანონიერად იქნეს მიჩნეული. რაზედაც ჩვენ გაკვრით უკვე გვქონდა საუბარი ლექციების დროს. ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც საპატენტო სისტემა თავისი კლასიკური გაგებით არ მოქმედებდა და გამოგონების მესაკუთრედ პრაქტიკულად სახელმწიფო გვევლინებოდა, რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული პრობლემა აქტუალური არ იყო და საავტორო მოწმობა სამედიცინო დანიშნულების ხერხებზეც გაიცემოდა. რატომ არ შეიძლება ასეთი პრობლემატური საკითხების გადაჭრის მიზნით აღდგეს ძველი სისტემა და გაიცეს საავტორო მოწმობები? ასეთ შემთხვევაში პატენტის არ გაცემას საავტორო მოწმობის გაცემა აჯობებდა, რადგან ეს სტიმულს მისცემდა მომავალ ავტორებს აღნიშნულ საქმიანობაში. პატენტის ზოგიერთ უარყოფით მხარეებზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოს საპატენტო კანონი ითვალისწინებს გარკვეულ პირობებში პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვას. კერძოდ, პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა პატენტმფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული ნაწარმის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდგომ გავრცელება, ან სხვადასხვა გამოყენება. დაიშვება სამრეწველო საკუთრების ობიექტების გამოყენება კერძო წესით პირადი სარგებლობისათვის. როდესაც ამგვარი ქმედება არ ისახავს კომერციულ მიზნებს. შესაძლებელია მათი გამოყენება, აგრეთვე უცხოეთის ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებაზე, მათი საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას, თუ ისინი გამოიყენება საკუთარი საჭიროებისა და არა მეწარმეობისათვის. დასაშვებია აგრეთვე ამ ობიექტების უნებართვო გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფების, ეპიდემიისა და საგანგებო ვითარების დროს. თუ რომელიმე პირი, განმცხადებლის მიერ პატენტზე განაცხადის შეტანამდე კეთილსინდისიერად სარგებლობდა ამ

გამოგონებით ან განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები მისი გამოყენებისათვის (წინათსარგებლობის უფლება), მას უფლება აქვს ინდივიდუალურად გამოიყენოს იგი პატენტის მოქმედების მიუხედავად და სხვ.

უნდა აღინიშნოს ისეთი გარემოებაც, რომ შეიძლება ავტორები ვერ თანხმდებან გამოგონების საპატენტო უწყებაში განაცხადად შეტანის თაობაზე. აქ თავისთავად ნათელია ირლვევა რომელილაც თანაავტორის უფლება. რატომ იტყვის რომელიმე თანაავტორი განაცხადის შეტანაზე უარს? რომელიმე თანაავტორის უარის თქმა განაცხადის შეტანაზე ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ვერ თანხმდებიან პროცენტულად სწორედ შემოქმედებით წილზე, რასაკვირველია სხვა მიზეზებიც შეიძლება იყოს, მაგრამ ძირითადი მაინც ეს არის. ასეთ შემთხვევაში სასურველი იქნებოდა აღდგენილიყო განაცხადში “ცნობა თითოეული თანაავტორის შემოქმედებითი მონაწილეობის შესახებ” და ასეთ ავტორებს მოეთხოვათ მხოლოდ და მხოლოდ საავტორო მოწმობა და არა პატენტი, თუმცა პატენტის აღების შემთხვევაშიც კი პატენტმფლობელს სარგძნობლად გაუადვილდებოდა თანაავტორებზე გასამრჯელოს განაწილება. მითუმეტეს მაშინ, თუ თანაავტორები თვითონ გახდებოდნენ პატენტმფლობელები. აქ წყდება ორი პრობლემა, განაცხადის შეტანის დროს არ ირლვევა არცერთი თანაავტორის უფლება და თავიდანვე გაადვილებულია თანაავტორებს შორის გასამრჯელოს განაწილება, რაც თავისთავად აღმოფხვრიდა ზოგიერთ ზედმეტ ჩივილებსაც კი.

არის ისეთი გარემოებაც, რომ ავტორებს, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითი მონაწილეობის შედეგად მართლაც შეემნეს გამოგონება, მაგრამ ისინი არ არის ფინანსურად ძლიერნი, რაც პატენტის აღების საფასურების გადახდას, მის გაკეთებას და წარმოებაში ჩაშვებას სჭირდება, ან გართულდა რეალური პატენტმფლობელის მოძიება, რაც არც თუ ისე ადვილია. ასეთ შემთხვევაში საავტორო მოწმობის მოთხოვნა სრულიად მოხსნიდა აღნიშნულ პრობლემას და ეს ხელშეწყობაც

იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან საგამომგონებლო საქმიანობის კიდევ უფრო განვითარებისათვის.

საავტორო მოწმობების გამოყენების შემთხვევაში, წარმოება-დაწესებულებები, სახელმწიფო იქნება ის თუ კერძო, დადგენილი წესით ვალდებული იქნებიან ავტორებს ეკონომიკიდან გადაუხადონ გასამრჯელო. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოგონებებზე არავითარი სახსრების გამოყოფა არ მოუწევს, რადგან ძველად არსებული დებულებებიდან გამომდინარე, გასამრჯელოს იხდის ის წარმოება დაწესებულება, რომელიც გამოიყენებს მას. თუ საწარმოო-დაწესებულება იყენებს გამოგონებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მას გამოგონება აძლევს რაღაც ეკონომიკურ ეფექტს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ის არ გამოიყენებს. ასეთ შემთხვევაში წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელობა ვალდებულია ავტორებს დადგენილი წესით ეკონომიკიდან გადაუხადოს თავიანთი გასამრჯელო.

დღეისათვის ცნობილია, რომ მსოფლიოში განაცხადების დიდი რაოდენობით მოზღვავებასთან დაკავშირებით, შემოაქვთ ექსპერტიზის სხვადასხვა სახეები იმისათვის, რომ განიტვირთოს საპატენტო უწყებები ისეთი გამოგონებებისაგან, რომლებიც დაბალი მნიშვნელობისაა. ხელის შეწყობა და ფინანსირება გამიზნულია ძირითადად მნიშვნელოვანი გამოგონებებისათვის. ამ საკითხისადმი ჩვენი მიდგომა განსხვავებულია, თუ არ შევეხებით ზოგიერთ მართლაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ტექნიკურ გადაწყვეტილებებს. იმის გარჩევა თუ რომელია მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, ძალზე რთულია. ზოგჯერ თითქოს უმნიშვნელო გამოგონებებსაც შეუძლია მცირე საწარმოებისათვის მნიშვნელოვანი მოგების მოტანა. უნდა ითქვას, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნების გამომგონებლებს ჯერ კიდევ გააჩნიათ დიდი ნოსტალგია საავტორო მოწმობების მიმართ, უსახსრობის გამო ჩემის აზრით სახელმწიფოში ბევრი კარგი ტექნიკური გადაწყვეტილებები იკარგება, საავტორო მოწმობების აღების აღდგენა პატენტთან ერთად კიდევ უფრო მასიურს გახდიდა სახელმწიფოში

გამომგონებლობას, და ხელს შეუწყობდა გამომგონებლების აქტიურობას, აგრეთვე გააადგილებდა სახსრების მოძიებას საზღვარგარეთ დაპატენტებასთან დაკავშირებით და სხვა. სახელმწიფო მაშინ არის ძლიერი როდესაც ინტელექტუალური შრომის შედეგების რაც შეიძლება მეტი და მეტი დაფიქსირება ხდება სამართლებრივი დოკუმენტებით. არა აქვს მნიშვნელობა საავტორო მოწმობა იქნება ეს თუ პატენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ორთავე დოკუმენტის გაცემა დიდ როლს ითამაშებდა გამომგონებლობისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემატური საკითხების უკეთ მოგვარებაში.

რაც შეეხება ექვივალენტურ ნიშნებს, ეს ის ნიშნებია, რომლებიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს, როგორც ექსპერტიზის დროს, პატენტის გაცემა არ გადაცემის საკითხში, ასევე კონტრაფაქციის დადგენის შემთხვევაში. მოდით გავავლოთ პარალელები დანერგვას, კონტრაფაქციასა და ექსპერტიზას შორის. დანერგვა, როგორც ტერმინი უფრო ფიგურირებდა საბჭოთა კავშირის დროს წარმოშობილ დავებში, დანერგილი იყო ანუ გამოყენებული იყო თე არა ესა თუ ის გამოგონება წარმოებაში. წარმოება ყოველთვის ცდილობდა მოდავეს ანუ საავტორო მომწობის ავტორებისათვის დაემტკიცებინა, რომ მათი გამოგონება არ იყო დანერგილი ანუ გამოყენებული, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ გასამრჯელოს იხდიდა ის წარმოება დანესებულება, სადაც დანერგილი ანუ გამოყენებული იყო გამოგონება. აქ ფაქტობრივად დავა მიმდინარეობდა ავტორებსა და სახელმწიფოს შორის, რადგან მაშინ კერძო წარმოება-დანესებულებები არ არსებობდა. აქ კონტრაფაქციასთან არ გვქონდა საქმე, რადგან საავტორო მოწმობა არ იყო ამკრძალავი დოკუმენტი და ავტორებს იგი განსაკუთრებულ უფლებას არ ანიჭებდა, იგი შეეძლო ყოველგვარი შეთანხმებისა თუ ხელშეკრულების გარეშე გამოეყენებინა წარმოება დანესებულებებს და ეს უკანასკნელი მას არ გამოიყენებდა თუ ეს მისთვის მომგებიანი არ იყო. აქ დავა იყო გადაეხადა თუ არა წარმოებას ავტორებისათვის

მოგებიდან კუთვნილი გასამრჯელო, ეს კი ცოტა თანხა არ იყო, ჩვენ ეს ლექციების მსვლელობის დროსაც აღვნიშნეთ, ეს თანხა შეიძლება ოციათას მანეთამდეც კი ასულიყო. ამისათვის საჭირო იყო ავტორებს დაემტკიცებინათ მისი დაწერგვის (გამოყენების) ფაქტი.

რაც შეეხება კონტრაფაქციას აქ დავა მიდის პატენტმფლობელსა და კერძო მენარმეს შორის, რასაკვირველია ორთავე მხარე თავისი ინტერესებიდან გამომდინარე დაობს. მენარმე დაობს, რომ მას არ გამოუყენებია გამოგონება, მეორე კი ცდილობს თავისი განსაკუთრებული უფლების დაცვას. ფაქტიურად ჩვენ რაც ზემოთ განვიხილეთ ეს იგივე პროცესია. პირველ შემთხვევაში, თუ დაწერგვის (გამოყენების) ფაქტი დადასტურდა ავტორები ითხოვენ გასამრჯელოს გადახდას, მეორე შემთხვევაში პატენტმფლობელი გამოყენების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ითხოვს თავისი განსაკუთრებული უფლების გამოყენებას და რა საკირველია მისთვის გასამრჯელოს გადახდასაც და ყველა იმ უფლებას რაც მას ეკუთვნის.

რაც შეეხება ექსპერტიზას, აქ დავა მიმდინარეობს მომავალ პატენტმფლობელსა (ავტორებსა) და ექსპერტს შორის ანუ სახელმწიფოს შორის, გაიცეს თუ არა პატენტი. პატენტის გაცემა არ გაცემა დამოკიდებულია ძირითადი ნიშნების ერთობლიობაზე, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებას ახდენს ტექნიკურ შედეგზე.

ასეთი დავების შესახებ ჩვენ პარალელები იმიტომ გავავლეთ, რომ გვინდა გამოკვეთოთ, ექვივალენტური ნიშნების როლი ასეთი დავების გადაწყვეტაში.

ჩვენ ბოლო ლექციაზე, როდესაც განვიხილეთ საპატენტო სასამართლოს როლი და მნიშვნელობა, აღვნიშნეთ თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექვივალენტურ ნიშნებს ამერიკის შეერთებულ შტატებში კონტრაფაქციის განხილვის დროს. კონტრაფაქციის ჩამდენი ყოველთვის ცდილობს ეჭვქვეშ დააყენოს პატენტის გაცემის სამართლიანობა, ის ყოველთვის ცდილობს გამოგონების რომელიმე კრიტერიუმის გაბათილებას, რათა პატენტი უმოქმედო გახადოს და თავი დაიძვრინოს

კონტრაფაქციისაგან. რასაკვირველია თუ მან მართლა დაუმტკიცა სასამართლოს რომელიმე კრიტერიუმის უქონლობა, პატენტი ხდება უმოქმედო და შესაბამისად არც კონტრაფაქცია მომხდარა. აქ უკვე მოსამართლეს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება პატენტის გაუქმების თაობაზე, მაგრამ ეს ასე უბრალოდ გადასაწყვეტი საქმე არ არის, რადგან აქ უკვე საქმეში ერთვება თვით საპატენტო უწყება, რომელიც ყოველთვის შეეცდება იმის დამტკიცებას, რომ მან პატენტი სამართლიანად გასცა.

ეს პარალელები ჩვენ იმიტომ გავავლეთ, რომ სამთავე შემთხვევაში თავს იჩენს ექვივალენტური ნიშნების ცნება. რაც არც საქართველოს საპატენტო კანონში და არც კანონქვემდებარე აქტებში არც განმარტებულია და საერთოდ მოხსენებულიც არ არის, არადა ექვივალენტური ნიშნების უგულველყოფამ ყოველთვის შეიძლება გაართულოს ასეთი დავების სწორად გადაწყვეტის საკითხი, ეს შეეხება როგორ დანერგვას, კონტრაფაქციას და თვით პატენტის გაცემა არ გაცემის საკითხს.

საბჭოთა კავშირის დროს ექვივალენტური ნიშნების ცნება კარგად იყო განმარტებული და იგი მოქმედებდა კიდეც, როგორც დანერგვის (გამოყენების) ფაქტის დადგენის დროს ასევე ექსპერტიზის დროს. თუ აღმოჩენდებოდა, რომ რომელიმე ნიშანი თავისი ფორმით განსხვავებული იყო დანერგვის ანუ გამოყენების დროს და ასრულებდა იგივე ფუნქციას იგივე ტექნიკური შედეგით იგი ითვლებოდა ექვივალენტურად და გამოყენების ფაქტი დამტკიცებულად ითვლებოდა, აქედან გამომდინარე ავტორები გასამრჯელოსაც იღებდნენ. თუ ექსპერტი მოიძიებდა ექვივალენტურ ნიშანს, რომელიც ასრულებდა იგივე ფუნქციას, იგივე ტექნიკური შედეგით, იგი წინ აღუდგებოდა საგარაუდო გამოგონებაზე შეტანილ განაცხადს და მასზედ საავტორო მოწმობა არ გაიცემოდა. აქედან გამომდინარე ეს პატარა ექსკურსი იმიტომ გავაკეთეთ, რომ კარგად გავითავისოთ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს

ექვივალენტური ნიშნების ცნებას, როგორც კონტრაფაქციის დადგენის დროს ასევე პატენტის გაცემა არ გაცემის დროს.

რაც შეეხება სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას. ეს ჩემი პირადი სუბიექტური აზრია, რომელიც შეიძლება ყველამ არ გაიზიაროს, მაგრამ მაინც პირდაპირ ვიტყვი, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საქპატენტში საბოლოო უნდა იყოს და არ უნდა ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას. ერთად ერთი რაც შეიძლება კიდევ ექვემდებარებოდეს განხილვას ეს არის განცხადება თხოვნით საქპატენტის გენერალური დირექტორის სახელზე. თუ იგი თავისი შეხედულების საფუძველზე ჩათვლიდა, რომ საჭიროა კიდევ ერთხელ დამატებითი განხილვა, კი ბატონო, მაგრამ გამოტანილი გადაწყვეტილება გასაჩივრებას აღარ უნდა ექვემდებარებოდეს. ასე იყო საბჭოთა კავშირის დროს, განსხვავება ის იყო, რომ მაშინ სააპელაციო პალატის მაგივრად მოქმედებდა საკონტროლო საბჭო, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოო იყო.

ჩემი მოსაზრებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ საქპატენტის მიერ პატენტის გაცემა არ გაცემის საკითხი სასამართლოს საქმე არ უნდა იყო. ეს უშუალოდ საქპატენტის პრეროგატივაა.

ერთი ორი სიტყვით მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება პატენტმცოდნეობის სწავლებასთან დაკავშირებით. გლექციების დროს ჩვენ ვახსენეთ კიდეც სიტყვა, განურჩევლად სქესისა ასაკისა და დარდისა. ეს სიტყვა ჩვენ ტყვილა არ გვიხსენაბია, რადგან აზროვნებას ბავშვი პატარა ასაკიდან იწყებს და აზრის მიმართულება სიახლეების ძიებისკენაც უნდა იყოს მიმართული. სკოლის პერიოდიდან მოსწავლე უკვე უნდა ეუფლებოდეს პატენტმცოდნეობას. პატენტმცოდნეობა უნდა ისწავლებოდეს, როგორც სკოლაში ასევე პროფილაქტიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით საინჟინრო განხრის მიმართულებით. აუცილებელი არ არის ყველამ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავროს, მთავარია მათი გონება მიმართული იყოს სიახლეების ძიებისაკენ, ასეთ შემთხვევაში ისინი ყოველთვის პრიორიტეტულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რა სპეცია-

ლობითაც არ უნდა იყვნენ ისინი დასაქმებულნი. ამისათვის პატენტმცოდნეობა აუცილებელ შესწავლის საგნად უნდა იქცეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტებისათვის, რომელიც თავის მხრივ მოიცავს, გამოგონების გამოვლენას და მისი აღწერილობის სტრუქტურის სწორად ჩამოყალიბების ცოდნას, გამოგონების ფორმულის შედგენას და მის მნიშვნელობას, პატენტის მნიშვნელობას, სასაქონლო ნიშნების (მომსახურების ნიშნების) მნიშვნელობას, ადგილწარმოშობისა და გეოგრეფიული აღნიშვნების მნიშვნელობას, საპატენტო სამართლის ცოდნას და საერთოდ პატენტმცოდნეობის როლსა და მნიშვნელობას სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების საქმეში და სხვ.

საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურაზე გადასვლასთან დაკავშირებით ზოგიერთმა მოძველებულმა სასწავლო საგნებმა დაკარგეს კიდევაც თავიანთი მნიშვნელობა და აღარ შეესაბამებიან ახალ ვითარებას, სამაგიეროდ თავს იჩენს ახალი საგნები, რომელთაც შეიძინეს ახალი ფუნქციონალური დანიშნულება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ერთ ერთი ასეთი საგანი დღეისათვის სწორედ პატენტმცოდნეობაა, რომელშიც ყველა დარგის სპეციალისტი უნდა იყოს გათვითცნობიერებული. იგი მასიური სწავლების საგნად უნდა იქცეს ყველა დარგის სპეციალისტებისა და ბიზნესმენებისათვის, მცირე იქნება ის თუ დიდი, რადგან მომავალში ამაზეა დამოკიდებული ინტელექტუალური პროდუქტების შექმნა და მისი კონკურენტუნარიანობა. თვთონ პატენტმცოდნეობა როგორც ასეთი, სხვადასხვა საპატენტო საგანთა კრებულს წარმოადგენს და ამიტომაც იგი რაციონალურად უნდა იყოს განთესილი სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში.

აღნიშნული საკითხი აუცილებლად უნდა დაისვას კომპეტენტურ ორგანოში რასაც ჩემი აზრით აუცილებლად მოყვება სათანადო დადებითი რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან.

## გამოყენებული ძირითადი საიცორმაციო წყაროები

1. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. თბილისი, 1999 წლის 22 ივნისი. №2112-III.
2. საქართველოს საპატენტო კანონი. თბილისი, 1999 წლის 5 თებერვალი, №1791-III.
3. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ. თბილისი. 1999 წლის 5 თებერვალი, №1795-III.
4. სამრეწველო საკუთრება (ნორმატიული აქტები) გამოშვება I. თბილისი, “საქპატენტი”, 1996წ.
5. სამრეწველო საკუთრება (ნორმატიული აქტები) გამოშვება II, თბილისი, “საქპატენტი”, 1996წ.
6. სამრეწველო საკუთრება — ინსტრუქცია სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ. — თბილისი “საქპატენტი” გამოშვება I. 1999წ.
7. ისმოს-ს მიერ ადმინისტრირებული საერთაშორისო კონვენციები, ხელშეარულებები და შეთანხმებები. თბილისი, “საქპატენტი”, 2009წ.
8. ინტელექტუალური საკუთვრება, წიგნი I, თბილისი, “საქპატენტი”, 2001.
9. დ.გაბუნია, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონების მოკლე დახასიათება. კრებულში “საკანონმდებლო აქტები”. თბილისი, “საქპატენტი”, 1999.
10. დ.გაბუნია “საქპატენტი”. ინტელექტუალურ საკუთრებას იცავს. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 2000 წლის 8 დეკემბერი.
11. საერთაშორისო განაცხადის გაფორმება და წარდგენა. თბილისი, “საქპატენტი”, 2003.
12. დ.ძამუკაშვილი. სამრეწველო საკუთრება. თბილისი, 1998.
13. დ.ძამუკაშვილი. სამრეწველო საკუთრება. თბილისი, 1997.
14. დ.ძამუკაშვილი. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, ლიტერატურული და მსატავრული ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენცია. თბილისი, 2000.

15. ო.კეკელაშვილი,. თ.ქვლივიძე. გამოგონებათა დაპატენტების საფუძვლები. თბილისი, 1996.
16. ო.კეკელაშვილი, საპატენტო სამართლის ეკონომიკური საფუძვლები. თბილისი, 2001.
17. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (ლექციათა კურსი), თბილისი, 2001.
18. ს.ჯორბენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1998.
19. ბ. სარალიძე, სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი. ინტელექტუალური საკუთრება, №1(4). თბილისი, „საქათენტი“, 2007 წ.
20. Открытия, изобретения и рационализаторские предложения (нормотивные акты) ЦНИИПИ, Москва 1974г.
21. Законодательство СССР по изобретательству – Москва, 1982г.
22. Компания, «Ромоновы и Партнёры», +(495) 204 83 63. [www.patent-ru.ru](http://www.patent-ru.ru).
23. Указания по составлению заявки на изобретение Э3-1-74, М., 1984.
24. Инструкция по государственной научно-технической экспертизе изобретений Э3-2-74 М., 1984.
25. Порядок проведения патентных исследований ГОСТ 15.11.96. М., 1996.
26. Инженеру об изобретении. Под редакции Е.Л. Макеева, М., 1974.
27. А.Д.Корчагин и др. Как защитить интеллектуальную собственность в России, 1995.
28. А.Н.Козыров, Оценка Интеллектуальной собственности, М., 1997.
29. В.И. Еременко, Законодательство пресечении недобросовестной конкуренции в зарубежных странах, М., 1997.
30. Правовая охрана товарных знаков, Учебник, М., 1985.
31. Права на результаты интеллектуальной деятельности. М., 1994.

## სარჩევი

წინასიტყვაობა.....	3
<b>§1. ინტელექტუალური საკუთრების ცნება, მოკლე ისტორიული მიმოხილვა და ევოლუცია .....</b>	<b>5</b>
პატენტმცოდნეობის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარების საქმეში.....	14
<b>§2. სამრეწველო საკუთრების ობიექტები და მათი ნიშნების საერთო დახასიათება .....</b>	<b>23</b>
2.1. გამოგონება.....	23
2.2. სასარგებლო მოდელი .....	32
2.3. დიზაინი .....	36
<b>§3 გამოგონების ობიექტები და მათი ნიშნები .....</b>	<b>42</b>
3.1. მოწყობილობა, როგორც გამოგონების ობიექტი .....	42
3.2. ხერხი, როგორც გამოგონების ობიექტი .....	44
3.3. ნივთიერება, როგორც გამოგონების ობიექტი .....	46
3.4. მიკროორგანიზმის შტამი, როგორც გამოგონების ობიექტი .....	49
3.4.1. მიკროორგანიზმთა ინდივიდუალური შტამების დამახასიათებელი ნიშნები.....	50
3.4.2. მიკროორგანიზმთა კონსორციუმების დამახასიათებელი ნიშნები .....	51
3.4.3. მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურები .....	51
3.4.4. მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურების დამახასიათებელი ნიშნები.....	52
3.5. გამოყენება, როგორც გამოგონების ობიექტი.....	53
3.6. დამატებითი გამოგონება .....	54
<b>§4. პრიორიტეტის სახეები.....</b>	<b>56</b>
<b>§5. განაცხადის გაფორმება .....</b>	<b>73</b>
<b>§6. გამოგონების ფორმულა.....</b>	<b>87</b>
<b>§7. ექსპერტიზის სახეები.....</b>	<b>98</b>
7.1. სრული ექსპერტიზა .....	109

<b>§8.</b> სასაქონლო ნიშანი (მომსახურების ნიშანი), როგორც სამრეწველო საკუთრების ობიექტი .....	130
8.1. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე და ექსპერტიზა.....	140
<b>§9.</b> “საქპატენტის” სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი .....	149
9.1. საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასების ჩამონათვალი .....	167
<b>§10.</b> საზღვარგარეთ დაპატენტების, ლიცენზირების, საწარმოო-კომერციული საიდუმლოებისა (ნოუ-ჰელ) და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საკითხები .....	175
<b>§11.</b> საპატენტო სასამართლოს როლი და მნიშვნელობა .....	192
11.1. ამერიკის სასამართლო პრაქტიკა პატენტის დარღვევის განხილვის დროს.....	198
<b>§12.</b> ავტორის მოსაზრებები საავტორო მოწმობასთან, ექვივალენტურ ნიშნებთან და სააპელაციო პალატასთან დაკავშირებით.....	207
გამოყენებული ძირითადი საინფორმაციო წყაროები.....	220
სარჩევი .....	222